

114
1938/2



საქართველოს
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

მნათობი

10

გ უ ი ლ ს ი
1938



ქართული
ნიგელიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სასკოლო და საზოგადოებრივ-საკვლიცო
ქრნალი

წალიწალი მითხუთმეტი



10

ოქტომბერი

სახელგანი

3369

სახელგანი

რედაქცია:

ტფილისი, მინაბლის 13,
შწერილობის სასახლე
ტ 3-71-84

დანტორა:

ტფილისი, გიროვის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მზ. რედაქტორი — ალიო მარაშვილი

პ/მზ. მდივანი — ლევან ასათიანი

გედ. წარმ. 3/XI — 38; ხელმ. დასაბ. — 38 წ.
შეკვ. № 2050; მთავლ. რწმ. № 2678 ტირ. 5.500.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ურბნის ქ. № 5.



ნიკოლოზ ბაკათაშვილი

ქართული ხალხის გენია

21 ოქტომბერს შესრულდა ჩვენი გენიალური პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 93 წელი. ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა მწერლების მიერ პოეტის ნეშტი დიდუბის სასაფლაოდან გადატანილ იქნა მთაწმინდის მწერალთა პანთეონში. ამით ნიკოლოზ ბარათაშვილს დაეთმო ის მაღალი და საპატიო ადგილი, რომელიც მას თავიდანვე ჰქმნარიტად ეკუთვნოდა. დღეს იგი ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან და ვაჟა ფშაველასთან ერთად ამჟამად გადმოაპყურებს დედა-სამშობლოს, ტფილისს.

მეტყობა, მეტყობა საუკუნის ქართულ პოეტურ სინამდვილეში ბარათაშვილი პირველია, რომელმაც გაარღვია ირანულ-აშუღური საზნადრების სიმღერათა რკალი და ქართულ პოეზიას მსოფლიო ხასიათის რეზონანსი მისცა.

თავის ხანმოკლე შემოქმედების სარბიელზე ბარათაშვილმა თუმცა სულ სამი ათეული ლექსი დასტოვა, მაგრამ მან წარუშლელი კვალი დააჩნია მთელ შემდგომდროინდელ ლიტერატურის განვითარებას. საერთოდ აღიარებულია, რომ ბარათაშვილი უღრმესი სევდის, პესიმიზმის განწყობილების პოეტია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბარათაშვილის პესიმიზმი უნუგეშო როდია. მისი პესიმიზმი, სოციალურ უკუღმართობისაგან შობილი, გამსჭვალულია მომავლის რწმენით, იმედით: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

ამ სტრიქონებში მოსჩანს სამშობლო-ქვეყნის მომავლისაკენ იმედიანი შორსხედვა. პოეტის ასეთი ღრმა პესიმიზმი წარმოშვა მაშინდელ საქართველოს უნუგეშო მდგომარეობამ და არა, რასაკვირველია, მხოლოდ პირადმა ფიზიკურმა ტრაგედიამ პოეტისამ, როგორც ეს დღემდე ეგონა ზოგიერთ ჩვენს კრიტიკოსს. ბარათაშვილის სევდა უსათუოდ ღრმა სოციალურ, ღრმა ადამიანურ და ღრმა საზოგადოებრივ ხასიათს ატარებდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი გრძნობდა მშობლიური ქვეყნის მაშინდელ გამოუვალ მდგომარეობას, გრძნობდა ცხოვრების ვითარებათა კანონზომიერებას, გრძნობდა, რომ ეს ცხოვრება შეიცვლება უკეთესი მომავლით, ამიტომ არის, რომ მისი პესიმიზმი ყოველთვის იმედის ნაპერწკლებით ელავს.

*) სიტყვა, წარმოთქმული მწერალთა კავშირში ნ. ბარათაშვილის ხსენისადმი მიძღვნილ საღამოზე.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოტივი ნიკოლოზ ბარათაშვილმა შემოიტანა. პოემა „ბედი ქართლისა“ ერთ-ერთი ღრმა პოლიტიკური ნაწარმოებია, სადაც ბარათაშვილი გვევლინება, როგორც მწერლობის მებრძოლი, პროტესტანტი-რესპუბლიკანელი მაშინდელი რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ. ამ პოემაში მოცემულია ბედი საქართველოს გადარჩენისა. აღმოსავლეთის ტირანებისაგან შევიწროვებული საქართველო, თავის ბერი არწივის — პატარა კახის სახით, ქედს იბრის რუსეთის თვითმპყრობელობის წინაშე, რათა სამშობლოს ბედი განსაცდელისაგან იხსნას. პოეტი, რასაკვირველია, ქართველი მეფის ამ პოლიტიკას, ამ არჩევანს მხარს არ უჭერს, ვინაიდან მან იცოდა, თუ რა ბედი მოელოდა საქართველოს აღმოსავლეთის მეორე ტირანისაგან, დიდპყრობელურ რუსეთისაგან: „რა ხელს ყრის პატივს ნაზი ბულბული გალიაშია დატყვევებული“ — ამბობს ავტორი პოემის ერთ-ერთი გმირის პირით. მაგრამ არც ბრძენი მეფე შესცდა ამ პოლიტიკაში, რადგან გარეშე მტრებისაგან სისხლდაცლილ საქართველოს მეტი გამოსავალი არ ჰქონდა.

პოემა „ბედი ქართლისა“ ნამდვილი რეალისტური ნაწარმოებია. აქ ბარათაშვილის დიდმა რომანტიულმა ბუნებამ და რეალისტურმა ალლომ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. პოემა „ბედი ქართლისა“ უთუოდ გამოსავალი წერტილია, საიდანაც წამოვიდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ნაკადი მეცხრამეტე საუკუნის მომდევნო წლების პოეტთა შემოქმედებაში. ბარათაშვილმა წარუშლელი კვალი დააჩნია ამ მხრივ ილია ქაეჭავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. ბარათაშვილის იდეურმა სიახლემ შექმნა შესაფერი სტილი და ფორმა ლექსალური მეტყველებისა. ძარღვმაგარი სიტყვების ფოლადისებური ნაქედობა, დინჯი, მტკიცე და შეუწელებელი რიტმი — გამომხატველია პოეტის ღრმააზროვან განწყობილებებისა.

ამ მხრივ ის მისაბაძია თანამედროვე ქართველ საბჭოთა პოეტებისათვის. ბარათაშვილისაგან ჩვენ უნდა ვისწავლოთ ასეთივე ღრმა და ფილოსოფიური მისვლა საკითხებისადმი, ასეთივე სოციალური აზრით გამსჭვალვა ნაწარმოებისა, ფორმისა, და შინაარსის კლასიკური მთლიანობა მოვლენების ასახვისას და სხვა. ბარათაშვილი მუდამ დარჩება ჩვენში როგორც „თანამავალი ვარსკვლავი“ ქართული პოეზიისა, როგორც დიდი პოეტური შთაგონება უფრო მაღალი, უფრო დიდი სოციალისტური პოეზიის შექმნისათვის.

ბარათაშვილი უკედავია, ვინაიდან მისი შემოქმედება ხალხურია, ხალხის იდეის, გრძნობის და მისწრაფებათა გამომხატველი. დღეს ბარათაშვილის მდიდარი შემოქმედების მემკვიდრეა ქართველი ხალხი, ხალხი პატარა, მაგრამ მარჯვე წელისა, ხალხი, მუდამ მებრძოლი თავისუფლებისათვის, შეურიგებელი მტერი ყოველგვარი მონობისა, ხალხი აღზრდილი და გამარჯვებული მშობლიური სტალინის მბრწყინვალე დროშის ქვეშ.

ქიროვის ბაღში

„—გუშინ, ერთერთ ასეთ საღამოს გავწიე „მოსკოვის კარისაკენ“ და უცბად სასაფლაოზე გაეჩნდი...“

ნ. ბარათაშვილი.

გუშინ საღამოს გავისეირნე
და გაეჩნდი უცბად „მოსკოვის კართან“.
აღბად, აქ იყო ტვერი საირმე...
აღბად, აქ იყო სავანე მკვდართა...

თვალშეუდგამი ეს არემარე,
ხევი, ყორღანი, ესოდენ ვრცელი,
დღეს აღარ არის მშვიდად მთვლემარე,
გაუმარგლავი, ნირშეუცვლელი.

აქ ვარსკვლავები ოქროს ლურსმებით
მიჭედელიყვნენ ცაში ოდიდან.
დამშეულ ყურით ხარბად ვუსმენდი
მტკვარს, მოელვარე კალაპოტიდან.

ბარათაშვილო! დღეს ამ ალაგას,
შენ რომ გიყვარდა ოცნებით ფრენა,
მზემ სუმბულეები ამოალაგა
და ქარაფებმაც აიღგეს ენა.

წავიდა ის დრო, როცა უღვავის
ღერი ფასობდა ერთ თამასუქად,
დროს ატარებდნენ წყველა-კრულვაში
და თითბრის ღილი მიაჩნდათ შუქად.

ჰაეკვაძიანთ ქალის ჰანგებში
ჰგოდებდა ჩვენი სული ვნებული,
და როგორც მტრედი, ქორის ჰანგებში,
ისე ვიყავით მინაბებული.

ახსენი ბაგე... ყველას უთხარი,
რომ ეს მიდამო იქცა ბაღებად,
რომ დავაჩოქეთ ბედი მუხთალი,
ავშართეთ სიტყვა ბაირაღებად!



დაიცა-მეთქი! შევხედოთ ყვავილს,
ქართულის ეშხით შეკრულ ბუნებას,
ვუმღეროთ შარას, ლექსად გაყვანილს,
და გაზაფხულის შემობრუნებას!

და როცა სიმებს ჩამოვკრავთ თრთოლეჯით,
მივალთ ბავშვებთან ლალად მჩინარი...
მე — შემოსილი ქალარა თოვლით,
შენ — ახალგაზრდა ნერგი ჩინარის.

გიორგი ლეონიძე

სულხან-საბას სუკათუა ნათქვამი

დიდო მოხუცო, სამშობლოსათვის
იბრძოდი სულის ამოხდომამდე;
გეჩვენებოდა, რომ საქართველო,
იძირებოდა როგორც ხომალდი!

და როს ღრუბელი გულს გიბნელებდა
სამშობლოს ცაზე გამოხლართული.
შენ — სამკურნალო ბალახებივით
მოგიკრეფია სიტყვა ქართული.

რომ იავარქმნილ სამშობლოს ნაშთად
სიტყვები მაინც გადაგერჩინა...
ვარდსაც და თაფლსაც და პურის მადლსაც
მშობლური სიტყვის მადლი გერჩინა!

მე მიყვარს სიტყბო შენი სიბრძნისა,
შენს ქალარაზე, ვადმომწვეთარი;
მე მიყვარს შენი სიტყვის მარილი
შენი ხალხისთვის დღესაც მწუთ არი:

ახალნაშენი სამშობლოს შვილი
შენს მხცოვან აზრდის ვეალერსები;
შენი ცრემლის რწყევით, შენი ამაგით
გამოკვებულა ჩემი ფესვები!

ბარათაუხილი

ნაწყვედი პაუსიდან

უ ა ბ ა ხ ზ ე

„მაინის ღამე. ყაბახს მთეარე ჰფენს თვის სხივებსა და მომდინარე ხან ზვირთებით, ხან ნელად მტკვარი, მოოხრავს შორით... გუნდ-გუნდათ აგერ დარაზმულან აქა-იქ ქალნი, პირად-პირადით სეირნობენ კეკლუც მოსილნი და მათ გარემო შეფრთხინვიან ყმაწვილნი კაცნი, ზოგნი დამძნილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი“.

1-ლი კუთხე.

1-ლი მანდილოსანი. მაშ ეს ძალიან მეხი დაგცემია ყაფლან!

ყაფლან. თქვენმა მზემ, მე თვითონ არ ვიცი როგორ მოხდა... დღეს შუაღლისას გამოპრანქული, პარადის ფორმაში კარებზე მომაყენა ჩემმა შეილმა სოფიომ...

1 მანდ. შენც გაინაზებოდი აი, შენი ამბავი რომ ვიცი...

ყაფლან. რა სინაზე... რა შუაშია! მაგრამა, სწორე მოგახსენო, პირველ ხანად შევეფიქრდი. უცხო კაცი, დღეს აქ არის სამსახურში, ხვალ კი ვინ იცის საით უკრამენ თავსა... აბა დასაკარგი შეილი სადა მყავს...

2 მანდ. ვინ არის, რუსია?

ყაფლან. არა, გვარი კი არა აქვს თითქო რუსისა. ბეზაკია გვარათ. ვინმე თავადი. კაცო, ეს მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი?

1 მანდ. მაშა, მაშა! აკი ვამბობ, ჩვენს ყაფლანს ეს კარგი მეხი დაეცამეთქი.

ყაფლ. ისაო, ესაო... ძალიან ტკბილათ მელაპარაკა, მოქარგული ენა ჰქონია.

ვინმე თავადი. კაცო, ქალსა გთხოვდა, მაშ დედ-მამას ზომ არ შემოგავინებდა... ერთი ჩემთვის მოგეცა რძლათ შენი ქალი და ისეთ-ისეთებს ვეტყვოდი სუ სპარსეთის ყეენათ ვაგზდიდი.

მე-2-ე კუთხე.

ზაბლოცკი. მაშ ეს არის თქვენი განთქმული ყაბახი?

ღეფან. დიად, ეს გახლავთ.

მიხეილ თუმანიშვილი. თქვენ უთუოთ არ გეცოდინებათ თუ რას ნიშნავს ყაბახი.

ზაბლოცკი. ვერ ამიხსნეს კარგათ, რაღაც თასიო, სროლაო!

მიხეილ. მა, მა, — ყაბახი, თვითონ სიტყვა ნიშნავს ასპარეზს, სარბიელს და აი ძველ დროში საქართველოს მეფეებს აქ ჰყვარებოდათ სხვა და სხვა გვარი დროს გატარების მოწყობა, განსაკუთრებით უკანასკნელს, შესანიშნავს ირაკლის: ჯიროთობა, ჭიდაობა და აი თქვენი თვის რომ მოუხსენებიათ თასიო, ეს ვახლავთ ნიშანში სროლა, მალ-ლობ ადგილზე, ან საგანგებოდ ჩარჭობილს დიდს სარზე იღო ძვირფასი რამე თასი და იმას ესროდნენ, ვინც ჩამოაგდებდა, თასიც იმისი იყო...

ზაბლოცკი. საგულისხმოა ძალიან... ყველა ხალხს თავისებური სპორტი აქვს...

მიხეილ. ოჰ, ალექსანდრე! საიდან კაცო,, აბა როგორ გამოგვეცხადე?

ალექსანდრე ორბელიანი. (მიდის მასთან) მიხეილ, მიხეილ, ჩემო კარგო... მოდი ერთი გადაგეხეიო (ღევანზე) ო, ეს ენახე ამ დილით მაგრამ არაფერია, კიდევ გადაგეხევი... (ეხვევა აგრეთვე ზაბლოცკის).

მიხ. კაცო, ამ პატიოსან გეამს რომ არ იცნობ, როგორ ეხვევი?

ალექს. ოჰ, უკაცრავად, მაგრამ ისე ვარ გახარებული ისე...

მიხ. გაიცანი, პოლონელი ემიგრანტი ზაბლოცკი, ესეც აქაური შეთქმულების... ხომ გაგიგიათ...

ზაბლოცკი. რაღა თქმა უნდა...

მიხ. ერთ-ერთი მონაწილე, თავადი ორბელიანი... არ შეგეშინდეთ უთუ-ოთ განთავისუფლებულია, სრული ლეგალური პიროვნება...

ზაბლ. პოლიტიკურ შიშს შე დიდი ხანია გადავეჩვიე...

ალექს. რისი შიში, შიში კი არა სიხარულისაგან ისე ვარ დარტყიანებული, რომ... ო, ღმერთო! კვლავ აქა ვარ, აქ ჩემს თბილისში, ჩემს ღედა-ქალაქში, ჩვენს ყაბახზე, თქვენთან ვარ, თქვენთან, ჩემი ენა მესმის, ჩემი მზე დამნათის...

ღევან. არა, ეხლა მთვარეა...

ალექს. ააჰ, ეგ სულ ერთია... შე ვგრძნობ ჩემი ქვეყნის ჰაერს, ჩემს მოკრიალეებულს ლურჯ ცას, ლაქეარდოვანს... სხვაგან კი თითქო თვით ცაც ტალახიანია.

1-ლი კუთხე

1-ლი მანდ. კარგია ეხლა, ყაფლან, პრანჭევას კი ნუ მოჰყვები...

ყაფლან. აბა სად მე და სად პრანჭიობა!

2 მანდ. გვიმღერე რა ყაფლან, — „თავსა უფლად ნურვინ ჰგონებს“. ვინმე თავადი. პო, პო გვიმღერე ეგ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი.

ყაფლან. ეგ ხომ მოგეწყინდა... თქვენ ყური დამიგდეთ... მე უკეთესი რამ გასმინოთ... (მიმავალ ყმაწვილს) შენ, კი, რჩეულიშვილო... აქ მობრძანდი ერთ წამს... ახალგაზრდა პოეტია, ჩემმა მზემ... თან თვითონაც მღერის... კარგი ლექსია. ასე იწყება: „ახ მთვარე მთვარე, დამწეაროთ იმედო, მსურს ჩემი თხოვნა შენ გაგიბელო“.

აბა მობრძანდი, უმაწვილო... გაიცანით: გიორგი რჩეულიშვილი გახლავთ, ახალგაზრდა პოეტია... ჰო, რას მორცხვობ, განა პოეტობა სირცხვილია... ის ლექსი, რომელიც მე გითხარტყე, ყველაფერი იმისთანა მუხამბაზი თვითონ გრიგოლ ორბელიანსაც მტკაცქვესსსსსს

1 მანდ. ჰო, ესლა რაკი გრიგოლის მაგივრად სხვა სიძე იშოვნე, გრიგოლის ალარც მუხამბაზი ვარგა, აი!

უაფლანი. შენ საიდან იცი ქალო!

1 მანდ. უი ქა, ჩვენი ქალაქი ქორიკანაობის მეტს რას აკეთებს!

უაფლანი. არა, მინდოდა გულით, ღმერთო ხომ შენ იცი, ძალიან გულით მინდოდა... გრიგოლი ესლაც ისე მიყვარს, როგორც შვილი... ჩემი ქალი და გრიგოლი ხომ ჯერ აკვანშივე იყვნენ ერთი მეორეზე დაწინაშული, მაგრამა ბედმა სხვაფრივ იმუშავა და...

2 მანდ. გეხუმრება ქა!

1 მანდ. ღმერთმა გაგიბედნიეროს შენი ქალი...

ვინმე თავადი. ჰაა, ქალებო, ნუ მააყოლებთ... სიმღერა გვინდა, სიმღერა!

უაფლან. ჰო და, პატარა ბიჭო, ერთი გაიქე, გეთაყვა ჩემს სახლში... აი ეგერ არ არი... გაიქე და დაირა და თარი მარბენინე... აბა შენს გაზდასა ჰა!

მე-2-ე კუთხე

ალექს. დიად, გიორგი გლუხარჩიცი... მე მგონი უკვე ჩამოსულიც უნდა იყვეს თავის მამულში, ოძისში...

ზაბლოცკო. ოოო, მშვენიერი პოეტიც არის თურმე... იქ პოლონეთში ჩვენს დიდებას მიცკევიჩს გავაცანით კიდევ თავადი ერისთავი და მიცკევიჩს ძალიან მოსწონდა, დაუმეგობრდა კიდევ... ნიჭიერი კაციაო, იტყოდა, მაგრამ განსაკუთრებით დიდი მოწონება ჰქონდა დამსახურებული ქალებში.

(მოისმის თარის ხმა და რჩეულიშვილის დამღერება: „ახ მთვარე მთვარე“)

ერთი მარი იყო...

მიხეილ. აა, ვიცი, ერისთავს ლექსიცა აქვს მიძღვნილი... ჩვენც გამოგვიგზავნა. ასე იწყება: „შენს საღმეგრძელოს ვსვამ, ჩემო მარი!“ შენის სახელით არს ღვინო მტკბარი!“.

მაიკო.

მაიკო. ლევან, ტატო სად არის, მე იმასთან შეგონე.

ლევ. არა, ტატო დღეს სრულიად არ მინახავს...

მაიკო. იფ, დამიხედეთ გულითად შეგობარს...

ალექს. (სხვებს) არა, არ შემიძლიან, ბატონებო, უნდა გადაგეხვიოთ...

მაიკო. ლევან, აქ მო!

ლევან. რა ვნებავს, ქალო!

მაიკო. ეგრე გულ-გრილად, ეგრე გულს ვარეთ...

ლევ. მე მგონია ზრდილობა არ დამირღვევია.

მაიკო. მერმე, მე შენგან განა მარტო ზრდილობას მოვუთხოვე?

ლევ. რა გიყო, მაიკო, რათა ხარ ეგრე იქვიანი, აბა რითი დაგიმტკიცო, რომ მართლა მიყვარხარ...

დაგიმტკიცო,
ეჩქინეშლი
გინგლირთხეა

მაიკო. ფიცი მრწამს ბოლო მაკვირვებს!

ლევ. გეფიცები, მაიკო, მე მიყვარხარ ჩემებურათ: ნელის თითქო, მაგრამ მტკიცედ და ურყევი სიყვარულით. სხვა მხრივ აბა როგორ მოვიქცე.

მე-8 კუთხე

დელფინა ლაბიერ. (კავალრებთან დგას. შეიძლება აქცენტით ლაპარაკობდეს). აა, კნიაზ ილია, აქეთ, აქეთ!

ილია. (მიდის. კოხტაობს) დიდათ მიხარია, რომ ნატერა ამისრულდა და გიხილეთ თქვენ კვლავ მზიარული, ცოცხალი და ცქრიალა!

დელფინა. მადლობელი ვარ კომპლიმანისათვის... მხოლოდ ვატყობთ, რომ დაგავეწყდით... მონ დიე! ეხლა მოდაა — ვინც ვის იცნობს ივიწყებს ისევე...

ილია. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს ხსოვნას ვერავითარი მოდა ვერ აღმოფხვრის ჩემს გულში...

დელფ. მეტად თავაზიანი ბრძანდებით, კნიაზ ილია.

მე 2-ე კუთხე

მიხეილ. (ლევანს) ეტყობა მაიკო შეგირივდა...

ლევ. განა გაბუტვა შეატყე. —

მიხ. ჩემი გამოცდილი თვალი ხომ იცი... მაგრამ აი ხომ ხედავ რა კარგ. გუნებაზე დამდგარა... ცეკვას აპირებს... ბატონო ზაბლოცკი, არ გნებავთ ჩვენებური ლეკური ერთხელ კიდეც ნახოთ... მშვენიერი მოლექურებიია...

ზაბლ. ოო, სიამოვნებით, სიამოვნებით! (მიმავალი) საკვირველი ბალი გქონიათ... საზოგადო კი არა უფრო ოჯახის ბალსა ჰგავს...

მიხ. ეგ მართლა რომ, ჯერ-ჯერობით, საოჯახო ბალათ უნდა ჩაეთვალოთ... ჩვენს ადმინისტრაციას განზრახვა აქვს, რომ ქალაქის ბალათ აქციოს, მაგრამ ამ უამად კი ორბელიანებს ეკუთვნის. ის კი არა, შარშანწინ, ყაფლან ორბელიანს უშველბელი კალო ჰქონდა გამართული, ეხლაც მათი შესაკრებელია, ხოლო არც სხვა მოქალაქეებს უშლიან აქ სეირნობას.

ლევ. ამ ბალზე მშვენიერი ლექსი დაუწერა ნიკოლოზ ბარათაშვილმა. თავის ძიას, გრიგოლ ორბელიანს: „ღამე ყაბახზე“, რასაც ეხლა აქა ხედავთ სწორეთ ამის ილუსტრაციაა.

მიხ. მე კი პირადათ ამ ბალს სალაცხო დავარქვი.

ზაბლ. ეგ რატომ?

მის. იმისათვის, რომ აქამომდე აქ იკრიბებოდა ჩვენი საუკეთესო მოწინავე პირები, ეხლა ჩვენც, ახალგაზრდობამაც დავეწყეთ აქ თავის მოყრა და როგორც ისინი, ისე ჩვენც ვლაცობთ სხვა სხვა გვარ საკითხებზე. მაღალ ფარდებზე და დაბალ საფეხებზე...
 დევ. მიხეილი მართალია, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ საშუაზაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია არც კლუბი, არც თეატრი, ან სხვა რამე ესეთი შესაკრებელი...

მე-3 კუთხე

ილია. რა საოცრად პაწაწინა ფეხები გაქვთ! მე მგონი თქვენს ტუფლებში ეს ჩემი მოკლე მუნდშტუკი არც კი ჩაეტევა.
 დელფ. ო, რა სელადონი ხართ... ილია!
 ილია. სელადონი? რას ნიშნავს?
 დელფ. თქვენ კი იცით ილია რას ნიშნავს. —
 ილია. ფრანგულათ? ილია ნიშნავს „არის“... ავეკ ვუ ილია პრენს ილია! ილია!
 დელფ. ჰა, ჰა! სე დროლ! ნუ დროლ!
 ილია. სელადონი რა და არის. —
 დელფ. აა, მაგას ვერ გატყვი (ვაიქცევა)
 ილია. სად გარბიხართ —
 დელფ. აბა თუ დამეწევით... პრენს ილია (გარბიან)

1-ლი კუთხე

ზაბლოცკი. (მაიკოს, რომელიც ლევანის გვერდით დგას) მშვენიერებაა. მშვენიერება, მთელი პოემაა თქვენი ლექური!
 მაიკო. (ლევანს ჩუმად) გენაცვალე მე შენ! შენ ხარ ჩემი პოემა... (ზაბლოცკი თავის ჯგუფით მიდის თავის ალაგას).
 (გამოირბენენ სიცილით დელფინა და ილია).
 უაფლან. ვერო: რას გარბის ე ქალი და ვაჟი? როგორ ამუნტრუცებულან! ილია არ არის ევა...
 1 მანდ. მაშა, მაშა, ილია იყო!
 უაფლ. ქალი ვერ დავინახე რომელი იყო...
 ვინმე თავადი. რომელი და ფრანგი მებულკის, ლაბიერის ქალი, დელფინა.
 უაფლან. მებულკის ქალი?
 1 მანდ. ჭაჯან, ეგ ხომ ჩვენი ტატოს სატრფოა!
 2 მანდ. შენ ევა თქვი და... ვერა ხედავ ბიძა მისს ილიასა... წაუთმევეია.
 უაფლან. თქვენ ქალებო, როგორ უველას ამბები გკოდნიათ...
 1 მანდ. არ ვითხარით ჭორებით საესეა ჩვენი ქალაქი თქო.
 უაფლან. მე, როგორც ვატყობ, თქვენ ჩემი დაბადების ამბავიც გეკოდინებათ...

1 მანდ. უი ქა, რას იღანძღები, მათუსალა ხნისა ხარ!
 ყაფლ. შენმა მშემ, შენ კი სიბრძნის კბილი ეხლა ამოგდრა აი!



ზაქარია

ზაქარია. ბატონებს ვახლავარ.

ველ. აა, ზაქარია! კეთილი იყოს შენი მოსვლა!

ზაქ. დიდი ამბავი გაქეთ აქა... ყაფლან, არ გინდა ამ მზიარულებას მი-
 ვაყოლოთ და ერთი ამალამ კარგა აუცილოთ.

ყაფლ. რატომაც არ მინდა, შვილონისა, რა. შენ თუ ხელს გაშლი...

ზაქ. მე აბა საიდან. — ერთი მთის კაცი ვარ, ტყე-ღრეში დავეხეტები,
 ლეკვებში ფულს ვინ მომცემს.

ყაფლ. იქა ცვივა ფულები, ორბელიანო, და არც კი იცით როგორ მო-
 უაროთ... აბა მართლა იმ კლდე-ღრეში და გახურებულ ბათქი-
 ბუთქში რა ფული, ან სად უნდა დახარჯოთ.

ვინმე თავ. (ზაქარიას) დიდი ხანია, ომიდგან ჩამობრუნდი, კნიაზო, —

ზაქ. ორი დღეა რაც გიახელით.

ვინმე თავ. რაა, მართლა ესე ძაან გაგიჭირათ საქმე იმ შამილმა. — რათ
 ვერ დაიჭირეთ აქამდე?

ზაქ. შამილს ეგრე ახირებულათ ვინ დაიჭერს, მისაწვდომზე არსად გვე-
 კარება და...

ვინ. თავადი. ჰაი დადადა! რა უთხრა ამ სიბერეს, თორემა რატომ მეც იქ
 არა ვარ ეხლა: ერთი მათგანის, იმ ლეკებისა იმისი სისხლი დავ-
 ლიო და შეუბრალებლად ვტანჯიდე ცოცხლად!

1 მანდ. ქა რა საშინელებას ამბობ, ბატონო დავით.

2 მანდ. ადამიანის სისხლის დაღვეა!

ვინ. თავ. ეეჰ, თქვენ რა იცით, თავის დროზე, რამდენი ჩვენთვის, ქარ-
 თველობისათვის სისხლი გაუფუჭებიათ ლეკებს...

ზაქ. ო, ძალიან დაუნდობელი და სასტიკი ხალხია, ამას წინათ ავი ჰა-
 ჯიმურატს არ წავეაწყდი შემთხვევით...

1 მანდ. ეგ აჯი-მურტალი ვილაა!

ზაქ. მურტალი კი არა მურატი... ძაან ვაეკაცი ყოფილა, ძმაო...

ვინ. თავ. ერთი გვიამზე მამიშენის ცხონებასა, ჩემათ, ჯეელებო!...

ზაქ. ცოტა ეინეღლამდა, აღმართს რომ შეუდექით...

ზაბლოცკის წრე

ზაბლოცკი. სირცხელია, სირცხელი! ნუ თუ არავითარი გამოკვლევა,
 უბრალო ბროშურაც კი არა გაქვთ თქვენი ისტორიისა!

მიხეილ. აბა საიდან! აი ეხლა განვიზრახეთ რამოდენიმე ახალგაზრ-
 დამ საუკუნეებზე დავყოთ ჩვენი ისტორია, გავინაწილოთ, შევის-
 წავლოთ და ეგრე დავწეროთ.

ლევ. ამის მეთაურობა ბარათაშვილმა იკისრა, აი წელან რომ მოგახსენე-
 ბდით, ნიკოლოზ ბარათაშვილმა!

ზაბლ. მართლა სად არის დღეს? აკი მუდამ ჩვენთან არისო.

მიხ. არა, ზოგჯერ უყვარს განმარტოება, კაეშანს რასმე გულთი ატარებს
ახალგაზრდა...

ლევ. აგერ არ მოდის!

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბავშვო საზოგადოება

ბარათაშვილი

მიხ. ტატო სადა ხარ?

ლევ. სად მოგვეფარე ჩვენ თვალთაგან?

ბარათაშვილი. წარველ წყალის პირს სევედიანი ფიქრთ გასართველად

იქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად.

იქ ლბილს მდელიოზედ სანუგეშო ვინამე ცრემლით...

მიხ. შენ თუ მარტო ხარ, არ აცრემლდე არ შეგიძლიან.

ბარათ. იქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით.

იდაყვ-დაყრდნობილ ყურს უგდებდი მე მტკვრის ჩხრიალსა,

თვალნი კი რბოდნენ შორად, შორად ცის დასაგვალსა!

ვინ იცის მტკვარი რას ბუტბუტებს, ვისთვის რას იტყვის. —

მრავალ დროების მოწამეა, მაგრამ არს უტყვი!...

არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება

რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამოება. —

მიხვი

3

იქვე

მიხვილ და ბარათაშვილი

ბარათ. მაშ მე გამწირა? მე გამცვალა ჩემსა ბიძაზედ.

ილიკო მართლაც ლამაზია, წარმოსადეგი

მე კი არა მაქვს აპოლონის მშვენიერება!

მაგრამ რა იცის ბანოვანმა გრძნობის ამყოლმა,

რომ ხორციელი სილამაზე დიდ-ხანს ვერ გასტანს,

როგორც ყვეილი, თავის დროზე იგიც დასტკენების.

მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული,

რომლით ნათლდება ყოველი გრძნობა, გული და სული.

თვით უყვდავება მშვენიერსა სულში მღვდომარებს,

მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.

მიხ. წამო ყაფლანთან, გარდიყარე გულიდან დარდი!

ბარათ. არა, მაცალე! სათქმელი მაქვს შენთან მიხვილ!

ვიდრემდის დილა შენ გინათებს ცხოვრების დღეთა

და სიყვარულის მტანჯსა ჳირებს ჳფენს სიამეთა, —

არ დაიჩნო შავის ბედის გულზე ლახვარნი,

ლბინსა და ტრფობას გაატანე ცრემლნიცა მწიარნი...

მხ. მე შეუბნები მაგებსა? რისთვის დაგვირდა?

ბარათ. აჰყევი სოფელს შეურჩენელს და მომღერალსა,
ნუ უთაკილებ სიყმაწვილეს ტრფობისა აღსა, **ვერცხნული**
სასაცილოა ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს **ზინჯირთისა**
და საბრალოა რომ ჭაბუკი ბერიკაცობდეს!

მხ. შენ მართალი ხარ, ძმაო ტატო, ასჯერ მართალი!

ბარათ. მას ვაქებ, ვინცა თვის სიცოცხლე ესრეთ ატარა,
რომ ყველა ხანი შესაფერათ მიმოიხმარა!
ოდეს მზის სხივნი შეგვიცვლიან ჩვენ დილას მას ნელს
და ცრუ სოფელი სიყვარულსაც შეჭყრის სარგებელს,
მაშინაც კმარა დაღუმება გულისა თქმათა,
კისრათ ტვირთება წუთისოფლის მძიმე ზრუნვათა,

მხ. შენ ისე მსჯელობ თითქოს იყვე ორმოცი წლისა.

ბარათ. მართალი არის, საწუთროსი ვარ მცოდნე მცირი,
მე მაინც გირჩევ დაიმჩნიო გულს ეს თათბირი.
აი, ხედავ შენც გამოცდილი აქვს ეს ჩემს გულსა. —
არ შეემსქვალო მოკისკისეს, კეკელა ქალსა!
აშკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმულებს,
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს!

ჯაქარია

ჯაქ. ტატო, გამარჯვება შენი, კაცო! ორი დღეა რაც ჩამოველ და შენ
დაგეტებ. შენ სახლშიაც ვიკითხე და მითხრეს, რომ სახლში აღარ
დაიარები, სადღაც ამხანაგთან ათვე ღამეს, რა იყო, რა მოხდა?

ბარათ. ბევრი რამ, ბევრი რამ...

ჯაქ. იიპ, არა გრცხვენთან, კაცს ვიმნაზია გავითავებია, საცაა ნამდვილ
ცხოვრების ასპარეზზე ვახვალ და... მელანქოლიას ეძლევი, მაგრამ
ეგეთი ხართ ეხლანდელი ახალგაზრდები... უბრალო რასმეს ისე გა-
აზვიადებთ, რომ მთელ ტრაგედიას შექმნით, ისეთი რა უნდა მომ-
ხდარიყო.

ბარათ. რა მოხდებოდა! ერთის შეხედვით თითქო უბრალო და წვრილმა-
ნიც... ზოგჯერ ხელთდაუქერელიც, მაგრამ მაინც ბევრი რამ...
მნიშვნელოვანი... ტრაგედიო რომ ამბობ ბიძა ჩემო... შენ მართა-
ლი ხარ!...

ჯაქ. ჰეი გიდი, თუ თქვენ აქა, ამ დიდ ქალაქში, საცა სიცოცხლე
სდულს და გადმოდულს, სულიერი მშვიდობა ვერ მოგიპოვებიათ,
ისიც ახალგაზრდებს, მე რაღა უნდა ვთქვა, რომ იქა ვარ სადღაც
ციცაბოვან კლდეებში შექედილი და... ეჰ, უნდა გამოგიტყდე-
ტატო, მეტი აღარ შემიძლიან! იქ ვერ გავძლებ, ვერა! აი ეხლაც.

როგორც იყო ვთხოვე ჩვენს კამბანდირს და, იცა, მხოლოდ ორი კვირით გამომიშვა. რო დაებრუნდე, ნამდვილად გავვიტყობ... აი, ძმაო, სამელანქოლიო ვისა აქვს!

ბარათ. ეგ, ბიძა ჩემო, იმისაგან მოგდის, რომ შენმ შიქვედარე სულს სწყურთან მღელვარე და შფოთიანი ცხოვრება. არის მეორე გარემოება: როდესაც ადამიანი მიიღწევს მწვერვალს მისი ძალ-ღონის გამოჩენისა, როდესაც იგი განასრულებს ყოველივე თავის ადამიანურ მოვალეობას, დაბოლოს, დალილსა და მოქანცულს, მოუნდება მყუდრო ცხოვრება, ტკბილი და თბილი ოჯახი. შენი მოწყენის მიზეზს ამას მიეწერდი რომ არ ვიცოდე — შენი სარბიელი ჯერ არ დასრულებულა. შენ კიდევე ბევრი საგმირო საქმეები გიძევს წინ.. არა, ბიძა ჩემო, არ გეფერები! ვიცი რომ ამის დრო შენთვის ჯერ კიდევე არ დამდგარა.

ზაქარია. შენ პირს შაქარი, ჩემო ტატო! ნეტავი ევრე იყოს!

ბარათ. შენი სამურის ოლქის გამგებლობა შენთვის ამჟამად უკვე მობეზრებულნი საქმიანობაა, ერთხელ და სამუდამოთ მომართული მექანიზმი. ყოველ დღე ერთი და იგივე, რასაკვირველია, მელანქოლიაში ჩააგდებს კაცსა.. შენი გრძნობა და გონება ეძიებს ახალს საკვებს, ახალს სამოღვაწეოს, მათ სწყურიათ უფრო ძლიერი, უფრო პათეტური სცენები ცხოვრებისა...

ზაქ. ტატო! უკაცრავით, რამდენი წლისა ხარ. —

ბარათ. (გაიღიმებს) ჩემი წლოვანება რათა გჭირდებათ, ბიძა ჩემო?

ზაქ. არა, მართლა. მიხ-ს) რამდენის არის.

მიხ. ცხრამეტისა!

ზაქ. ისე კი ლაპარაკობს თითქო ორმოცდაცხრამეტისა იყოს! განაგრძე, განაგრძე, მგონი გინდოდა კიდევე რაღაც ვეთქო!

ბარათ. პო და სანამ ცხოვრებისაგან სრული კმაყოფილება არ მიუღია შენს არსებას, შენს მიერ, მანამდე გულის მღრღნელი სევედა გიპყრობს ხოლმე, დამეთანხმე, ზაქარია, რომ ერთი ისეთი გამარჯვება, როგორც შენ მოიხვეჭე რიკაზე და კვლავ სიხარულით აღვსილი, სრულით დაივიწყებ ოჯახურს მყუდროებას. მაინც და მაინც დაუღრმავდი შენს თავსა და თუ დარწმუნდები რომ შენთვის ზარბაზნის გრიალს და დიდების ქუხილს ჯადოსნური ძალა აღარ აქვთ, მაშინ დაეთხოვე სამსახურსა და მოუარე შენს მამულს. აქ კიდევე სხვა დიდება მოგელის: „ანთავისუფლე მონები“ გახადე ბენიერი შენი გლეხები... (წელში გაიმართება) შენ ხომ გრწამს, ზაქარიავ, რომ გლეხებიც ადამიანები არიან.

ზაქ. (ჩაფიქრდება) რა თქმა უნდა!

ბარათ. ვერ წარმოიდგენ რა შეება არის გულისა, როდესაც მოყვასსა შენსა ტვირთს შეუმსუბუქებ... უამისოთ, ზაქარია, გახსოვდეს, თვით ამ მამულის ქონებაშიაც ვერ მოიპოვებ განსვენებას!..

მაიკო და ლევანი



ბარათ. ოპო, მაიკო, ჩემო დაო, სადა ხარ აქამდე. —

მაიკო. შენ თვითონ გადაიკარგე საღლაც... ტარიელი...
კაცმა ხელთ ვერ მოგივდო.

ბარათ. აგეჲ არა ვარ, მაგრამ შენ შენი ლევანი ჩავიგდია ხელთ და ჩვენ აბა რაში ვავახსენდებით...

მაიკო. დაიციენები. —

ბარათ. აქ მო, მაიკო! რა ქმენ. — იყავი მამაჩემთან, მოელაპარაკეთ. —

მაიკო. ლევანმა განა არ ვითხრა. —

ბარათ. არა. როდისა — არ მოუსწვრია!

ზაქ. (მიხ-ს) საოცარი ნიქის კაცია!

მიხ. მაგას არ ვამბობთ ჩვენ ყველანი, მაგრამ რა. — ლევანმა მითხრა, რომ მამა არ უშვებს სამხედრო სამსახურში.

ზაქ. სამხედროში. — მერე ფეხები. —

მიხ. ფეხები იმდენათ არ დაუშლიდა, თუმცა საზოგადოდ, მე არ ვეთანხმებოდი სწორე ვითხრათ... მაგრამ თვითონ ძალზე სურდა სამხედრო სამსახური.

ზაქ. ვასაკვირი არ არის... მთელი კავკასია ეხლა ამ მთიელებთან ომითა სუნთქავს... საუკეთესო მისი ახალგაზრდობა იქ წინაურდება, ყველა მისიანებიც ბიძები, ბიძაშვილები. დიდ-ძალი ნათესაობა იქა ემსახურებთ.

მიხ. დიად. ვასაგებია, მაგრამ ლევანი ამბობს, რომ მამა არ ყაბულდებო.

ზაქ. მაშ როგორაო. —

მიხ. მე უჩვეელი უნივერსიტეტში წასულას... მაგისათვის ზედ გამოჭრილია. ძალიან დიდი ვინმე გამოვიდოდა. მე არ ვამბობ ხარისხსა და თანამდებობაზე... არა, უთუოდ არც მაგას დაიკლებდა, მაგრამ მე ვამბობ მის ინტელექტზე. დიდი მწერალი, დიდი მოაზროვნე გამოვიდოდა.

ზაქ. მერმე. —

მიხ. ამხანაგებს მაგაზედაც მოუხსენებიათ, მაგრამ მელიტონი არც ამაზე დაყაბულდებულა...


ზაქ. ოპ, აჯამი კაცი!

მიხ. ერთი რამ უნდა მოგახსენოთ... ეხლა მაიკო უთუოდ ვააგებინებს ყველას და ნუ დაგეტოვებთ... მე და ლევანს ისე არ გვერიდება და შეიძლება დიდად აღშფოთდეს...

ზაქ. არა, როგორ დაგეტოვებთ! პირ-იქით! მე იმისათვის მოგძებნეთ, რომ ვახშმათ წამეყვანეთ, ყმაწვილებო... ეი, ყაფლან სად ხარ. — (დიაკუნურათ) ეამი არს მსახურებისა, მეფეო!

ყაფლ. მოვდივართ, მოვდივართ!

2. „მნათობი“ № 10.



- ბარათ. მაშ ეს ყოფილა ჩემი ბედი. — მე კი მეგონა გაჩენილ ვიყავ სხვა უფრო დიდთა საქმეთათვის! მაშ რად ჩამძახდა იდუმალი ხმა რამ ძლიერი უარყოფითი თვით ბავშვობითვე. — «ყრმავ, ეძიე შენ მხედრის მხედრობის დაბადებულხარ არა მხოლოდ ამ დროისათვის! სად არს ეს ხვედრი. — ...მამი ჩემის სისასტიკეში თავი იჩინა. — თუ ხმა ესე არს ხმა დევნისა შეუწყალისა სინიდისის. — ვერ ვბოვებ ავსა მე ჩემს თავში... ვერც საქენჯნავსა საშფოთველსა! ნუ თუ მამასა არღა კჭონდეს გულის ტკივილი. ოდეს იხილოს განსაცდელში მან ლეიძლი შვილი. — არა! მე ხვედრსა, ეტყობა რომ, ჩემსას ვერ ვბოვებ და გულის მღრღნელსა კაეშანსა ვერ განვიშორებ... მაშ იყოს ესე. — ბედს დავჯერდე. — რუსთველიც ამბობს!.. ცხოვრების წყაროვ, მასე წმინდათა წყალთაგან შენთა, დამინთქე მათში საღმობნი გულისა სენთა! არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა, არამედ მოეც მას საღვური მყუდროებისა... კარგი, გადაწყდა! მამა ჩემსა ვემორჩილები!
- ზაკ. ტატო, მოდი აქ, კაცო, ყაფლანიც მოდის ჩვენთან... ცოტაც შევეძვეთ.
- ბარათ. ო, სიბარულით! სხვა რაღა დამრჩა. — (მოსხლეტით მიდის მათთან)
- მაიკო. (ერემლიანი) ლევან, ლევან! ასე მგონია თითქოს ტატო დღეს იმარხებოდეს....
- ლევ. არც მთლად ეგრეა საქმე, მაიკო! მაგის გონებისა და ნიჭის პატრონი სამოქალაქო უწყებაშიაც შეიძლება დიდათ დაწინაურდეს... ვინ იცის შეიძლება ერთ დროს შეიქნეს ნამესტნიკის მთავარ-მართველობის საბჭოს წევრიც.
- მაიკო. (თითქო სიტყვებს სინჯავს) ნამესტნიკის მთავარ-მართველობის... საბჭოს.... წევრი...

ფარდა

კონსტანტინე ზიჟინაძე

ნიქოლოზ ბარათაშვილი განჯაში

უცხო ქალაქში ობლად შთენილი,
გულდაბინდული ცხოვრების ჩრდილით,
სალამობით სულ მოწყენილი,
სამსახურისთვის გასწევდი დილით.

არც კი იყავი გარეთ გასული,
რომ დაგზვერავდა ვიშრისფერ თვალით
ერთი პატარა ბეგის ასული —
შენი მეზობლის მოზარდი ქალი.

მარჯვედ იცოდა მალული ქერცა
და სწრაფი იყო, როგორც ფრთიანა.
გულში ფარულად ნატრობდა — ნეტა
არ ყოფილიყავ შენ ქრისტიანი.

დედა ეტყოდა: „მეტად ხმელია,
აღბად, რაიმე სენი ვალევედა“.
მაგრამ ის მაინც, როგორც მელია,
სულ შორი-ახლოს გითვალთვალეზდა.

თვე არ გამოჩნდი. მუდამ გელოდა,
ჩადრი ვაცრიცა, როგორც საცერი.
შინ მოგდიოდა სამმართველოდან
შენ ქაღალდები ხელმოსაწერი.

შემოვიდოდა მწერალი წყნარი
და მოწიწებით გაძლევედა სალამს.
შენი თითები — სანთლები მდნარი —
ნელა არჩივდნენ წვერწათილ კალამს.

პგრძნობდი, მოხელეს გული სტკიოდა —
 წინ არ წასწიეს კაცი ხნიერი.
 ნაწერს უკებდი, და მიდიოდა
 გახარებული და ბედნიერი...



მარტო იწეჭი. მაგიდის პირზე
 ხელუხლებელი გედგა წამალი.
 არ გემჩნეოდა უწვევრულ პირზე
 ფერის ნასახი და ნატამალი.

სულში დამალე სევდა უღევი,
 თავქვეშ პატარა ლექსთა კრებული,
 ათიათასჯერ ნაჩურჩულევი
 და გულსატკენად მობეზრებული.

კვლავ გამოიღე. იკითხე ნელა
 შენი ოცნება, ნატერა, გლოვანი,
 მაგრამ ისევე ნათქვამი ყველა
 მცირე გერევა და ნაკლოვანი...

ხელის კანკალით წიგნი დახურე
 და წამწამების ცახცახით თვალი...
 ბნელში აენტო ერთი საყურე,
 აღმასდასხმული შეკრული რკალი.

თითქოს დასერეს გული დანებით,
 წარსულისადმი იგრძენი შური.
 მერე ეცადე ძალდატანებით
 ხავერდოვანიც გეხილა ყური...

ყელს რომ დაუწყო საყურემ ჩრდილვა,
 გადაგეფინა შუბლზე ნათელი...
 შემდეგ ამისა გათავდა ხილვა
 და გზაც გათავდა ძლიეს ვანათელი.

ალექსანდრე ჭუთათელი

ბარათაშვილი და მისი საგჳო

„ვისი ხმა არის ეს საკვირველი?
რად აქვს გულს ესე ჴუმი ნაღველი?“
ნ. ბარათაშვილი: „ხმა იღუმალი“.

როცა მიჰყვები ფიქრთა ღელვას და აღარ იცი,
ამ წუთისოფლად რომელ მიზანს უნდა ემონო,
როცა ათასჯერ გატეხილი ადგება ფიცი,
ალიმართება შენი ყრმობის უნდო დემონი,
სამარის პირად მუხლმოყრილი როცა ეშვები
და გსურს ალავსო მწუხარების ცრემლით პეშვები,—
მაშინ შენ სახელს დაიძახებს' ისევ ასული,
საამურის ხმით, ნაცნობის ხმით, ხმითა ქართულით.
ხარ გარინდული, გაკვირვებით შემოგარსული
და ესალმები უცნაური ცქერით გართული.
დილის მზესავით აყვავდება ეგ შენი სახე,
რადგან მგოსანმა საკუთარი თვალებით ნახე
სატრფო გულისა, მეშველი, მხსნელი
წარმოგზავნილი განგებისაგან.
ოგი ყოველთვის თანამგზავრობს შენს ფიქრთა საგანს,
მაგრამ არ გახსოვს გამოწვედილი შენ მისგან ხელი.
ლამე მიწაზე შეენაბადა ნელა დაეშვა,
ვით გოლიათი მოტეხილი ფრთები არწივის.
ყურში სიჩუმე იღუმალი ისევ ჩაგწივის
და ჩვილ ბავშვების კივილითა კვდება ლამეში.
ამაოებით როცა რჩები კელავ განგმირული,
ვით მარტოსული, უნუგეშო და განწირული, —
მაშინ საკანში შუალამით ჩნდება ასული:
სვეტისცხოველის მსგავსად არის, ხედავ, აწვდილი
და გიფრთხობს ფიქრებს გაფითრებულს სახეცვალებით.
წამოიქრები: სასწაულის შიში გულს ზარავს.
გინდა შეეხო: ეგ სურვილი მუდამ გაწვალებს.

ის ნაცნობ სახეს მოალერსე ღიმილში ფარავს
და შენს წამებას სათნოიან თვალს გადაავლებს.
ველარ დაიჭერ მისწრაფების სურვილს და ხვეწნას
სატრფოს თვალეში შავი არის—ვარსკვლავთა ბრწყინება.

მისი წარბები წარზიდული — მერცხლის გაფრენა,
თითქოს ეგემნოს მდინარენი და ზღვათა გმინვა.
ნიკაბი ორად გაყოფილი — პეპელის ფრთები,
რომ დაიარეს გაზაფხულზე სამშობლო მთები.
შუქდაფენილი მისი ლოყა — უმანკო ბავში.
და წარმტაც ლოცვას სატრფოს მიმართ ღაღადებ მაშინ:

„შევიშრობ ცრემლთა ჭირთმანელებელს.
გულსაც დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შეგსწირავ სატრფოს ჩემს სალოცველოს“.

და აღარ იცი, ვის მისწერო წიგნი-წერილი:
გრძნობათა ესდენ მოზღვავეებას სიტყვა ვერ ამხელს.
გიტყერის სახე ირემივით ყელმოღერილი
და სიყრზიდანვე ნაცნობის ხმით გეძახის სახელს.
გაახელ თვალეზს: მზე და დილა ორთავე გათბობს.
გინდა ხმა გასცე, მიეკარო ან სცე თაყვანი.
მაგრამ გაქრება უჩინარად გულისა სატრფო
და ეს ქვეყანაც დაირწევა, როგორც აკვანი.

ტფილისი
1938.

კონსტანტინე გამსახურდია

დიღოსგავის კონსტანტინეს მარჯვენა

რაინდული რომანი *

ჭიებერი შემოვიდა და უჩურჩულა მამას: პურობისათვის მზად იყავითო. მცირეწლოვანი კატაი შემოუძღვა შიმუნვარებს, პირსახოცი მზარზე ეფინა.

თავმოდრეკილი მივიდა კატაი, ხელზე ეამბორა კათალიკოსს, შემდეგ თავათ აიღო სურა და ხელი დააბანინა ჯერ მელქისედეკს, შემდეგ ოთხივე ეპისკოფოზს.

ხელის ბანა რომ მოთავდა, ამინაშატის ხატი აიღო კათალიკოსმა, გადასცა მამამზეს მის წინაშე მონურად ქედმოდრეკილს და დასძინა: მეფემ გისახსოვრათო.

მამამზემ დაიჩოქა ბალღივით, ჯერ მუხლზე ემთხვია. შემდეგ ხელზე, მერმე ამინაშატის ხატს აკოცა და ფარისევლური სასოებით ჩაიკრა ივრ მკერდში. ისევ გამოიღო და ხელახლა ემთხვია.

ახლა ჭიებერი მოიხმო კათალიკოსმა, შორიახლო მდუმარედ მდგარი. როცა ეს ოქროს კულულებიანი გოლიათი ეახლა, ჰაერში ჯვარი გადასახა სახეშეკმუხნილმა მელქისედეკმა, მერმე ძელი ცხოველის ჯვარი ამოიღო ლუსკუმიდან, დააცქერდა მის ფერხით და მუხლულის თავ-თუხისფერ კულულებს და მკაფიოდ სთქვა:

„მეფეთ-მეფემ გიორგიმ, აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა ბატონმან, გიბრძანა, ერისთავთ-ერისთავო ჭიებერ... — თანაც შთავონებულად ზეასწია ხელი.

„მეფეთ მეფემ გიორგიმ გიბრძანა, — განიმეორა მტკიცედ და ხმა აუკანკალდა კათალიკოსს, — განაგდო ეშმაკეული, ქრისტეს სჯულად მოიქცე კელავ და მოკრძალებით ემთხვით ამ ძელი-ცხოველსა“.

ეს უთხრა და ზედ ტუჩთან მიუტანა ჯვარი მის ფერხით დაიჩოქილს.

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 9

ყველანი თავაჭინდრული შესცქეროდნენ ამ სცენას, ბორდოხანი კუთხეში დაჩოქილი სტიროდა ბალოდით, მოხუცი კუნაფრებიც ფეხზე იდგნენ და სასოებით ისმენდნენ კათალიკოსის ქადაგებას. შიშისა და მელქისედეკი აფრთხილებდა ყველას, ვისაც რაიმე წილი სდებოდა ფხოველთა მიერ მოწყობილ ამბოხებაში, ემუქრებოდა ძელიცხოველის სახელით.

შველევ ტოხაისძე განმარტობით მიკუეულოყო ბნელ კუთხეში, ბრაზმორეული აკრიკინებდა თავის წვეტიან, ნადირისებურ კბილებს.

კიაბერი ზიზნარევი ძრწოლით ემთხვია ჯერ ჯვარს, შემდეგ კათალიკოსის მარჯვენას. წამოდგა თუ არა იგი, მელქისედეკმა დაოკებული ბრაზის ნატამალი დაიჭირა მის მშვენიერ, ცისფერ თვალებში.

X

პურობის დროს იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი და მტბევარი მოუსვენეს კათალიკოსს მხარმარჯვენე, ხოლო მხარმარცხენე თავათ მამამზე შიშუჯდა, მის გვერდით ბორდოხანი და კიაბერი დასხდნენ.

შველევ ტოხაისძე და თორმეტი აზნაური არაგველნი მკლავწაკარწახებულნი ემსახურებოდნენ საპატოო სტუმრებს.

მამამზე თავათ აწვედიდა კათალიკოსს ხან ზურგიელს, ხან ჭანარს, ხან მურწას, რადგან მელქისედეკმა გახსნილების შემდეგაც თევზის მეთი არა ინდომა რა.

ისევ წამოდგა მამამზე და ახლად შემწვარი კალმახი მოართვა სტუმარს.

კიაბერი მამისაკენ გადმოიხარა და უჩუროულა: ღვინო მემწარა, წავალ და გამოვაცვლევიანებო ღვინოს.

ესა სოქვა და დარბაზიდან გავიდა.

ისევ გაუწოდა კალმახით საესე ლანგარი მამამზემ სტუმარს, უქებდა არაგვის კალმახს, რაც უფრო აღმა ამოყვება კალმახი მდინარეს, შით უფრო გემრიელიაო იგი. ახლა ქვირითობა იწყება მალე და თუ შენი მუუფება დიდხანს დაყოვნდება ქორსატეველას ციხე-დარბაზში, ყოველდღე ახალს ქვირითსა და კალმახს მოგართმევო.

ერთბაშად კალმახის ამბავი დაავდო და ძელიცხოველის ჯვარის გამო დაუწყო საუბარი. გამიგონია ამ ჯვარს დიდი სასწაულები მოუხდენიაო კლარჯეთში, — იმერზევეში ეკლესია დაქცეულა მიწის ძერის დროს, ყოველივე შემოსრულა საკურთხეველში, ხოლო ძვირფას ლუსკუმაში ჩადებული ძელიცხოველი უვნებლად გადარჩენილაო.

კათალიკოსი კალმახს სკამდა, მდუმარედ ყურს უგდებდა ნაუბარს.

როცა ძელიცხოველის ჯვარის სასწაულების ამბავი მოათქვამამამშე, მელქისედეკმა თავი დაუქნია, — დაუმოწმა, ეს ასე მოხდა.

მამამშემ ეს ამბავი აღარ განაგრძო, თუმცა იმ ეგვიპტის მცხეთაში კვლავ ჩამოტანის ისტორიაც ჰქონდა განაგონი ეზოსმყოფელთა ერთბაშად ეს ამბავიც დააგდო და თითქმის ჩურჩულით ეუბნება მელქისედეკს:

„ჩემს აქ არყოფნაში წყეულ ფხოველებს დაუქცევიათ ჩემი საერისთავო, შენო მეუფებავე, ეკლესიები გადაუწვავთ, ჩემი ვაჟი ჭიაბერი და სახლთუხუცესი ტზახისძე ჯარით შეგებებიან წინ, სასტიკი ბრძოლა გაუძმართავთ, მაგრამ ფხოველნი ვანა მარტონი იყენენ? მტრის სიმრავლისაგან ოტებულნი უკუქცეულან და ქორსატეველაში ჩაკეტლან ჩვენები.

მერმე წყარო მოუწყვეტიათ უსჯულოთა, ციხე აულიათ, დარბაზები გაუძარცვავთ, არცერთი ხატი, არც ჯვარი შეგვარჩინეს მამაპაათა მიერ დანატოვარი“.

მელქისედეკმა კალმახს თავი წასკამა, მცირეხანს ლეკავდა ლუკმას უკბილო ბერიკაცი, მერმე აცახსახებული ხელით ფხა გამოიღო პირიდან, თეფშის ლინგზე დააწყო, მამამშეს მიუბრუნდა და ეუბნება:

„მეფე გიორგის ეს ყოველივე წვრილად მოხსენდა თავის დროზე. მერმე ის იყო, შენ დათვმა დაგტორა, მეფემ პატივი დაგსდო, როგორც საპატიო სტუმარსა და ავადმყოფს, ამიტომაც არ გაგიმხილეს“.

შემდგომ ამისა, ისევ დაითრია მელქისედეკმა მოზრდილი კალმახი, ისევ წასკამა თავი.

მამამშე ლიქნიდა კათალიკოსის წინაშე მრავალი ფიცითა და აღთქმითა. მეფის მხესა და ბაგრატ კუროპალატის სულს იფიცავდა. ჩემს ხელში დალიაო ბაგრატ კუროპალატმა სული ფანასკერტის ციხეში, მე და ზვიად ერისთავს ჩაგვაბარაო მცირეწლოვანი გიორგი და მთელი საქართველოს ბედი.

ბაგრატმა ჩამომართვაო სიკვდილის წინაც ფიცი და ამ ფიცის ერთგული ვარო დღემდის. მე და ჩემი თანამემცხედრე ბორდოხან დღე და ღამეს ლოცვაში ვატარებთო, მეუფეების შენი მიწა ვართო მე და ჩემი მეუღლე, ჩემი ვაჟი ჭიაბერი, და ქალი კატაი.

ეს საუბარი არა ჰქონდა მოთავებული მამამშეს, როცა კათალიკოსმა მამამშის წინაშე მდებარე ლანგარისაკენ გამოიხედა, რადგან იშხნელსა და მაწყვერელს მუსრი გაველოთ კალმახისათვის.

მამამშეს სიტყვა გაუწყდა პირში და როცა ახალი ლანგარით მიართმევდა კათალიკოსს კალმახს, მელქისედეკმა ლილივით წვრილი და შავი თვალეები შეაგება ისრიმისფერ თვალებს, მამამშის დაფანხულ წარბებს ქვეშ აწორილებულს.

ბორდოხანმა შენიშნა ჭიაბერს გასვლის შემდეგაც რომ არ გამოსცვალეს ღვინო.

გაოცდა: რად იგვიანებსო ჭიაბერი ამდენხანს. მელქისედეკს გასაგონად ბოდიში მოიხადა და დარბაზიდან გავიდა. კათალიკოსმა სელახლა აიღო მოზრდილი კალმახი, ამასაც წასჭამა თავი დაუკარგულს მიუბრუნდა:

გინჯლიჩოთქა

„მეფეთ-მეფე გიორგი სულგრძელია. იგი დიახაც ისმენს თათბირთა ჩემთა. რამეთუ არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილის აღებაი. ესე ხამს ქრისტეან მეფეთა და ეკლესიის მწყემსთა სახარებითა მაცხოვრისათა და ჯვარითა პატიოსანითა უჩვენონ ქვეშევრდომთა თვისთა გზაი ქეშმარიტ. მიმყვანებელი ცხოვრებათ საუკუნოთ, რათა ძალმან ძელისაცხოველისამან განანათლოს ბნელი ცთომილების გზაზე შემდგართა გულში.

ეს სიტყვა კათალიკოსმა და დარბაზში ბორდოხანი შემოიჭრა, ჭიაბერი უვდებაო, გაოგნებულმა შეჰკივლა და გაიქცა.

სტუმრები წამოცვივდნენ, ვიდრე იშხნელი და მაწყვერელი ჭიაბერის საწოლ დარბაზში გაიყვანდნენ კათალიკოსს, ჭიაბერს უკანასკნელი სუნთქვა გასცლოდა უკვე.

ტოხაისძე თავზე წამოდგომოდა და აპატიოსნებდა ცხედარს.

აფაიო, დაიბუხუნა მამამზე ერისთავმა და მისი გოლიათური სხეული დაგორდა იატაკზე.

გაფითრებული მელქისედეკი დააშტერდა მიცვალებულს, უკვე ჩამქრალიყვენენ მისი მშვენიერი, ცისფერი თვალები.

წესის აგებისას ამოიღო კათალიკოსმა პაწია, ჩალისფერი ლოცვანი და აბუტბუტდნენ მისი დამკვანარი ტუჩები...

...„აფაზაკთა შორის ჯვარს ეცვი მხსნელო, დაისაჯე ძელითა ცხოველითა, სიკვდილი მოჰკალ უყვდავმა სიკვდილითა, სამდღე დაფლობილმან ხორცითა, ბნელი — განაქარეე ნათლითა“.

ბორდოხან ლოყებს იხოკდა, მდულარე ცრემლით მისტიროდა შვილს, უკოცნიდა ჩაცვენილ თვალებს, ხანაც კათალიკოსს დაუფარდებოდა ფერხით, ფეხზე ეხვევოდა, ევედრებოდა: აღადგინეო ჩემი საყვარელი შვილი, ისე, როგორც ქრისტემ — ლაზარე.

გაოგნებული მამამზე თავში იცემდა ორივე ხელს, ცრემლი გაშრობოდა სრულად.

მხოლოდ შავლეგ ტოხაისძე იდგა გულზე ხელდაქდობილი. დასისხლიანებული, ამღვრეული თვალებით მისჩერებოდა კათალიკოსს და მის გულში წყალგადასხმულ ნალევრდალივით შიშინებდა კათალიკოსის მიერ წართქმული ლოცვის ერთერთი ლექსი:

„...დაისაჯე ძელიცხოველითა? ვის გულისხმობდა კათალიკოსი, ჭიაბერს თუ ქრისტეს?“.....

პანაშვიდის ვათავების უმაღვე ერისთავების სახლეულმა და სტუმრებმა იწამეს, რომ კლარჯეთელმა ძელიცხოველმა მორიგი სასწაული ჩაიღინა ჭიაბერის მოკვლით.

თავით მამამზეც შედრკა, მანაც დაიჯერა ეს სასწაული. მისი აზრით ახლა ტონახისძის, კოლონკელიძისა და მისი ჯერი იყო მომდევარი, მაგრამ უეცარი სიკვდილი სანატრელად უჩნდა ვაჟაკი შეიღობა და მამამზეც მოხუცს.

ერთ წუთში გამოიცვალა, მოტყდა მამამზე, ახლა მთლად ფეხქვეშ ეგებოდა კათალიკოსს და მის ამაღას.

იმ ღამესვე აღსარების ნება სთხოვა მელქისედეკს და აღვიარა თავისი და ჭიაბერის თანახიარობა ფხოველთა ამბოხში.

XI

ქორსატეველას ციხეში კათალიკოსის ჩასვლამ, (უკეთ რომა ვთქვათ ძელი ცხოველისამ) და ჭიაბერ ერისთავის სიკვდილმა შიშის ზარი დასცა კავკასიონის წარმართებს.

ქრისტეანები წელში გასწორდნენ, დილეგებიდან ამოიყვანეს ფხოველთა ამბოხის დროს შეპყრობილი ხუცეები და მედავითნენი, ყველა ვინც ცოცხალი გადაურჩა ხალხის რისხვას.

კრუმორწმუნებას ფრთენი შეესხა, ასე ამბობდნენ: ძელი ცხოველი მოდისო კათალიკოსის თანხლებით, კერაები და ბომონები მის გამოჩენისას ცამტვერდებიან, წარმართნი ემთხვევიან თუ არა, მყისვე განუტყვევნო სულს.

მელქისედეკ კათალიკოსი სისასტიკით არ იყო ცნობილი, მას მთელს საქართველოში სახელი ჰქონდა მოხვეჭილი როგორც ეკლესიათა მშენებელსა და უებრო ასეეტს, ძელი ცხოველს გაცილებით უკეთ იცნობდნენ მთელენი.

თავდაპირველად ვახტანგ გორგასალსა ჰქონდა იგი, როგორც „საომარი ჯვარი“; წინ უძღოდა მეფის ლაშქარს, როცა კავკასიონი გადალახა ვახტანგმა და „დიდმა მთებმა შეჰქნეს დრეკა“.

ალანნი და წანარნი, ლილღენი და ლალღაი უცნაურ ლეგენდებს სთხზავდნენ მის სასწაულთა გამო.

ლუსკუმიანად ცბრა გირვანჭა იყო ძელი ცხოველი, სამნახევარი წყრთის სიმაღლისა და წყრთა ნახევარის განისა.

ლეგენდის მიხედვით, სვეტი ცხოველის ხისაგან უნდა ყოფილიყოს იგი იმ ეპოქაში გაკეთებული, როცა წარმართული ხის კულტი შეიგუა ქრისტიანობამ.

ძელი ცხოველს სხვადასხვა საუკუნეში შემოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის.

ერთი მემატიანის ცნობით ეს ჯვარი დაკარგულა სწორედ იმ დღეს, როცა ხაზარებმა პირველად აიღეს ტფილისი.

ამოტ კურაპალატს უტარებია სარკინოზების წინააღმდეგ ომებში ძელი ცხოველი, ბოლოს საბერძნეთში განლტოლვილს თან წაუღია იგი. ბიზანტიონში პატიოსანი თვლებით მოაოქვინა თურმე შინაქვეყნა.

853 წელს, როცა სარკინოზებმა ტფილისი აიღეს, აქაა დათხოვი მოჰკლეს, ეს ჯვარი ბულა თურქს ჩაეარდნია ხელში.

ძელი ცხოველს ბედი სწყალობდა: როცა მისი იმედით აღტურვილი ერისთავები და მეფეები გაიმარჯვებდნენ, მემატიანენი ჯვარს აღიდებდნენ, „ვითარცა ძლევაშოსილს“, ხოლო როცა ისინი მარცხდებოდნენ, ჯარის სიმცირეს, ან სტრატეგიულ მარცხს, რომელიმე სარდალს ან მეფეს აჰკიდებდნენ ხოლმე ბრალს.

ცნობილია: ადამიანები ღვთაებას უფრო იოლად აპატიებენ ხელის მოცარვას, ვიდრე კაცთაგანს და სწორედ ამან შეუქმნა ვახტანგისეულ ძელი ცხოველს ზეიადი სახელი.

არაბებთან ბრძოლაში 50.000 ქართველი დაიღუპა ტფილისში, თავთ ძელი ცხოველიც „წარტყვევნილ იქმნა“, იმ დროინდელ ჟამთ-აღმწერელს ჯვრისთვის არ მოუკითხავს ბრალი.

მთიულეთში სალაშქროდ მიმავალ ბულა თურქს მთეულებმა და ზევეებმა მოუტრეს გზა, „მოისრნა სარკინოზთაგან ურიცხვი“ და თოვლის ქვეშ დაიღუპა მრავალი.

ერთმა მონადირე მთეულმა არაგვის პირად დაზოცილ სარკინოზების გვათა შორის დიდძალი ნააღაფარი და ერთი ვაშყარანი იპოვნა, ვაშყარანში საესებით გაძარცული ძელი ცხოველი და ბაგრატ კურაპალატს მიუტანა უფლის ციხეში.

სარკინოზების შემუსვრა მამაც მთეულთა და ზევეებს როდი მიაწერეს, არამედ ძელი ცხოველის ჯვარს.

ბაგრატმა ვერცხლით მოაქედვინა მისი ლუსკუმა ოქრომქანდაკელებს და პატიოსანი თვლებით შეამკობინა კვლავ.

იმ ბნელ ეპოქებიდან სულ მცირე ცნობები მოღწეულა ჩვენ დრომდის; მესხური ერთი დავითნის მინაწერიდან ირკვევა, კიდევ ერთი ომი მოუგია ბაგრატ კურაპალატს „მეოხებითა ძელისა ქვეშარითისათა“.

ბარდასალ-სკლიარუსის შემუსვრისას, ძელი ცხოველი წინ უძლოდა თურმე თორნიკე ერისთავის ლაშქარს.

ამის შემდეგ დიდხანს სდუმდნენ ჟამთაღმწერელნი ამ ჯვარის გამო. როცა ბაგრატ III და ვაგიკ სამეხთა მეფემ ზორაკერტთან შემუსრეს განძელი ამირა ფადლონი, ეს გამარჯვება მოძმე ერების კავშირს როდი მიაწერეს, არამედ „ძალას პატიოსანის ჯვრისას“.

ბასილი კეისართან ატეხილ ომებში წინ უძლოდა იგი გიორგი პირველის ლაშქარს, მაგრამ დამარცხებულმა მეფემ გული აიცრუა მასზე, გზაში ოლთისი დასწვა და უკუიქცა.

ბერძნების ჯარის მეწინავეთ ჯვარისმტვირთველი შეეპყრათ ერთ ტყეში, ორი წლის შემდეგ ტაოს კარში ეპოვნა ჯვარი ერთ ბერს, მაწ-

ცერელისთვის მიეტანა, მაწყვერელს კათალიკოსისათვის ~~მოურთმევეა~~ მერმე ის იყო, ახალწელს მეფეს უკვლია მელქისედეკმა იგი

როცა ამ ჯგერმა ბიზანტიონთან ომი ააცდინა გიორგის ქაბერს სი-
ცოცხლე მოუსწრაფა და კავასიონის წარმართებს შიშმა: ქაჩუქშეპყარა,
გიორგის გული მოუბრუნდა მისდამი.

შეძრწუნდნენ არა მარტო წანართა და არაგველთა აზნაურები, არამედ
ფხოველის ხევისბერებიც.

აურაცხელი ხალხი მიაწყდა ქიაბერის ტირილს. ქელეხში თავმოყრილ-
თა შორის უმეტესნი ამ საოცარი ჯვრის საჭკერეტად იყვნენ მოსულნი.

XII

ქიაბერის გარდაცვალების მეორე დღეს მამამზე ერისთავმა შავოსანი
მაცნენი გაუგზავნა მეგობრებსა და მოკეთებებს.

პირველი მაცნე კვეტარს აფრინეს, ქიაბერის ფარი და ჯაქვის პე-
რანგი თან გაატანეს.

თავში ხელის ცემითა და ზარის ღიღინით მიეახლნენ მაცნენი კვეტა-
რის ციხეს.

პირმშვენიერმა შორენამ ნუშის გულივით თეთრი ღაწვეები დაიხოკა,
დალალები დაიშალა, მამას მკერდზე მიეყრდნო და ატორდა საწყალობე-
ლად.

ქიაბერი ოცნეთში იყო აღზრდილი, აზნაურის თაყაის ოჯახში, თორ-
მეტი ვაჟი ჰყავდა თაყაის.

ძუძუმტეებმა ქიაბერისეული ხმალი რა დაინახეს, ხმამალა ტირილი-
თა და ზარით ეახლნენ დედას, მუხლებზე მოეხვივნენ და დაიწყეს გლოვა.

თაყაი უსინათლო იყო, ითხოვა მომიტანეთო ქიაბერისეული ხმალი.

ხელი მოუსვა ვადაზე, კოცნიდა ხმალს და სტიროდა გულდამღლარული.

სამასი თორიანი ცხენოსანი თან ახლდა თალაგვა კოლონკელიძეს, მის
თანამემცხედრეს და ძაძითმოსილ შორენას.

მიეახლნენ თუ არა ქორსატეველას ციხეს, დალალნი დაიშალა შო-
რენამ, საშინელი კივილი მორთო, შავოსანი მოზარენი ღიღინით მოს-
დედნენ ცხენდაცხენ.

ქიაბერის სასძლო შორენა მოკივისო რა შეიტყვეს ქორსატეველას
ციხეში, დიდი და მკირე ციხის ჩარდახზე გამოეფინა, სტუმრები, მხეველ-
ბი და მონები საშურებს მიეპრნენ.

შავით მოსილი მხედრები ღიღინებდნენ გლოვის ზარს და ამ გულის-
გამგმირავე ზუნს მოძახილად ერთვოდა შორენას ცადამწვდენი კივილი.

დაქვეითდნენ მხედრები, ჯერ გურანდუხტი ჩამოიყვანეს ცხენიდან,
თალაგვას შეუღლე, მერმე შორენა და მისი მოახლენი.

კივილითვე შემოვიდა ციხეში შორენა, ცალი მკლავი მისი მამას ეჭი-
რა, ცალიც კონსტანტინე არსაკიძეს, უწვერულ ქაბუქს, შორენას ძუ-
ძუმტეს.

მეფე გიორგი და მისი ამაღლა უკვე პირველ გოდოლში იყვნენ ამ დროს მოსული. მამამზე და შველევ ტოხაისძე გოდოლის კართან შეეგებნენ სტუმრებს.

არავინ ელოდა გიორგის მოსვლას, მაინც ყველანი შორენას უთვალთვალელებდა დაწვებ დაკაწრულს.

მხარმარჯენით დედოფალი მარიამ ახლდა გიორგის, მხარმარცხნით ზეიად სპასალარი.

მამამზე მიეჭრა მეფეს, მარჯვენა მკერდზე ეამბორა და მის მკლავებში ატირდა ბალღივით.

გიორგისაც გული აუჩვილდა, ამ წუთში მართლაც ეწყინა ჭიებერის სიკვდილი, ძველი მამამზე მოაგონდა, თავისი მამის სიყრმის მეგობარი.

გიორგიმ შორენას თვალი ჰკიდა, შეფარვით შეხედა ხელახლა. ეს გაიფიქრა:

საოცარია, ტირილი არავის შვენის, არც ბაღსს, არც ყრმას, არც ჭაბუკს და არც მოხუკს, მხოლოდ ლამაზ ჭალს შვენისო ტირილი.

მერმე კონსტანტინე არსაკიძეს გადახედა, იგი ძლიერ წააგავდა შორენას. ფხოვეური ჩოხა ეცვა და ეანგისფერი თორი.

ძმა ხომ არ არისო ეს ვაჟი შორენასი?

გაახსენდა; მხოლოდშობილი რომ იყო შორენა.

თალაგვა კოლონკელიძე თავმოდრეკილად ეაზლა მეფესა და დედოფალს, უკუდგა და თაყვანი სცა ორთავეს.

გულმოკლული სასძლოს მწუხარება დასწრდილა თავშიშველა, წვერდახოკილი საკინძე შემოხეული თაყაის გოდებამ.

დამხედური მოზარენი ღიღინითვე შეეგებნენ უსინათლო მამამძუძეს. მოხუცი წვერს იგლეჯდა, თავპირს იღადრავდა და ყვიროდა:

„ვაჰვე მესერბუნ, ვაჰვე მესერბუნ“.

თაყაის დანახვაზე გული აუდღულდა მამამზეს, ყელზე შემოეჭლო უსინათლოს, თორაბჯარში გამოწყობილ ცხედართან მიიყვანა მამამძუძე, დედამძუძე და ძუძუმტენი.

თაყაი ხელის ფათურით შეეხო ჭიებერის ვაცივებულ გეამს, თხემიდან ტერფამდის დაჰკოცნა და ისევ დაიშინა მუშტი სახესა და მკერდზე.

დალალებ დაგლეჯილი დედამძუძე კივოდა, თორმეტივე ძუძუმტენი ოსურად ლულულულებდნენ და თანადამსწრეთათვის გაუგებარ ენაზე მოთქმა მთლად ამაზრზენად ხდიდა მათ გლოვას.

უსინათლო თაყაის ქვეთინმა საოცრად შესძრა გიორგის გული, ახლა იგიც დააღონა ჭიებერის სიკვდილმა, მამამზეს შემოეხვია და გულწრფელად ატირდა თავათაც.

თვით გულმძვინვარე სპასალარსაც ცრემლი მოჰგვარა ღრმად მოხუცებული უსინათლო ბერიკაცის გულისმომკვლელმა მოთქმამ და მიხრწნილებაში გადამდგარ დედამძუძეს ტირილმა.

სიკვდილმა თითქოს წამიერად შეარიგა მოსისხარნი.

ქიაბერის ცხელის წინ იჯდა უსინათლო მამამძღვე და გოდებდა. იგონებდა ქიაბერის ბავშვობას, სიყრმეს და სიჩაუქეს, აქებდა მას ტანკენარობას, ცისფერ თვალებს და ლომგულოვნებას.

უკონსულნი
ბიბლიოთეკა

„ვაჰვე მესერბუნ, ვაჰვე მესერბუნ!“

შენ ხარჯიხვი იყავიო სული და ტურებმა როგორ შეგბედესო, შენ მთის მგელი იყავიო და მელიებს რა ხელი ჰქონდათო შენთან? შენ შავრდენი იყავიო და წუნკალმა ყორნებმა როგორ გაბედესო შენი ხელოფა?

„ვაჰვე მესერბუნ, ვაჰვე მესერბუნ!“

მიმიყვანეთო იმ ჯვართან, ყვიროდა უსინათლო თაყაი.

მე მოვეკალიო იმ ტიალს შენს მაგიერად. სიკვდილს რა ხელი ჰქონდაო შენთან? მე მოვეკალიო მაგ ოხერ სიკვდილს.

„ვაჰვე მესერბუნ, ვაჰვე მესერბუნ“.

მოსთქვამდა თაყაი, თავში იცემდა ხელს, თავის უსინათლო თვალებით შესცქეროდა გარსმომდგარ წყვილიადს.

კათალიკოსს ოსური არ ესმოდა, ამიტომაც მას არ გაუგონია მოხუცი თაყაის მიერ ძელი ცხოველის გმობა. მეფე გიორგი და ზვიადი ოვსეთში იყვნენ გაზრდილნი, მათ ჯვარის ხსენებაზე ყური სცქვიტეს, იამათ კიდევაც ქიაბერის მოკვლა ძელი ცხოველის ჯვარს რომ დაუკავშირა თაყაიმ.

ტირილს სამი ათასი სული დაესწრო, მთა კავკასიონის ყოველი თემიდან მოედინებოდა ზღვა ხალხი. ოთხივე გოდოლი, გოდოლების ერდოები, ციხე-დარბაზის ეზო, ჩარდახი ციხისა და თავათ დიდი დარბაზი, კარის-ეკლესია და შემოგარენი მისნი ხალხით გაჰყვილილი იყო სავსებით.

ბავშვებს ჭილყვაფივით დაეხუნძათ ალვის ხეები, მათხოვრები, ბერები და გიყები ვერსად პოულობდნენ ადგილს.

მოსულთა შორის მრავლად იყვნენ ისეთნი, რომელთაც აფხაზთა და ქართველთა მეფისათვის აროდეს მოეკრათ თვალი, არც ქართლის კათალიკოსი მელქისედეკი ენახათ, არც შორენასავით ლამაზი სასძლო, ასე გულითადად საქმროს მოტირალი, მაგრამ არც მეფეს, არც კათალიკოსს, არც შორენას ისე გაოცებით არავინ უჰკერეტდა, როგორც ძელი ცხოველის ჯვარს, მიცვალებულის თავით დაყუდებულს.

ცურებზე დგებოდნენ, კისერს იგრძელებდნენ, ბრბოში ისრისებოდნენ, შეძრწუნებული გაოცებული თვალები ეძებდნენ მრისხანე ჯვარს, ამ ლომგულოვანი რაინდის მომაკვდინებელს.

შორს მდგარნი მიახლოებას გაურბოდნენ, ახლოს მყოფნი შიშით გვერდს უვლიდნენ.

სპასალარი ჯვრის ახლოს არხეინად იდგა გულზე ხელდაკდობილი, როგორც გველის მგეშავი გველის სიახლოეს, ხან მამამშეს გადახედავდა, ხან უსინათლო თაყაის.

წოწოლა ქუდი ეხურა მამამზეს პირუტყუ შებრუნებულს, ოთხივე წილამურიანი ტყავაკაბა იგი ძლიერ მოაგონებდა ზვიადს მათთვის ტანისამოსში გამოწყობილ მამამზეს, მცხეთიდან გაქცეულს, ეს იყო მხოლოდ, ადამიანის სახე არ შერჩენოდა, მშვენიერ კანუზომელ მწუხარებას დაელია მისი დაეღაეა, კბაუტური სახე.

XIII

მამაპაპეულ საქვალეში დაფლეს კიაბერი, მხოლოდ მესამე დღეს გაიყარნენ სტუმრები, მოზარენი და შორეული მოკეთენი.

კათალიკოსი თავისი ამალით გადავიდა გუდამაყარში. ოთხივე ეპისკოფოსი თან ეახლა, ჯვარისმტვირთველი წინ უძღოდა შავოსანთა პროცესიას, ხელით მიჰქონდა ძელი ცხოველის ჯვარი.

გზებსა და მოედნებზე, შუკვებსა და ორლობებში უამრავი ბრბოები უხვდებოდნენ მელქისედეკს; ნახევრად შიშველი მონები, დამშეული დედაკაცები და მუწუკებიანი ბაღლები ეყარნენ გზებზე.

სოფლებიდან გამოცვენილი კეთროვანები და ბნედიანები, გლახაკები და ჭადავად დავარდნილები ათასგვარ სიზმარსა და გამოცხადებას ამცნობდნენ ტრიუმფით მიმავალ „მოსაყრდეს ქრისტესას“.

მომხივანნი ქვითკირების ერდობესა, ხეებსა და გალავნებზე ადიოდნენ. კათალიკოსი შესდგებოდა, საჩივრებს ისმენდა, დაკეტილ ეკლესიებს გახსნიდა, მოწესებებს დაადგენდა, ბავშვებს დანათლავდა, პურმარილს მიიღებდა და ისევე მიჰყვებოდა შემრეცილ ბილიკებს.

ფურცლოვანი ტყეები მოთავდა, ქორისფერი ქორედები ცის სილურჯეს მიბჯენოდნენ თხემებით, არწივები ფრთხებოდნენ ჯვარის მტვირთველის ჯორის თქარუნზე, მხარს გაშლიდნენ, ეახლებოდნენ ღრუბლებს.

სოჭისა და ნაძვის ტევრებით გაჯაგრული მთები მოთავდებოდა, ისევე ხრიოკი ქარაფები აილანძებოდნენ ცის დასავალზე, ჯიხვის ჯოგები მშვიდად ჩადიოდნენ მეთვე წყარობთან, არად აგდებდნენ შავოსანთა ლაშქარს.

უხორშაკო, მაგრამ უნაყოფო მთებში, საშლოცველოების კარზე გამოტანილი პურმარილი აბა რას გააძლებდა ჩაკურატებულ ბერებს.

ნაღღგომევი იყო, სოფლებში ბატკნის ხორცისა და ზინკალის მეტი არა მოიძეოდა რა. ბერთა შორის ეპისკოპოსნი და „უთავადესნი ძმანი“ ხორცეულს არას სჭამდნენ, თავათ კათალიკოსი ხმელი პურითა და წყლით იკვებებოდა, მწირნი და მორჩილნი, „კბაუტთა ძმთავანნი“ ველარ იოკებდნენ შიმშილს, ხორაგეულის ჩამოსათხოვად სოფლებში ჩავზავნილნი ლორს ან ჩაჩხს მოახელებდნენ ხოლმე და სჭამდნენ ჩუმად.

ბოლოს ისე მისჭირდა საქმე, ქარაფების უბებებში მიკუთუულ სოფლებშიაც ველარ შოულობდნენ საზრდოს. დანძილისა და ღოლოს ანაბარად დარჩნენ როგორც კათალიკოსი, ისე „უთავადესნი ძმანი“.

რაც უფრო მალა მიიწევდნენ, მით უფრო აუტანელ ხდებოდა მელქისედეკისთვის გზა. დამშეულსა და ღონემიხდილს კვლავ მიეძალა გულის მანკი, ჰაერი ეკოტავებოდა, მაგრამ სიკვდილს არ ეშუებოდა ფანტიკოსი ბერი..

ორგზის დაუვარდა ჯორი, ორჯერვე შეუნაცვლეს, მესამეც სულს ლაფავდა ქუშისაგან აქშინებული, მაჯაგანით მიფოხრიკობდა ჯორის ზურგის სიგანე ბილიკებზე.

სამს ეპისკოპოსს სამივე ცხენი დაეხოცათ გზაში, ძმანი ჭაბუკთაგანნი ნდობით აღვსილნი უთვალთვალდნენ ლეშებს, მაგრამ მარჯვე დრო ვერ მოიხელეს. დაქვევითდა სამი შორჩილი ეპისკოპოსებს დაუთმეს ჯორები, თავათ ფეხით გაუდგნენ გზას.

გული შეუღონდებოდა თუ არა მელქისედეკს, გაიოზ და სტეფანე ბერები მიეჭრებოდნენ, ჯორიდან ჩამოიყვანდნენ, ცივი ტილოთი დაუზელდნენ გულის არეს, მერმე რომელიმე ჩქერალთან გადააგდებდნენ ზადეს, ორიოდე ლიფსიტას დაიჭერდნენ, გადააყლაპეინებდნენ ცოცხლად, ისევ მოიკრეფდა ავადმყოფი მხნეობას და განაგრძობდა მგზავრობას.

კვეტარის საერისთაოში გადასულთ ფებ ქვეშ ეგებოდნენ გარს მოჯარული ბრბოები.

კოლონკელიძე უკვე კვეტარში ჩასულიყო, ბოკოწნის ხევის თავში მოციქულები დაახვედრა ერისთავმა მელქისედეკს. საკლავები და თავლით სავსე გეგები გამოეგზავნა. კვეტარის ციხეში მობრძანებას სთხოვდა კოლონკელიძე.

შეძრწუნებულნი ფხოველნი დალახვრული თვალებით შესცქეროდნენ ჯვარის მტვირთველის ხელში აღმართულ ძელი ცხოველს, თავს იშიშვლებდნენ, პირჯვარს იწერდნენ, კალთებს უკოცნიდნენ კათალიკოსს.

პირველი ათასეული წლის მიწურულში ქრისტიანულ ქვეყნებში ხელმეორე წარღვნას ელოდნენ, წნორის ფოთოლივით ცახცახებდა ბიზანტია, იტალია და საფრანგეთი, საქართველოში ბერები ეფუტის იმოწმებდნენ, მეორედ მოსვლით ემუჭრებოდნენ ხალხს.

სწორედ იმ დღეს, როცა მელქისედეკ ქორსატევალას ციხეს ეწვია, ნოკორნას მონასტერში ამეტყველებულა დაყუდებული ბერი ევდემონ, მეორედ მოსვლის დაგვიანება ასე აუხსნია: კათალიკოსი საქართველოს შემოვლას მოუნდა, ახლა ფხოვეში მოდისო, თან მოაქვსო ძელი ცხოველი, რათა ფხოველთა მონათვლა მოასწროსო განკითხვის დღემდის, ეკლესიების შემშუსკრელთ ღვთის რისხვა დაატეხესო თავზე.

თალაგვა კოლონკელიძე დააფიქრა ჭიაბერის სიკვდილმა, ახლა ევდემონ ბერის წინათქმანი ენიშნა, კვეტარს მიაშურა, რათა მანდ დახვედროდა მელქისედეკს. როცა კათალიკოსის ამაღლა მიეახლა კვეტარის ციხეს, კარის ეკლესიაში ძელსა ჰკრეს.

კოლონკელიძე და მისი ამაღლა თორმეტი ეჯის მანძილზე ჩამოეგება მელქისედეკს.

მუზარადმობდილმა, თოროსანმა რაინდებმა დაიჩოქეს გზის პირად-კოლონკელიძეს ყელზე საბელი მოება; მან ჯერ კალთები დაუყოცა კათალიკოსს, შემდეგ ხელზე ეამბორა, ბოლოს ძელი ცხოველმსახურსკუ-მას ემთხვია.

მთელი კვირის მანძილზე კოლონკელიძის სასახლეში თავზარდაცემული დაბორილობდა დიდი და მცირე. ჭიაბერის მაგალითით დაშინებულნი, დღე დღეზე ელოდნენ კოლონკელიძის სიკვდილს.

ღამეებს უთევდა სახლეული, სძლის პირებს უვალობდნენ მოახლენი, გათენდებოდა დილა, ერისთავი პირჯვარს გადაიწერდა კიდეც ერთი დღის სიცოცხლე რომ აჩუქა ღმერთმა.

მოულოდნელად შეუვალდა საფეთქლები კოლონკელიძეს, წვერი ვაუჭლარდა, უცნაურად მოტყდა და დაშინდა.

ბაპისეული ლოცვანები გამოჩხრიკა, დილასა და საღამოს ეამს აკითხვინებდა, თავათაც იზეპირებდა ფსალმუნის ლექსებს, კარის ეკლესია ხატებით მორთო, კვეტარის ბასტიონის ზეთაზე აღამართვინა ჯვარი.

მელქისედეკმა ამასობაში ეკლესიები და მონასტრები აღადგენინა, მოწესებები დაადგინა, ორი ათასზე მეტი უნათლავი მოხუცი და ყრმა შონათვლინა ბერებს და ქორსატეველას ციხეში მიბრუნდა.

თალაგვა კოლონკელიძე ნოკორნას მონასტერში წავიდა სახლეულითა და საკლავით.

გადარჩენისათვის მსხვერპლი შესწირა ნოკორნას ხატს.

ფხოველები განცვიფრებულნი იყვნენ, ძელი ცხოველის რისხვას რომ გადაურჩა კოლონკელიძე.

თავათ ერისთავი თავს ინუგეშებდა: ალბათ საბელის ყელზე გამობმამ გადამარჩინაო.

XIV

ბორდოხანმა და მამამშემ ქანგისფერი სამოსი ჩაიცვეს, ბნელ მიწურში გადასახლდნენ.

ორი კვირა გამობდა, ახლა ხამლნი ჩაიცვეს შავნი, მოთეთრო ზოლებით აჭრელებული.

დღე და ღამე შიშველ სოხანეზე იყვნენ პირქვე დამხოზილნი, სასმელსა შემელს არ იკარებდნენ.

ერთ საღამოს ევედრნენ რუსუდანი, კატაი და შველევ ტოხაისძე, თივა დაუგეს, უში მხალი აჭამეს ძალით.

ორმოც დღეს, ყოველ დღე შინს ჩასვლისას გროვდებოდნენ ციხის ეზოში მოკეთენი, ზარითა და ტირილით მიდიოდნენ ბაპისეულ საძვალეში.

უბედურებამ და ძელი ცხოველის სასწაულმა ქრისტეს შჯული შეაყვარა მამამშეს, მან ხატებითა და ჯვრებით მოართვევინა ქორსატეველას ციხე-დარბაზი, საგვარეულო კარის ეკლესია.

აღაპებს ახდევინებდა ახლადდადგენილ მოძღვარსა და მრევლს, ჯვარი დაადგმევინა ჭიაბერის საფლავზე. ტოხაისძე ამრეხილი იყო, მაგრამ ვერას უბედავდა გაოგნებულს.

ბოლოს მელქისედეკი მობრუნდა ფხოვიდან, ძელს უსწავლეს ჩამოიტანა და ქორსატეველას ციხეში დასტოვა.

ბორდოხანი და მამამზე ფორთხვით დაუეარდებოდნენ ჯვარს, ავედრებდნენ ჭიაბერის სულს. დაშინებული სახლეული, მხეველები და მსახურები შიშით ველარ ბედავდნენ იმ დარბაზში შესვლას, სადაც ძელი ცხოველი ესვენა.

ორმოცზე კვლავ მოგროვდნენ მოტირალნი და მოზარენი, ოცდაათი ძროხა დაიკლა, ასზე მეტი ცხვარი, ციხის ეზოში კოცონები ენთო, ხარშავდნენ და სწავადნენ საკლავს.

შორენა მოვიდა კვლავ, თორმეტი მოზარე და თალაგვა თან ახლდნენ მას.

დიდი ამალით მოვიდა გიორგი მეფე, მხოლოდ დედოფალი და ზვიად სპასალარი უფლის ციხეში წასულიყვნენ. სამი ერისთავი თან ახლდა მეფეს, ეზოს მოძღვარი, მსახურთ უზუცესი და ანჩელი ეპისკოპოსი, კათალიკოსის ნაცვლად, რადგან მელქისედეკი ფხოვიდან დაბრუნების შემდეგ ლოვინად ჩავარდნილიყო.

ოცდაათი შავოსანი მოზარის თანხლებით მოვიდნენ თაყაი, მისი თანამემცხედრე და თორმეტივე ვაჟი.

ქორსატეველას ციხიდან კარვებამდის ორ მწკრივად იდგნენ შავოსანი მოზარენი, დაბალი, დაბალი ხმით ლილინებდნენ, მათი ერთობლივი ზუზუნი შემზარავი იყო. გულის მომკვლელი ზუნი ისმოდა ირგვლივ და შავოსან მოხუცების ლილინი, რომელიც ძლიერ წააგავდა ვერძების ერთობლივ შებლავლებას, როცა საფრთხე რამ მოელის ფარას.

მათ შორის მიმოდრიოდნენ მოტირალნი ციხის კიბესა და კარვებს შორის, თავბირის ხოკვითა და მოთქმით.

ციხის ეზოში სამი კარავი დაედგათ.

ერთ კარავში ჭიაბერისეული სამოსი ესვენა, მისი ოქროს მუზარადი, კეისრისაგან ნაჩუქარი, მისნი თორნი და მშვილდ-კაპარჭნი, ფარები და ზმლები.

მეორე კარავში ძაძვებით მოსილი, ძუა-ფაფარ შეკრეპილი ულავი ება, იგიც ბიზანტიონში საჩუქრად მიღებული, თურქებთან ბრძოლების დროს თან ახლდა იგი თავის პატრონს, ხოლო მესამეში მწვერები, მადევრები, მამებრები და ქორ-შეეარდნები.

პირველი კარავის კართან საბენავევში, უბედური ბორდოხანი იჯდა. ცალკერძ თაყაის ცოლი მისჯდომოდა, დედამძუძე ჭიაბერისა, ცალკერძ შორენა; ჭიაბერის სასძლოს ბორდოხანის კალთაში ჩაედო თავი, სტიროდა, მოსთქვამდა თავათ ბორდოხანი და ნაზად ეფერებოდა შორენას ჭავლისებრ მღელვარე დალალებს.

როცა გიორგი მეფე მანდილოსნებს მიეახლა, შორეულმა თევზაილო, განსაცვიფრებელმა სილამაზემ შეანათა სახეში, ელდა ცუცა გიორგის. მას არასოდეს ენახა ძაძას, მწუხარებას და უბრალო სამოსს მსგავს მშვენიერბინოს ქალი.

ბორღოხანთან მივიდა, მხარზე ეამბორა დამწუხრებულს, მიუსამძიმრა, ჯერ დედას, მერმე დედამძუძეს, და შემდეგ სასძლოს. ამ წუთში უცნაურად გაბოროტებული მზერა მოხედა მეფეს და ასე ეგონა სახე ამეწვაო ამ შემოხედვისაგან.

მოზარენი ლილინებდნენ ერთობლივი და ამაზრზენი ხმით. მეფეს კვლავ შემოესმა უსინათლო თაყაის ზღუქუნი და „ვაჰვე მესერბუნ“... გული აუჩვილდა, ცრემლი მოიწმინდა და შეხედა ყურებდაცქვეტილ ულაყს. მას კიდევ აჩნდა სარკინოზებთან ბრძოლებში მიღებული ორკეცო ნამზლევი.

გიორგი პირველი კარვიდან გამოდიოდა, სწორედ ამ დროს მოზარეთა და ვაჟებმა ამ კარავში შეიყვანეს უსინათლო თაყაი.

უფროსმა ვაჟმა ზედ ცხენის მკერდთან მოიყვანა იგი. თაყაიმ გაშალა თავისი გოლიათური მკლავები, შემოეხვია ცხენს, ჯერ მიუსამძიმრა:

ალარა გყავსო მზედარი, უშენოდ წავიდაო შავეთში, ბნელს როგორ გაჰკვეთსო იგი უშენოდ, ხმაღს როგორ მოიქნევსო იგი უშენოდ, მტერს როგორ დაიფრენსო იგი უშენოდ, გლოვა გმართებსო ცხენო, ალარა გყავსო პატრონი შენი, გლოვა გმართებსო ცხენო, ალარა გყავსო გმირი ჭიბერი.

ფერხთით დაუვარდა ატირებული, ხელით ეფერებოდა საოლავებზე. ფლოქვებზე ჰკოცნიდა ულაყს.

გიორგი შეადრწუნა ამ სანახაობამ. მთელს ტანზე ეკლები დააყარა და მეორე კარავს შეაფარა თავი.

ატირებული, წელში მოხრილი მამამზე უკან მოყვებოდა მეფეს. ჭიბერის თორ-აბჯარს შეაელო გიორგიმ თვალი და როცა კეისრის მიერ ნაჩუქარი ოქროს მუზარადი დაინახა, მყის იფეთქა მის გულში ძველმა მტრობამ, მაგრამ ამ დროს ისევ მოესმა პირველი კარვიდან თორმეტი ძუძუმტეს ზღუქუნი და თაყაის საწყალობელი ბუხუნი:

„ვაჰვე მესერბუნ“...

ისევ თვალწინ დაუდგა უსინათლო მოხუცი თავის გაზრდილის ცხენის ფერხთით მტირალი და ცრემლებმა იწვიმეს გიორგის თვალთაგან.

მამამზე შორიახლო იდგა. წელში გადრეკილი შინდის ჯოხს მოსჭიდებოდა და ამ წუთში მართლაც ჰგავდა ცისქვეშ დარჩენილ მათხოვარს და შეებრაღა იგი, მიუახლოვდა და ნუგეშინის საცემად მხარზე დაადო ხელი, მაგრამ სანუგეშო სიტყვებს ვერ მოუყარა თავი.

მეფის თვალზე ცრემლი რა შენიშნა მამამზემ, საოცრად ატოკდნენ მისი გადრეკილი მხრის თავები, მოეხვია იგი გიორგის, ასე გაიფიქრა:

დავიწყნიაო მეფეს ჭიაბერისადმი მტრობა და ამიტომაც თვეებზე დაუკოცნა მამაშვილურად.

ახლა მესამე კარავში შევიდა გიორგი, ქორ-მეძებრებს შემსულშიმრა. მობუზულნი ისხდნენ ხარისებზე ქორები და შეჭმდნენ. მისხარეთა ლილინისა და ადამიანთა მოთქმისაგან შეძრწუნებული ცხოველები უცნაურად ყმუოდნენ და ყეფდნენ; მხოლოდ ბებერი, შავი მწევარი, ჭიაბერის უსაყვარლესი ძაღლი, იწვა განმარტოებით. ძლივს აღებდა თელგამიან თვალებს და უღიმღამოდ იგერიებდა ტარაბუას კედლით.

როცა კვლავ პირველ კარავს ჩაუარა გიორგიმ, მან შენიშნა მწუხარებისაგან სახეშეცვლილი, ძაძებში მოსილი შორენა. არამიწიერი მშვენიებით ბრწყინავდა იგი, ამ წუთში გაცილებით უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე სამი წლის წინად. როცა იგი პირველად ხატობის დროს ნახა მცხეთაში, ფხოვრ ტანისამოსში მორთული, ამორძალივით მოჯირითე რაინდთა შორის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ალ. შანგელია

ახალგაზრდული

რამდენჯერ მიცდია მემღერა ხალისით,
ვაგაკის სევდაზე იტყვიან „ვოისას“...
თვალებს კი არ ჰფარავს ღრუბელი და ნისლი,
ხომ ხედავ ვარსკვლავებს, — ზეცა რომ მოისხამს.

ერთ ციციანათელად შენც იციმციმებდი,
რომ გვეთქვა ტყბილი რამ, ვით იაენანური,
ო, მარად მებრძოლი ვაგაკის იმედი, —
ომში რომ თანასდევს, — შენა ხარ ნანული!

ყოველთვის მღეროდნენ და უთქვამთ მელექსეთ,
მტერს თავი შეაკლეს ძმათნაფიცებმაო,
მშობლიურ ზეცის ქვეშ, გათელილ ველებზე.
ვაგაკებს მოუხდათ ბრძოლა და შებმაო.

მათ მოჰგონებიათ, — ძველთაგან აქამდე —
ჭართველთა ასულებს რა ბრძოლა ჰქონიათ...
ხმაღს სააკაძისას, რომ შუქით აგავდე
ასეთი ლეგენდა არ გამიგონია!

ენდევი მემომარ ჭაბუკის სინიღისს,
მომყევი და ჩემ გულს გაჩუქებ ნანული, —
წავიდეთ, ვიაროთ, ეს გზებიც წინ მიღის,
გზათ ავახშიანოთ მჭექარე მგზავრული.

ჩვენც დავეზიაროთ ელვიან სატევარს,
ვაგვეთოთ დუშმანებს დაშნიან გულებად,
რომ ხვალის მელექსეთ დიდების სათქმელად.
არ ეყოთ არცერთი წარმტაცი თქმულება.

და თუკი მრისხანე სიკვდილი დაგვიჩხავლებს,
იმ თვალებს მოგტაცებ, — ზეცაში ავისვრი,
იტყვიან; ჭაბუკმა აჩუქა ვარსკვლავებს,
ქალწულის შუქი და ვაგაკის ხალისი.

იოსებ ნონეშვილი

გეოლოგიის ღამე კახეთში

დაღამდა, თითქოს ცაზე დასცალეს
ლალის მტევნებით სავსე კალათა;
ადგა სიღნაღი თამადასავით
და სივრცეს თვალი გადაანათა.

მთვარეს წაერთვა ფერი და ეშხი,
ღრუბლებში მიწვა როგორც სნეული;
ელნათურების სირიერავეში
ღამე ჩამოდგა ქარვისებური.

თითქოს მიფრინავს გუნდი მერცხლების,
შრიალებს დინჯი ალაზნის ველი;
შუქით გომბორის მთაც ივერცხლება
დიდებული და დარბაისელი.

ჯმუხი მუხები დგანან მხრებ გაშლით,
სივრცეს ედება ქარი უბელო,
და ყვაველივით გაშლილი ცაში
შორს ოქროსფერად ბრწყინავს ღრუბელი.

ბიჭები ისევ ყურძენს სწურავენ,
მარნები უკვე სავსეა ღვინით!
ხარობს კახეთი, და გულს სწყურია —
ფიალასავით აივსოს ღვინით!

მძიმე ურმები ზანტად მიდიან,
დგას სურნელება უხვი მოსავლის;
კავკასიონის ქედებს ჰკიდია
ცა-ვარსკვლავების კრიალოსანი.

ანა ხახუტაშვილი

იოსებ ლალიაშვილი

განჩისხეზული თავალი

ბიზნა *)

გორში მომხდარ ამ ამბის შემდეგ, 1878 წელს, როცა აუარებელმა სტუდენტობამ ციხეები გაავსო, მოსკოვში ჟანდარმერიამ სხეებთან ერთად დაატუსაღა სტუდენტი ალექსანდრე ციციშვილიც. მაგრამ რაკი ციციშვილს საკუთარი გეარიც კი ვერ ათქმევიწეს, მოსკოვმა ეს პატიმარი ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს გადმოუგზავნა.

თებერვლის ცივი დღეები იდგა. თოვდა და ქარი გორს ნამქერის სამოსელში ხვევდა.

იმ დილით ლალიაშვილის დიდედა თბილ წამოსასხამში გაეხვია, კარებს კლიტე დაადო და დაწინაურებულ იოსებს მიმართა:

— შვილო, თუ დამიგვიანდეს, სკოლიდან რომ მოხვალ, ფეჩი აანთე, თანგორა ქვაბით გუშინდელი ხარშოა შენახული. გაითბე, გენაცვალე, და ქამე მე ნუ მომიცილი. გესმის, ბიჭო?

ძველ პალტოში ბოლჩასავით გამოხვეული იოსები ნინოსაკენ სწრაფად მიტრიალდა და უკმაყოფილო სახით შეეხვეწა:

— დიდედა, შენი ქირიმე, ნუ დაიგვიანებ, ხომ იცი, ეს ოხერი სახლი უშენოდ ქირივით შეჯავრება.

— რა ექნა, შვილო, იქ ხომ სათამაშოდ არ მივდივარ? საქმე მაქვს. თუ ბოლო არ მოუღე, როგორ იქნება! მაშ ერთი ორი გროში სახლში არ უნდა შემოვიტანო?

იოსები უკვე შორს იყო წასული, როცა ნინო ფრანგების ეკლესიის გადღღმა ორსართულიან სახლს მიადგა და ფრთხილად დააკაკუნა.

კარები მალე გაიღო, ნინო ჩამოხველებულ დერეფანს გასცდა, ფართო და ნათელ ოთახში შევიდა და სავარძელში მჯდომ კნეინა თეკლეს მოკრძალებით თავი დაუქრა.

ოთახებში რალაც სევდიანი სიჩუმე იდგა. და ნინო მიხვდა, რომ იქ რალაც ამბავი უნდა მომხდარიყო.

*) გავრძელება. იხ. „ნათობი“ № 9 1938 წ.

ნინომ მრგვალ მაგიდიდან ზეწარში გაბეჭეული ფარჩის საბნის ფრთხილად გადმოიღო და ძირს, ხალიჩაზე გაშალა.

საბნის გვერდით ნინომ კოხტად მოიკეცა და ფარჩის დაბეჭეულ ქაფით საბანს კერვა დაუწყო. ცოტა ხნის შემდეგ შუა ოთახის მსხვილქსნაძის და კარებში ფერმკრთალი, მშვენიერი სახის ქალი მოჩვენებასავით უხმოდ აღიშართა, კნენა თეკლეს შეშფოთებული თვალებით გახედა და ისევ ოთახის სიღრმეში მიიშალა.

კნენა თეკლემ წიგნი პიანინოზე დასდო და სწრაფად ვაეიდა.

ხუთი წუთის შემდეგ, გარედ სადარბაზო კარი მაგრა რომ მიიკეტა, შუა ოთახის კარები ისევ გაიღო და დაფიქრებულ ნინოს თავზე წამოადგა მელანო.

მელანოს ხელში ცოცხი შერჩენოდა, თალხი თავშალის წვერები ციკის ყურებივით ეკიდა.

— დილა მშვიდობისა, ნინო! — გაპარებულნი ხმით მიესალმა მელანო და ნინოს გვერდით ვითომ საბნის დასათვალისებრებლად ჩაცუცქდა.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ჩემო მელანო! — უპასუხა ნინომ და ცნობის მოყვარეობით გადახედა: ნინომ იცოდა, რომ მელანო უკითხავადაც ყველაფერს დარბაზად, მაგრამ რაკი მოთმინება აღარ ეყო, ჩუშად ჩაეკითხა: — რა ექნა, მელანო, ავად ხომ არავინა გყავთ? კნენა რაღაც ძლიერ დაღონებულია.

ეხლა კი ეშველა მელანოს: საიდუმლოების დაფარვა დავალებული ჰქონდა და გულზე მძიმე ლოდევით აწვა.

მელანომ ცალკებაზე ხელი ჩამოიფარა და ჩურჩულითვე უპასუხა:

— უი, ნინო! უნდა გითხრა რამე, მაგრამ, ეს იცოდე, მუნჯად უნდა იქცე. ეს ამბავი გულში ისე ფუნდა დამარბო, რომ ძეხორციელმა არ გაივოს.

— უი, დამიდვა თვალი, რას ამბობ, დედაკაცო! იოსები აქ მომიკედეს, რომ ამის მთქმელი არსად ვიყო, თავში გიყი ხომ არ მჭირს, ჯა?

ნინომ ხელები გაასაესავე და თვალებში ხარბად დაუწყო ცქერა:

— წელან რომ კარებში ქალი გამოჩნდა, ხომ დაინახე? ეგა, ქალო, კნენა თეკლეს მახლობელი ნათესავი ყოფილა, თურმე ციციშვილზეა გათხოვილი. მაგ უბედურს ეხლა უმაგალითო უბედურება თურმე დაატყდა თავს და ლამის ჰკუთხე შეიშალოს, აგერ სამი დღეა მაგას უცქერი და პირდაპირ დავიწვი მაგის ცოდვით, მაგრამ, აბა, მაგ საცოდავიშვილს ვინ რას უშველის?! კნიაზ რევანი პირში ვერაფერს ვერ ეუბნება, თორემ კნენასა და კნიაზს სულ მაგ ქალის თაობაზე მოსდით ჩხუბი და არის ერთი დავიდარება, კნიაზი ეუბნება, ხელსაც არ გავანძრევ, ხელმწიფის, ჩენი სათაყვანებელი ხელმწიფის მტერია და კიდევ უნდა დაილაჯოსო... პო... და...

მელანომ მეტი მღელვარებით თავშალის ყურები ჩამოიხსნა, ხელად ისევ გამოიკვანდა და ახლა უფრო წუწუნით დაიწყო:

— მაგ უბედურ ქალს ერთად-ერთი შვილი ჰყოლია იმ ჩასახვევ რუსეთში, რა ვიცი, სკუპენტიაო თუ სტუვენტიაო ისა ყოფილა, შენი ჭირი-მე, და სხვებთან ერთად ისიც თურმე ხალხში დადიოდა და ამბობდა: ხელმწიფე ხალხის მტერია, უნდა ძირს ჩამოვაგდოს, ჩვენს ხელმწიფე ბატონო, და... უტაცნიათ ხელი და ციხეში ჩაუმწყვდევიათ.

— უი, უი, ჩემ თვალებს!.. დახე, რა უბედურება დასტეხია მაგ საცოდავს!.. — სიტყვა ჩაურთო ნინომ.

მელანომ კი უფრო გულმოდგინედ განაგრძო:

— ქრისტიანო, ეგ ყმაწვილი შემოდგომის აქეთია ციხეში გდია და ისე თურმე ჩაიგდო მუცელში ენა, რომ საკუთარი გვარიც კი ვერ ათქმევინეს. რაკი ამ ხნის განმავლობაში ვერაფერს გაბდნენ, ადგნენ და აქაურ ლღობერნატარს გამოუგზავნეს — შენი ჭირი შენ საბუღარს არ მოაკლდესო. ახლა თურმე, ქალო, სანამ აქაურ ციხეში დედას დაიბარებდნენ და ჰკითხავდნენ, შენი შვილია თუ არაო, მანამდის თურმე...

აქ მელანომ ხმას დაუდებლა და უფრო საიდუმლო კილოთი უთხრა.

— თურმე მანამდისინ ღამის ორ საათზე მაგათ სახლში ორი ვიღაც კაცი მისულა და უთქვამთ: შენი შვილი ქალაქის ციხეშია, ამ დღეებში ჯანდრები დაგიბარებენ, შვილს გაჩვენებენ, მაგრამ წარბი არ შეიხარო, შენ შვილს ისე შეხედი, როგორც გადამთიელ უცხო ვინმესო. არა სთქვა, რომ შენი შვილიაო გეყურება, დედაკაცო, შვილზე უარი სთქვიო, თორემ გაგიუბედურებენო.

— ღმერთო, შენ დაიხსენ ყოველი ქრისტიანი! რას ლაპარაკობ, დედაკაცო?! — გაოცებით წამოიძახა ნინომ და ხელი გააჩერა.

— ჰო, ჰო, წარმოგიდგენია? ორი წელიწადი შვილი არ ენახა მაგ საცოდავსა, მერე ნახა, თვალეებში შეხედა, და უარი სთქვა...

— უი, გენაცვალეთ, ეს რა მესმის და რატომ მაშინვე გული არ გაუსკდა?

— ან კი რა კეთილი დაეყარა? ვერა ნახე, რა თვალეებით იცქირება! არა, გენაცვალე. ეგ ქალი ახლა თავის ჰკუაზე არ არის. ამ ქალაქია დღე გიყვივით დარბის და ყველას რაღაცას ეხვეწება. ღამეებს თეთრად ათენებს, გულში ხელს იცემს და იძახის: სამაროდან ამოღებულს ჰგავდაო. რაღა გადაარჩენს, ისე იყო გამხდარი, რომ თვალეებზე, ძლივს ვიციანო.

— დაიცა, გენაცვალე, ეხლა სადღა წავიდნენ?

— ეხლა მგონი, მარშალთან უნდა წასულიყვნენ. მარშალიც მაგის ქმრის შორეული ნათესავია და იქნებ შინაურულად მოეაწყოს, ვინმე მიუტანავნოთ, რადგან ძლიერ ნოტიო და ბნელ ოთახში მოუთავსებიათ, იქნებ სხვაგან ვადიყვანონ, რომ არ მოკედესო. თანა ტირის, ტირის, ისე ტირის ეგ უბედური, ღამის თვალეები დაითხაროს, აზიზად შვილი გაეზარდე და ცოცხლად დამიმარხესო.

დედაკაცებს თვალეები მოეცრემლათ. ორივემ თავების ქნევა დაიწყო.

— მაშ რა დაემართება მაგ უბედურ ვარსკვლავზე დაბუდებულს! ან დედის გულმა როგორ უნდა აიტანოს, მაგრამ მელანო, ეს ჩარი რაღა ცეცხლია, ქრისტიანო? როგორ მოითმინეს, დედაკაცო, ან შეილება და ან დედამ. რატომ დამბლა არ დაეცათ, ან გულები ახრჩვეს? ერთმანეთზე უარი როგორა სთქვეს, თქვენი ჭირიმიე? *მეგობრებო!*

— მაშ რა ექნათ მაგ წყალწალღებულებს? ალბათ, რაშე დააშავა და მერე რომ დაიჭირეს, თავის ქნევით უარი თურმე უთბრა — მე ციცი-შვილი არა ვარო, და ქალაქს გამოგზავნეს, რომ დედისათვის გამოეთქმე-ვინებიანთ და... სუ დაიცა! — მელანომ სიტყვა შესწყვიტა და კარებს მი-აშურა. კარებთან ისევე გაჩერდა და ნინოსკენ მიტრიალდა: — აბა, ნინო-შენი ჭირიმიე, ხმა... თორემ ჩურჩულით გამოსძახა მელანომ, ცოცხი იქვე კუნჭულში მისდო და დერეფანში გავიდა.

დერეფანში დათოვლილი ფეხები ვილაცამ მძიმედ შეიბერტყა და დინ-ჯი ნაბიჯით მეორე ოთახისკენ გაემართა.

ცოტა ხნის შემდეგ გადატბორულ ოთახიდან გაზეთების შრიალი მო-ისმა. გაბზარული ხმით ვილაცამ ჩაახველა. ნინომ იცნო: თავადი რევანი დაბრუნებულიყო და გაზეთებს კითხულობდა.

ნერვიულ ხველებას მალე ბუტბუტიც დაერთო. თავადი რევანი ჯავ-რობდა. გაზეთები „ივერია“ და „იმედი“ იქვე ტახტზე მიყარა და ხმა-მალლა გაილანძლა:

— ერთი მაგათ დახედოს კაცმა და! ვოტ სეოლოჩი, ვოტ ვისკაჩი!... განრისხებულმა თავადმა მოტყელებილ თავზე ხელი რამდენჯერმე გა-დაისვა, ზეზე წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით სიარულს მოჰყვა.

არ გასულა ათი წუთი, რომ დერეფანში ზარი ხელახლა აწკრიალდა. კარი გაიღო მელანოს გაპარებული ხმა მოისმა:

— დიახ, სახლში გახლავთ, პატარა ოთახში ბრძანდება. ახლად შესულმა ყმაწვილმა ბეწვიანი პალტო და ქუდი იქვე დერე-ფანში ჩამოჰკიდა და ქვემოთკენ გაემართა.

— დილა შშვიდობისა, თავადო რევან! — მიესალმა ახლად მოსული და დიდი, კეთილი თვალებით აფთარივით ამბრეზილ თავადს შეხედა.

— აა... ვახლავარ თქვენ ცრუ ბრწყინვალეებას!.. მობრძანდით, მობრ-ძანდით!.. სწორედ კაი დროს მობრძანდით, ქვეყნის ამშენებელო, პატიო-სანო სოციალისტო! კიდევ კარგი, შენ მოხველ, თორემ გულისმუზარს მე-ლანოზე ვიყრიდი...

ნაძალადევი ოხუნჯობით მიეგება რევანი ილიკო ჯავახიშვილს და ფიცხლავ გაზეთს ხელი წამოავლო:

— არა, კაცო, გადარევა შინახავს და ამისთანა? ერთი დახედე, და-ხედე მაინც, რეებს ჩმახვენ, ეგ ცინგლიანები! ვითომ საქართველოს ჭირ-ვარამზე იხეთქავენ თავს! აი, ისე აუშენდებათ მაგათ ის დანგრეული ოჯახები, როგორც ზე ბოვანოები ქვეყნის გულშემატკივარნი იყვნენ!

ამ სიტყვებზე გაზეთი ააშრიალა, სტეპკო ჭრელაშვილის სტატიაში ამონაკითხი ადგილი იპოვნა და გაზეთადებული ხმით დაიწყო: „დღეს“

ვინც უფროს უგდებს ჩვენს ცხოვრებას, ქართველი კაცია თუ უცხო ქვეყნელი, ყველას უყვირს, რომ მთელი ჩვენი სამშობლოს წინაგანნი თუ გარეგანი არსებობის აქტი ხდება სხვა ქვეყნის ხელით: „ჩვენს ხელში არაა სხვის ხელშია, გამგეობა ჩვენი ბედისა სულაც არ გვექმნება ჩვენ, მისეულ-ამოსელაში სხვას შევეყურებთ, ერთი სიტყვით კისერზე დაგვეწოლია ცხრათავიანი მღვევი და ყოველ ჩვენ საქმეს იგი ასრულებს, რასაკვირველია, ჩვენ საზარალოდ“, — დაათავა რევაზმა და ბრანზმორეული ირონიით განაგრძო:

— პო-და, გეყურება, ვითომ ქვეყნის საქმე ვილაც გამოგდებულ შემინარიელს უფრო კარგად ესმის, იმას შესტკივა გული და ჩვენ აღარაფერი, პა?!

— თქვენ, თავადო რევაზ, დღეს, ალბათ, ძლიერ ცუდ გუნებაზე ხართ, თორემ ეგ სტატია სრულიად იმას არ გულისხმობს, რაზედაც თქვენ ჯავრობთ. პირიქით, შესანიშნავი და სამართლიანი განსჯაა ჩვენი თანამედროვე მდგომარეობისა და უნდა მოგახსენოთ, რომ მაგის დამწერიც ფრიალ ჭკვიანი და საუკეთესო მოაზროვნე ახალგაზრდაა.

თავად რევაზის ბოლმას გასაქანი მიეცა, ტონს აუმალლა და ილიკოს მრისხანედ შეხედა:

— პო, დიახ, დიახ! მეც კარგად ვიცი, რომ იმასაც იცნობ და მის შაიკის ხალხსაც ძლიერ შეგობობ. ისინი თქვენ, ყმაწვილო, კისერს გატეხინებენ, მაგრამ უნდა კარგად იცოდეთ, რომ თქვენი ახალი გეგმების ვითარება ჩვენც კარგათ მოგვეხსენება და მე გაფრთხილებთ, სანამ დრო არის, ჭკუაზე მოდით, თავადო, თორემ...

ილიკო მიუხედა, ლახტი საითაც გადაუკრა თავადმა და ირონიული ღიმილით დინჯად უპასუხა:

— ტყუილად გგონიათ, თავადო რევაზ რომ მე სხვისი ჭკუით დაედღვივარ ქვეყნად. მე ჩემი საკუთარი ჭკუა და განჭვრეტა მაქვს და ჩემი აზრები საესებით ეთანხმება იმისთანა მოწინავე მოაზროვნეს, როგორც არის სტეპკო ჭრელაშვილი...

თავადმა რევაზმა ისევ დაიქუხა, სტუმარს ყანყარატოში ეძგერა და სიტყვა გააწყვეტინა:

— ყოველ შემთხვევაში, ეგ თქვენი ბრძნული აზრები ისევ თქვენთვის შეინახეთ და იმისთანა სულელურ განზრახვაზე, როგორც გლეხებისთვის მამულების გადაცემაა, ხელი აიღეთ, კრინტსაც ნუ დასძრავთ და ფიქრშიაც ნუ გაიტარებთ, თორემ...

— თორემ? — დინჯად ჩაეკითხა ჯავახიშვილი და თვალი თვალში გაუყარა.

გაცოფებულმა თავადმა, რომელმაც სტუმარს შესვლისას დაჯდომაც კი არ შესთავაზა, გალიაში გამომწყვდეული დათვივით წინა და უკან დაიწყო რბენა. თანაც ხელში შერჩენილ გაზეთის უხერხულად ატრიალებდა.

— თორემ ის, — შესძახა გაბრაზებულმა რევახმა და ილიკოს წინ მუქარით გაჩერდა, — ის, რომ თავად-აზნაურობა ჯერ კიდევ ცოცხალია, ჯერ არ მომკვდარა, თუმცა თქვენ ეს ძალიან გენაწყვეტინებთ... ეს თავად-აზნაურობა შენისთანა გადაშენებულ ხალხს ჩემ „პატროსანს“ ხათესავე ალექსანდრე ციციშვილივით ციხეებში ამოალოპობს და ზოგს კი, ალბათ, თავისივე ხელით სიცოცხლეს მოუსპობს... მერე წაბრძანდი, პატროსანო მეოცნებე, და „ნაროდნაია ვოლია“ ჩემჩემმათ ჯიბით ატარე, ვნახოთ, რასაც გიშველით!

ილიკო ჯავახიშვილი აენტო, ზიზლი და სიშმაგე ალებუქდა სახეზე, მაგრამ თავი შეიკავა.

— მე აქამდინაც თქვენზე გარკვეული აზრი მქონდა, მაგრამ დღეს საბოლოოდ დაერწმუნდი, რა როლიც გიკისრიათ... ოღონდ ვახსოვდეთ, თავადო, თუ მომავალი...

ჯავახიშვილს მუქარის სიტყვა პირზე შეეყინა: კარი გაიღო და ოთახში შემოვიდნენ ნამტირალევი თვალეზით დაპატიმრებული სტუდენტის ციციშვილის დედა და დაღვრეწილი სახით კნენია თეკლე.

რევახი უკულმა შეტრიალდა, ილიკომ კი ორივეს თავი დაბლა დაუქრა და ოთახიდან ისე გავიდა, რომ კრინტი აღარ დაუძრავს.

მეორე აქტში.

უკვე ბინდდებოდა, როცა დიდდა ნინო სახლში დაბრუნდა. შეალო კარი თუ არა, სიციხისაგან სახე-ალანძელმა იოსებმა ღიმილით მიაგება:

— იცი, დიდდა, ქერში რომ სიმინდის ტარო ეკიდა, ისეთი ხმელი გამოდგა, რომ სულ თოხლებივით დაიბატა. ეი, ჯან, ბიჭო! შეხედე, დიდდა, შეხედე!

გახარებულმა იოსებმა ხელები სწრაფად ამოძრავა. გავარეკრებულ თუნუქზე დაყრილ სიმინდს ტყაცა-ტყუცი გაუდიოდა და თეთრად აფეთქებული მარცვალი აქეთ-იქეთ იფანტებოდა.

იქვე ტახტზე გადაშლილი იღო საბედისწერო რუსული ლოცვანი ჭრელი კატა ისე კობტად მისცუტკებოდა გვერდით, თითქოს იოსების მაგიერად ახლა ის იზეპირებდა.

— დღეს სკოლიდან ადრე მოხველ, შვილო?

— გაკვეთილები ადრე გაგვითავდა, მაგრამ მე და ჩემმა ამხანაგებმა ციგები წავიდეთ ციხისაკენ, გაყინული ტბორე რომ არის, და იქ ვციგაობდით... მართლა, დიდდა, — უკვებ მიმართა იოსებმა დიდდას და თვალეზი ცეცხლივით აუგიზგიზდა: — ყური მიგდე, მიგდე ყური, რა გიამბო! — უთხრა ბავშვმა და მოხუცი თავისკენ შეატრიალა: — ჩვენ რომ იმ ტბორეზე ვციგაობდით, შუადღის შემდეგ ჩვენი სკოლის ექვსი მოწაფე თავს წამოგვადგა. წინ ჩვენი სკოლის ყოჩი გოლა ჩიტამე მოუძლოდა, აბა, ბიჭებო, — გვითხრა გოლამ, — თქვენი ციგები წამოიღეთ და წამოიღით, ჩვენი მასწავლებელი გაჩვენოთო. ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი მას-

წავლებელი სოფროში ხელმეორედ დატუსაღების შემდეგ ციხეში იჯდა. მასწავლებელი გაჩვენოთო, და სიხარულით წამოგვივიდით. ციხეში დავითირიეთ სატუსაღოს შემოუარეთ და ერთ ფანჯარაში წამოჩინო-ახლო ვაჩერდით. როცა ციხის დარაჯმა ზურგი შემოგვიქცა, მასწავლებელი მოთქენ გაემართა, დიდმა ბიჭებმა „ეი მუმლი და მუხასა“ შემოსძახეს და ისეთი სიმღერა დააგუგუნეს, რომ ფანჯარაში ხელად ჩვენი საყვარელი მასწავლებელი სოფროში გამოჩნდა. ბიჭებმა ქულები იშვლიბეს და ვახუტაშვილი სიმღერით მიესალმნენ:

ჰეი, მუმლი და მუხასაო,
 ჰეი, გარს ეხვეოდაო,
 ჰეი, მუხა და დამიძღაო,
 ჰეი, წყალში და ჩაეარდაო...

— ჰო-და ჩვენ რომ იქ ვმღეროდით, — განაგრძო სხაპა-სხუბით ბავშვმა, — მასწავლებელიც თავს გვიკრავდა, იცინოდა და ხელით რაღაცას გვანიშნებდა, მაგრამ კარგად ვერ ვხედავდით, ფანჯარა ქუქყიანი იყო და დაბინდული.

— მერე, შვილო, დარაჯმა არ ვიფრინათ? — გააწყვეტინა სიტყვა დიდებამ.

— გვიფრინა კი არა! იცი, გოლა რას შერებოდა? რა წამსვე დარაჯს პირი ჩვენსკენ უნდა ექნა და ზემოდან დაბრუნებულიყო, გოლა თეთრ ხელსახოცს აიქნევდა და ფშანისაკენ მიგვატრიალებდა. იმ ხელსახოცის აქნევებაზე თურმე მასწავლებელიც ფანჯარას ეფარებოდა. ჩვენ კი ვმღეროდით, ვითომ თოვლიანი ჰალა გვახარებდა და იმას უმღეროდით. ჯარისკაცი რომ ისევ შეტრიალდებოდა ჩვენ ისევ ფანჯარისაკენ მივბრუნდებოდით. ის ბიჭები ისე მღეროდნენ, დიდებდა, ისე, რომ სულ ჟრუანტელი მივლიდა. მეტადრე ერთი მაღალი ბიჭი ისეთ მოძახილს არაკრავებდა, რომ გულით ვინატრე, ნეტავი მეც ასეთი სიმღერა ვიცოდე მეთქი. ბოლოს „ყველა სდუმდა ჩემს გარშემო“ იმღერეს, მაგრამ იცი, დიდებდა, როგორ იმღერეს? თმები სულ ყალყზე დამიდგა. ჯერ ბიჭებს შევხედე, მერე ფანჯარისაკენ გავიხედე. დავინახე, რომ მასწავლებელი ხელსახოცით თვალებს იწმენდა. უკან რომ დავბრუნდით, ის დიდი მოწაფეები ამბობდნენ: ეს სიმღერა ისე უყვარს მასწავლებელს, რომ ყოველთვის სახე შეეცვლება ხოლმეო. ამილახვრიანთ ხიდზე რომ გავედით, წინ გაბლინძული გრძელწვერა ეანდარმი შეგვხედა. გოლამ მრისხანეთ შეხედა და კბილების კრაკუნით წამოიძახა: ნეტავი როდის იქნება ამათი სისხლით ვავძლეო.

— უი, დამიდგეს თვალები! ბიჭო და შენც ხომ არაფერი წამოგცდა, შე ჩემი ცოდვით საესე, შენა?

— ეი, რა იყო, დიდებდა, ეგრე რამ შეგაშინა? აბა მე რა უნდა მეთქვა! ან თუნდაც მეთქვა რამე, იმან ქართულისა რა ჰირი იცის!

— არა, შვილო, არა, შენ გენაცვალე, კეკელი იყავი, ~~ნა~~ კრინტი არსად დასძრა. მაგ შალატანების ფეხის ხმას არ აპყვევს თორემ ვაგთოკავენ და ციხეში ჩაგაგდებენ.

— ჩაძაგდებენ, დიას! ხელსაც ვერავინ ვერ მახლწებს!

— რას მიედ-მოედები, ბიჭო! ფრთხილად იყავი-მეთქი, თორემ აგერ იმ დღეს ვილაცა ყმაწვილი დაუქერიათ, ციხეში დედა დაუბარებიათ და უთქვამთ, ეს როგორი საძაველი შვილი გაგიზრდიაო. დედა ისე გაჯავრებულა, ასე უთქვამს: თუ ცუდია, ეგ არც ჩემი შვილია, ვისიც უნდა იყოსო. ჰო-და, თუ გამაჯავრებ, ავდგები და მეც ვგრე ვიზამ.

დიდდა წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, ლამფას შუშა მოხადა და აანთო.

— იოსებმა ჯერ გაიცინა, მერე სწრაფად წამოვარდა და დიდდას მაგრა მოეხვია:

— თუ დამიჭირეს, ვილას დავაცდი რამეს... უცებ გამოვარდები და კისერზე ისე მაგრა ჩამოგეკიდები, რომ ველარავინ ვერ ამავლიჯოს... აი, ასე, ასე...

და იოსებმა პატარა ხელები დიდდას კისერზე შემოგრაგნა და გულში მაგრა ჩაეკრა.

ბავშვმა რომ დიდდას გულის სითბო იგრძნო, დამშვიდების მაგივრად თვალწინ წარმოუდგა შარშანდელი გორის ამბები, რევოლუციონერთა ჩხრეკა და ხალხის დაწიოკება, და შიშთან ერთად დაეინებულ კნობის-მოყვარეობა აღეძრა:

„მერე, რისთვის, რის გულისთვის?“ — ვაიფიქრა ბავშვმა. გარკვევით არაფერი არ იცოდა და შეძრწუნდა. „მერე, მართლა და მეც რომ დამიჭირონ?!“ — გაუელევა თავში და სწრაფად დაეზადა კითხვა: „რად? ვის რას დავუშავებ? მაგრამ ისინი რალათ დაიჭირეს?“

არც ეს იცის იოსებმა და უკვირს ბავშვს, იმ დიდ წვერებიან კაცებს განა ისეთი რა დაუშავებიათ, რომ ასე სჯიან?

— რა ექნა, ბიჭო, რას ჩამომეკიდე! ჩამომეხსენ, შვილო, თორემ გული შემიწუნდება, ისედაც დაღლილი დედაკაცი ფეხზე ძლივს ვდგევარ!

იოსებს ხელები მოუდუნდა. ჩამოღვენილი სანთელივით კისრიდან მძიმედ მოეხსნა, ცოტა განზე გადაა და დაფიქრებული სახით დიდდას შეეკითხა:

— დიდდა, მართლაც და დიდ კაცებს რისთვის იჭერენ? განა ისინი რას აშავებენ?!

— ღმერთმა ნუ იცის იმათი დამჭერის თავი! რა ვიცი, რას აშავებენ, ალბათ, აშავებენ რამეს, თორემ რატომ მე არ მიჭერენ?

— მაშ მე რალად დამიჭერენ, განა მე რალას ვაშავებ?

— ჰო-და, მეც იმას არ გეუბნები, შვილო. ჯანდრებს ისე უნდა ერიოდო, როგორც ცოფიან ძაღლებს. არც უნდა დაუბღვირო და არც ის უნდა უთხრა, რაც დღეს იმ გოლას უთქვამს, მაგათი სისხლი უნდა დაგ-

ლითვო. როგორ იქნება, შეილო, ისინი ხელმწიფის კაცები სიონ და არ იცი, რომ დაგიკერენ?

და ამის შემდეგ იოსების გულში რაღაცა და ვიღაცა მოეჩვენა და განმტკიცდა. მაგრამ ეს „ვილაქისადმი“ გამოირკვა შემდეგ მოსახლეობის იოსები სასულიერო სასწავლებლის უკანასკნელ კლასებში იყო.

ამ გამორკვევას ჯერ საღმრთო სჯულის მასწავლებელმა შეუწყო ხელი, რომელმაც იმ საერთო აღტყინების დროს მღვთის დიდება-ქადაგებას უმატა და ანტიქრისტეს მოვლინებით ასე აზინებდა ბავშვებს:

„და როდესაც მეორედ მოსვლის ჟამი დადგება, მამამაზე ამხედრდება, შეილი მამაზე, გაჩნდება შიმშილი, სისხლის ღერა, და ანტიქრისტეს მომზრენი შირონცებულ მეფის წინააღმდეგ აღდგებიან და ვაი იმას, ვინც ცოდვის ბაღეში გაეხვევა. ქვეყანა მაშინ ორ ბანაკად გაიყოფა: ერთ მხარეზე მართალნი და წმინდანი იქნებიან, მეორეზე ანტიქრისტეს მიერ შეცდომილნი მოექცევიან. რომელთაც უცებ თავზე მუხი დასჭექთ, მზე დაბნელდება, ქარიშხალი ამოვარდება, ზღვები შეერთდებიან, დედამიწა გრგვინით პირს გააღებს და ქვესკნელის ცეცხლში მოექცევიან და უსრულებელი ტანჯვისათვის. მართალნი კი ნათლით შეიმოსებიან და ტბილი გალობით ქრისტესთან დამკვიდრდებიან“.

იოსები უკვე მოზრდილი ბიჭი იყო, მაგრამ მაინც შიშისაგან გააფრეოლა, გაკვეთილის შემდეგ, როცა ყველა გარეთ გავიდა, იოსებმა კუთხეში ჩამოკიდულ მაცხოვრის ხატს შეხედა და სასოებით პირჯვარი გადაისახა. შემდეგ კედელზე, ფანჯრებს შუა, ოქროს ვარაყიან ჩარჩოში ალექსანდრე მეორის ამაყად გამომყურე სურათს შეხედა, გულზე ხელი მიიღო და ჩუმად შეჰფიცა: „აი, ამ ქრისტეს ვფიცავ, არასოდეს შენი მოღალატე არ ვიქნები-ო“ და ამ ფიცის აღსანიშნავად კედელზე ფრჩხილით დასწერა: 1879 წელი 24 ენკენისთვე...

ვასო ღეჯანოზიშვილის დაკრძალვა.

გაკვეთილები რომ გათავდა, იოსები ამხანაგებით გარეთ გავიდა. იქვე, ეზოში, პატარახანს კოჭი წაითამაშეს და შემდეგ სახლისაკენ გასწიეს.

გორის ციხეს კვლავ შემოდგომის წყნარი მზე დასთამაშებდა. ირგვლივ ქართლის მთები რაღაც იდუმალი სევდით იცქირებოდნენ. მხოლოდ გიფი ლიახვი ჭჭუხდა გაშმაგებით და მტკვრის შუაგულში შეჭრილი ხილამდის ლურჯ ზოლად მიჰყვებოდა.

შუა დღე იყო და დიდ ქუჩაზე ჩამწყრივებული მალალი ვერხვები წყნარად შრიალებდნენ.

ეტყობოდა, რომ შუალამის მატარებელი მოსულიყო, რადგან დაბარგული ეტლები ხიდიდან ზემოთ მიიმართებოდნენ.

იოსები ამხანაგებით სკოლის წინა ფსადთან შეჩერდა. როცა ხიდისკენ გაიხედეს, შეამჩნიეს, რომ სწრაფად მოჰქროდა შავცხენებიანი ეტლი.

მეორე მხრიდან, სადგურის მიმართულებით, ჩქარი ნაბიჯით უკან დასრული მიემართებოდა, ეტლის დანახვაზე ისინი უცებ შეჩერდნენ და მეეტლეს ხელი დაუჭიეს. მეეტლე უკან გადაიხინჯა, გააჩერდა და ცხენებს სადავე ძლივს დაუჭირა და გააჩერა.

შიგ მჯდომი სამხედრო ექიმი, ქაიხოსრო ფურცელაძე, მგზავრებს შეკრული შუბლით და შეშფოთებული თვალებით მიაშტერდა, თან მგზავრებისაკენ სწრაფად გადინარა და სანამ ისინი იტყოდნენ რამეს, გამწყრალივით ჩაექითხა:

— შიო, რა ამბავია?

— შენმა ამბავმა გიმტყუნა, დაგიგვიანდა, ქაიხოსრო!

მეორემ თვალებზე ხელსახოცი მიიფარა და გაბზარული ხმით დაურთო:

— ჩვენი ვასო აღარა გვეყავს...

გაფითრებულმა ქაიხოსრომ შუბლი უარესად შეიკრა, ქვედა ტუჩზე კბილები დააჭირა და ქალაღღში გახვეული რეზინის ბალიში მკეცხავადი თხელიდან დაუფარდა.

— ვაი შენ ჩემო თავო! ვაიმე გორის სიამაყვე! მწუხარებით წამოიძახა მეეტლე გრიშკამ და თავი ნაღვლიანად გააქნ-გამოაქნია.

— ბიჭო, ტირიან, რაღაც ამბავი მომხდარა. აბა შეხედე, ეტლში მჯდომი კაცი რა დაღონებული სახით ზის! — სთქვეს ბავშვებმა და ის იყო მეორე მხარეზე გადასვლა დააპირეს, იქნებ მათ ლაპარაკს ყური ზოვკრათო, რომ მეეტლემ სადავეები დაარხია და ეტლი შურდულივით შემოთ გაქანდა.

შიო დავითაშვილი და მათე კერესელიძე-კი სადგურისკენ გაემართნენ, რომ ტფილისისა, ქუთაისისა, თელავისა და ბათუმისათვის ვასო დეკანოზიშვილის გარდაცვალების ამბავი ემცნოთ.

ბავშვები ზეფითკენ წაეიდნენ, ქალაქში რაღაც ყრუ ჩოჩქოლი შეამჩნიეს. ხალხი ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად იდგა.

ბავშვებიც შეჩოჩქოლდნენ, დაღვრემილი ხალხის დანახვაზე ისეთი ცნობისმოყვარეობა აღეძრათ, რომ შუა ქუჩაში ვიღაც გამვლელი გააჩერეს და შეეკითხნენ:

— ძია, რა ამბავია?

— ბავშვებო, დღეს ისეთი ადამიანი გარდაიცვალა, რომელიც მთელი გორისათვის ძლიერ ძვირფასი იყო. ვასო დეკანოზიშვილი არ გაგიგონიათ? ლექსებს სწერდა, წარმოდგენებს სდგამდა, ბიბლიოთეკებს და სახალხო კითხვებს მართავდა...

— ჰო, ჰო, როგორ არა ძია! ის ხომ ჩვენი მასწავლებლის სოფრომ მგალობლიშვილის ამხანაგი იყო, ჩვენ სოფელშიაც მართავდა წარმოდგენას, შევ ვასოს ეძახდნენ, — სთქვა ერთმა ბავშვმა.

— ჰო-და, ის შარშან დაიჭირეს, ი დაჰლექდა და აი დღეს გარდაიცვალა.

ბავშვებმა გაკვირვებული თვალებით ერთმანეთს გადახედეს და ლაპარაკით ისევ ზემოთკენ გაემართნენ.

„მაშ ესეც ხომ ხელმწიფის მოწინააღმდეგე იქნებარა? მკვლელობა რომ ჩაუსვათ? ჩვენი მღვდლის სიტყვით, ისიც ანტიქრისტიანულია“ — გულში გაივლო გაჩუმებულმა იოსებმა და ძალზე შეწუხდა, აზრები თავში აერია, გული შეეკუმშა.

მორწმუნე ბავშვი მღვდელს კი უჯერებდა, მაგრამ გარშემო მომზადარი ამბები, ხალხის დრტყინვა, ამხანაგებს შორის ხელმწიფის წინააღმდეგ მოკრული სიტყვები, ხალხის დაქერა — ყველაფერი ეს იოსების გულში დიდხანს იბრძოდა და მაინც ვერ გაეგო, ხელმწიფე ხალხისათვის რად იყო ბოროტი და თუ ბოროტი იყო, ღვთის ნაკურთხად რად აღიარებდნენ, ეკლესიაში მუდამ რად უგალობდნენ?

ოთხი დღის შემდეგ ვასოს დაკრძალვის გამო გორი მთლად შეწრიდა. დაკრძალვის დღეს უამრავი ხალხი მოზღვავებულიყო და ვასო დეკანოზიშვილის დასაფლავებისათვის გორს მოსდგომოდა.

ტფილისიდან და ქუთაისიდანაც მოსულიყვნენ. გორის ხიდი ეტლებისაგან განუწყვეტლივ გრიალებდა. საკრებულო ტაძრისაკენ მიმავალი ქუჩები ხალხს ვეღარ იტევდა.

ღუქან-ბაზრები ყველგან გამოეკეტათ და ამქრებად დაყოფილი ხელოსნები თავიანთი ბაირალებით წამოსულიყვნენ.

ქუჩის ერთ მხარეზე დაბლები, ხარაზები და მეჭურჭლეები იდგნენ. მეორე მხარეზე მკედლები, ჭონები, დურგლები და სხვები ჩამწყვრივებულიყვნენ.

თორმეტ საათზე ცხედარი ეკლესიიდან გამოასვენეს.

როცა ტფილისიდან მოწვეულმა სასულიერო გუნდმა „წმინდაო ღმერთო“ დაათვა და შორეული გამოძახილივით ხმა დაუდაბლა, ამ გაცრიაგებული გალობის ფონზე თითქო ფოლადს კვერი დაქერესო და მოულოდნელად შეაწყვრიალესო, უცებ გაისმა:

— წამებულო, ხალხის გულის მესაიდუმლე, ძვირფასო ვასო! ყველამ თვალი იმ ადგილს მიაშტერა, საიდანაც ეს ფოლადისებური ხმა მოისმა. მრავალთ კისერი გაიძაგრა, დაბალი ტანის ხალხი თითის წვერებზე შესდგა, რომ სიტყვის შთქმელი თავისი თვალით დაენახა.

დათალხული ჭირისუფლები ორატორის სიტყვებზე კუბოსთან ისე მოიხარნენ, თითქოს ეს სიტყვები მძიმე ლოდივით ზურგზე დააწვათ და მისმა სიმძიმემ მოლუნაო.

— ეს გიორგი ზდანოვიჩია! — გაისმა აქა-იქ ჩურჩული. ორატორი ვასოს ნიქსა და გულის სითბოს, ვასოს ხალხისადმი სიყვარულს ადარებდა გაზაფხულის მზის ალერსს, რომელიც შავ-ბნელი ცხოვრების ყინულს ადნობს, ხალხის სულს ათბობს და მომავლის იმედით აყვავებს.

„და აი ამ დევ-გმირის გული მეტეხის ლოდებმა ჩაჭკოლეს, დახშულ-მა ჰაერმა სული შეუხუთა და შეიმუსრა ძვირფასი საგანძურს, დაიმსხვრა ძვირფასი ქურქელი ძლიერი სულისა“.

ორატორი გრძნობამ შეიპყრო და უკანასკნელი სიტყვებით სპარული ხმით დაათვა.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ამ სიჩუმეში მარცხენა მხარეს, სადაც ქარგლები იდგნენ, უცებ დუდუკი აკენესდა, და ზაფხულის თქეშევით ხალხის გულის სიღრმიდან უეცარი ქვითინი რომ დაიძრა, დუდუკის ზუ-ზუნს საერთო მოძახილად გაჰყვა. ყველა ატირდა, ყველა, ვისაც თვით-მპყრობელობის მძიმე ხუნდები სულს უმწარებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ვიწრო ქუჩებში ხალხი შავ ზოლად შეირხა, ამქართა დროშები ნელი ფრიალით აღიმართნენ და პროცესია კვერნაყის სასაფლაოსაკენ გაემართა.

გორს არ ახსოვდა ამგვარად ვინმეს დაკრძალვა. გორის ვიწრო ქუჩებს ზღვა ხალხი ტალღასავით მოსწოლოდა.

პოლიცია და ჟანდარმები დილიდანვე დაფაცურდნენ, მაგრამ როდესაც ტფილისიდან ქუთაისიდან უამრავი ხალხი მოაწყდა, სადღაც გაძვრნენ და დაიშალნენ.

იოსებ ლალიაშვილი ამხანაგებთან ერთად სასაფლაოზე სამხრეთით იდგა, როცა ერომა ორატორმა იოსებს თითქოს მისი გულის და ფიქრების საპასუხოდ ყურში ჩასძახა:

— დაუვიწყარო ვასო! შენი სიცოცხლე ამ სიბნელეში კოცონივით აპრიალდა. შენ დაიწვი, მაგრამ შენ მიერ დაწყებული საქმე შენი სიკვდილით უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა. აბა შეხედე: საქართველოს ყველა კუთხიდან შენ მოძმეებს თავი აქ მოუყრიათ, და სახლში დაბრუნებისას ყველა მათგანი შენი გულიდან დანაკვეთს ნაპერწყალს თან წაიღებს და ჩირაღდნებს დაანთებს.

„ნეტავი მაგას... ნეტავი მეც ეგრე მოვკვდე...“ — გაიფიქრა გულ-შეკუმშულმა იოსებმა და თვალებიდან ცრემლები გადმოაბნია.

ეხლა კი მიხვდა იოსები, რომ ხელმწიფე ხალხის მტერი ყოფილა, მაგრამ რად და რისთვის — ეს საკითხი იოსებს სოლივით თავში ჩაერქო და სანამ სემინარიის კედლებში არ მოხვდა, ვერ გაერკვა. მანამდის კი ეს ფიქრი შიგნით უჩუმრად ღრღნიდა და აწუხებდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მონაღიჩე

კვლავ არის ხალხი: ტყესა და ქარში
მათი თვალების ვარსკვლავნი სხედან.
ყინვიან ქარში და იმათ ხმაში
გარდასულ წლების ქალარას ვხედავ.

შემოიხვევენ ცეცხლის ფერიანს
ველზე გაეარდმილ ცხენების ფაფარს
და ნამქერიან გზებზე მღერიან
მთვრალი კენტავრის შორეულ ზღაპარს.

და ცხენის ოფლი ნესტოებს ავსებს,
ვით დემონური სასმელის შხამი,
როცა უკაცურ მინდვრების თავზე
თვალეზდათხრილი დაწვება ღამე.

აჲ შტუცერი სამიზნოს ელის,
ცალ თვალს ჯიუტად რკინაზე ლულავს
და გაქარული კუნთები ხელის
ბლუჯავენ თოფის გაყინულ ლულას.

გაზაფხულის ეამს ტევრებში სხედან,
ტოტებზე ჩრდილებს იჭერენ სწრაფად
და ბუს თვალებით გაფრენილ ქედნებს
წკრიალა ფრთებზე აყრიან საფანტს.

შემოდგომაზე, როს უკაცური
გრიგალი ზარავს მოწყენილ საზლებს,
გზებზე, მინდვრებზე, შოლტის ტყაცუნით
გამორეკავენ დაგეშილ ძაღლებს.

უყვართ ფრინველი, თევზი და მგელი,
რაც სუნთქავს — უყვართ, უელიან სოფელს
და შაინც ტკბილად ბლუჯავენ ხელით
ნადირის სისხლით შეღებილ თოფებს.

მიქოლა გაბან

ლამის რეისი

იური იანოვსკის

აიწევს ხელი და კალმის წვერი,
თითქო გაღეულ ხმლის პირი იყოს,
ნაჩხაპნ ქალაღდზე გააკრავს ცერად
იაღქანივით გაღუნულ სტრიქონს.

მაგრამ აფრებში მწყობრი სტროფების
ქარი კივილით დაღრბენს ბწყარებს,
ქარი მიგნებულ კატასტროფების
სტრიქონებს შუა დარეკავს ზარებს.

წვა, შთაგონება, ძიება, გზები.
სევდათა სევდა — და ლხენა შენი;
შიაპობს ტალღებს აშლილი ფრთებით
შენი პოეზიის მაღალი გემი.

შიაპობს ღამეს, ქარიშხალს, წვიმას,
და იგრძნობს ბნელში — გრძნობით უღვეით:
რაც წინ მოელის, რომ ერგო წილათ,
გზა თავგანწირულ მეზღვაურების.

როგორც ნახმლევის კვალი ატყვია
ზღვებს გზები სწორი და პირდაპირი.
გემს მეკობრული შფოთი არტყია,
მას არ შეხვდება არსათ ნაპირი.

და ზღვის ქეჩოზე იქროლებს ასე,
ერთად ივლიან გემი და ქარი,
ქარი გმირების ყიეინით სავსე,
დარეკავს როგორც განგაშის ზარი.

ალბატროსივით სწრაფი და ურჩი,
 ეცემა აფრებს, დაუწვევს აშლას,
 როგორც ხანჯალი დაკრული გულში
 და ეანგიანი შეკობრის დაშნა.



მამ დაჰკარ ჯაჭვეებს—მორგვებს რომ გიგავს,
 ჭარში შეაგდე ლატანი ანძის,
 შენ სამელნეში ვერ ნახავ გრიგალს
 და სათარეშოდ გასროლილ მანძილს.

შენ, მჯერა, იელი მგზავრი გვიანი,
 გბიელი ბრძოლებს, წყალსა და მიწას,
 ვერც გულს შეგიწყევს გზა აედრიანი
 და ვერც კომპასის პაწია ისარს.

თარგმანი უკრაინულიდან ილო მოსაშვილისა

ალ. ზვიზვილი

ლ ე ლ ო

ალეგრო-სეირნობა *)

შებინდა. მელიქაურის ბრიგადებმა უკვე მოასრულეს ჩაის ჩაბარება. სამლეთოელებიც იქ არიან. აწონეას მორჩენ კიდევ. პროცენტები გამოიყვანეს. მელიქაურმა თორმეტი პროცენტით გადააქარბა გუშინდელ ნაკრებს. ახლა საქმე სამლეთოს მესამე ბრიგადაზეა. ის სწყვეტს შეჯიბრების ბედს. მაგრამ მელიქაურლები უკვე გათამამდნენ. სამლეთოს ცამეტი საველე ბრიგადა ჰყავს. მესამე ბრიგადა დიდი ბრიგადაა, მაგრამ იმდენი მაინც რა უნდა მოჰკრიფოს, რომ მელიქაურს გადააქარბოს. ამიტომ დაალაგებს გრძლად მელიქაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯორბენაძე და მხიარულად იფშენებს ხელებს. მელიქაურის საბჭოს თავმჯდომარე შუშუნაც მოუსვენრად ცქმუტავს. ხან გიორგისთან მიიჭრება, ხან სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორთან, ხან „ჩაის ფრონტის“ რედაქტორთან. ვერ ისვენებს. გაიძახის:

ჩენია, ძმაო, დროშა, არ უნდა მაგას დიდი ფიცი-მტკიცე, ხომ დავემუქრეთ და შევასრულებთ. ერთხელ ხომ წავიღეთ! ახლაც შევირჩინთ.

ტაშტის ტოლა მთვარე ამოვიდა. ისე მოწითლდა აღმოსავლეთის მხარე იტყვი, ალიონი ფერავსო. მესამე ბრიგადა კი არსად სჩანს.

— ალბათ, ჰაკად აქვთ საქმე, იმიტომ ითრევენ ფეხს, — როხროხობს ჯორბენაძე.

დაიცადეთ, ჯერ სადა ხართ? — იძახის სკაჩია. სული კბილით უჭირავს, უნდა შერმანდიასთან მივიდეს, ყველაფერი გადმოაფრქვიოს, მაგრამ ის გიორგისთან და „ჩაის ფრონტის“ დირექტორთან დგას.

შერმანდია დამშვიდებულად არის. ჯორბენაძის და შუშუნას ცქმუტვაზე ოდნავ შესამჩნევად ილიმება. ხანდახან სემაფორის ჩაიდან მომავალ გზას ვახედავს.

— არა, მაგენი გათენებამდე ჩავიდნენ საკრეფში, თავს არ შეირცხვენდნენ, — ფიქრობს ის, — მაინც სად დაიკარგენ ამდენ ხანს, რა მოუვიდათ?

*) დასასრული. იხ. „მნათობი“ № 9

— ხომ გავტეხე ყაძახი წელში, — ნიშნისმიგებით იძახის ჯორბენაძე. — აბა, რა გეგონა შენ, თუ იცი, რომ დაიტრაბახე თათბირზე, იმდენ ხალხში, მელიქაურს თუ გაუჭირდა, ნაღს მივახმარო. ექსტენსიული

— დაიცადე, ნუ აგშლია სალერდელი, — ამბობს სტამბაქიძის აქერსი, რომ არაფერი წამოსცდეს.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, საიდნალაც ამოძვრნენ დანიელა, სილოვანა და ქიშვარდი. იმ კუთხისკენ არც კი გაუხედავთ, სადაც შერმანდია, ჯორბენაძე, ეპიფანე და გიორგი კამათობდნენ. შეუმჩნევლად ავიდნენ ჩაის მიმღები პუნქტის მოაჯირზე.

ქიშვარდიმ სამღეთოს მონგარიშე განზე გაიხმო.

— რამდენ პროცენტს არიან გასული მელიქაურლები? — კითხა მან.

— ასოცდაშვიდ პროცენტს.

— ჩვენებს რამდენი პროცენტი აკლიათ?

— თორმეტი პროცენტი აკლიათ და ჯორბენაძემ აგერ აგვიკლო ტრაბახით, როგორაა თქვენი საქმე, ვითომ ვერ წავუსწრებთ? — აღელვებულად შეეკითხა მოანგარიშე, — არ მოგვეჭრას თავი ამ ქვეყნის ხალხში...

— შენ ერთი ის დამიანგარიშე ჩქარა, რამდენ პროცენტს გასჭრის, შეიდასი კილო რომ მჭონდეს? — *კითხა დანიელამ. სამივე მოუთმენლობით გაგუდული უცქეროდნენ, სანამ მოანგარიშე გაცხარებით ატყაცუნებდა საანგარიშო შიბებს.

— მაშინ ჩვენები ასოცდაათ პროცენტს იჭნებიან გასული. სამი პროცენტით წავუსწრობთ მელიქაურს, — სთქვა მოანგარიშემ.

— აბა ჩვენ ცხრაას კილოზე გადავახტუნებთ. მარტო ციცინოს ნაკრეფია ორას თორმეტი კილო, — შვებით ამოითქვა შეგუბებული ჰაერი დანიელამ.

ქიშვარდი ისევ გადახტა მოაჯირიდან, გაუჩინარდა. ცოტახნის შემდეგ ბაჭურიამ ბუკი დააყვირა. ჯერ მოსახვევიდან ბავშვები გადმოხტნენ. ნოდარი, გურამი, ელგუჯა, ციალა თიქნებივით მოკუნტრუშობენ.

— აბა, მოიტათ! — დაიძახა დანიელამ და ხალხმა იწყო „საფარიდან“ გამოსვლა. გოდრებით, გორიცებით, კალათებით გაივსო ჩაის მიმღები პუნქტის ეზო. ბავშვები ვითომ დიდებს შველიან აწონეაში. ერთმანეთს ეძიძგილავეებიან, ხელს ჰკრავენ, — არა, მე ავწონი პირველად და არა მეო. პატარები სულსწრაფობენ. მანამ ჰყრიან ნაკრეფს ხეაგზე, სანამ მოანგარიშე ქვითარს ამოსწერდეს. მათ მხოლოდ ის ახალისებთ, რომ დიდი კალო დააზვინონ.

— მაკალეთ, ბაღნებო! რომ ყრით ასე ჩხოსავით, გამაგებიეთ ერთი, ვისი ნაკრეფია, — იძახის აფორიაქებული მწონავი.

გიორგი, შერმანდია, ჯორბენაძე და ეპიფანეც მოდგნენ სასწოროთან. ბავშვები არ ისვენებენ, კალათებისკენ მიიწევენ. მათი ამჟღავნებული ფეხქვეშ ებლანდებიან ხალხს. მალაყებს გადადიან.

— ვისია, კაცო, ამდენი კირკლები? — ამბობს გოდრებმა, რომელიც თვალს ვერ აშორებს სასწორის ენას. ეტყობა, რომ ღელავს.

— მაგი ივაკიეს ნაგრამია. ივაკი ოჯახშიც დამკვთრდეს და მჩივადან-შიც, — დაიჭყვიღა სკაჩიამ, — მალე პრემიას მიიღებს.

— რამდენი გყავს, ივაკი, — მიუბრუნდა „ჩაის ფრონტის“ რედაქტორი.

— რა ვიცი რამდენია. აგერ ბრევეწობა სალამოს გავუყეოთ მუცლის სალოცავს და მაშინ გადავთვლი, — სიცილით მიუგო ივაკიამ. — მართლა, რამდენია თუ იცი, შე ქალო, — მიუბრუნდა ის ჩია ქალს, რომელიც ახლაც აბრეშუმის თავსაფარს იფარებდა წამომბერილ მუცელზე.

ირგვლივ სიცილ-ხარხარი ატყდა.

— ოჰ, შეისპე შენი! — მიაძახა ცოლმა.

გოდრები და კალათები კი ისევ მიიწვევენ სასწორისაკენ.

— ქილიფთარი ესმა, სამოცდარვა კილო, — იძახის მწონაეი.

— უყურეთ ამ ხელჭაკვა მოლაზონს, რამდენი მოუტყრეფია... მაგი მართლა გავა სარეკორდო კრეფაზე, — ჩაილაპარაკა ვილაცამ.

ესმამ ნაკრეფის აწონვა მოასრულა, მაგრამ მაინც სულ სასწორს უტრიალებს:

საერთო გეგმა როგორაა, საერთო გეგმა? ერთი იგი მითხარით თქვენ, — იძახის აღელვებული.

ციცინოს ნაკრეფს ცალკე ჰყრიან და მის გარშემო შემოიჯარენ მელიქაურელი და სამღეთოელი მკრეფაეები.

ლორთქო დუყები ბორცხვად დგება.

— მოდის და მოდის, დაილოცა შენი ხეავი, — იძახის ალტაცებული სკაჩია, რომელიც მწონავს ეშველება.

— გაუშალეთ, გაუშალეთ მაგ ჩაის... რას შეზვინეთ ამ სიმალღეზე, არ შეხურდეს, — ცხარობს ქარხნის აგრონომი.

— რა შეახურებს, აგერაა ქარხანა და მიეცი თ ხარხაში, — იძახის სკაჩია.

— მართლა ერთმა ქალმა მოკრიფა ამდენი ჩაი? — იძახიან გაოცებული მელიქაურლები.

— რამდენი კილო მოკრიფა თქვენმა რეკორდსმენმა? — კითხულობს ყოველი ახალი მოსული.

— იმდენი და... ცოტა მეტი! — უპასუხებს სკაჩია.

ამდენს თხემლას ევერს ვერ დასტეპს ერთ დღეს კაციო, არავის არ სჯეროდა, თუ ამდენი ჩაი მოიკრიფებოდა ერთი კაცის ხელით. — ისმის ხალხში.

ციცინო კი განზე დგას ქიშვარდისთან ერთად. მთელი სალამო ერთმანეთს არ მოსცილებიან.

— გვიჩვენეთ ერთი მაინც, რომელია მაგი ციცინო ფარვანიძე, — ეკითხებიან მელიქაურლები შესამე ბრივადის ხალხს.

— ე! ქალებო, აგერ, მესერთან რომ დგას წითელკაბიანი.

მელიქაურლები ახლოს მოდგნენ. ისე უპკრეტენ ცაცინოს, როგორც წინად ჯარიანობაში საპატარძლოებს წკრილავენდნენ ხოლმე.

— დედა, რა ლამაზი ყოფილა! ვითომ რატომ არ შიკრუფდვარეველაზე მეტს?! — ოხუნჯობენ მელიქაურელი ყმაწვილები. საქრისჩაქრისაძლება გარს ერტყმის ცაცინოს.

— ჩემს ხელში რომ არ გამოველო ას სამოცდაორ კილოს, სწორედ არ დავიჯერებდი, — ჩაერია ასინეთი, — შერე რაფერ სუსტ ჩაიზე, ქალებო...

თუ გადაახტებიან მელიქაურლები ამ ცაცინოს ნაკრეფ ზენის, მაგენს დარჩება დროშა... — გააწყვეტინა დანიელამ ასინეთის და ზევით აკრეხილ უღვაშებზე თავმომწონედ გადაისვა ხელი.

— მაგენი მურთაქაზე გადახტებიან, — წამოიძახა სკაჩიამ.

— აჰ! მაგი როვა გეკადრებათ?! — შეუტია სეფემ სკაჩიას. — ძველი დრო ხომ არ არის, მეზობლების ატორიტეტს არ უნდა შეეხოთ.

— თქვენ მაინცდამაინც დღეს თუ აპირებდით რეკორტების დამყარებას, მაგი უნდა თქმულიყო თავიდან, — სცადა ვილაცამ შედაეება მელიქაურლების მხრიდან.

— აჰ! მაგი არსად გააცხადოთ. ჩვენ რა, რეკორდზე პატენტის კი არ გვაქვს აღებული... თუ შეგიძლიათ, ხუთასი რეკორდი დაამყარეთ ერთ დღეს. ვინ გიშლის?! — დაიძახა სკაჩიამ.

— სწორია, სწორია, — დაუდასტურა გიორგიმ. — ორივე კარგი ბიჭები ხართ, სამღეთოც და მელიქაურიც, მარა... დროშა ისევ სამღეთოს უბრუნდება.

თქვენ, ამხანაგო გიორგი, სამღეთოზე კი ხართ მიმავრებული, მაგრამ მაგენს ნაციას ნუ გაუწევთ, — ხუმრობით დაიძახა ისევ ვილაცამ მელიქაურლების მხრიდან.

— რალა დროის დაეა?! არიან კიდეც ღირსი. — შემარიგებლად სთქვა შეშხუნამ.

— ხომ ვამბობდი მე, ბოლოს იცის შერმანდიამ დარტყმა თქვა! — აგერ შეასევერ იმეორებს დღეს სკაჩია.

შუალამედე გაგრძელდა აწონვა. მოანგარიშემ უკანასკნელად გაპკრა საანგარიშო შიბებს თითი. მესამე ბრიგადის ნაკრეფი ცხრაას ორმოცი კილო გამოდგა. ასოცდათორმეტ პროცენტზე ავიდა გეგმის შესრულება.

— ჩენია დროშა, ჩენი! — იხუვლეს სამღეთოელებმა და ეს ყიყინა ლელოს გატანის ზეიმს ჰკავდა.

— ჩვენ დაგერჩა დროშა. — ჭალიშვილივით მხიარულად დაიძახა ესამამ და ჭიშვარდიმ მთვარის შუქზე შენიშნა, თუ როგორ გაუხსნა დედამისის სიხარულმა ნაოკებით დასერილი სახე. — ახლავე ჩამოგვიტანონ...

— ამ შუალამეზე რა მოიტანს დროშას, ხვალ დილით გამოვიგზავნით, — სთქვა ჯორბენაძემ.

შერმანდია არ აპერდა ფეხს, მაგრამ სამღეთოელები ადგილიდან დაძვრას არ აპირებდნენ.

— აჰ! აჰ! ახლავე გვინდა, — შეუვალად განაცხადა ხმაში ჩემი ხელით უნდა ავიტანო თემში. ჩვენი ნადის გამოისობით რომ შეეშალა შაშინ ბრიგადას ხელი, იმის ჯავრმა კინალამ გადამიტანა, ამდენხანს

ხელად გამოჩნდნენ მოხალისეები დროშის მოსატანად. სკანდალური მარველი აიჭრა მანქანაზე.

— ხელად აქ გაეჩნდებით! — დაიჭყივლა მან.

— არ დახედოთ დროშას, რა ფერისაა, არ გიხამოს... — მიამახა ჯორბენაძემ უკვე დაძრულ მანქანას.

— გვიხამოს რა, დროშის უნახავი ხომ არ ვართ, სულ ჩვენთან არ იყო მაგი დროშა?! ამის მეტად არ მოსწრებია ისტორიას, მელიქაურს სამღვთოსთვის დროშა რომ წაერთმიოს. ქე ვამბობდი მაშინაც, ბოლოს იცის შერმანდამ დარტყმა თქვა.

დროშის მოლოდინში ხალხი ჯგუფებად დაიყო. მერხზე ჩამომსხდარი ქალიშვილები ერთმანეთს თმას უწნავენ. ტოტზე გამწკრივებული კვირიონებივით წუთის-წუთს იცვლიან ადგილს. ყმაწვილებიც მათ ეტმასნებიან. განვლილი დღის შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს. შთავარი სალაპარაკო ციცინოს დღევანდელი რეკორდია. ისევ და ისევ უბრუნდებიან მას. ციცინო და ქიშვარდი ისევ მესერთან დგანან განმარტობით. ბრიჯის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ბონდო ახალგაზრდების ჯგუფსა და ციცინოს შუა დგას. თხელი ტუჩები ნესტევივით წინ წამოყრილი აქვს. ზოგჯერ ამოსუნთქვას სტვენივით მსუბუქად ამოაყოლებს „პატარა საყვარელო“-ს ჰანგს. ქიშვარდი ამჩნევს, რომ ბონდო რალაცის მოლოდინშია. უნდა მესამე ბრიგადის ახალგაზრდებს შეუერთდეს, მაგრამ ჯერ ვერ მოუწვლელია, დღეს რომ გააბიაბრუეს. მოხერხებულ წუთს ელოდება, რომ მათ წრეში შეიჭრას. ხშირხშირად გახედავს მერხზე ჩამომჯდარ ქალიშვილებს. ციცინოსა და ქიშვარდისკენ კი ზურგშექცევით დგას.

— მართლა, რა ამბავი დაათენა დღეს ციცინომ! ორი კაცი ვერ ასწრებდა მაგის ნაკრეფის აწონვას და ფარდულში მიტანას, — სთქვა ყარამანამ.

— შენ ის სთქვი, ასინეთის ქმარს, ილარიონს რა დღე დააყენა... — ჩაერია ბონდო. — გაიგონეთ, ლევანამ ჰკითხა ფარდულთან: რა ქენი, ილარიონ, ჩვენ რომ ვაგვექეცი და მესამე ბრიგადას მოეხმარე, რა მოიგეო? უნდა გენახათ, რაფერ აღუდღუნდა, — გამოაჯავრა ბონდომ ილარიონი. სახე შეიცვალა. ტუჩები აბრუცა. ცხვირიც ისე მოღრიცა განზე, რომ ილარიონივით მოყინული კარტოფილის მსგავსი გაუხდა. შემდეგ ილარიონის მინამსგავს ხმაზე, სრენით და დუდღუნით დაიწყო:

— მაგის ოჯახს დააქცევს ღმერთი, იმდენი ჩაი მოკრიფა, ორი ყაძახი გაგვსტკლიცა გოდრების ზიდვითო.

ქალიშვილებმა კისკისი მორთეს. ყმაწვილებიც კი, რომელთაც დღეს ასე გაინაპირეს ბონდო, გულიანად ხარბარებდნენ.

— გაგვსტკლიცა, გაგვსტკლიცა, — იმეორებდა სიცილით თვალმაცრემლებული ყარამანა.

ციცინოს აღმური მოედო სახეზე.

— კარგი, ნუ ტუტუცობთ, — გაწყრა ეონა.

— რა ტუტუცობაა? ქართულ სიტყვას ყველას კრიტიკა აქვს — გამოესარჩლა ბონდოს მარგალიტა.

— აბა! მაგდენი ჩაის ზიდვა ხუმრობა საქმე ხომ არაა, ხომ ნახეთ, რანაირად გაწიწმატდა ასინეთი, ციციონომ რომ აჯობა, — სთქვა კლეოპატრამ.

— დედა, რა ინტერესიანია, გასკდება გულზე, ვინმემ თუ აჯობა! — სთქვა მარგალიტამ. — ერთი გასცინე, ბონდო, რაფერ ეკითხებოდა ქამიტოს ჩემ ჯილდოზე თუ ლაპარაკობდნენ მასწავლებლებიო.

ბონდოს დიდი ხეფწნა არ დასჭირდა. ხელათ შეუღდა ასინეთის და ქამიტოს დიალოგის წარმოდგენას. ჯერ ტანში აიწურა, ასინეთივით წაგრძელდა, სახის კუნთები ისე დაჭიმა, რომ ცხვირი სასხლავივით გაუმახვილდა და პირისახეც დაუგრძელდა, მარგალტას ანჯღრევდა და ასინეთის მინამსგავს მჭახე ხმაზე ეკითხებოდა:

— ქამიტოვ, ცაე, არ ულაპარაკიათ წუხელის პედსაბჭოზე მასწავლებლებს, ასინეთიმ ხუთასი მანეთი ჯილდო მიიღო? — ახლგაზრდები სიცილით იფხრიწებიან, ბონდომ კი ხელათ იცვალა სახე. ახლა სკოლის დარაჯად, ენაბლუ ქამიტოდ გადაიქცა. ქამიტოს მსგავსად წელში გადაზნექილი, სარგადაყლაპულივით, ქუსლებზე დადიოდა და ენაბრვეილად ჩორჩოლობდა:

— ა... ა... ვიცი მე. აა... ა ვიცი, მაგი გვაკლია ახლა, მაგაზე რომ ილაპარაკონ. ისედაც შუალამეზე თავდება პედსაბჭოს სხდომა, შიშით ვკვდები, შინ რომ მივდივარ. — ბონდოს ამ „ნომერსაც“ ალტაცებით შეხედნენ.

— რა წყეულია ცირკა, ნამდვილი ცირკი! — მიკნავებული ხმით იძახდა მარგალიტა, რომელიც სიცილისაგან ძლივს იბრუნებდა სულს.

ახლგაზრდების სიცილ-ხარხარმა სხვა ბრიგადებიდანაც მიიზიდა ზალხი.

— რა ამბავია მაქ, ჩვენც გავცაცინეთ, — იძახიან ახალმოსულები. ბონდო ისევე მოწონებაშია. კვლავ ყარყუმობს, ბერიკაობს, ისევე ჩადგა კალაპოტში. მან უკვე შემოიკრივა მესამე ბრიგადის ახლგაზრდები.

მამამისივით კატის ჯიშისაა, ზის წვეროდან რომ ჩამოავდო, ფეხზე დადგება. რა კაცია, ყველაფერს კბილის საკრეჭად რომ გადააქცევს. — ფიქრობს ქიშვარდი. თავის თავს არ უტყდება, რომ მას ახლაც ეხარბება ბონდოს უნარი ყარყუმობის და საზოგადოების გამართობისა. ქიშვარდი ბონდოს არც უცქერის. მას უფრო ის აინტერესებს, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს ციციონოზე ბონდოს მსახიობობა. ციციონო დილიდანვე თითქოს დაუბრებელია ბონდოსთან, მაგრამ ქიშვარდის ეჩვენება, რომ ქალი შემარიგებლად უღიმის ბონდოს, რომელიც ახლა ქვიჯატანა ქიონიას აჯავრებს, მასავით დაკოქლობს, სახელოთი იწმენდს ცრემლებს და ზღუქუნით ამბობს:

— რეიზა არ მითხარით, ქალებო, რეიზა, სემადფორის ჩაის რატ კრედ-
დით დღეს.



ქიონია უკან დასდევს ბონდოს, ელრიჯება:

— კაი, ბონდო, გეყოფა. გვეციინეთ ახლა და კმაყოფილნიყენა
მაგრამ ბონდო სულ არ აპირებს დასრულებას. მთელი დღის ამბები-
ასე გაივლის შემოჯარულ ხალხის წინაშე ბონდოს ბერიკაობაში. ქიშვარ-
დი ხვდება, თუ რატომ იჩენს ბონდო დღეს ასეთ დაუზარებლობას. მას-
უნდა ციცინოს გული მოიბრუნოს, ალბათ ამიტომ სკდება ქიქინაზე, ენა-
მახვილობს, ყველას აჯავრებს. ამდენ ხანს სულ არ იცქირებოდა ციცი-
ნოსკენ, ახლა კი ხშირად გადმოაპარებს მისკენ თვალს, შთაბეჭდილებას
ამოწმებს.

თუ ჰგონია „შანსიან ბიქს“, რომ დღესაც ის შიაცილებს შინ ციცი-
ნოს, — თითქოს ნიშნის მოგებით გაიფიქრა ქიშვარდომ, როცა ბონდო
მათ მიუახლოვდა. მაგრამ მის გულს ეკვი ღრღინს. ციცინოს თითქოს სი-
ამოვნების ღიმილი უთამაშებს სახეზე. ქიშვარდის ეჩვენება, რომ ბონ-
დომ ისევ „მონუსხა“ ციცინო, ისევ ჩადგა მასსა და ციცინოს შორის.
რატომღაც ის დილა მოაგონდა, თუთის ფოთოლზე რომ მიდიოდნენ ცხე-
ნისზურგაზე, სკოლიდან გამოგდებული ბონდო რომ დაბრუნდა სოფელ-
ში ჩანჩურ ხალათში და წულა-მესტეგში გამოწყობილი. როგორ მოსჭრა
მაშინ ბონდომ თვალი ციცინოს. იქნებ ახლაც მიუწევს ციცინოს მისკენ
გული.

ქალიშვილები ბონდოს ეხვევიან.

— შოდი. ერთი ცეკვა მოვაწყოთ! — იძახის მარგალიტა. ყველა აღფრ-
თოვანებით შეხვდა ამ წინადადებას.

— აბა განი, განი, — დატრიალდა ყარამანა ჯოხით.

ამ დროს ჩაის მიმღები პუნქტის კარებს ქარხნის მანქანა მიადგა. შზის-
გან მკლავებზეაყენებული მუშები ხის ნიჩგებით ჰხვეტენ ლორთქო დუ-
ყების ხევს. ფანერის დიდრონ ყუთებს აპირთავენებენ.

— ხაბარდა! ელესა! — ისერიან მძიმე ყუთებს საბარჯულზე.

— გინდა ქარხანა დავათვალიეროთ, მანამ დროშას მოიტანენ? —
უთხრა ციცინოს ქიშვარდომ.

თუმცა ყმაწვილებმა საცეკვაო „ვოჩაგუნა“ დასძახეს, ციცინო მაინც
ხელად დასთანხმდა ქიშვარდის. მან არ იცის, მართლა აინტერესებს ცი-
ცინოს ახლა ქარხნის დათვალიერება თუ მისი ხათრით დაჰყვა ნებას.

თითონაც ვერ გაუგია ქიშვარდის, თუ საიდან მოუვიდა ფიქრად ამ
შუალამისას ქარხნის დათვალიერება. მასაც და ციცინოსაც ასჯერ მაინც
ეკნებათ დავლილი ქარხანა, ახლა რა უნდა უჩვენოს ციცინოს ახალი,
რით უნდა გააყვიროს. ქიშვარდი გულის სიღრმეში გრძნობს, რომ ქარ-
ხნის დათვალიერება მხოლოდ საბაბია. მას უნდოდა როგორმე ციცინო
გაეშორებინა ბონდოსაგან. თითქოს ახლაც შეერთა ქიშვარდი, შეუშინ-
და მეტოქეს, საასპარეზოდან გამოექცა. ეგონა რომ ამ საღამოსაც, ქიშ-

ვარდის ზეიმის დღესაც, შესძლებდა ბონდო ციცინოს ყურადღების დაპყრობას, ახლა თავისთავს არცხვენდა.

ქარხნის ჯიხურს რომ მიადგენენ, სადაც საშვებს იძულებული უფრო აემღურა გუნება. იქნებ არც მისცენ ასე გვიან ქარხნის დათვალიერების ნება.

უფრო იმან შეაფიქრა, ჯიხურის სარკმელში სახე დაჯორჯებულ ბართლომეს რომ მოჰკრა თვალი. ქიშვარდი იცნობს ამ ხისფეხიან მეკარეს. ცოტა მოურიდებელი ლაპარაკი უყვარს. ვაი თუ შეარცხვინოს ციცინოსთან, მკვახედ მიახალოს — რას მომადექით ამ შუალამისას კარზე დაბნეულ ძროხასავით, რა დროს ქარხნის დათვალიერებააო. ახლა ნანობს კიდევ, რომ ციცინო წამოიყვანა, ვაი თუ გაწილებული მოუხდეთ გაბრუნება და ასე ულაზათოდ დასრულდეს ეს საღამო. დღეს ყველაფერი ემარჯვა. მაგრამ ქიშვარდის შიშვე ხასიათი აქვს. თუ პატარა რამეზე წაიფორბილა, ისე სთელის, თითქოს ყველაფერი თავუკულმა წასულიყოს. ამ ფიქრებში გახლართულმა ნაბიჯი შეანელა. ჯიხურს გვერდი აუარა და ისე გაჰყვა, თითქოს უნდა ქარხანას ირგვლივ შემოუაროსო. ციცინოს არაფერი უთქვამს, არ უკითხავს, საით მიედივართო. მაგრამ ამ დროს მათ გზა გადაუღობა ყუთებით დატვირთულმა მანქანამ, წელან ჩაის მიძლებ პუნქტს რომ მიადგა. საბარგული გაჩქარებული მოჰქროდა და ისინი იძულებული გახდნენ ისევ ჯიხურისკენ გადამშტარიყვნენ. მანქანა ალყაფის კარებთან შედგა. მუშა, წელან ფართო ნიჩბით რომ ხვეტდა ლორთქო დუყის ხევს, კაბინიდან გადმოვიდა ქიშვარის გასაღებად. სხვებიც გადმოხტნენ მანქანის ძარადან. ქიშვარდი იძულებული გახდა ბართლომეს სარკმელს მისდგომოდა. აბა ამდენი ხალხის თვალწინ უსიტყვოდ ზომ ვერ გაბრუნდებოდა. ძლიერს ამოთქვა მომზადებული ფრაზა.

— ცოტა გვიან ქვა, ბათლომე, მარა იქნება მაინც შეიძლება ქარხნის დათვალიერება?

— რა ხალხი ხართ თქვენ! — ბუხუნით შეაგება მათ მეკარემ და ციცინოს გახედა სათვალეების ზემოდან. ქიშვარდი დაიბნა. არ იცოდა, რა ეპასუხნა. მას მტვირთავი მუშები წამოეშველნენ.

— ესაა ციცინო ფარვანიძე, დღეს ორას თორმეტი კილო რომ მოკრიფა, — მიაძახა ბართლომეს ერთ-ერთმა მუშამ, უზბეკური ტიუბიტეიკა რომ ეხურა თავზე.

— ოჰ! — გაოცებულად დაიძახა ბათლომემ და საშვების გამოწერის მაგივრად თითონ გამოვიდა ეიწრო ჯიხურიდან, რომ ციცინო კარგად დაეთვალიერებინა.

— მობრძანდით! — სთქვა მან და ქიშვარი გამოაღო. ციცინო და ქიშვარდი ქარხნის ეზოში შევიდნენ.

— მიტია, გაყევი შენ მაგ ხალხს, — მიაძახა ბართლომემ ტიუბიტეიკიან მუშას. თითონაც დიდხანს მისდევდა მათ უკან და ცელივით იქნევდა ხის ფეხს.

— ეს არის, ორასთორმეტი კილო რომ მოკრიფა... — ჩაუღრპრაკა მიტრამ ქარხნის შესავალში მდგომ საქცნობი ცეხის მუშა-ქალუშაყ ხელად მოეფინა ეს ამბავი ქარხანას.

საგრებ საამქროში შევიდნენ. ახალი და უნახავი ^{ქარქინუშლი} ქარაფერი, გელაზებივით გრიალებენ როლერები. ელექტრონის შუქზე ბრჭყეინავს მოალული სპილენძი. ცხროიანივით ცახცახებენ დამზარისბებელი ცხრილები. გამაბრუებელი ძელქის სუნი ასდის ვერმიშელის ფაფასავით მოსრესილ ჩაის დუყებს. ახალი ისაა, რომ მათ ყოველ კუთხიდან შემოესმით:

— ესაა, კრეფის რეკორდი რომ დაამყარა!.. ესაა, ორას თორმეტი კილო რომ მოკრიფა!.. — მოწონების თვალი მისდევს ციკინოს საამქროდან საამქროში და მას ისე რცხვენია, რომ სირბილით მიჰყვება კიბეს. ქიშვარდი ძლივს ეწევა, უნდა შეეშელოს ამ გაუთავებელ კიბეზე ასვლაში. მას თითქმის ქოშინი აუფარდა. სულთმეწიას აღმართი მოაგონდა, შთის ყანა ჯარალაში, სადაც თითქმის ატაატებული მიჰყავდა ციკინო. ჩაის ქარხნის დირექტორიც მათ კვალზე მოდის, მაგრამ ვერ დაეწია. აი, მეოთხე სართულზე აირბინეს. უკვე ქარხნის სხვენის ქვეშ არიან. სახეში ჰაერის მძლავრი ნაკადი სცემთ, ციკინოს კაბას უფრიალებს. ეს შეკუმშული ჰაერია, თუნუქის მილით ქვემოდან მეოთხე სართულზე რომ ისვრის ჩაის ფოთოლს. ციკინოს თავზე დასდის ჩაის ფოთლის წვიმა, მწვანე კოპლებად ეფინება წითელ აბრეშუმის კაბას, წაბლისფერ ნაწნავენს.

— იქნებ შენი ნაკრეფია. — შეფრენით შეჰყურებს ვაჟი ქალს. თუნუქის მილში მოღულუნე ქარი კი ჩაის ფოთლის კორიანტელს აყენებს, თითქოს მათ გულში დაგუბებული სიხარული ისვრის ზევით ამ ფოთლის შადრევანს. ქარხნის დირექტორი წამოეწიათ, დიდის თავაზით მიესალმა ციკინოს, გაჰყვა მათ საფერმენტაციო საამქროსკენ... ამ დროს ღია ფანჯრებში აღტაცებული ვაშას ძახილი შემოიჭრა. დროშა მოიტანეს! — გაუღევა თავში ქიშვარდის და ისევ გაუწია გულმა ჩაის მიმღებ პუნქტისაკენ.

მაგრამ საქაშნიკო განყოფილებაში თითონ გაუღეს კარები, როგორც საპატიო სტუმრებს.

— გასინჯეთ თქვენი ნაკრეფი ჩაი. — შემოეგება ციკინოს და ქიშვარდის თეთრხალათიანი ტანწერწეტა ქალიშვილი. ქიშვარდის თვალში მოხვდა ჩასუჭებული მოხუცის სახე. შუბლზე აწეულ ოჭროს ჩარჩოიან სათვალეებით, რომელსაც ცხვირის წვერზე შერჩენოდა ჩაის ნახარში ფოთოლი. შეძებარივით ყნოსავდა ფაიფურის ფინჯნებში დაყენებულ ჩაის. პირში იგუბებდა, მეზურნესავით ბერავდა მსუქან ლოყებს და შემდეგ თეთრხალათიან ქალიშვილს გასძახოდა:

— პირველი ფრაქცია — 3,75; მეორე ფრაქცია — 3,25; მესამე ფრაქცია — 2,5. ნაყენი კარგია, ექსტრაქტიულია...

— აი, საქართველოს თაიგული. — მიაწოდა ციკინოს და ქიშვარდის ქალიშვილმა ფინჯნები. ქიშვარდიმ სიჩქარით კინალამ პირი დაიფუფქა.

არც გემო გაუგია და არც სუნი. მასწინძლებს მადლი მოახსენა და გარეთ გამოვარდა.

გაჩქარებული მიეშურნენ ჩაის მიმღებ პუნქტისკენ.

— რა დიდკაცებივით მიგვიდეს, — გაცუბით სიტყვებში, როცა ქარხნის ჰიშკრიდან გამოვიდნენ.

— შენ მიგიღეს ამფერი პატივისცემით და მეც გამომითანის, შენ რომ გახლდი, — გაიღიმა ქიშვარდიმ.

— არ გრცხვენია, რეიზა ამბობ მაგას, — შესდგა ციციწო, — შენ ჩემზე ნაკლები ხომ არა ვიშრომია, მე უშენოდ რას გაეაკეთებდი... — ქიშვარდიმ ვერაფერი მიუგო, მკლავზე ხელი მოაქო და მღელვარების დასაფარავად სირბილით გააქანა ჩაის მიმღებ პუნქტისკენ. ხალხი ფართოწრედ შემორტყმოდა მელიქაურის საბარგულს, რომელიც ახლა ტრიბუნად ექციათ. ქალ-ვაჟმა მიტინგის დასასრულს მიუსწრო მხოლოდ.

— სად დაიკარგე, — შეაგება სეფემ ციციწოს, — ქვეყნის ხალხმა ილაპარაკა, შენზე რამდენი ძვირფასი სიტყვა დახარჯეს.

ახლა შერმანდია და ჯორბენაძე პირისპირ იდგნენ საბარგულზე.

ჯორბენაძეს ხელში დროშა ეჭირა. შვექარე ხმით ლაპარაკობდა, ყოველ სიტყვაზე არყევდა დროშის ტარს.

— კვირკობ-მარიობისთვეში სამღვთომ და მელიქაურმა პატარძლებივით შეჰკრეს პირი და თითქმის ტოლად მიდიოდნენ ჩაის კრეფაში და სხვა კულტურების შესრულებაში. ამ თვის ბოლოს ჩვენ ბოლშევიკური ტემპი ავიღეთ და რაიონის გარდამავალი დროშა მელიქაურის მინდვრებში ავაფრიაღეთ. მარა ბოლომდე ვერ შევიწარჩუნეთ ეს ტემპი. სამღვთომ წინ წაგვისწრო გაბედავას გამოცდილების გაზიარებით და დროშა მაგენისკენ წამოვიდა. ჩვენებურებს ცოტა გულს ჰე აკლიათ, ალბათ, ამფერი საქმე რომ მოგვივიდა და მოგებულ დროშა რომ ჩამოგვართვეს, მარა ტყვილა არ იფიქრონ სამღვთოელმა ამხანაგებმა, რომ ჩვენ ასე ადვილად დავთმობთ გარდამავალ დროშას. — ამ სიტყვებზე ჯორბენაძემ მდგრად შეარყია დროშა და განაგრძო: — შეჯიბრება გრძელდება. ამდენ ხალხში საჯაროდ ვაცხადებ, რომ მელიქაურლები ჩვეულებრივად დაეიკოტავენ მკლავებს და დარაზმულად ვეკვეთებით ჩაის ფრონტს. ჩვენც ბევრს გამოვზრდით ჩაის კრეფის ოსტატებს და მე მგონია, სხვა სოფლებიც შეეცილებიან სამღვთოს გარდამავალ დროშას. ასე, რომ, არავის გაუკვირდეს, თუ სულ მალე დროშა ისევ მელიქაურისკენ მიიწევდეს... — დაასრულა ორატორმა. დროშა მალლა ასწია და შერმანდიას გადასცა ტაშის გრიალში და ვაშას ძახილში.

შერმანდიამ დანიელას გადააწოდა დროშა. თითონ საბარგულზე დარჩა. ელოდებოდა, სანამ ხალხი გაეცლებოდა მანქანას, რომ ძირს ჩამოსულიყო.

— ესმას ეკუთვნის დროშა, ესმას! — დაიძახა ეონამ. დროშა ესმას გადასცეს.

— ისე გამიხარდა ახლა მაგი, ვითომ ჩემი ილაკრის და სო გამცოცხლებოდეს! — სთქვა ესმამ და შავი თავშლის ბოლოთი თვალის კიდეები მოიწმინდა.

— აესწიოთ ბრიგადირი, აესწიოთ! — დაიყვირეს მამჩინებელი ყარამანამ. დანიელა ჰაერში შეისროლეს. ერთხანს მელიქაურლები განზე იდგნენ, შემდეგ ესენიც ჩაერივნენ სამღეთოელების ზეიმში.

— გამიშვით, კაცო, არ დამამტერიოთ, — ყვიროდა დანიელი.

— რა გიჭირთ, ძამია? — ჩაილაპარაკა ამდროს ვილაცამ სეფეს გვერდით, — მოგეხმარათ ღმერთი. ტყვილა კი არ გქვიათ თქვენ სამღეთო. ლეკორდსმენები თქვენში გამოსკდა და ყორიფელი სიკეთე, რეიზა არ დაგრჩებოდათ ვითომ დროშა!?

ამ სიტყვებს რომ მოჰკრა ყური, სეფე ქიშვარდის მიუბრუნდა:

— მოდი, მომეხმარე ერთი, ჩემი ბიძიე, ავიღე ამ მანქანაზე, ერთი ღერი სიტყვა მეც უნდა ვთქვა.

ქიშვარდი წამოეშველა. შერმანდია და ჯორბენაძე უკვე მანქანიდან ჩამოხტომას აპირებდნენ, როცა მათ გვერდით სეფე წამოდგა.

— მე აღარ მეკუთვნის სიტყვა ოჩერედით, კალამ შამოგვათენდა, მარა იმფერი საგანია მაქანე, რომ გული არ მიმაგრდება, ორი ღერი სიტყვა რომ არ ვთქვა. — დაიწყო სეფემ. ხალხმა ისევ იწყო მანქანის ირგვლივ შეგროვება. — ამ დროშაზე რომ ამფერი ინტერესია, მე მგონია ეს ყველას უნდა გაუხარდეს, იმიტომ, რომ ეს საერთო წინმსვლელობაა. მარა მე სხვა საგანზე მინდა ვთქვა. ძაან ძვირფასი სიტყვები დაიხარჯა აქ ამელამ. მე ჩემი ქალიშვილობით არ ვამბობ, მარა ამდენი ხალხის პატივისცემის ღირსი რომ ვახდა, მე ასე ვთვლი, რომ ეს მაგისტვის მეორედ დაბადებაა სწორეთ! მეც ჩემდათავად დიდად ბედნიერ კაცად ვთვლი თავს, ამდენ პატიოსან და ნასწავლ ხალხს რომ შევხვდი და გავეცანი. მუშაობამ შეგვახვედრა და შეგვაერთა დღეს სულყველა. ამ ერთობიზა ვიბრძოდით ცხრაას ხუთში, მაგი იყო ჩვენი იღია — გოუმარჯოს ერთობასაო, ხელში მოგვეცეს ხელთოფასაო, ასე ვმღეროდით მაშინ.

გლები კაცი არ მოსწრებია ამფერ დროს. სად წახვიდოდი, ვის შეხვდებოდი. უწინ, ყმები რომ ვიყავით, საცხა თავადიშვილი თუ წაიყვანდა გლებს ყარყუმათ და მასხარათ, ვინცხას კბილის საკრეჭათ. აბა, კაცათ რავე ჩავთვლიდენ!?

მერე ბატონი და ყმა რომ გაიყარა, მაინც ერისთავების მიწებში გვჭონდა წელი და გული ჩაწყვეტილი.

საცხა-საცხა ეძებდა ხალხი სამუშაოს. — ასჯერ მითქვამს და კილო ვიტყვი, სად გვჭონდა წასავალი? — ბათუმი, ფოთი. ძაან შორს წასულიყავი, ქერჩი, სევასტოპოლი.

უწინ თუ შევხვდებოდით ერთმანეთს ავი მუშა-ხალხი, ისევ ჩაღანდრობაში ან კურტნის სამუშაოზე პორტში. მაქანე იყო რუსი, თათარი, სომეხი, უკრაინა. მეც კი წამიყვანა ერთმა ჩვენმა მეზობელმა კაცმა, სიკოია ბეჭირაძემ იქ. შემოგვიჩნდა — რას დამჯდარხართ ნაცარში, წამო-
5. „მნათობი“ № 10.

დით ქერჩში — აშენდებით, დასახლდებითო. ისე აშენდა იმის ოჯახი, რაც იქ ჩვენ ავშენდით. ვმუშაობდით, ვაკლავდით თავს. თვე რომ დაილეოდა, ადგებოდა, მოგვიყრიდა თავს ბარაკში, დაწყევლა — კბინით: ძმებო და ამხანაგებო, ამ თვეში ამდენი და ამდენი გენი — დასტკბითო, ამდენი ამაში წვევიდაო. აი ჯარიმა შეგვხვდაო, აი ქრთამი დარჩა საჭიროვო და ბოლოს თვეში თითო კაცზე გამოვიდა შვიდი მანათი და თორმეტი კაპეიკიო. იმ თორმეტი კაპეიკიზა ვსკდებოდი გულზე, რაის იყო, რომ ვერ ვავიგე. — მერე, რომ ვასუქდა და გამდიდრდა ჩვენს ზურგზე, ოქროსძეწკვიანი საათი რომ დაიკიდა კიბზე — მერე სახელიც ქე გამოუცვალეს. სიმონ გლახუნოვიჩს უძახოდა ყველა. კაცმა არ იცოდა მანამდე, იმ სიკოია გლახას სიმონ თუ ქეიოდა — მამა მისი გლახუნა ხომ არა კაცს არ მოუხსენებია მიდღემჩი უგინებლად. ერთი წამხთარი კაცი იყო, უპირო, ქათმის ქურდი. ჯიბე რომ გეისქელა სიკოიამ, მასაც მოუვიდა მოწონება და ხარისხი და მამა მისსაც.

— (ჩვენშიაცაა ერთი მაგფერი კაცი, სიპიტოს უძახოდა უწინ ყველა. რომ გამდიდრდა მერე დაუძახეს სილიბისტრო, — ჩაულაპარაკა სკაჩიამ კორესპონდენტს და მწერალს, — ახლა ვერაა მაინდამაინც მოწონებაში და ისევ სიპიტოს ვეძახით).

რეიზა იყო მერე მაი? — შრომას მოწონება არ ქონდა. ვინ დაგაფასებდა, ძალღად არაკაცი ვაგდებდა.

ახლა შეიცვალა ქორონიკონი. შოთა რუსთაველმა რომ თქვა — ლეკვი ლომისა სწორიაო — ვასწორდა სწორედ.

მერე მარქსმა რომ თქვა, მერე ლენინმა რომ თქვა და მერე სტალინმა რომ თქვა, აღსდექ ბეჩაეო შრომის შვილო, მეფის ტახტი დავანგრეოთო, და შრომას დაფასება მიეცეთო, მაგი იქნება უქანასქნელი და გადამწყვეტი ბრძოლაო, მოვესწარიო სწორეთ მაგას.

ნატერისთვალევითაა პირდაპირ, რა გინდა სულო და გულო!... ყველაფერში გზა ვახსნილია. სამუშაო თუ გინდა, საითაც მიბრუნდები იშოვი, თუ სწავლა გინდა — ისწავლე. ძან მოწყურებული ვიყავით უწინ სწავლაზე, მარა ჩემ ბაღანას ვინ მიიღებდა კლასში? ყოველთვის აზნაური და ვაჭარი წამისწრობდა წინ. ახლა ამდენი ხალხი სწავლაშია, პირიქით გეხვეწებთან და ფულს გაძლევენ. ამ დროში მოვიგეთ ჩვენ გლეხებმა.

უწინ ისე ჩამოიარდა წელიწადი, ერთს ვერ შევავლებდით ფულს ხელს. სად იყო ფული? საცხა ერთ ურემ პანტას წაიღებდი ნაქირავები ხარით ფოთში. ვაგაცივებდა გზაში და მომკითხავი შინიდან უნდა მოგსვლოდა კიდევ. ეხლა ყველა იძახის შრომა-დღეო.

ნამდვილი ფულის კალათაა აგი ჩაი და მანდარინი. მაგით გამოვიხედეთ თვალში. სახლი დავიდგით და კარი. უწინ ქალამანით გვქონდა ფეხი მოტეხილი. ახლა ჩავიცვით და დავიხურეთ. აგი, უკაცრავად პასუხია ლორის შუკები საავტომობილო შარად რომ გადააქციეს, მაგიც ამ ჩაის და მანდარინს მოყვა. დავდივართ და დავდივართ, — სთქვა სეფემ და თავის სიტყვის დასასურათებლად გაიარგამოიარა საბარგულის ძარაზე.

— ასე ყველაფრამდე შემკული ვართ და კიდევ ვერ მიხერხა ამას ყველა. ვერ დაიქვემდებარება კარგათ, — განაგრძობ სეფემ. — იმიზე მოგვივიდა ჩამორჩენა ამას წინათ, ეზოს ჩაი არ მოიკრიფა დროზე, ყიდილ უფრო უნდა დაუტრიალდეთ ამ ჩვენ პლანტაციებს, სხვა მწიფეთ უცდის მაგ ჩაის, მუშათა კლასმა უნდა დალიოს, წითელმა არმიამ. ახლა იმაზე მინდობდა მიმესადაგებია აგი ლაპარაკი. ამ ჩემმა ქალმა რეკორდი რომ დაამყარა, იგი გაბედავას ქალი ძაან დაეხმარა. იმან გაბედა და ითავა პირველათ. მაქანაც საგანია ერთნაირი.

ახლა საამური რომ გახდა ცხოვრება და სასიამოვნო, აგი სიამოვნება მარტო ჩვენდა კი არ გვინდა, მაქანეა ადამიანობა, თვარა, მასე ჩემმა ლორმა იცის, რომ მიუგდებ მკუჭე მსხალს, გავარდება ჩირგვებში და იქინე შეჭამს. პო და... მე ასე ვიტყოდი, მოვიწვიოთ იგი გაბედავას ქალი და სხვაეც, სხვა ნაციის და რესპუბლიკის, რუსი, უკრაინა, სომეხი. გვაქვს ჩვენ ახლა მაგის შეძლება და ანგარიში. მელიქაურს კი არა, ყოლიკაცს უნდა შევეჯიბროთ. უნდა შევეჯიბროთ, ვინც კაი და კაი კოლმეურნეობაა. დაეპაიჯოთ, გენახონ, ვნახოთ, გავეცნოთ ერთმანეთს ამ რაიონის, იმ რაიონის, ამ ნაციის, იმ ნაციის. ახლა შემკული რომ ვართ ყოლიფრით, მოეწონება მია იგენს. მეც ჩემდათავათ ერთ დიდ კამპანიას გადავიხდი.

ახლა ამ ჩვენი სოფლის სახელზე ვიტყვი ორ ღერ სიტყვას. მაქანაც საგანია ერთნაირი.

— კილომ რამდენი საგანი გაქ სალაპარაკო, სეფე? — ჩაიროხრობა ელიზბარამ.

— უწინ სულ ამფერი სახელები ქვიოდა სოფლებს: ეგერ ფიჩხისჯვარი იყო, ვინცამ ფიჩხი დაყარაო, იქ ეკლესია აშენდა, სოფელს დაერქვა ფიჩხისჯვარიო. ეგერ ასკანაო, ასი კანი გააძრესო — ასჯერ კი არა, — ათასჯერ გაგვატყავებდენ წელიწადში. ეგერ საყანები გვქონდა ურისთვების მიწებში. იმას საღარიბო ეთქვა და რაცხა ამისთანა სახელი.

ამ ჩვენ სოფელს ზუცებმა დაარქვეს ეს სახელი. მართლა ღვთის ანაბარა ვიყავით. რაცხა მოხერხებული და სერმიიანი კაცი თუ გაიდგამდა ძირს აქ, თვარა სხვა მუდამ ჩაფარცხული, კოთხოვამორეკილი იყო. სოფელიც შეწირული იყო და კაციც. მე ასე ვიტყოდი, ამფერ კარგ შემთხვევაზე, დღეს რომ გვაქვს, ჩვენი სოფელი გადაენათლოთ. თვარა აგერ ვინცამ ყბაი მოგვიქცია — ტყვილა კი არ გქვიათ თქვენ სამღვთო, მოგებმარათ ღმერთი, იმიზე მოიგეთ დროშაო. ახლა აგი სიღარიბის და ყრუობის სახელი უნდა გადავაგდოთ. იმფერი სახელი დავირქვათ, რაცხა ახალ დროს რომ შეეფერება. ახლა შრომას მოწონება რომ აქვს, მე ასე ვიტყოდი, დაეათქვათ შრომა! — დაასრულა სეფემ.

მისი სიტყვა ტაშის გრიალმა დაჰფარა.

— კაი სიტყვა თქვი, მარა, მაგი ორი ღერი კი არა, კაი ათი ღერი იყო. — სიცილით უთხრა შერმანდიამ.

— არ გაცივდე, ბაბა, სურდო რომ იცი ყოველთვის, — შეიქცა ციციხო საბარგულიდან ჩამოსულ სეფესთან, რომელიც ყაბალანს იგრებდა თავზე, — ყელზე შემოიხევი მაგი ყაბალახი.

— რა გამაცივებს, კაევით ვარ, კაევით, — ქრისტეშვილი მას მართლაც ახალგაზრდული ცეცხლი უღვივოდა თვალებში. მის ხმაშიც რაღაც უჩვეულო ლითონის ელერა ისმოდა. წელში გამართულიყო, თითქოს კაქა ფეხებიც გასწორებოდა.

ამიტომ თუ იყო, ელიზბარამ რომ ჩაიროხრობა:

— რა მოუვიდა სეფეს, პაწა ხომ არ ხუბა მაგან ქარხნის სასადილოში?

ძალიან სიტყვა თქვით, ძალიან, — უთხრა კორესპონდენტმა სეფეს, — შვენიერი წინადადებაა. მაგას უსათუოდ გამოვაქვეყნებთ გაზეთში. მიმართვას გაუგზავნით ყველა სუბტროპიკული რაიონის სტახანოველებს, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის და სხვა მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეებს. ახლავე შევადგინოთ წერილი.

— მე რა უნდა შევადგინო? — დაიხია უკან სეფემ. — მე რა შემიძლია? ავი ორი ღერი ანბანი ნაჩაღევში მაქვს ნასწავლი. ისევ თქვენ თუ დასწერთ რამეს.

— ნაჩაღევში ნასწავლი კი არა, მაგან მთელი ვეფხის-ტყაოსანი და თამარიანი ზეპირად იცის, — დაიძახა სკაჩიამ, — თითონაც კი იცის მაგან ლექსის ამოღება.

სეფე უარობდა, მაგრამ კორესპონდენტი და მწერალი არ მოეშენენ. პუნქტის შენობაში წაიყვანეს მიმართვის შესადგენად. შერმანდია და ეპიფანეც მათ გაჰყვნენ.

— ნათლობის ქეიფი თქვენზედაა! — დაიძახა ჯორბენაძემ, როცა მელიქაურლები და სამღვთოელები ერთმანეთს დაშორდნენ.

— დროშის გამოტირილი კი თქვენზე! — მიაძახა სკაჩიამ.

— გამოტირილამდე იქნება ისევ დავიბრუნოთ, — დაიძახა შუშხუნამ, — ჯერ შეჯიბრი არ დამთავრებულა.

— აბა, თქვენ იცით, რასაც ივატაკებთ, — არ დაუთმო სკაჩიამ.

მხიარული ჟრიაშულით მიდიოდნენ შინისკენ. დილით სამღვთოელებად წამოსული, ახლა შრომელებად ბრუნდებოდნენ. რაღაც თავისით მოეწყო, რომ ციციხომ და ქიშვარდომ ყველას გაუსწრეს. ყველა ციციხოს უთმობდა გზას და ის და ქიშვარდი ბრიგადის წინ აღმოჩნდნენ. ისინი თითქმის არაფერს ეუბნებიან ერთმანეთს, მათ უკან მომავალი ხალხის ლაპარაკს უგდებენ ყურს.

— მართლა, კარვად უნდა შევხედეთ მაგ უცხო სტუმრებს, — ეუბნებოდა ფარნა სეფეს. — ქე მოეწონებათ ჩვენი ჩაი და მანდარინი. ყველგან კი არ ხარობს მაგი. მეც ჩემდათავით ერთ კარვ კამპანიას გადავიხდი. ახლა ქე ვართ სამაგისოთ მოწყობილი ოჯახში. მანამდე მოვათავებთ კიდევ ოდას. ქე შეუღლინე ამ ჩემ ბიქს, ასე უდროვო დროს რომ წამოიწყო ოდის შენება, მარა ახლა კი გამოდგა. იმ მეურმეების ნადმაც

ქე დაგვაკარგვია დროშა, მაგრამ მერე კიდო უფრო დავცურებოთ, თვალი. ამ შენმა ქალიშვილმაც ძაან საქმე გვიქნა.

— შენმა ბიჭმა ქნა, რაცხა ქნა, სწორეთ კაი ფაქტადგვტყდა, — მოსიყვარულე მზახალივით უპასუხებდა სეფე.

აღვასიმაც მოიბრუნა გული ქიშვარდზე, დღეს ასეთ თავდადებას რომ იჩენდა მისი ქალიშვილისათვის.

როცა ქიშვარდიმ და ციციონიმ გვერდით ჩაუარეს, აღვასიმ აღერსიანად მოავლო ქიშვარდის მხარზე ხელი:

— ხომ არ დაიღალე, ჯუჯუაო?

ქიშვარდიმ თითქოს გაარღვია ბონდოს, აღვასის და პუპულას მიერ ციციონოს გარშემო შეკრული წრე, რომელიც ვაქს მოჯადოებულად უჩვენებოდა.

ახლა ქიშვარდის ჯიბრზე თუა, ახალგაზრდების ჯგუფში ბონდოს ხმა რომ ფარავს ყველაფერს. ბონდო წარმოდგენის გეგმებს აწყობს.

— „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ უნდა დავდგა აღევროზე, თუ ვიშოვე პიესა, — იძახის ბონდო. — მე გიყუას როლი უნდა ვითამაშო, კნიანს რომ ეუბნება — შენ ღმერთს მადლი შესწირე, რომ მე კანონი ვიცი, თორემ იცი, რას გიზამდი? — ისე ვაგაბრტყელებდი, როგორც ჯვარის-მამის ლავაშს.

ბონდო ცდილობს ყარაჩოდულად მოუქციოს კილო. თითქმის მთელ როლს ასრულებს სიარულში.

ბოლოს გიყუას სიმღერაც შემოსძახა.

„სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქ,
ვახარებ ჩემსა იასა,
მოვცდები — გაუხარდება
სამარის კარსა ჭიასა“.

და თან დააყოლა — რა დიდებული სიტყვებიიაო!...

— დაწყდება ხალხი სიცილით, დაწყდება. — ამბობს ყარამანა.

— მე რა როლს მომცემ? — ისმის მარგალიტას მიქნავებული ხმა.

— მე ახალგაზრდის როლი მინდა, — იძახის პელო.

— პატარძალს ჩიხტაკოპი ახურავს, ხომ? — კითხულობს კლეოპატრა.

რამ დაადუმათ ციციონო და ქიშვარდი? ქიშვარდის ციციონოს ხელი უჭირავს ხელში. ვაქს აღარ უნდა კვლავ დღევანდელ სარეკორდო კრეფაზე ჩამოუგდოს საუბარი. რამდენჯერაც დასძრა ენა, ციციონო პირში შეაფრინდა — მე რა, შენ მიგიძღვის მთავარი დამსახურებაო. ესეც სეფესავით იმეორებდა — რაც ქენი, შენ ქენიო... რამდენჯერმე გაუშეო-რა — შენს მადლობას ჩემს სიცოცხლეში ვერ გადავიხდიო. ქიშვარდი რატომღაც ამ „ჩემს სიცოცხლეს“ ჩაეჭიდა. ახლა ქიშვარდი ციციონოს მომავალ ცხოვრებაზე ფიქრობს, უნდა გამოარკვიოს, ექნება თუ არა მას რაიმე დამოკიდებულება ციციონოს მომავალთან.

ურმის ნაღზე გამართულ ქეიფის მეორე დღე აგონდება, გახელებულ-
ლი რომ ურევდა შაბიამანის ხსნარს ხელკეტს და ციცინოსთვის წერილს
თხზავდა თავის გუნებაში.

მაშინ რომ უნდოდა ციცინოსთვის მიეწერა — ჩვენი სიტყვებზე
ლიათ. რა მალე ამოივსო ეს უფსკრული! ახლა შეტოლებულნი მიემარ-
თებიან ციცინო და ქიშვარდი. ქიშვარდის თითქოს ჩამოიშორა გზიდან
ბონდო, მაგრამ უნდა საბოლოოდ დარწმუნდეს, თუ ვისკენ მიუწევს გუ-
ლი ციცინოს!

რატომღაც აეკვიტა სიტყვა: საბოლოო გრძნობა. ციცინოს საბოლოო
გრძნობა უნდა გამოარკვიოს. რატომ საბოლოო? მან თითონ არ იცის,
გრძნობაა საბოლოო, თუ პასუხი გრძნობაზე. ასე კი ეძახიან სოფლურ
სიტყვა-პასუხში ვადამწყვეტ ლაპარაკს გრძნობებზე. ქიშვარდისაც უნდა
როგორმე აქამდე. — საბოლოო გრძნობამდე — მიიყვანოს სალაპარაკო.
ამიტომ არ უნდა სხვა, ჩვეულებრივ საგანზე ელაპარაკოს ციცინოს. მა-
გრამ როგორ უნდა ვააკეთოს ასეთი ნახტომი? მას უფრო ადვილად ეჩვე-
ნება გადახტომა სიპიტოს ეკლიან ღობეზე, რომლის გვერდითაც ახლა
ისინი მიდიან, ვიდრე დღევანდელ სალაპარაკოდან „საბოლოო გრძნო-
ბებზე“ გადასვლა. ამიტომ ტოკავს. მას არც ძველ სალაპარაკოს უნდა
დაუბრუნდეს და ვერც ახლ გორგალს მოუხსნა თავი. ამიტომ მიდის ასე
პირში წყალდაგუბულივით. ციცინოც სდუმს და არაფრით ამჩნევინებს
ამ დუმის უხერხულობას.

უცებ ერთმა აზრმა გაუელვა ქიშვარდის და ამ ფიქრზე გულმა ბა-
გაბუგი დაუწყო. მან ვადამწყვეტა სიყვარულის გულუბრყვილო სტრა-
ტეგიისა და ტაქტიკის გამოყენება. რადგან ვაჟს ქალის ხელი ეჭირა, ამი-
ტომ განიზრახა შეჭითხებოდა ქალს: ციცინო, რატომ გაქვს ამელამ ასე
ცივი ხელები? — იქნება ამ შეკითხვაზე ციცინომ მიუგოს ჩვეულებრივი
ფრაზით, ქიშვარდის ათასჯერ რომ გაუგონია ახალგაზრდების საუბარ-
ში: — სამაგიეროდ, გული მაქვს ცხელიო, — და მაშინ ქიშვარდი ხელად
მიახლის კითხვას — ვისთვის?

ამ აზრმა ისე ააღელვა ქიშვარდი, რომ ქვას წამოჰკრა ფეხი. წაი-
ფორხილა, ძლივს შეიმავრა თავი. ციცინოს ხელიც გაუსხლტა. ფეხის
წვერები წაიმტვრია. მაგრამ მას არ მიუქცევია ამისთვის ყურადღება. ხე-
ლათ გაიმართა, ისევ ციცინოს ხელს მოავლო ხელი, მომზადებული ფრა-
ზა რომ წარმოეთქვა, მაგრამ ციცინოს ხელი ცივი კი არა, ჩვეულებრივ-
ზე უფრო ცხელი მოეჩვენა. ერთხანს სხვა სასაუბროს დაუწყო ძებნა,
რომლიდანაც „საბოლოო გრძნობაზე“ გადასვლას მოახერხებდა. დიდხანს
იმტვრია თავი, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. რაღაც სასოწარკვეთილების
გამბედაობა იგრძნო: ჯანდაბას, მაინც ვეტყვი, — რა ცივი ხელები გაქვს
ამელამ? უაზრო კითხვაა, მაგრამ იქნებ მაინც მიუგოს ციცინომ ჩვეულებ-
რივი ფრაზით, რომელსაც ისე მოელის ქიშვარდი, როგორც მონადირე
ზოხობის ამოფრენას. ქიშვარდი შედგა, რომ გულის ცემა შეანელოს, მაგრამ
ამასობაში მათ კვალზე მომავალნი დაეწინენ. ისინი უკვე სეფეს ეზოს

უახლოვდებოდნენ. ქიშვარდომ გაიჩქარა და რაღაც გაგუჟურად დაიწყო:

— რატომ გაქვს ამელამ...

მაგრამ ამ დროს მათ რაღაცა დაეძგერა საშინელოდ დაუცხვრებლად წააქცია. ეს ყურში იყო, გრივალევიით რომ ტრიალებდა მათ გარშემო, უკანა ფეხებზე დგებოდა. ქიშვარდის მთელი პირისახე მოულოკა, ციცინოსაც კინალამ დაუგლიჯა წითელი აბრეშუმის კაბა. ქიშვარდი მის მოგერიებას მოუხდა.

ამასობაში უკან მომავალნი დაუახლოვდნენ მათ და ციცინომ გაჩქარებულად ჩამოართვა ხელი, თითქოს არ უნდოდა სხვების თანდასწრებით გამოშვებოდა. ქიშვარდის აფორიაქებულ განწყობილებაზე თუ ამჩნევდა ქალი, რომ ის რაღაც მნიშვნელოვანი რამის თქმას აპირებდა? — ჰკითხა, ხვალ რა დროს მოხვალ ჩვენსაო. ალერსიანად შეჰყურებდნენ ქიშვარდის მისი ეუუენა თვალები. დიდხანს ეჭირა ციცინოს ქიშვარდის ხელი თავის ნაზ ხელში და ახლა ქიშვარდის იქნებ კიდევ ერთხინა, რომ ციცინოს მსურვალე ხელები ჰქონდა. მთელი მისი არსებიდან იმდენი სითბო და ალერსი გამოკრთოდა, რომ სიხარული სირბილით მიაქანებდა ქიშვარდის შინამდის, თითქოს ეშინოდა, გზაში არ დაბნეოდა.

ქიშვარდი ახალი ოდის აივანზე წევს. ხელები თავიქვეშ შემოლუწვდია. ეზოში ქარი კატასავით ეთამაშება მიმოზნეულ ბურბუშელას. ხან ოდის წინ ააშრივალებს, ხან ეზოს კუთხისკენ გაიტაცებს.

უკანასკნელი დღეების ფაცა-ფუცში ქიშვარდი ვერც კი ამჩნევდა, თუ როგორ უახლოვდებოდა დასასრულს ოდის შენება. დღესაც ემუშავნათ ხელოსნებს: ოდას უკვე მოესბა მარჯნისფერი კრამიტის გვირგვინი. მხოლოდ აივანი დარჩენოდათ გადაუხურავი. კოჭების ამაღლას და ნივნივის ლარტყებს შორის მოსჩანდა მუქლაყვარდი ცის ნაჭერი და ციცინათელევიით მოციმციმე ვარსკვლავები. სავსე მთვარე, ტამტის ტოლა რომ ამოგორდა მთის თხემიდან, ახლა პატარა და უფრო მრგვალი სჩანდა. მოცურავესავით მიარღვევდა ღრუბლის ნაფლეთებს. მთვარე უკვე ცის სხვენზე იყო ასული, მაგრამ თითქოს სულ ზევით და ზევით, მეშვიდე ცისკენ მიისწრაფოდა. ქიშვარდის სიხარული კიდევ უფრო მაღლა მიიწევდა.

სარეკორდო კრეფის შემდეგ ციცინო და ქიშვარდი თითქმის განუყრელი გახდნენ. მაგრამ ქიშვარდი რატომღაც მოუსვენრად იყო. ვერ იქნა. ვერაფრით ვერ მოახერხა კვლავ გაება ციცინოსთვის საუბარი „საბოლოო გრძნობაზე“, იმ ღამეს ასე უხეჯროდ რომ გააწყვეტინა ყურშას „თავდასხმამ“. ციცინოც უფრო ხშირად დადიოდა მათსა, მაგრამ ქიშვარდომ დრო ვერ მოიხელთა, რომ კვლავ დაბრუნებოდა ამ სალაპარაკოს.

მეტისმეტად მღელვარე, აფორიაქებული იყო ეს დღეები ციცინოსთვის. მას ხან ერთ ბრივადას მიამაგრებდნენ, ხან მეორეს, რომ კრეფის ახალი წესები შეესწავლებინა მკრეფავებისთვის.

სოფელ შრომის (წინანდელ სამღვთოს) კოლმეურნეობა, რომელმაც ვარდოულის რაიონში ყველას წინ გაუსწრო გაბედავის გამოცდილების

გადმოტანაში და ჩაის კრეფის წლიური გეგმაც ვადაზე აღრე შესაქრულა, სხვა სოფლებსთვის თითქოს სამოსწავლო ცენტრად იქცა. მეზობელ კოლმეურნეობებიდან აგროტექნიკოსები, მკრეფაეები მარტოვდნენ! ციცი-ნოს კრეფის ტექნიკის გასაცნობად. რაიონული და ცენტრალური გაზეთებიც ყოველ წერილში, რომელიც ჩაის კრეფის მიმდინარეობას შეეხებოდა, ახლა ძაბულის გაბედავასთან ერთად ციციხო ფარვანიძესაც იხსენიებდნენ. ციციხო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის სახელობის საპატიო დაფაზედაც მოხვდა ცენტრალურ გაზეთში.

კინოექსპედიცია ჩამოვიდა ჩაიზე სურათის გადასაღებად და ორი დღე ციციხო იმათთან მუშაობას მოუწდა. ქიშვარდი აქაც შველოდა ციცინოს, მაგრამ ვაქს ეჩვენებოდა, რომ ახლა საიმისო დრო არ იყო, „გრძნობებზე“ ჩამოვედო ლაპარაკი. ამიტომ დღეაღება ქიშვარდი. უფრო კი ის უმღვრე-ვდა გუნებას, რომ თითქოს ქიშვარდის ჯიბრზეაო, ბონდო ახლა სულ კვალ-დაკვალ დასდევდა ციცინოს. სადაც ციციხო წავეიდოდა, ბონდოც უთუოდ იქ უნდა გაჩენილიყო. კომკავშირის რაიკომმა ახალგაზრდა სტახანოველე-ბის შეკრება მოაწყო. ციციხო დიდის ამბით გაიწვიეს ამ შეკრებაზე. სამ-ჯერ დაურეკეს სილოვანს ვარდოულიდან, როგორმე ფარვანიძის ქალი არ დააკლდეს ამ შეკრებასო.

ქიშვარდიც წაჰყვა ციცინოს.

მთელი რაიონის მოწინავე ახალგაზრდობამ მოიყარა თავი კინო-თეატრის დიდ დარბაზში. აქ იყვნენ მინდვრის სტახანოველები, მასწავლებ-ლები, ახალგაზრდა ინჟინრები, აბრეშუმის ქარხნის მუშები.

ციციხო პრეზიდენტში აირჩიეს. ის კი ქიშვარდის არ იშორებდა. სთხოვა, აქვე დაჯექი, პირველ რიგში, პრეზიდენტის მაგიდის წინაო.

რაიკომის მდივანმა ნახევარი მოხსენება იმის გაშუქებას მოანდომა, თუ როგორ გადმოიტანა სოფელ შრომის კოლმეურნეობამ ძაბული გაბე-დავას გამოცდილება. ციცინოს კრეფის მეთოდზეც დიდხანს შეჩერდა: ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოიკვლიეს, რომ ფარვანიძემ კრეფის განსაკუთრებული ტექნიკა გამოიმუშავე და მისი გამოცდილება მთელი რაიონის მკრეფაეებმა უნდა გაიზიარონო.

მოხსენება რომ დასრულდა, რაიკომის ინსტრუქტორი მივიდა ციცი-ნოსთან. ახლა უნდა გამოხვიდე, შეკრებას უამბო, თუ როგორ მიალწიე შენს რეკორდსო.

ციციხო ქიშვარდისთან მიიქრა. შემკრთალად შეეკითხა:

— რა უნდა ვთქვა, თუ იცი?

— მოყვით რაფერ მოემზადე, როგორ გაიგე კრეფის ტენიკა, ინსტი-ტუტის ბრიგადა რომ მოგეხმარა...—დაიწყო ქიშვარდომ, მაგრამ უცებ შენიშნა, რომ ციციხო დაფანტულად უსმენდა მას. სახეზეც აიღწია. ქიშ-ვარდომ მოიხედა. ვაოცდა, როცა პრეზიდენტის მაგიდასთან მდგომი ბო-ნდო შენიშნა, რომელიც კულტპროპის გამგეს გაცხარებულად ელაპარაკებოდა:

—წარმოდგენის დადგმა გვინდა, მთელი კვირაა ვეძებთ პეტასს, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, მირა მართლა ვერსად ვნახეთ. მოგვეხმარეთ რამე, მიგვიწერეთ თეატრთან, რომ გვათხოვონ, არც დავეუქარგავთ და არც გავუფუჭებთ... — ამ დროს ზარი დააწკარუნეს. შესვენება დასრულდა.

— კარგი, კარგი, — დაუქნია თავი კულტპროპის გამგემ ბონდოს, — კრება რომ დასრულდება, მერე მოდი და მივიწერ.

ბონდო კედელზე აეყუდა, ჯიბეებში ხელეზმანყობილი და ციცინოს ვადმოხედა, ქიშვარდის რომ ელაპარაკებოდა ალელგებულად.

— ვერ ვიტყვი, ვერ ვიტყვი, გული გამისკდება, — გაიდგა ფეხი ციცი-
ნომ. ბონდო თითქოს ბინდგადაკრული თვალებით მიშტერებოდა მას და
ეს შემოხედვა აბნევედა ქალს.

— კრებაში რეკორდი დაამყარე და ორ ღერ სიტყვას როგორ ვერ
იტყვი? — ამხნევებდა ქიშვარდი. მაგრამ ციცინო შეუვალად აცხადებდა
— ვერ ვიტყვი, ვერ ვიტყვიო.

ციცინომ რომ განაცხადა, — ორას კილოს მოეკრეფო, ბონდომ იმ
დღიდანვე ამოიჩემა, ყოველ შეხვედრისას შეაგებებდა, — ორასკილოიანს
ვახლავარო.

რეკორდის დამყარების შემდეგ კი თითქოს სულ გამოუცვალა ციცი-
ნოს სახელი. ახალგაზრდობის ყოველ თავყრილობაში ათასნაირად აბრუ-
ნებდა და აკანკლედებდა ამ სიტყვას: ხან „ორასს“ ჩაურთავდა გაბმული
სისინით, ხან მარტო „ს... ს... ს...“-ს, მაგრამ ციცინომ იცოდა, რომ ეს ყვე-
ლა ამ „ორასკილოიანის“ სახეცვლილება იყო. ციცინოს რატომღაც ვერ
მოეხერხებინა ბონდოსთვის ეთქვა, — კარგი, გეყოფა, შორში მაგ ღრქასო.
თითქოს ბონდოს მართლაც რაღაც ჯადოსნური ძალა ჰქონდა ციცინოზე.
იქნებ იმიტომ, რომ ციცინომ იკისრა, სკოლიდან გამოგდებული ბონდო
სწორ გზაზე დაეყენებინა. მისი ცდა ჯერ-ჯერობით თუმცა უნაყოფო
გამოდგა, ციცინო მაინც არ იტებდა გულს, მას ვერ გაემეტებინა ბონდო,
ვერ მოეხერხებინა ხელისკერა.

ბონდო კი ციცინოს ლმობიერებით სარგებლობდა და გულს უწყალე-
ბდა ამ ამოჩემებული მეტსახელით.

ახლაც თუ შეეშინდა ციცინოს, ბონდომ აქაც არ წამოიყვიროს ორას-
კილოიანო“. ქიშვარდომ ბევრი უჩიჩინა, მაგრამ ციცინოს ვერაფრით
ვერ ამოადგმევინა ენა. ციცინოს მაგიერად ისევ მას მოუხდა ახალგაზრდა
სტახანოველთა შეკრებისთვის ეამბნა, თუ რა მუშაობა ჩაატარა სოფელ
წრომის კომკავშირის უჯრედმა გაბედავას გამოცდილების გადმოსატანად
და როგორ დაამყარა ციცინომ რეკორდი.

ციცინოს დაბნევამ სტახანოველთა შეკრებაზე ბონდოს გამოჩენისას
კიდევ უფრო ააშფოთა ქიშვარდი. მას უფრო გაუმწეავდა ეჭვი ციცინოს
გრძნობების გამო. მოუთმენლობა დაეუფლა და სხვა სახით რომ ვერ
მოახერხა თავისი გულისთქმის გამომჟღავნება, ციცინოსთვის წერილის
მიწერა ვადასწყვიტა. დასწერა კიდევ წერილი, რომელშიაც საგანგებო

პაემანს უნიშნავდა, თითქოს უიმისოდაც ყოველდღე არ ხელებოდა. ოღონდ არ იცოდა, თუ როგორ მიეწვდინა. იქვე ორ ნაბიჯზე, კარის მეზობლისთვის წერილის ვაგზავნა ისევე უაზროდ ეჩვენებოდა, რამდენადაც კორდოკრეფიდან დაბრუნებისას ციცინოსთვის კითხვის მარცხადაც გაქვს ამელამ ასე ცივი ხელებით“. ვარდოულში წასვლა განიზრახა, რომ იქვე გამოეგზავნა წერილი. ერთმა გარემოებამ ზედმეტად გახადა ეს ნაბიჯი. შრომის კომკავშირის უჯრედმა გადასწყვიტა ვინმე გაეგზავნა გორაბანის რაიონში გაბედავას მოსაწვევად და მის მიერ გაუმჯობესებულ კალათის ჩამოსატანად. ჭიშვარდი ამას ჩაეჭიდა. თავს იდვა გაბედავას მოსაწვევად წასვლა. მას უფრო მოხერხებულად მოეჩვენა წერილის გზიდან გამოგზავნა. ახალგაზრდებმა ჭიშვარდი რკინის გზის სადგურამდე გააცილეს. ციცინოც გაჰყვა. ჭიშვარდი ამ გამომშვიდობების დროსაც ბევრი რამის თქმას აპირებდა ციცინოსთვის, მაგრამ, როგორც მუდამ ხდება ზოლმე, მატარებლის წასვლამდე ვერაფრის თქმა ვერ მოასწრეს. იმანაც წაუხდინა ჭიშვარდის გუნება, რომ სადგურის ბუფეტში ბონდო შენიშნა. ალბათ, ციცინოს გასაცილებლად ჩამოვიდა, — გაივლო გულში ჭიშვარდომ. შეფიქრიანდა, რომ „შანსიანი ბიჭი“ ჭიშვარდის აქ არ ყოფნის დროს ისევე მოახერხებდა ციცინოს მონუსხვას. წასვლის ზარი რომ დაჰკრეს, ბონდო ბაქანზე გამოვიდა. ჭიშვარდომ საიდუმლოს დაფარვა ვერ მოახერხა. მატარებელი რომ დაიძრა, მიამახა ციცინოს ვაგონის ფანჯრიდან:

— ნახემდის, ნახემდის! კალათსაც ჩამოგიტან და წერილებსაც გამოგიგზავნით.

ციცინომ ვერ გაიგო, თუ ვის გულისხმობდა ჭიშვარდი ამ „გამოგიგზავნით“-ში. გაბედავას თუ თავის თავსაც“.

როგორც კი სადგურიდან გამოვიდნენ ჭიშვარდის გასაცილებლად მოსული ახალგაზრდები, ბონდო, მართლაც, მაშინვე აეკვიტა ციცინოს. იმდენი მოახერხა, რომ ციცინო სხეებს ჩამოარჩინა. ნახვამი იყო, სიარულის დროს ირყეოდა და ქალს ისე მაგრად ჩასჰიდა მკლავში ხელი, თითქოს უნდა თავი შეემაგროსო. უსიტყვოდ მიაბიჯებდნენ.

— წავიდა ჭიშვარდი გორაბანში, — დაიწყო ციცინომ, რომელმაც სხვა ვერაფერი გამოსძებნა, რომ ბონდოსთვის გაება საუბარი.

— წავიდა, თვარა ერთი ვერცხლით მოქედელი სედლო და ამაზონკა კაბა არ ჩამოგიტანოს, — აგდებით სთქვა ბონდომ. — ვერ გავიგე, რა ნატვრის თვალი გახდა ეს გაბედავას გაუმჯობესებული კალათა.

— ალათასა, ბალათასა,
ვერცხი ჩადე კალათასა.
ერთი აბაზი მარტქე,
ღმერთი მოგცემს ბარაქსა.

დაიწყო მან კახურ კილოზე. სიმღერის დროს ბონდოს ახლო მიჰქონდა სახე ციცინოს სახესთან. მას პირიდან ლეინის სუნი სცემდა და ქალს გულს ურევდა.

— რაა, ბონდო, ამდენს რომ სევამ — მომდურავად უთხრა ციციანომ. — რაზე იყავი ახლა ბათომში?

— ჭიკო აპირებს რუსეთში წასვლას ხე-ტყის დამსახურების აგენტად. მეც დამპირდა წავიყვანო. ისეთი მოხერხებულია, რომ ქვეს წვევს გამოადენს. მეც წავალ, ერთს ბედს ვისინჯავ, ან ვირი გამოვალ, ან ვირის პატრონი, — გაიცინა ბონდომ. — აღარ დაადგა საშველი მე და მამაჩემის გაყრის დამტკიცებას, თვარა მე ჩემი წილი უნდა გავყიდო და მთლად გადავიდე ბათომში. როგორ მიჩქევ შენ?

— რა ვიცი, რა უნდა გირჩიო. თუ კაცი მოინდომებს, ყველგან მოახერხებს ცხოვრებას.

— გინდა, შენც გადმოდი, — შესდგა უცებ ბონდო და მნიშვნელოვნად ჩახედდა ქალს თვალებში.

— მე რაზე უნდა გადმოვიდე ბათომში? — გაოცებით ჰკითხა ციციანომ.

— შენზე ამბობენ, ახლა ორასკილოიანი რომაა, ცივ ქვაზე დაასახლებს კაცსაო... იქნება, მეც დამასახლო იქ ასფალტზე... — გაიღრიჭა ბონდომ.

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ! შენ მართლა ბევრი გისვამს დღეს, — მოუჭრა ციციანომ. — მართლა, რას შობა ჭიკოს ცოლი? — გადაიტანა მან სალაპარაკო სხვა საგანზე.

— არა, მე მართლა გულით გეუბნები, — ისევ შესდგა ბონდო. ისეთ კილოზე იყო წარმოთქმული ეს „მართლა გეუბნები“, თითქოს ბონდო დარწმუნებული ყოფილიყოს: საკმარისია სერიოზული წინადადება მიეცე და ციციანო დაუფიქრებლად დამეთანხმებო. ციციანომ ისევ ბანზე აუგდო სიტყვა. მომავალ ალფეროზე გადაიტანა სალაპარაკო.

— კარგი, მე მართლა გულით გელაპარაკები, — ჯიუტად გაუმეორა ბონდომ, ხშირი წამწამები ზე აზიდა და ქალს თვალებში შეაჩერდა. ციციანომ ერთხანს გაუსწორა თვალი. გული ეტკინა.

ბონდოს მუქ თაფლისფერ თვალებიდან მას მუდამ რაღაც სხივი მიეფინებოდა ხოლმე. ახლა კი მას ბონდოს მღერივ ფვალები მიშტერებოდნენ. თითქოს სახეც შეშუპებოდა ხშირი სმისგან.

უკანასკნელ დროს ბონდო თითქმის ყოველდღე მიჰყვებოდა ბათუმის მატარებელს. იქიდან ფხიზელი არასოდეს არ ბრუნდებოდა. ხშირად თავის ბათუმელ ამფსონებსაც ჩამოიყვანდა შინ საჭეიფოდ. ბონდოსა და სიპიტოს შორის ერთი წეწვა იყო ამის გამო.

რამდენი მზრუნველობა გამოიჩინა ციციანომ ბონდოსადმი, რამდენჯერ შეეცადა ის სწორ გზაზე დაეყენებია, ბონდო კი სულ უკანდაუკან მიდიოდა. ახლაც მონისლული თვალებით მიშტერებოდა და თავმომაბეზრებლად უმეორებდა ერთსა და იმავეს:

— არ დამასახლებ ცივ ქვაზე, არ დამასახლებ ცივ ქვაზე?!

— კარგი ახლა, დაეთხოვე მაგისტანა ლაპარაკს, — კუშტად აიწია ციციანომ წარბები.

ბონდოს სახე დაეწმინხა. ერთხანს დადუმდა. ქალს მხოლოდ მისი კბილების კრაქუნნი ესმოდა. შემდეგ ცივად და გამომცდელად შეაქცერდა ციციონოს.

ქაქიძისული

გინჯლიჩიშვილი

— აბა, ქიშვარდი გინდა დაასახლო ცივ ქვაზე? — გამოწითლდა სახეზე ციციონო. — რა დეიჩემე ეს ცივ ქვაზე დასახლება? ახლა არავის არ სჭირდება ცივ ქვაზე დასახლება. თუ კაცს უნდა თავისთავის სიკეთე, ყველაფერში გზა ხსნილი აქვს. თუ შენით იფუქებ შენ თავს, სხვას რას აბრალებ, — სოტკვა მტკიცედ მან და ნაბიჯს აუჩქარა.

რამდენჯერაც სცადა ბონდომ ამის შემდეგ ამ საგანზე დაბრუნება, ციციონომ ყოველთვის გვერდი აუქცია. ხან ალევგროს სამზადისზე ეკითხებოდა, პიესა თუ იშოვე მაშინ ვარდოულშიო, ვის ათამაშებო. ამასობაში ციციონოს ეზოს მიადგნენ კიდეც. გულამრეზილი დაშორდა ბონდო ციციონოს. რატომღაც ისევ ქიშვარდი მოაგონდა, ვაგონის ფანჯრიდან რომ იქნედა ხელს, აფორიაქებულად რომ ეძახდა ციციონოს: წერილებს მოგწერთო. ნეტა რის მოწერას აპირებს კალათის მაძიებელიო, იმტვრევდა თავს ბონდო. მთელი მისი გაბოროტება ამ უსიამოვნო საუბრისაგან ახლა ქიშვარდიზე გადაიტანა.

ქიშვარდის კი ამ დროს მატარებელი მიაქროლებდა. როგორც კი გაშორდა პირველ სადგურს, მაშინვე მომზადებული ქალაქი და კონვერტი ამოიღო და ფანჯარასთან მაგიდას მიუჯდა. მგზავრების ქოთქოთის და ქრიაშულის მიუხედავად, წერილის წერაში გაერთო. ზოგჯერ თუ გახედავდა ფანჯარას. მატარებლის ქროლვაზე მარაოს ფრთებივით იშლებოდნენ ჩაის და ციტრუსების პლანტაციებით მოფარდაგებული სერები და ბორცვები. ფანქარი ქალაქზე დახტოდა, მაგრამ მატარებლის ტანტახის და ჯაჯგუნის მიუხედავად, ქიშვარდი ლექსადაც კი ამღერდა. ერთ დიდ სადგურზე დაასრულა წერილის წერა. გულდაგულ დაკეცა. კონვერტმა გაუჭირა საქმე. არაფრით არ იხურებოდა. სადგურში ჩამოვიდა, კიოსკში წებო იყიდა, გულდაგულ მოუგლისა კონვერტს კიდეები და გულის ძგერით მიანდო. შემხვედრი მატარებლის საფოსტო ყუთს.

ქიონიას ჩვეულება ჰქონდა, ყოველ ცისმარე დღე ფოსტაში ავიდოდა და წერილებს მოიკითხავდა. ძალიან იშვიათად კი ლებულობდა წერილებს. ერთი გადაყრუებული ბებია ჰყავდა ქორბუდეში, ის თუ შემოუთვლიდა წელიწადში ერთი-ორჯერ — იქნებ თქვენს აფთიაქში ზეთუნის ზეთი იშოვება და გამომიგზავნოო. ეს იყო და ეს. მაგრამ ქიონია ისე იქცეოდა, თითქოს მთელ მსოფლიოსთან ჰქონდა გამართული მიწერ-მოწერა. და ერთ საღამოს, თავსხმა წვიმაში ქიონიამ ჩვეულებისამებრ ფოსტისკენ რომ გამოიარა, ციციონოს წერილს წააწყდა და ქიშვარდის ხელი იცნო. გული გადაუქანდა. წალმუჯკულმა ატრიალებდა: გახსნა თუ მოხერხდებაო, მაგრამ ისე მაგრა იყო დაწებებული, რომ გახვევისა შეეშინდა. გზაში ბონდო შეზღდა და ვითომ დაეზარა ციციონოს სახლამდე მისვლა, მას გადასცა. დარწმუნებული იყო, ბონდოს ინტერესს გაუღვიძებდა ეს წერილი.

მაშ ეს ის ბარათია, ქიშვარდი რომ ჰპირდებოდა ციცილის ვარდო-
ულიდან „მოგწერთო“, გესლიანად გაიღიმა ბონდომ და კალმის დანით
წერილის ნაწიბურის გახსნა სცადა, მაგრამ კიდეები ისე ჰქონდა მიწებე-
ბული, რომ ამ ცოდვილობაში კონვერტს ცალი კუთხე მარჯვნივ, წე-
რილიც კონვერტს დასწებებოდა, შუაზე გაიხა. ბონდომ ხელი ჩაიქნია.
კონვერტი დაქმუქნა, წისქვილის წყალს გაატანა და წერილის და ლექ-
სის კითხვას შეუდგა.

ამრიგად აქაც ბედმა უმტყუნა ქიშვარდის. ეს წერილი „საბოლოო
გრძნობაზე“ მის მქირდავ მეტოქეს ჩაუვარდა ხელში და დანიშნულე-
ბამდე ვერ მიაღწია.

XVII

ნაადრევეა შემოდგომამ ხეს ფოთოლი დააყრევინა. ეზოები მოფენი-
ლია თუთის და კაკლის ხის ოქროსფერი ფოთლებით, მაგრამ თვის მიწუ-
რულში ამინდი უცბათ შეიცვალა, სითბომ ტყემლის ყვავილები გამო-
იტყუა. ხეს კვირტები დაებერა, იტყვი, ხელახლა ვარდფურცლობა იწყე-
ბაო. კოლმეურნეებმა საშემოდგომო სამუშაოები თითქმის მოასრულეს
და სოფელ შრომის ახალგაზრდობას სეირნობის ეინმა მოუარა.

საბა ასე განმარტავს სეირნობას: „სიარულიცა მრავალსახე არიან, რა-
მეთუ სლვანი სხვადასხვაობით განიყოფებიან; ნებიერად სლვასა უხმო-
ბენ ვილოდასა და სლვასა, აგრეთვე ნავთასა, ხოლო ჰმუნვათა განმაქარ-
ვებლად წალკოტთა ანუ მინდორთა მიმოსვლასა მოთხვასა ანუ იმოთხვი-
დასა, რომელსაც მსოფლიონი სეერნობასა უხმობენ“.

დიდი ჰმუნვა და დარდი სოფელ შრომის ახალგაზრდებს არ ჰქონიათ.
დაგუბებული ახალგაზრდული ენერჯია ამოსავალს ეძებდა ამ ჩვენი სოფ-
ლისთვის ჩვეულ „ალეგრო-სეირნობაში“.

შემოსავალი სახალხო სახლის მშენებლობას უნდა მოხმარებოდა, შრო-
მის სახალხო სახლი ბაბილონის გოდოლივით გაუთავებელი რაღაცა იყო.
ექვსი წლის წინათ შეუდგნენ მის აგებას, რაიონიც დაეხმარა. ჯერ მაინც
ვერ მოასრულეს. გასაკვირიც არ იყო, რაღაც უზარმაზარი წამოიწყეს,
ოცდაშვიდოთახიანი, ქვის პალატზე წამოდგმული. ასეთი შენობის აგე-
ბა ერთი სოფლისთვის ადვილი საქმე არ იყო და მისი ფონდის გასაძლიე-
რებლად რამდენიმე წლის განმავლობაში იმართებოდა ალეგროები და წა-
რმოდგენები.

ალეგროს მომწყობი კომისია გამოყვეს. ხარჯების გეგმა შეადგინეს.
ორი დღე სწერდნენ შეიდწლედის მოწაფეები ალეგროს ბილეთებს და
მოსაწვევ ბარათებს საპატიო სტუმრებისათვის. ბარათები შრომის გარდა
ახლო-მახლო სოფლებში და ვარდოულშიც გაგზავნეს. ალეგროს დია-
სახლისები აირჩიეს, ხორაგის შეგროვებას შეუდგნენ. რევისორობა და
სხვადასხვა გასართობების მოწყობა ბონდომ ითავა.

ქიშვარდი ამ ხნის განმავლობაში სოფელ ჩაქუროს კოლმეურნობა მოინახულა, ძაბული გაბედავას ბრიგადის პლანტაციები დაიარა. ციცი-ნოს წერილი და კალათა წამოუღლო, რომელიც ძაბულს ქიშვარდს უსახ-სოვრა.

როცა ქიშვარდი დაბრუნდა გორაბანის რაიონიდან, სოფელი შრომა ალეგროს სამზადისში იყო.

ქიშვარდის სოფელში ჩამოსვლისთანავე ეშურებოდა ციცინოსათვის კალათა ეჩვენებინა და, რადგანაც ციცინო რეპეტიციაზე იყო, იქითკენ გაქანდა. კალათა ზონრით აიკიდა და ისე შევიდა სამკითხველოს დარბაზ-ში, სადაც რეპეტიცია იყო დანიშნული. ბონდო მაგიდაზე იჯდა და რო-ლებს ანაწილებდა. კალათა-აკიდებული ქიშვარდი რომ დაინახა, სიცი-ლით შეეგება.

— რა ავიკიდა, ქიშვარდი, მეწვრიმალესავით?! — კვლავ სცადა ბონ-დომ ქიშვარდის გაქილიკება, მაგრამ ახლა ახალგაზრდებმა ყური არ ათ-ხოვეს მის ენამწარე ოხუნჯობას.

შიატოვეს რეპეტიცია, იქვე სკოლის პლანტაციაზე გამოვიდნენ ახალი კონსტრუქციის კალათის გასასინჯად.

შემდეგ ისევ შემობრუნდნენ სამკითხველოს დარბაზში. როგორც პრო-ფესიონალურ თეატრებში, აქაც ნამდვილი დრამა როლების განაწილე-ბასთან იყო დაკავშირებული. პატარძლის უსიტყვო როლზე, რომელიც მხოლოდ პიესის ბოლოში გამოჰყავთ, ჯვარისწერისათვის გამზადებული, დიდი დავა ატყდა. ყველა მას ჩემულობდა. ყველას პატარძლობა თუ იზი-დავდა. ბოლოს იგი ციცინოს დაუნარჩუნეს.

ჯერი სასიძოს როლზე მიდგა.

— მაგი როლი სწორედ შენზეა ზედგამოჭრილი, ქიშვარდი, — წამოი-ძახა სიცილით ბონდომ. — ამ ორასკილოიან საპატარძლოზე დაიწერ ჯვარს! სცენაზე მაინც დაიბედე...

ბონდოს უტიფარმა ხუმრობამ ახლაც არაფერი გამოხმაურება არ ჰპო-ვა ახალგაზრდებში. ქიშვარდი კი თოფნაკრავივით წამოვარდა.

— ვაი შე უბედურო, მაგი გატლექილი ენა რომ არ გქონდეს, ამდენ-ხანს ყვაეი წავილებდა, — მიახალა მან ბონდოს. — შენც შეგარცხვინე და შენი როლიც... — და კარებისკენ გაემართა.

ციცინო აივანზე დაეწია, მკლავში ჩააფრინდა და უკან ეწეოდა.

— მაგი მასეა ენაკვიმატი, თვარა გლახა გულის კი არაა, — სცადა ქალმა ბონდოს გამოსარჩლება, — ჩემი ხათრიზა მიიღე წარმოდგენაში მონაწილეობა.

— ოჰ, კარგი ერთი, — გულამღვრეულად მიუგო ქიშვარდომ, — ძალ-ლის კუდივითაა მაგი, ცხრა წელიწადს რომ იყო კალაპოტში, ამოიღეს და ისევ გაილუნა.

ციცინო გრძნობდა, რომ უფრო და უფრო მწვავედებოდა ურთიერთო-ბა ქიშვარდისა და ბონდოს შორის. იმასაც გრძნობდა, რომ თითონ იყო ამის მიზეზი. გადასწყვიტა, როგორმე შეერიგებინა მისი გულისთვის წა-

კიდებული მეტოქეები. ამიტომ ეხვეწებოდა ახლა ასე გულმხურვალედ, წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეო. ქიშვარდი უარობდა, მაგრამ ქალის ხეყწნამ და დაყვავებამ მას გული მოუბრუნა. ციციანოს მანქლი გაბედდავას წერილი გადასცა. ციციანომ მაშინვე გახსნა და კითხვას შეუდგა.

„სტახანოვეური სალამი ამხ. ციციანო ფარვანიძეს“ — სწერდა ძაბული ციციანოს, — „დიდათ გამახარა თქვენმა წერილმა, რომელშიდაც იწერებით, თუ როგორ მიიღწიეთ სტახანოვეურ მწვერვალებს ჩაის კრეთაში — ძალზე დამაინტერესა და სიხარული შექმნა ჩემთვის თქვენმა ინციატივამ ამ ახალი კალათის შექმნისათვის. გოგზავნი ჩემ საკუთარ კალათს, რომელსაც ორი წელიწადია ვატარებ ჩაის პლანტაციაზე. მოგისურვებ მეტ წარმატებას და როგორც ამას მოითხოვს სტახანოვეური მეთოდის უმაღლეს წერტილზე აყვანით. ვეცდები მოგინახულო ადგილზე და გაგაცნობ იმ მეთოდებს, რომელსაც მე მივალწიე ჩაის კრეთის დარგში. მაგრათ გაართმევ ხელს. კალათის მიღება მაცნობე“.

ციციანომ კითხვა რომ დაასრულა, ქიშვარდიმ გულის ძგერით პკითხა: — ხომ გეუბნებოდი წასვლის ხანს, წერილებს გამოგოგზავნით თქვა.

— ჰო, ძაან გულითადი წერილია, — დახედა ისევ ციციანომ გაბედდავას წერილს.

ქიშვარდი ვაცუბუნებული დარჩა. ციციანოს რომ უთხრა „ხომ გეუბნებოდი წერილებს გამოგოგზავნით თქვა“, ის თავის წერილსაც გულისხმობდა, რომელიც გზიდან მოსწერა და რომელშიაც „საბოლოო გრძნობებზე“ იყო ლაპარაკი. ქიშვარდი დარწმუნებული იყო, რომ ციციანო მის მიერ მოწერილი წერილის გარშემო გაუბამდა ახლა საუბარს. ციციანო კი ისევ და ისევ გაბედდავას წერილს უბრუნდებოდა. ხუთჯერ მაინც გადაიკითხა შინ მისვლამდის. გაბედდავას შესახებ ელაპარაკებოდა მთელი გზის განმავლობაში. გულის ლევით მოელოდა ქიშვარდი — აი ახლა ჩამოაგდებს ციციანო სიტყვას ჩემს წერილზე, აი ახლაო. მაგრამ ისე მიადგნენ სეფეს ქიშვარს, რომ ციციანოს კრინტიც არ დაუძრავს ამ წერილზე. ქიშვარდი გულნატკენი გამობრუნდა შინისკენ. მაინც გადასწყვიტა, ხვალვე შეხვედროდა ციციანოს და ლაპარაკი ჩამოეგდო მის მიერ გამოგზავნილ ბედუკულმართ წერილზე, რომელიც ბონდოს ჩაუვარდა ხელში.

მაგრამ ალეგროს სამზადისმა ხელი შეუშალა ამ განზრახვის განხორციელებას.

ალეგროს წინადლით დაიწყო რიარია. კომისიის წევრები ვახშმისთვის ხორაგს აგროვებდნენ. ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ქალთა ბრიგადა ყველას სჯობნიდა შემოწირულებითა შეგროვებაში. ის ხელკარიელი არავისგან არ ბრუნდებოდა. ზოგი ხაქაპურებს სწირავდა ვახშმისათვის, ზოგი გოქს, ქათამს ან ინდაურს, ზოგი ღვინოსა და ხილს. კლუბის შენობა სარემონტო იყო. ალეგრო სკოლის ეზოში უნდა გაემართათ და ხორაგიც იქვე ახლო მცხოვრებ სეფესას მიზიდეს. შემოწირული ღვინო რამდენიმე ჯიშისა იყო: ადესა, ცოლიკოური და ჩხავერი. რამდენიმე პოთლი სანთლის არაყიც შემოსწირეს. ასეთი ნარევი ღვინო ვახშმისთვის

არ გამოდგებოდა. მით უფრო, რომ სტუმრებს რაიონულ ცენტრთანაც ელოდნენ. ამიტომ შეგროვებული ღვინო სასადილოს ჩააბარეს და საბადლოდ ერთი ხარისხის ღვინო გამოართვეს.

გამოსასვლელ დღეს მთელი ახალგაზრდობა მოედო სოფელს. ზოგი ნოხს მოათრევდა, ზოგი ბრეზენტს, ზოგი სელის სკამს, ზოგი სარკეს და ლამფას.

ყოველ ალევროზე პუპულას წუწუნი იკლავდა სოფელს: მაინც—მაინც მის ნოხებს და სელის სკამებს უნდა დატაკებოდა აბეზარი ახალგაზრდობა. მეორე დღეს ჩვეულებრივად ნოხებს დათითხნილს დაუბრუნებდნენ და სკამებს დაკოჭლებულს. სიპიტოც ბუზღუნებდა, რომ მისი ჯვარისწერის თეთრი თიფთიკის ჩოხა წარმოდგენებში დაუგლიჯეს.

სკოლის, ფოსტისა და აფთიაქის კედელზე ვეებერთელა აფიშები იყო გაკრული:

— გრანდიოზული — ა ლ ე გ რ ო ს-ს ე ი რ ო ბ ა ფართე პროგრამით.

წარმოდგენილი იქნება „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და „ტიმოთეს ლელი“.

სალამოში მონაწილეობენ შვიდწლედის მეჩონგურები და კოლმეურნეობის მომღერალი გუნდი. მრავალნაირი გასართობი. მფრინავი ფოსტა. ლატარია. ამერიკული აუქციონი. „საუცხოვო სანახაობა“, „ჯადო-ჭოთანაი“, „თეთრი იხვი“ და სხვა მრავალი.

სალამოს შემდეგ დიდი ვახშამი გათენებამდის.

სკოლის წინ მოედანზე საბატიო სტუმრებისთვის რამდენიმე მწკრივად დაედგათ სელის სკამები და ტაბურეტები. „პარტერს“ მოსდევდა კორტზე დაწყობილი ფიცრებისაგან შეკრული „ამფითეატრი“.

უკვე შებინდა. მაყურებლები გროვდებოდნენ. სკოლის აივანზე კი სცენის გამართვა ჯერ არ დაესრულებინათ, ჩაქუჩების კაკუნი იქაურობას აყრუებდა. აივანი ორივე მხრიდან ბრეზენტებით შემოეზლულათ. ზედ ნახშირით ფანჯრებს ხატავდნენ. პატარა ბავშვები სცენაზე მიძვრებოდნენ, დიდებს ფეხებში აბლანდებოდნენ. ვერაფრით ვერ მოაშორეს ისინი იქაურობას. სკოლის ოთახში პარიკმახერი თავის ბოხჩას შლიდა. „მსახიობები“ პარიკმახერს გულს უწყალებდნენ. ვაეები ერთთავად წვერისა და უღვაშების გაკეთებას მოითხოვდნენ, იმისდამიუხედავად—ახალგაზრდის თუ ხანშიშესულის როლს ასრულებდნენ. მთავარი ოსტატობა იმაში მდგომარეობდა, რომ მოთამაშე თავისიანებს არ ეცნოთ სცენაზე. ამიტომ წამდაუწუმ სახეზე იყრიდნენ პულრს, ისქელებდნენ წარბებს და იხატავდნენ ვეებერთელა ხალგბს. ყველა ერთდროულად ცდილობდა პატარა სარკეში დაენახა თავისთავი და ერთმანეთს კისერს აგლეჯდნენ.

ბუფეტში დიდი ფაციფუცი იყო. სიპიტოს. როგორც ძველად რკინიგზის ბუფეტში ნამუშევარს, ყოველ ალევროში ვახშმის მოწყობას ავალელებდნენ. ის დღესაც თავის საგუშავოზე იდგა: თაროზე ალაგებდა თეთრ დაბლარის ყურძენს, გრძელმტევანა ალადასტურს, კუმუს-მტევნიან ქუმეტას, მოხარშული სიმინდის ტაროებს, ქარვისფერ ნესეებს, ატამს და

მსხალს — შემოდგომის უხვ ტაბლას. რომ ვახშამს „ჩიტის რძე“ არ დაკლებოდა, ჭალაქიდან „პონჩიკები“-ც კი ამოეტანათ.

ჩვეულებისამებრ წარმოდგენის დაწყება დაავიანეს. ზარს უკვე მეთევჯერ რეკდნენ. ხალხი მოუთმენლად უკრავდა ტაშს. სულფურურ „ნი-ეარაში“ ჩაძვრა და, ის-იყო ფარდის ახდას აპირებდნენ, როცა გამოირკვა, რომ ბონდოს პიესა სახლში დავიწყებოდა. მის სახლამდის კარგა მანძილი იყო და ის დამდულორული ძალღივით გავარდა შინისკენ წიგნის მოსატანად. სულ დაავიწყდა, რომ ჩოხასა და გრიმში იყო.

სანამ ბონდო პიესას მოიტანდა, ახალგაზრდები „მფრინავ ფოსტიტ“, „ჯადო-ქოთნით“, „საუცხოვო სანახაობით“ ირთობდნენ თავს.

„საუცხოვო სანახაობა“ ბრეზენტით მოზღუდულ კარავს წარმოადგენდა.

— აბა, ვის გინდათ ნახოთ მაიმუნის სახე? სულ იაფად, ათ შაურად. აქეთ, აქეთ! — ჩახჩახებდა სკაჩია.

კარავში მსურველებს თითოობლივ უშვებდნენ იმ პირობით, რომ საიდუმლოებას არ გაამტავნებდნენ. ყველას უნდოდა ენახა, თუ რა მხეცი იჯდა კარავში. კარავს პატარა ლამპა ანათებდა. მაგიდაზე გაბზარული სარკე იდგა. შემსვლელი სარკეში თავის სახეს დაინახავდა საოცრად დამანქულს. კარავში ნამყოფი სიცილ-ხარხარით ხედებოდნენ ვაბრიყვებულს და აფიცებდნენ, არ დაგვლუპო, არ გაგვეყო.

— მოდი, ერთად ენახოთ მაიმუნის სახე. — ეხუმრებოდნენ ბიჭები გოგოებს.

„ჯადო-ქოთანიც“ დიდძალ ხალხს იზიდავდა. „ჯადო-ქოთანს“ მხოლოდ სახელი ჰქონდა ჯადოსნური, სინამდვილეში კი ის ჩვეულებრივი თიხის ქოთანი იყო, ღობის სარზე ჩამოცმული. თამაშის დაწყების წინ „მოასპარეზეს“ უჩვენებდნენ, თუ რომელ სარზე ჩამოაცვამდნენ ქოთანს — შემდეგ თვალებს აუხვევდნენ და ხელში ჯოხს მისცემდნენ. მას ორმოცი ნაბიჯი უნდა გაეგლო მიმართულების შეუცვლელად და ქოთანი ჯოხით დაემტვრია. თითქმის ყველა მარჯვნივ უხვევდა, მაგრამ პატარა ბიჭები, რომლებიც ღობესთან იყვნენ ჩაცულქულნი, სმენის წამლებად უყვიროდნენ თვალახვეულს — მარცხნით, მარცხნითო. ისიც მიმართულებას იცვლიდა და თითქმის დაუცდენლად ახვედრებდა ჯოხს ქოთანს. ეს საღამოს მომწყობთათვის ერთობ საზარალო იყო. თამაშის პირობები ისეთი იყო, რომ თუ „მოასპარეზე“ ჯოხს ქოთანს ააცდენდა — ათი შაური უნდა გადაეხადა, თუ კი ქოთანს ვასტებდა — ჯილდოდ ხუთ მანეთს ღებულობდა. ქოთანიც ფულად ღირდა. მაგიდაზე დაწყობილი ქოთნების რიგი თანდათან კლებულობდა. ამიტომ „ჯადო-ქოთანის“ მომწყობი მამია ვაშმაგებული დასდევდა პატარა ბიჭებს, მაგრამ ამ ეშმაკის ფეხებს რას დაეწეოდა. ისინი კუნტრუშით გარბოდნენ, ხეებს ეფარებოდნენ და იქიდან გაპყვიროდნენ — მარცხნით, მარცხნითო.

ლატარია გელაზივით გრიალებდა. იქვე აბლოს არხის წყალი დაეგუბებიათ. შემოლობილ აუზში საგანგებოდ ალევროსთვის ნაყიდი თეთრი

იხვი დაკურავდა. ყმაწვილები ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ, თუ ვინ ჩამოაცვამდა იხვს თავზე ყულფს. მაგრამ იხვი, თითქოს ალღეგროს მომწყობებთან პირი აქვს შეკრულიო, ხელის გაქნევისთანავე წყალში ჩაყვინთავდა და მოთამაშე ყოველთვის გაწბილებული რჩებოდა.

ოცი წუთის შემდეგ აქოშინებულმა ბონდომ მოიხრინა ბედუკულმართი პიესით ხელში. ოფლს მთელი გრიმი ჩამოერეცხა და მისი სახე წითელ-ლურჯად ღუოდა. პირი დაიბანა და ისევ გრიმის კეთებას შეუდგა.

წარმოდგენა თერთმეტ საათზე დაიწყო. პატარა ბიჭები სცენის რანდზე ეკიდებოდნენ და სუფლიორის „ნიჟარას“ ისე ეხვევოდნენ გარს, როგორც ფუჰკური ახლად დაწნებილ ყურძენს. ნიჟარაში იჭყიტებოდნენ და სუფლიორს ენას უჩვენებდნენ. არც „პარტერში“ იყო მათგან მოსვენება. წარმოდგენის ადგილი მაღალი მესერით იყო შემოღობილი, მაგრამ ბავშვებს ვერაფერი ვერ ამაგრებდა და ისინი შუა მოქმედების დროს ხტებოდნენ მესერზე. წინა რიგებში შედარებით სიწყნარე იყო. უკანა რიგებში კი ბავშვების ხმაურობისგან ყურთასმენა აღარ იყო. ისინი წამდაუწუმ გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე.

— ბაღნებო, გაუმდიოთ, თქვე გასაწყვეტლებო! გაგვაგონეთ რაცხა! — ჯავრობდნენ ხანში შესულები.

პირველი მოქმედება ძალიან მხიარულად დაიწყო. მოთამაშეებმა სცენაზე ყოველგვარი პირობითობის გარეშე ნამდვილი ქამა-სმა გამართეს. სიპიტოს ჩვეულება ჰქონდა, სცენაზე მოთამაშეებს ყოველთვის წყალნარევ ღვინოს უგზავნიდა, რაზედაც მათ ხშირად ჩხუბი მოსდიოდათ. ახლაც ვერ გაიმეტა სიპიტომ მათთვის კარგი ღვინო. სცენის მოყვარეები მაინც გულიანად შეექცეოდნენ. წყალნარევ მაღლარს ჩაის ჭიქებით სვამდნენ და მოქმედების მსვლელობას აჟიანურებდნენ. გოჭის და ქათმის ხორცსაც მადიანად იღმურძლებოდნენ და ძვლებს ზედ სცენაზე ყრიდნენ. ამ ძვლებმა სცენაზე ვილაციის ძალლი შემოიტყუა. მურამ ძვლები პირწმინდად აკრიფა. შემდეგ უკანა ფეხებზე დაყუნცდა და მუდარით აღსავსე თვალებით შესცქეროდა ქეიფით გართულ მოთამაშეებს.

ბონდომ ძალღს ხელი დაავლო, სცენის უკან გაიყვანა და კულისებში ჩააგდო. რამდენიმე წუთის შემდეგ დაუპატივებელი სტუმარი ისევ შემოცუნცულდა სცენაზე და კულისს ქნევით დაუწყო ცქერა სუფრასთან შემოსხდარ მსახიობებს. ბონდომ მეორეჯერ გაიყვანა ძალლი სცენიდან, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ის ისევ მობრუნდა. მაყურებლებში სიცილ-ხარხარი ატყდა. ბავშვები ძალღს უწრუწუნებდნენ—ეცი მურიაო—ეძახდნენ. ახლა კი მოთმინებიდან გამოსულმა ბონდომ დაავლო ძალღს ხელი, „შენს პატრონს შენი თავ-ფეხიო“ — შიძახა და მაყურებლების წინ მიწაზე დაანარცხა. ძალღი წკავეწკავით წამოვიარდა და რიგებს შორის გაძრომა სცადა. ამ ჩართულმა სცენამ ყველაზე მეტი სიამოვნება მოჰგვარა მაყურებლებს.

მეორე მოქმედება შუაზეც არ იყო მისული, რომ წვიმა წამოვიდა და სცენისმოყვარეებს დამწვარი კოროპით მოხატული წარბები და წითლად

შეფერადებული ლოყები ჩამოურეცხა. ზოგს ცუდად მიწებებულ წვერი და უღვაში მოსძვრა. ქვენა-ქარმაც მაგრად დაუბერა და კედელად გაჭიმული ბრეზენტი მოთამაშებებს თავზე გადაათარა. ქვეყნებულმა და შემსრულებლებმაც მაინც იმდენი გმირობა გამოიჩინეს, რომ ქვეყნებმა ბოლომდე მიიყვანეს. ამ დროს წვიმამ გადაიღო, ქარმა ღრუბლები გაჟფანტა და ცაზე წვიმით პირდაპინილი ვარსკვლავები აციმციმდნენ. მაგრამ წარმოდგენის გაგრძელება შეუძლებელი იყო. როგორც მოთამაშეები, ისე მსყურებლები „გასაწურად“ იყვნენ მოქცეული. ქალიშვილებს ატმისფერი აბრეშუმის კაბები ტანზე ეკვროდათ. დედები მათ სახლისკენ ეწეოდნენ, ტუქსავდნენ. ვაგოები კი ფეხს ითრევდნენ და შინ წასვლას არ იჩქაროდნენ. როცა დედები ვერაფერს გახდებოდნენ, თავის ფლორენციას ან კლეოპატრას ვინმე მოკეთის ქალიშვილს ჩააბარებდნენ:

— აბა, შენი იცი, შენი ჭირიმე, თვალი მიეცი. — თითქოს მის ქალიშვილს ასი შეიარაღებულ კაცი ელოდებოდა მოსატაცებლად და გუნება-აღრენილი შინისკენ მიდიოდნენ.

ძნელი სათქმელი იყო, დედების წასვლა ვის უფრო უხაროდა, — ვაჟებს თუ ქალებს.

მფრინავმა ფოსტამ მუშაობა გაახურა. „ფოსტის დამტარებლები“ ზოგს მუხუთეჯერ უზნევენდნენ მკერდზე „ნომერს“ — პირისფერ ქალაღლისაგან გამოჭრილი ისრით განგმირულ გულს, ზედ აღბეჭდილი ნომრით. მფრინავი ფოსტა ჯადოსნური საშუალება იყო მორცხვი ახალგაზრდებისათვის ენის ამოსადგმელად: ვაჟები და ქალები ლექსებით და წერილებით იმის თქმას ახერხებდნენ, რაც ერთმანეთისათვის პირადად ვერ გამოეთქვათ. ზოგიერთებს გასაბიძარებლად წერილის მაგივრად დაუწერელ ქალაღლს უგზავნიდნენ. ქიშვარდისაც მიუვიდა ერთი წერილი, რომელშიაც დამცინავი კილოთი „საბოლოო გრძნობაზე“ იყო ლაპარაკი. ქიშვარდი აიღეწა. „საბოლოო გრძნობაზე“ ზომ ის სწერდა ციცინოს. მაგრამ ნუთუ ციცინომ მისი წერილი სხვას წააკითხა, მისი გრძნობა ჭეცხენისად ვახადა?

ქიშვარდის თითქოს თავს რეტი დაესხა. ზეზე წამოდგომა ძლივს მოახერხა. ამხანაგებს გაშორდა და მესერს შეეყრდნო. ქიშვარდის ბრიგადის ხალხმა შენიშნა მისი წასვლა და ძებნა დაუწყეს. ციცინოც დაეძებდა ქიშვარდის. რაკი აქამდე ვერ მოახერხა ქიშვარდისა და ბონდოს შერიგება, სწორედ ახლა გადასწყვეტა თავისი განზრახვის ასრულება.

ვახშმისთვის უკვე მაგიდებს აწყობდნენ. გაშლილი ქეიფი იწყებოდა. თუთთმეტი სუფრა ჩაემწყრივებიათ ბუფეტის წინ. თვითეული ბრიგადა ცალკე სხდებოდა. სხვა სოფლებიდან მოსულ სტუმრებს შრომელები იწვევდნენ თავიანთ სუფრაზე. დიასახლისები მაგიდებს შორის ტრიალებდნენ. ბონდო თავის ბრიგადაზე მომღურავად იყო, სარეკორდო კრეფის დროს რომ გააბიძარეეს. ამ საღამოს მესამე ბრიგადას ახლოსაც არ ვაეკარა — ცალკე გამართა სუფრა. ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თუ ვინ მეტს დახარჯავდა.

ჭიშვარდიმ თითქმის მთელი თავისი შრომა-დღეებში ალებული ფულადი ავანსი ოსტატების ქირას და კრამიტის ვალის გახსნის მომადლომა. ახლა ჭურღულად იხედებოდა თავის საფულეში, რომელშიაც ბევრი არაფერი იყო. როცა მისი ბრიგადის ბიჭები თავმომწონედ ახრულდნენ ღვინოსა და საკმელებს, მას სირცხვილი სწევდა, და ის დამაშავესავით თავდაბრილი იჯდა. საკმელი ყელში არ ჩასდიოდა, როცა მოქეიფეები ერთმანეთს ხუმრობით მიმართავდნენ — ჩაიყავი მაგ ჯიბეში ხელი, მორიელი ხომ არ გიზის შიგო? ჭიშვარდი ამ ოხუნჯობას თავის თავზე ღებულობდა. ამიტომ გაქვავებულივით იჯდა და საერთო მხიარულებაში მონაწილეობას ვერ იღებდა.

ხალხი შექეიფიანდა. დაიწყო სუფრიდან სუფრაზე გადაპატიყ-გადმოპატიყება, მაგიდების შეერთება. მფრინავი ფოსტაკი მართლაც დაფრინავდა. განუწყვეტლად მიდიოდა მაგიდიდან მაგიდისკენ ღვინოში დასველებული ბარათები.

ჭიშვარდის მეორე წერილიც მიუვიდა. საოცარი იყო, რომ ესეც იმავე ხელით იყო დაწერილი, იმავე ოთხკუთხად გახაზულ ქალღმრთელზე და ისევე ჭიმიური ფანქრით, როგორც პირველი წერილი. ოღონდ ეს ბარათი ლექსად იყო დაწერილი და მასში ისევე იმ „საბოლოო გრძობაზე“ იყო ლაპარაკი. ჭიშვარდი არეული თვალებით მისდევდა ლექსის სტრიქონებს, რომლებიც თითქოს მის მიერ ციციანოსთვის მიწერილ ლექსის საპასუხოდ იყო დაწერილი:

„შენ მომწერე მგონი ლექსი,
 აქეთ-იქით, აბა-უბდა.
 მწერდი, ვითომ ჩემი მწერით
 გულში სისხლი დაგიგულბდა.
 მარტოთ ნახვას მებეჭებო,
 ოხ! საიდან გადმეკიდე,
 ეგ სურვილი პატარაა, —
 ხომ არ გნებავს სხვა რამ კიდე?
 საბოლოო გრძობასა მოხოვ,
 ოხვრა, კენესა დაგიწყია.
 შენი ლექსის დამწერს შიშო,
 ჭკვიანობა არ ატყვია“.

ჭიშვარდი მეხდაცემულივით იყო. არ იცოდა, რა ექნა. წერილებზე ხელში დაჭმუქნა. მას უკვე ეკვი აღარ შესდიოდა, თუ ვისი ხელით იყო დაწერილი ეს სათრეველი ლექსები.

სიბრაზით ერთ ადგილას ველარ დგებოდა, მაგრამ რა უნდა ექნა. უსახელო წერილების გამო ხომ ვერ აუტეხდა ბონდოს ჩხუბს. შინ გაპარვა დააპირა, მაგრამ ამ დროს მათ სუფრას საბჭოს თავმჯდომარე მაქიმედი შემოუჯდა და ჭიშვარდიმ ადგომა ველარ მოახურხა.

პატარა ბიჭები მოქეიფეების შორიახლო იყვნენ დაყუნცული. მათ ძილი კისერს სწყვეტდა, თვალის ჭრთუთოები ერთმანეთს ეკვროდათ, მა-

გრამ მაინც არ უნდოდათ სახლში წასვლა. მაქიმედი მკაცრად ეუბნებოდა მათ:

— წადით, ბიძიავ სახლში! რაიზე იკლავთ თავს, მანქანა მხოლო აქ ყოფნას, — მაგრამ არ იქნა, ვერაფრით ვერ მოაცვლდნენ.

მცხრალი მთვარე ამოვიდა და წყვილებმა არხის წყლის პირას გაისეირნეს. პატარა ბიჭები უკან დაედევნენ. ლამის ნიავეზე სიმინდის გამხმარი ფურცლები შრიალებდნენ. არხის წყალი საამურად ლიკლიკებდა. პაერში მწიფე მალლარის სუნი იდგა. განთიადი ახლოვდებოდა. წყვილები უკან შემოიქცნენ, სუფრებიდან ხალხი აიშალა და სახლში წასასვლელად ემზადებოდა.

ბონდოს სუფრაზე კი ქეიფი გრძელდებოდა.

მათ ტერენტი, ელიზბარა და ვარდოულის თეატრის პარიკმახერი შემოუერთდა. ტერენტი და ელიზბარა მთელი საღამოს განმავლობაში მეალილოვეებივით ხან ერთ სუფრას შემოუსხდებოდნენ, ხან მეორეს. ტერენტი ძლივს ახელდა თვალს. ელიზბარასაც პირში ენა აღარ ედგა.

ბონდო ჭირვეულად მოითხოვდა ღვინოს.

— ღვინო, ღვინო, — ღრიალებდნენ ტერენტი და ელიზბარაც. დიასახლისები თითქო განგებ გვერდს უვლიდნენ მათ მაგიდას, ღვინოზე უარს ეუბნებოდნენ, უყვავებდნენ, უალერსებდნენ, მაგრამ ბონდო უფრო და უფრო შმაგდებოდა. სუფრა ჭურჭლებიანად ჩამოათრია მაგიდიდან.

— არც არის მაგი პატიოსან ხალხთან დასაჯდომი, — გადაულაპარაკა ჭიშვარდიმ ციციონს. — ეს ტერენტი და ელიზბარაც ძალიან მოუწაბავს — ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა. —

კარგი, ჭიშვარდი, — უთხრა ბონდოს ჭკვევით უიმისოდაც გულნატკენმა ციციონმ. — რა სულ კრიჭაში უდგახართ შენ და ბონდო ერთმანეთს, არ ვიცი, რა გაქვთ გასაყოფი.

— არც გასაყოფი გვაქვს რამე, მარა არც საერთო მინდა მასთან არაფერი, — ამრეზილად სთქვა ჭიშვარდიმ. — დღე და ღამე არ ვარგა შავის საზიარო.

— კარგი, ჭიშვარდი, რაზე ხართ ასე გადამტერებული, შერიგდით ერთი, — გულმხურვალედ ეხვეწებოდა ციციონი, — არაა ბონდო ავი გულის პატრონი. თავის უბედური კაცია.

დიდხანს ემუდარებოდა ციციონი ჭიშვარდის, ბონდოს შეურიგდიო. ჭიშვარდი უარობდა — არ ვიცი, რა საჭიროაო. მათმა აღელვებულმა ზურჩულმა ბონდოს თანამოსუფრეების ყურადღება მიიპყრო.

— რას ებრუება ჭიშვარდი ციციონს, თბილის-ქალაქს ხომ არ უმტკიცებს, — გადმოხვანა ერო კბილები ტერენტიმ.

— მაგი ლეკორდსმენი რომაა, კაი საცოლვა ახლა, — ჩაიროხროხა ელიზბარამ. — მაგან იქნება კაი რამე ჯილდოც მიიღოს, შეიძლება ორდერზეც კი წარადგინონ. მაგას ახლა ინჯილერიც არ დაიწუნებს, ჭიშვარდი რეიზა არ უნდა ებრუებოდეს?! გაწყობილი აქვთ მაგენს საქმე!

— პირი არ დასწვას! — გესლიანად სთქვა ბონდომ.

— აბა, ნიზლავს დავდოფ. ერთი კაი ქეიფი ამ ამხანაგებთან ვარდო-
ულში, თუ მაგი არ მოხდება, — დაიხემა ელიზბარამ.

— არ აუღგეს იმის მეტი ქიშვარდის გვერდები, — ეგეწიწიწივით მი-
უგო ბონდომ, — მოდი ერთი, ამ წასვლის ხანს სიმღერა-კომპოზიციის
ჯინაზე.

— აჰ! რაღა უნდა ვთქვათ, აღარ ვართ ამის მეტი, ჩავვიხჩა ხმა, —
მიუგო კისერგადაგდებულმა ტერენტომ.

— ქოჩორეი დამეკარვა, — დაიჯღაღელა ელიზბარამ და სხვებიც აჰყე-
ნენ მას. ტერენტის და ელიზბარას ჩახლეჩილ ხმებში მხოლოდ ბონდოს
წვრილი ხმა გამოირჩეოდა. სიმღერა არ აეწყო.

— აბა ახლა მე დავიწყებ და თქვენ მომყევით, — ბოროტად გაილი-
მა ბონდომ და რაკრაკა ხმით წამოიწყა:

„ციცინომ სთქვა, ვახს ყურძენი კონწოლ-კონწოლ, ჰეილიო,
არ წავყვები ქიშვარდის, ტყვილა გადამკილიო“.

ქიშვარდი გაცეცხლებული წამოიჭრა ზეზე და ბონდოს მაგიდისკენ
გაიწია. მაგრამ ციცილო წინ გადაუდგა:

— თუ რამედ მიგაჩნივარ, ნუ აჰყვები მაგას. ხედავ, რა უბედურა-
თაა მთვრალი?!

მაგრამ სანამ ციცილო ქიშვარდის ემუდარებოდა და აშოშმინებდა, —
ბიძინა მიიჭრა ბონდოს მაგიდასთან:

— რას ხელიგნობ!

ბონდო ზეზე წამოიჭრა და, თითქოს დიდიხანია მოფიქრებული აქვს
ჩხუბის ატეხაო, ტანი მშვილდივით აიქნია და ბიძინას სახეს გამეტებით
დაატაკა თავი.

ბიძინას ცხვირიდან თქრიალით წამოუვიდა სისხლი. მამია და ყარა-
მანა წამოეშველნენ. შეიქნა ძიძვილაობა. ისმოდა მიწაზე დაფანტულ-
თეფშების ლაწალუწი. მამიამ სცადა ბონდოს გაკაეება, მაგრამ ბონდოს
თითქოს ერბო ეცხო ტანზე. — სარგალასავით ბრუნავდა, ყველას უსხლ-
ტებოდა ხელიდან. მამიას ბონდოს ჩაჩნური ხალათის ნაგლეჯი შერჩა-
ხელში. სეფეც კი ჩაიჭრა ახალგაზრდების აურზაურში, აშოშმინებდა,
ეხვეწებოდა — ნუ დაკლავთ, ბიძიებო, ერთმანეთს, რამ გავაცოფათო, —
მაგრამ ამ მიწვე-მოწვევაში მას ბონდოს იდაყვი მოხვდა გვერდში და
სეფე მაგიდას დაეჯახა.

ახლა კი იფეთქა ქიშვარდომ. ბონდოს ზურგიდან მიეჭრა, მხრებში
ხელი ჩასჭიდა და ისე შეარყია, როგორც ახალგაზრდა ვაშლის ხეს შეარ-
ყვევენ ზოლზე ნაყოფის დასაბერტყავად.

ბონდოს წუთით რეტი დაესხა, მაგრამ მალე ისევ გონს მოვიდა, შე-
მობრუნება სცადა, უნდოდა მისთვისაც თავური დაეჯახებინა, მაგრამ
ქიშვარდის ხელები მარწუხივით ჩასჭიდებოდნენ და განძრევის საშუა-
ლებას არ აძლევდნენ. ხელიდან დასხლტომა რომ ვერ მოახერხა, ცხენი-
ვით აიქნია თავი, რომ კეფა დაეძგერებინა ქიშვარდისათვის სახეში. მაგ-

რამ ისე მაგრად ჰყავდა ჭიშვარდის გაკაცებული, რომ ძალზე ვერ მიიტანა. მაინც ბონდოს თავის თხემი მოხვდა ჭიშვარდის ნიკაპს. ჭიშვარდიმ ენა მოიკენიბა. გაწიწმატა და ისე თავგამეტებით გამოქცა პანლური, რომ შორს გასტყორცნა. ბონდომ წაიფორხილა. ხელეჭაპრად მიწაზე. ხელისგულები დაიკაწრა, შემოჯარულმა ხალხმა ბონდოს სიცილი დააყარა. ჩხუბი და მიწვე-მოწვევა შეწყდა. ბონდო ფეხზე წამოიქრა. ელფერი წასვლოდა. შლეგიანივით აბრიალებდა თვალებს. რაღაც გაშმაგებული ღმუილი აღმოხდა მის მკერდს.

— მე მაგას ვუტყვებ, როგორ უნდა პანლურის ამოკვრა, უტირებ მაგას დედას, დავაყრევიებ წელებს! — დაიყვირა და მალალ ლობეს გადაეელო. ევარუნით გაჰყვა სიმინდის ყანას.

თოფისთვის მირბის, — გაუელვა თავში ციცინოს და ამ ფიქრზედ გააქრკოლა. ვერ გაიგო, თითონაც როგორ მოსწყდა შეუმჩნეველად ადგილიდან და შევლივით გადაეელო ლობეს.

ბონდო ჭარივით მიქროდა. მაგრამ შიშმა თითქოს ციცინოსაც ფრთები შეასხა. ის კარგად იცნობდა ბონდოს ხასიათს, გახელების დროს რომ არავის დაინდობდა.

ციცინოს შიში ჰზარავდა, რომ ბონდო ხელთ იგდებდა თავის სანადირო თოფს და ამ სალამოს სისხლი დაიღვრებოდა.

ახლა გრძნობს, თუ რა ახლოა მის გულთან ჭიშვარდი.

ბონდოს ესმოდა, რომ ვიღაც მობზობდა მის კვალზე. ამიტომ კურდღლურით მიდიოდა, უნდოდა მდევარისთვის გზა-კვალი აერია. მაგრამ გამხმარ სიმინდის ფოთლის ხმაურზე და დაფენილ ყანაზე ციცინო შემუცდარად მისდევდა მის ნაკვალევს. უცებ ბონდომ ლობიოს ბურდოს წამოჰკრა ფეხი, წატორტმანდა. — მე მაგას ვუტირებ დედას, — ისევ აღმოხდა მას ავზნიანი ღმუილი, წელან ჩხუბისა და წეწვის დროს თავზარს რომ სცემდა ციცინოს.

ქალი დაუახლოვდა, მაგრამ ბონდომ ჩქარა გაიმართა და ისევ გაქანდა. ის უკვე თავის ეზოს უახლოვდებოდა. შარასკენ მიიწევდა. არც მოუხედავს უკან, ისე შეხტა ლობეზე. ციცინო წამოეწია, ხალათში სწვდა და ისეთის ძალით მოსწია, რომ სარი, რომელზედაც ბონდოს ხელი ჰქონდა მოვლებული, ჰახანით გადმოიმტვრა და ბონდო ზურგით დაენარცხა მიწაზე. ქალს გული ამოვარდნაზე ჰქონდა, მაგრამ ისევ ბონდოს მივარდა დაფეთებული, ხომ არაფერი დაუშავდაო. ბონდოს გოგრაზე დაეკრა ბეჭის თავი. ერთის წუთით დაიბნინდა. მაგრამ მალე ისევ მოვიდა გონს. თვალები გაახილა. გაოცდა, მის თავთან ჩაცუკული ციცინო რომ დაინახა. რომელიც აფორიაქებულად ეკითხებოდა: ხომ არაფერი გეტყინა, ძამიკონაო. ტკივილისაგან იყო თუ ისევ სიბრაზისაგან, ბონდო ტანში იწმახნებოდა. ერთხელ კიდევ წამოიწია, ციცინო კვლავ ჩაეჭიდა ხალათში — ეჭურჩულებოდა.

თუ ჩემი ხათრი გაქვს, თუ გიყვარდე, ძამიკონა, მე დამითმე, დამშვიდდი, ძარღვები დაიწყნარე. — მაგრამ ციცინოს ხვეწნა-მუღარა ზედმე-

ტიც იყო. ბონდოს ძალა გამოვლია. ახლა იგრძნო, თუ რა რიგად იყო დაბეგვილი: ბონდოს სიბრაზე მიაქანებდა წინ. მაგრამ ეს ერთი წუთით შეაჩერეს და ეს გახელებით მონაბერი ძალაც გამოვლდა. მთელი მოეშვა. თითქოს ბინდი გადაეკრა თვალზე, გარინდდა. მთელი ძალაც ერთ გმინვა აღმოხდებოდა, მაგრამ მალე ესეც მიწყდა. მისი თავი ციცი-ნოს მუხლებზე ესვენა. მალამოსავით ევლებოდა მის ღვინითა და სიბრაზით დამწვარ გულს ქალის ალერსიანი ჩურჩული: „ძამიკონა“. ის სულ დაირღვა, მოიშალა, ერთხანს მთელი ტანით ძიგძიგებდა. მერე ტანის თრთოლაც დაუწყნარდა, თითქოს ჩასთვლიმო, მის არსებაში მბორგავ მხეცს თითქოს დაეძინა. ციცი-ნოს უხაროდა, რომ ვაჟი გარინდდა, კიდევ ერთი რომ გაწეულიყო ბონდო, ქალს ალბათ ძალაც აღარ ეყოფოდა მის შესაჩერებლად. ციცი-ნოს მკერდზე გადმოყრილი კულულები ბონდოს ლოყას ელამუნებოდნენ. ქალის თმის სურნელი თავბრუს ახვევდა. ახლა შორეულ სიზმარივით აგონდებოდა დღევანდელი ალერგოს რიალი, ჩხუბი და თავის ცემა.

ისევ შემოადგა გულს ქალის ტანის სურნელება, რომელიც ახლა იზაბელას თავბრუდამხვევ სურნელებაში ირეოდა. მთელი პაერი გაქდენთილი იყო ამ მძიმე მუშკამბროვანი სურნელით, მაგრამ ქალის სხეულის არომატი ჰფარავდა ყველაფერს. ბონდოს თვალეზი მილულული ჰქონდა, მას ეჩვენებოდა, რომ ეს იგივე სადამოა, ციცი-ნოსას რომ იწვა ლელო-ბურთში კოჭნაღობი, ციცი-ნო მესასთუმლეობას რომ უწევდა, მაშინაც ხომ ეს ასკილის ყვავილისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა ქალს და მისი სხეულის სურნელება აბრეშუმის აკაციების სურნელებაში ერეოდა მაშინ ვაჟს, ახლა მიზნედილი ბონდო ბრმასავით უცაცუნებდა გრძელ და წვრილ თითებს ქალის ხელს. ბონდოს თვალებს თითქოს რული მოეკიდა, მაგრამ ოღნავი შერბევა საკმარისი იქნება, ალბათ, რომ მას ისევ აღმოხდომოდა გამძვინვარებული გმინვა. ციცი-ნომ სუნთქვაც კი შეიკრა ერთხანს, კინალამ გაიგუდა. მერმე ერთხანად ღრმად ამოისუნთქა და თითქოს ამან გამოაღვიძა ბონდო. ციცი-ნოს შეეშინდა კვლავ გასაქცევად არ გაიწიოსო, მაგრამ მისი შიში უსაფუძვლო იყო. ძალაგამოლეული ვაჟის ხელები მიჰყვებოდნენ ციცი-ნოს მხარბეკს. ახლა გასაქცევად კი არ მიიწევდა ის, არამედ პირიქით ქალს ეტმასნებოდა. უფრო და უფრო ეინმორეული ხდებოდა ბონდოს გრძელი და წვრილი თითების ფათური ციცი-ნოს მხარბეკზე. ციცი-ნოს გააყრეოლა. ქალს ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ქიან-ქველები დაცოცავდნენ მის ტანზე.

ბონდოს ხელების მოძრაობა უფრო და უფრო შმაგი ხდებოდა, ეს ხელები ახლა თითქოს ცალკე არსებად იქცნენ, მთელ ტანზე დაფათურობდნენ. შეჰყვნენ ქალის ნატიფ თემოებს, რომელთაც მუდამ ხარბად მისდევდნენ ბონდოს თვალეზი. ხშირად ჯიუტად გამოინაკვეთობდნენ რბილ აბრეშუმის ქსოვილში ეს თემოები, თითქოს უნდათ ქვეყანას უწვე-ნონ თავიანთი სილამაზეო. მაგრამ ყველაფერ ამას საბურველს აფარებდა ციცი-ნოს თვალთავან გამოინაკრობი კდემამოსილების შუქი. მის

არსებაში უკვე გაფურჩქნილიყო ქალურობა. ციცინოს კი თითქოს ვერ დაენახა, თუ განგებ ხუჭავდა ამაზე თვალებს.

ვაჟის ხელები, წელან მადლობის ნიშნად სასომიხდელია რომ უცა-
კუნებდნენ ქალის ხელებს, ახლა გაშმაგებით ესალტებოდნენ ნატიფ სხე-
ულს, თითქოს მთელი გაშმაგება ბონდოსი ამ გრძელ ხელებში გადასუ-
ლიყო.

ციცინოს ტანში საზარელმა ერუანტელმა დაუარა, უჩვეულო ძალა იგრძნო, გაიწია. ჭახანით გადატყდა სიმინდის ღერო მუხლში, მიწაზე და-
ეცა მძიმე ტარობით, გაიგლიჯა ლობიოს ბურღო და ციცინოსაც გა-
უწყდა საბეჭურები. ბონდომ ავაზივით გაიზმორა და მას ისევე აღმოხდა მხეცის ღმუილი, მაგრამ ეს აღარ ჰგავდა წელანდელ წრესგადასულ მრის-
ხანების გმინვას. ეს სულ სხვა რამ იყო. ისევე მოექდო ქალის მხარბეჭს ბონდოს ძვალა თითები, თავი გადაუწია და მწიფე ატამივით ჩაეკიჩა ტუ-
ჩებში.

შარაზე მომხმობი ძახილი გაისმა. საშინელის ძალით აიზნიქა ქალმა ტანი. ეაეს ხელიდან გაუსხლტა და ლობეს გადაეგლო.

ბონდო ერთხანს უსიტყვოდ მისდევდა. ციცინოც გარინდებული მი-
დიოდა. ბონდომ არ იცოდა, თუ როგორ დაეძრა ენა. არ იცოდა. რა ეჭნა. ხაოიანი ლობიოს ფოთოლი მიჰკროდა ქალის კაბას. ბონდომ ფოთოლი მოაშორა, და ეს საბაბად გამოიყენა, რომ მკლავში მოეგლო ხელი. ცი-
ცინომ ხელი არ გამოაცალა, მას თითქოს არც კი უგრძენია მისი ხელის შეხება, მკლავი თითქოს გაშეშებოდა და ბონდომ თითონ გაუშვა ხელი. ელფერწასული, ბაგე-მოკუმული, გამშრალი და სახეგაკერპებული მიდი-
ოდა. თითქოს არც კი გრძნობდა, რომ ბონდო მის გვერდით იყო. არც ვამომშვიდობებია, ისე შევიდა ეზოში და მოხურა ჭიშკარი.

პირველი წიგნის დასასრული

კავლე ინფორმაცია

ნიკოლოზ ბარათაშვილი

(ბიოგრაფიული ნარკვევი *)

VII

5. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

რამდენადაც ეს ნარკვევი მიძღვნილია სპეციალურად პოეტის ბიოგრაფიისათვის, ჩვენ აქ პოეტის შემოქმედებასა და ლიტერატურულ მემკვიდრეობას მხოლოდ მოკლედ, მაგისტრალურ ხაზებში ვეხებით.



ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი მემკვიდრე ილია ქავჭავაძე არიან ფუძემდებელნი ახალი ქართული ლიტერატურისა. ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ქართულს მწერლობაში ახალს ერას ამკვიდრებს. ნ. ბარათაშვილი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურაში არის პირველი ევროპიელი პოეტი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

წინა პერიოდი ქართული ლიტერატურისა, მე-16—18 საუკუნეთა ქართული მწერლობა, რომელიც „აღორძინების ხანის მწერლობის“ სახელწოდებით არის ცნობილი, — რთულ მოვლენას წარმოადგენდა. აღორძინების ხანის ქართული მწერლობა თავისებურად აერთიანებდა აღმოსავლეთის და დასავლეთის ლიტერატურის ტრადიციებს, აქ თავისებურად გადაჭრილი იყო ეს ორი ნაკადი, აღმოსავლური და ევროპიული. ამასთან ეს ორი ნაკადი განაყოფიერებული და ორგანიულად შერწყმული იყო ძველი ქართული მწერლობის ტრადიციის ფუძეზე, პირველ რიგში რუსთაველის უნივერსალური გენიის რკალში.

აღორძინების ხანის ქართული მწერლობა დიდი დიაპაზონის ლიტერატურა იყო. თეიმურაზ I და ბესიკი ერთის მხრით, არჩილი და სულხან-საბა ორბელიანი მეორეს მხრით, შემდეგ განკერძოებით მდგომარე დავით გურამიშვილი, ეს ნამდვილი წინამორბედი ახალი მწერლობისა,

*) იხ. მნათობი № 9, 1938 წ.

რომლის რთული და მრავალბმოვანი შემოქმედება სიკვდილზე თავისი ეპოქის ფარგლებს და ახალ საუკუნეებს ეხმაურება, აგრეთვე ალორძინების ხანის მწერლობის სხვა სახელებიც, — საბოლოოდ ჩრებიან ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უკვდავ შემკვიდრეობაში.

მე-18 და მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა ეპოქალური ტეხილი ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

მე-19 საუკუნესთან ერთად დაიბადა „ახალი ქართლი“.

ახალ განსაცდელიან აწმყოში თანდათან ისახებოდა ახალი გზები, ახალი მომავალისაკენ მიმართული.

„მას ნულარ ვსტრიოთ რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა!
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდით ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

ძველ საქართველოსთან ერთად, მე-19 საუკუნის მიჯნაზე, დასრულდა განვითარების ციკლი ძველი ქართული მწერლობისა, რომელიც ორგანიზული ნაყოფი იყო სულ სხვა საზოგადოებრივი ვარემოსი. მე-19 საუკუნის ახალს ვითარებაში ძველი ქართული მწერლობის იდეები და ფორმები დეგრადაციას განიცდიდა.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თანდათანობით გზას იკვლევს და ისახება ახალი ეპოქის შესაბამისი ახალი ქართული ლიტერატურა.

საფუძველი ახალი ქართული მწერლობისა — არის ე ე რ ო პ ე ზ მ ი, ხოლო პირველი მწერალი, რომელიც მტკიცედ და საბოლოოდ ამკვიდრებს ახალ ერას ქართულს ლიტერატურაში არის ნიკოლოზ ბარათაშვილი.



ნიკოლოზ ბარათაშვილს მე-19 საუკუნის ქართულს პოეზიაში ორი წინამორბედი ჰყავს: ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი. მაგრამ ეს ორი პოეტი — მაინც წინამორბედნი არიან ახალი ერასი ქართულს მწერლობაში და არა ფუძემდებელნი.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ თუმცა განიცადა გავლენა ევროპიული (ფრანგული და რუსული) პოეზიისა, მაგრამ მისი პოეზიის კომპასი მაინც მიმართული იყო ძირითადად ისევ წარსულისაკენ, მე-18 საუკუნის ქართული პოეზიის უკვე მოძველებული ტრადიციებისაკენ. ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართულს პოეზიაში უფრო ბესიკის მემკვიდრედ დარჩა, ვიდრე ახალი მიმართულების წამომწყებად.

სწორი პერსპექტივის დასაცავად უნდა აღინიშნოს აქ ისიც, რომ ახალი ნაკადი ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში მას შემდეგ ძლიერდება

განსაკუთრებით, რაც ახალგაზრდა ბარათაშვილმა უკვე მოახდინა რადიკალური რეფორმა ქართულ პოეზიაში. ამდენად შესაძლოა ცილაპარაკოთ ნ. ბარათაშვილის გავლენაზე ალექსანდრე ჭავჭავაძის შემსრულებლად პირიქით. ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგნის ტბა“ დაიწერა 1841 წელს, როდესაც ბარათაშვილმა უკვე შექმნა თავისი პოეტური შედეგები. „გოგნის ტბა“ არა მარტო მხატვრული სტილით, არამედ თემატიური რკალითაც და პოეტური განწყობილებით ბარათაშვილის პოეზიის გავლენის ბეჭედს ატარებს. „გოგნის ტბის“ რიტმის რხევაში უნებლიეთ იგრძნობა სუნთქვა ნიკოლოზ ბარათაშვილის ელფგიური ლირიკისა. კერძოდ ბარათაშვილის „ფიქრნი მტკერის პირას“ (1837 წ.) უახლოესად განსაზღვრავს „გოგნის ტბას“ პოეტურ ტონუსს, აქ ჩვენ გვაქვს ნაჩრდილი თვით პოეტური მიზანსცენებისა, თვით მეტრისაც კი.

ქართული პოეზიის ახალი მიმართულების, ახალი გზების გახსნაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო როლი გრიგოლ ორბელიანისა, ვიდრე ალექსანდრე ჭავჭავაძისა.

გრიგოლ ორბელიანი დიდი პოეტური სტიქიონია. მაგრამ, თავის განსაკუთრებულ პოეტურ ტალანტთან შეუფარდებლად, იგი ნაკლებ ნაყოფიერი რჩება. 1832 წლის შეთქმულობის კატასტროფამ თითქოს გაბზარა პოეტის გული. მას შემდეგ გრიგოლ ორბელიანმა მისცა თავის-თავს ნება დარჩენილიყო პოეზიის იშვიათ სტუმრად, თუმცაღა უფრო გვიან მან შექმნა ისეთი უბრწყინვალესი შედეგები ახალი ქართული პოეზიისა, როგორიც არის „სალამო გამოსალმებისა“ (1841 წ.) და „თამარ მეფის სახე ბეთანის ეკლესიაში“ (1873 წ.).

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც ნ. ბარათაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, გრიგოლ ორბელიანი იყო ავტორი ლირიული ლექსებისა, უმთავრესად პატრიოტული ლირიკისა („იარაღისადმი“, „სადღეგრძელო“ — პირველი რედაქცია, 1832 წლის შეთქმულობის ლექსები), და აგრეთვე აშუღური რომანსებისა.

გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს პოეტური სტილის გაორებას. თუ აშუღური რომანსებში გრ. ორბელიანი განაგრძობს მე-18 საუკუნის პოეზიის ტრადიციას, პატრიოტულ ლირიკაში იგი ახალი მიმართულების მამამთავრად, ახალი პოეტური ფორმის, ახალი მხატვრული სტილის შემომქმედად გვევლინება.

მინც დიაპაზონი გრიგოლ ორბელიანის პოეზიისა შედარებით ვიწროა, მისი ახალი თემატიკა უმთავრესად პატრიოტიკის რკალით არის შემოფარგლული, ხოლო მისი პოეტური სტილი, მიუხედავად სიახლისა, ჯერ კიდევ ვერ არის ბოლომდე დამდგარი. (ჩვენ აქ არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ გრიგოლ ორბელიანის პოეტურ ფორმას, ამასთან ერთად, ერთგვარი დილენტალური ხალვათობის ბეჭედიც აზის, ხოლო მისი პატრიოტიკური პოეზიის მხატვრულ შედგომქმედებას ერთგვარად ანელებს რიტორიული დეკლამაციის ოდნავი სიჭარბე).

როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ ნიკოლოზ ბარათაშვილის წინა ხანის პოეზიას მე-19 საუკუნის პირველ მესამედში, არ უნდა გვაგვიწყდებოდეს ამასთან, რომ გარდა გრ. ორბელიანისა, რომელმაც სიახლეს უღწერს შეიტანა ქართულს ლირიკაში, და გარდა ალექსანდრე ჭავჭავაძისა რომელიც ძირითადად აგრძელებდა მე-18 საუკუნის პოეზიის ტრადიციებს, ჩვენ გვყავდა ამ ხანაში ათეული პოეტები, ეპიგონები მე-18 საუკუნის ქართული პოეზიისა, ავტორები უამრავი მუხამბაზებისა, ბაიათებისა და სხვ., რომლებიც იძლეოდნენ გადასული თემების გადამღერებას, რომელთა ხელში ძველი ქართული პოეზიის ტრადიციები რუტინად იქცა, მხატვრულ დეგრადაციამდე მივიდა.

ასეთ ლიტერატურულ ფონზე გაიშალა შემოქმედება ახალგაზრდა ბარათაშვილისა, რომელიც მტკიცე საფუძველს უყრის ახალი ეპოქის შესაბამის ახალ ქართულ მწერლობას.

ბარათაშვილი საბოლოოდ არღვევს ტრადიციულ პოეტურ ფორმებს, იგი პოულობს სრულიად ახალ ხმას ახალი შინაარსის გადმოსაცემად. ბარათაშვილმა განდევნა ეპიგონური პოეზიის მოძველებული პოეტური ინვენტარი. ამ მხრივ ნ. ბარათაშვილი უდიდესი ნოვატორია ქართულს პოეზიაში. როდესაც თქვენ ჰკითხულობთ მე-19 საუკუნის სხვადასხვა მუხამბაზებსა და ბაიათებს (—თუნდაც ეს მუხამბაზ-ბაიათები ალექსანდრე ჭავჭავაძისა იყოს) — და ამის შემდეგ გადაიკითხავთ ბარათაშვილის ლირიკას, თქვენ თითქოს სრულებით სხვა სამყაროში გადადიხართ. ბარათაშვილი გაბედულად სცვლის ძველი პოეტური სტილის გაყინულ ნორმებს, იგი იძლევა პოეტური მეტყველების სრულს გადახალისებას. — ამასთან ბარათაშვილმა სრულიად ახალი ელერა მისცა თვით ქართული ლექსის ინსტრუმენტსაც, ახალ ხმაზე ააწყო იგი, ქართული ლექსის რიტმი ახალი მღელვარებით აავსო.

ხოლო, რაც მთავარია, ბარათაშვილმა დაამკვიდრა ქართულს მწერლობაში ახალი იდეების სამყარო. ბარათაშვილმა გამოიყვანა მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობა ვიწრო პროვინციულობის რაკალიდან, მისცა ქართულს პოეზიას ფართე დიაპაზონი, აავსო ზოგადკაცობრიული შინაარსით, აიყვანა იგი თანამედროვე ევროპული პოეზიის სიმაღლემდე. ბარათაშვილის პოეზიის საგანია ადამიანის სულიერი ცხოვრება მთელი თავისი სიღრმითა და მღელვარებით.

„შაირობა პირველადე სიბრძნისაა ერთი დარგი“ — გვამცნებს რუსთაველის პოეტიკა. რუსთაველის შემდეგ ეს სიტყვები ბარათაშვილის შესახებაც შესაძლოა განვიმეოროთ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკა ეს არის ფილოსოფიური ლირიკა უპირატესად. არა მარტო მისი „ჩინარი“ და „შემოღამება მთაწმინდაზედ“, არა მარტო მისი „მერანი“ და „სულთბორატო“, ან „ნაპოლეონ“ და „ფიჭრნი მტკერის პირას“, სადაც პოეტის მხატვრული ხილვა უშუალოდ გადადის ფილოსოფიურ ხედვაში, არამედ თვით ინტიმური ლირიული ლექსები პოეტისა. სადაც იგი თავის პირადულს გვამცნებს, თავის პირადულს სულიერ სამყაროს გადაგვიშლის.

პიროვნულ აქცენტთან ერთად შეიცავს გაღრმავებულ ფილოსოფიურ აქცენტს. ინდივიდუალურის მხატვრული შიფრის იქით აქ ყოველთვის იგრძნობა მთელი საესება ზოგად-ადამიანურისა, და ეს ყოველთვის შესრულებულია უცთომელის მხატვრულის ტაქტით. ბარათაშვილის პოეზია ეს არის საუცხოვო შენადნობი პოეტური მღელვარებისა და ფილოსოფიური ხილვისა.



ნ. ბარათაშვილმა წარუვალი მნიშვნელობა დაიმკვიდრა ქართულს ლიტერატურაში თავისი ლირიკით, რომელსაც დიდი, ზოგად-კაცობრიული დიაპაზონი აქვს, რომელიც ღრმა ფილოსოფიურობით არის აღბეჭდილი.

მაგრამ ნ. ბარათაშვილის მნიშვნელობა მარტო ამით არ განისაზღვრება. წმინდა ლირიკა მხოლოდ ერთი ნაწილია ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობისა.

ამის გვერდით — ნ. ბარათაშვილს სხვა მემკვიდრეობაცა აქვს, — „ბედი ქართლისა“, რომელშიაც ბარათაშვილი გვევლინება როგორც ახალი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების გამომსახველი, მოაზროვნე „ახალი ქართლის“ ბედზე და მის მომავალზე.

პირველი ნაწილი ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობისა, — წმინდა ლირიკა, მისი იდეური და მხატვრული მხარის დეტალური ანალიზი, მისი თემა და სტილი, და აგრეთვე ბარათაშვილის ლექსი, რომელიც რიტმიული სიმდიდრითა და პოლიფონიური წყობით განსაკუთრებულს მოვლენას წარმოადგენს მე-19 საუკუნის ქართულს პოეზიაში, არ შეადგენს ამ-ჟამად ჩვენი საუბრის საგანს, რამდენადაც ამ ნარკვევში პოეტის ცხოვრების მიმოხილვას ვისახავთ მიზნად.

მაგრამ ბიოგრაფი გვერდს ვერ აუვლის ბარათაშვილის პოემას „ბედი ქართლისა“, და აგრეთვე იმ ლექსებს, რომლებშიაც პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი არის გამოსახული. ჩვენ აქ უშუალო კონტაქტში ვიმყოფებით ეპოქასთან.



ნ. ბარათაშვილი დიდი პატრიოტია. იგი მღელვარედ განიცდის საქართველოს ტრაგიკულ ბედს, მღელვარებით შესცქერის თავისი ქვეყნის მომავალს.

ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“-ს იდეურ-პოლიტიკური მიზანდასახულობის სწორად გაგებისათვის საჭირო იქნება აღვადგინოთ ისტორიული პერსპექტივა.

მე-19 საუკუნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში — ვიდრე სამოციან წლებამდე ჩვენ გვაქვს სამი ეპოქალური ძეგლი, რომლებშიაც გამოისახა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია. ეს ძეგლებია:

გრიგოლ ორბელიანის — „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ (1831 წ.);

ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ (1839 წ.);
ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ (1861 წ.);
ჩვენ აქ ჯერ მოგვიხდება უფრო დაწვრილებით შექვეყნდეს გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობაზე“, რადგან იგი ნაკლებ ცნობილია.

გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“ ეკუთვნის 1832 წლის შეთქმულობის ხანას. გრიგოლ ორბელიანი შეთქმულთა ორგანიზაციის წევრად ითვლებოდა, როდესაც იგი 1831 წელს გაემგზავრა რუსეთში. გრიგოლ ორბელიანს დავალებული ჰქონდა შეთქმულობის ტფილისის მთავარი ორგანიზაციის მიერ ურთიერთობის დამყარება შეთქმულთა პეტერბურგის წრესთან. მგზავრობის დროს, და აგრეთვე რუსეთში ყოფნისას, ვიდრე დაატყვევებდნენ, გრიგოლ ორბელიანი აწარმოებდა დღიურს. რუსეთში ჩასვლის შემდეგ, 1831 წლის ბოლოს, გრიგოლ ორბელიანს ერთი ნაწილი ამ დღიურისა ლიტერატურულად დაუმუშავებია, სახელდობრ ის ნაწილი, სადაც აღწერილი იყო მგზავრობა საქართველოდან ჩრდილო კავკასიამდე.

ამ-რიგად „მგზავრობა“ წარმოადგენს ნაწარმოებს, რომელსაც საფუძვლად პოეტის დღიური დასდებია. „მგზავრობა“-ს შენარჩუნებული აქვს დღიურის თხრობის ქარგა, რაც მას დოკუმენტალური პროზის ხასიათს ანიჭებს.

გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“ მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია შე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობისა. გარდა ლიტერატურული ღირსებებისა, ეს ნაწარმოები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს როგორც პირველხარისხოვანი დოკუმენტი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. მგზავრობა უახლოსად გვაგრძნობინებს ეპოქას, კერძოდ სულისკვეთებას იმ წრისა, სადაც მომხადდა 1832 წლის შეთქმულობა.

ამ ნაწარმოებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ 1832 წლის შეთქმულობის წინ ქართული საზოგადოების პროგრესიულ ნაწილში ორნაირი მიმართულება არსებობდა საქართველოს საკითხის გარშემო.

ერთი, უფრო ზომიერი წრე, თუმცა საბოლოო მიზნად სთვლიდა საქართველოს განთავისუფლებას თვითმპყრობელებური რუსეთიდან, მაგრამ ეს შორეული მომავლის საქმედ მიაჩნდათ. ეს წრე, რომელთაც „ზომიერთა“ სახელი შეეფერება, ფიქრობდა, რომ საქართველო არსებულ პირობებში ვერ შესძლებს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და გახდება მსხვერპლი თურქთა და ირანელთა შემოსევისა. ზომიერნი იმ აზრს იცავდნენ, რომ საქართველომ ჯერ უნდა გაიმართლოს ის კრილობანი, რაც მას წარსულმა საუკუნეებმა მიაყენა, გაძლიერდეს ეკონომიურად, წინ წაიწიოს კულტურის მხრით, და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების რეალურად განხორციელება.

მეორე წრე, რადიკალები, მდგომარეობას სხვარიგად აფასებდნენ. ეს მეორე წრე ჰფიქრობდა, რომ პოლიტიკური მდგომარეობა ახლის მეზობელ სახელმწიფოთა ეხლა სხვანაირია, ვიდრე ეს იყო მე-18 საუკუნეში; რომ სპარსეთი და ოსმალეთი უკვე კარგად პგრძობენ, თქვენთვის შეცდომა დაუშვებს მათ, როცა თავისი აგრესიული პოლიტიკით აიძულებს საქართველო აეღო რუსეთის ორიენტაცია და ამით საშუალება მისცეს რუსეთს დამკვიდრებულიყო კავკასიონის ქედს გადმოღმა, სპარსეთისა და ოსმალეთის მეზობლად. ახლო აღმოსავლეთის მყუდროებისათვის დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა აუცილებელია, ამზობდნენ რადიკალები; საქართველოს დამოუკიდებლობას არ შეუშლიან ხელს არც სპარსეთი, არც ოსმალეთი, და საკუთარი ინტერესების გამო აღარ აიძულებენ საქართველოს ეძიოს მფარველობა გარეშე სახელმწიფოსი. რაც შეეხება საქართველოს შინაგან მდგომარეობას, რადიკალები აგრეთვე აღიარებდნენ, რომ საქართველო ჩამორჩენილია კულტურულად, ეკონომიურად, მაგრამ ჰფიქრობდნენ, რომ საქართველოს განვითარება უფრო სწრაფი ტემპით წავა წინ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის დროს, ვიდრე თვითმპყრობელური რუსეთის ხელში.

ეს ორნაირი მიმართულება, რომელიც ქართულ პროგრესიულ წრეებში არსებობდა, გრიგოლ ორბელიანს ცხოვლად აქვს გადმოცემული თავისი „მგზავრობის“ ერთს ადგილას, დიალოგის სახით, რომელიც გაიმართა პოეტსა და რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფი ქართველი პატრიოტის ივანე აფხაზს შორის. „ზომიერთა“ იდეების დამცველად აქ ივანე აფხაზი გამოდის, ხოლო რადიკალების წარმომადგენელია თვით გრიგოლ ორბელიანი, ამ დროს უკვე შეთქმულობის წევრი.

მოგვეყავს აქ ტექსტი ამ დიალოგისა:

„მოვიდა ღენერალი კნიაზ ივან ნიკოლაიჩი აფხაზი, დანიშნული რაფე პასკევიჩთან არმიაში პირისპირ პოლშელთა. ფრიად გვიამა ურთიერთისა ხილვა. შემდგომად სხვა და სხვათა უბნობათა პოლშის ბრძოლისათვის, ვიწყეთ საქართველოზე. — ახ, ვითარ ძლიერად და მართლიად აღწერა აწინდელი მდგომარეობა საქართველოისა, რომელიცა უყვარს, ვითარცა ჭეშმარიტსა ძესა მამულისასა. ვითარ მწუხარებითა უბნობდა ქართველებზე, რომელთა აღზოცეს თვის შორის კეთილშობილური სიამაყე და სიყვარული მამულისადმი და არიან მონებასა ქვეშე, დამდაბლებულნი სულითა.

უ ბ ნ ო ბ ა ჩ ე ვ ე ნ ი .

ი. ა ფ ხ ა ზ ი. — ღმერთო, ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, რომელ იძულებულ იყვნენ დატეგებად საქართველოისა, რომელიცა მყისვე შეიქმნების მსხვერპლად უწყსოებისა, შინაგანისა განხეთქილებისა და ზედა-დასბმისა დაუძინებელთა მტერთაგან.

გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. — საქართველო, შემდგომად რუსთა / დატყვე-
ბისა, ვგონებ იყოს ესრეთ ძლიერ, რომელ შეიძლოს დაცვა მტერ-
თაგან სამზღვრისა თავისისა. ოცდა-ათს წელიწადს საქართველომ თუ არ
მომატებია ხალხი, ვგონებ არცა დაჰკლებოდეს *).

ი. ა ფ ხ ა ზ ი. — არა ძალუძს: ამისთვის, რომელ პოლიტიკური
მდგომარეობა მესამზღვრეთა სახელმწიფოთა აზიასა შინა ფრიად შეიკვა-
ლა. ვის უზილაეს ყიზილბაშისა და ოსმალოს ესრეთი გაწყობილი ჯარი
და ესრეთი თოფხანა. საქართველო, იქნების რა დატყვევებულ რუსთაგან,
ვითარ წინააღმდეგების მათ. ერეკლე იყო ჰქვიანი და მხნე მეფე: ხედვი-
დენ მის მხნეობას მაგალითად თავადნი და აზნაურნი, რომელთაცა უყ-
ვარდათ მამული, სარწმუნოება, მეფე, და იბრძოდნენ ვითარცა ლომნი, —
მაშინ, ოდესცა ყიზილბაშთა, ბუნებითად მზდალთა, არა ჰქონდათ არცა
წესი ჯარში და არცა მხნეობა სპასალართა; მაშინ, ვამბობ, ქართველ-
თა შეეძლოთ ბრძოლა პირისპირ მათთა. ხოლო აწ გამოიცვალა დრო და
შეიცვალნენ იგინიცა, გააწყეს მათ რელული **), და ჩვენ ველარ ძალ-გვიძს
რომ გაწყობილს ჯარს ვებრძოლოთ ისევე იმ ლონისძიებით, ვითარცა იბრძო-
დნენ მეფეების დროსა. რელულსა უნდა ვებრძოლოთ რელულითვე. ნუ
გგონია, რომ ჩვენის გლეხების თოფი იყოს სახმარ ომში, რომელსა სამ-
ჯერ ვერ ესვრის საათში, მაშინ, ოდესცა მინუტში უნდა ოთხჯერ მაინც
ესროლოს... ერთის სიტყვით, საქართველო ურელულოდ ვერცა ერთსა
თვესა გაუძლებს მტერთა. — და გარდა ამისა, ოცდაათმან წელიწადმან
ფრიად შესცვალა ერი. არღა მდგომარეობს ჩვენ შორის იგი მხნეობის
სული, რომლითაცა იქებოდენ უწინ.

გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. — რელულის გაწყობა ადვილად მოხდება სა-
ქართველოში; ამიტომ რომ, იქნებიან რა თვით დამცველნი თვისისა საზ-
ღვრისანი, თვალთ დაინახავენ რელულის სარგებლობასა; თვით მეფე
მრეკლემაც იცოდა უმჯობესობა რელულისა და გააჩინა მორიგის ჯარი
და მაშინ არცა ერთი ტყვე არ დაკარგულა. — ამას ადვილად მოახდენენ
მაშინ იგინი, ვინცა დარჩებიან ერის მმართველად. და ვაჟაკობაში ქარ-
თველნი ნაქებნი არიან და უყვარსთ მამულიცა; ისე დამტკიცდების მით,
რომე საქართველო, ესრეთი მცირედი სამეფო, ვერ დაიცავდა ვერცა სამ-
ზღვარსა თვისსა და ენასა და ვერც სარწმუნოებასა; თუ არ განსხვავებუ-
ლითა ვაჟაკობითა და სიყვარულითა მეფეთა და მამულისადმი. — ის-
ტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და
კვლავ აღდგინებულს არარაისაგან; ესრეთთა საკვირველებათა აწარმოებს
მხოლოდ მხნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისადმი. გარ-
და ამისა, აწ თვით ყიზილბაში და ოსმალოცა ხედვენ შეცდომილებათა
თვისთა, რომელ საქართველომ, მათგან შეიწირებულმან, დაუშეზობლა ეს-

*) იმ დროს, რა ხანსაც გეოგონის ეს დიალოგი, ოც-და-ათი წელიწადი იყო გა-
სული რუსეთის მფლობელობის დამყარებიდან. (პ. ი.).

**) „რელული“ — რევოლუციური ჯარი. (პ. ი.).

დენ საშინელი მათთვის მეზობელი რუსეთი, და არღა მოინდობენ, რომელ საქართველომ კვლავცა მოსთხოვოს მფარველობა რომელსაჲმ ძლიერსა სახელმწიფოსა ევროპასა შინა. ყიზილბაშნი მსწყვედენ ალა-მაჰმადხანს ტფილისის წახდენისათვის, რაიცა იყო მიზეზი რუსების გამოსვლისა.

ი. ა ფ ხ ა ზ ი. — მართალ არს, რომელ ქართველნი არიან მხნენი; გარნა რელულის გაწყობა აგრე ადვილი ნუ გგონია. ამიტომ რომ, რელულის გაწყობის დროს, ჯერ არს პირველად შევიდენ სამსახურში სალდათად, სამაგალითოდ სხვათათვის, პირველნი თავადნი და აზნაურნი, რომელთაცა აქვსთ პატივი და ხმა მემამულეთა შორის თვისთა; ჯერ-არს მათდა, რათა შესწირონ მსხვერპლად სიმდიდრე და თვით სიცოცხლაცა, ვისაც ვითარ ძალუძს, საზოგადოებისა ბედნიერებისათვის, და არა მიხედოს საკუთარსა თვისსა სარგებლობასა. ამით ოდენ ჩაიყრება მტკიცედ საფუძველი რელულისა. — აბა, ჩემო ვრიგოლ! დამისახელე გინა ერთი კაცი, რომელმანცა დასდევს ნაწილი სიმდიდრისა თვისისა საზოგადოებისა სარგებლობისათვის. ესრეთი მსხვერპლი არს სათნობა, რომელსაცა მგრძნობს მხოლოდ გონებითა და გულითა განათლებული კაცი. უმეცარი და უსწავლელი ვერა მიხვდების ამა ამალღებულსა გრძნობასა, რომელსაცა აწარმოებს მხოლოდ სიყვარული მამულისადმი. — თქვენ, ახალგაზრდნაო! თქვენ უნდა ეცადნეთ ყოვლის ღონისძიებით მამულისათვის. პირველად უნდა ისწავლოთ, გონება განინათლოთ და მაშინ დაინახავთ და გამართავთ ნაკლულოვანებათა. და ამა მიზეზით ვამბობ, რომელ ღმერთმან ნუ ინებოს საქართველოს დატევება რუსთაგან ას წლამდის; მაშინ აღარა მეშინის, ამისთვის, რომელ საქართველოს ეყოლება მას დროსა მრავალნი მსწავლულნი კაცნი, საზოგადოება შეიცვლება, იგრძნობს ყოველსა საჭიროებასა, და ყოველი კეთილი, ახალი სასარგებლო დაწყებულება ადვილად აღსრულდების; ახლა ვინ იკისრებს, ან ვინ გაუგონებს. აწინდელი ჩენი საზოგადოება არს მკედარ მამულისათვის, ცხოვრებენ უსაგანოდ, დაეხეტებიან უგზოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა; ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებლად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა, არცა უპატიურსა გზასა, რომელსა ზედა ვლენან. ანგარება არს მათთვის თავყანასა ცემი კერპი, რომლითაცა გვეკარგება პატიოსნება. — გარნა ნუ გგონია, რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა; არა, ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის შორჩილებისა.

გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. — ამა ერისა სულისა დამდაბლებასა ადვილად აღზოცენ ივინი, ვინცა იქნებიან, შემდგომად რუსთა დატევებისა, ერის მმართველნი, უკეთუ იქნებიან გონებიან და შორსმხედველ. ძალა იქნების მათ ხელში, აღაშენებენ და გააწყობენ სასწავლებელთა; სხვათა სახელმწიფოთაგან მოუწოდებენ მსწავლულთა კაცთა და ხელოსანთა, რომელნიცა იქნებიან პირველნი მთესველნი სწავლათა და ხელოსნობათა საქართველოსა შინა, და შემდგომად რაოდენთამე წელთა ნაყოფი უქველად აღ-

მოცენდების, მით უფრო უმეტეს, რომელ ქართველთა აქვენი ბუნებითი გონება.

ე. აფხაზი

ი. აფხაზი. — ეგე ყოველი შესაძლო არს, გზრდასა და სასწავლებელთა შენახვისათვის საჭირო არს ხაზინა; საქართველო არს ღარიბი სამეფო, და სხვა რომელი სახელმწიფო გვენდობა ჩვენ ვალად. — ვარდა ამისა, საქართველო არს დაგლეჯილი ნაწილ-ნაწილად. ალექსანდრე მეფის შემდეგ, რომელმანცა განუსჯელად განჰყო საქართველო, — ქართლი, კახეთი, იმერეთი, საათაბაგო, გურია... — მის დროთ აქამომდე იყვნენ ურთიერთის მტერნი და სისხლი ინთხეოდა მოუწყვეტელ. აწ ძლივს შეერთდენ და ამიერითვან უნდა შეერთხორცდენ და შეადგინონ ერთი მრთელი: წებოთი მიკრული არ დადგების დიდ ხანს, თუ მზე არ შეაერთებს და არ შეადღუღებს მას. ჩვენი მზე არის დრო; დრომან უნდა განგვანათლოს, გვასწავლოს ურთიერთთა და მამულის შეყვარება და შეგვეერთოს ერთითა გულითა, ერთითა ფიქრითა ყოველნი ნაწილნი ძველისა საქართველოსანი. მაშინ იქნების, თუმცა არა ფრიად ძლიერ, ვითარცა სხვანი სახელმწიფონი — გარნა შემძლებელ დაცვად თვისისა სამზღვრისა. გარე-შემოზღუდულ არს რა საქართველო მტერთავან, ჯერ არს რათა ყოველი ქართველი აღინთოს მამულის სიყვარულითა და თვითოეულმან აღირჩიოს გზა ლეონი დისა...

კვალად ვამბობ, რომ დრომ უნდა აღადგინოს საქართველო“.

გრ. ორბელიანი თუმცა შეთქმულობის წევრი იყო, მაგრამ მას, როგორც სჩანს, არ მიაჩნდა მთლად უსაბუთოდ ივანე აფხაზის შეხედულებანი. პოეტის ერთგვარი დაეჭვება თავის პოზიციაში უნებლიეთ მოსჩანს ამ დიალოგის შესავალიდან, აგრეთვე იმის მიხედვითაც, რომ იგი საჭიროდ სთვლის ასე დაწერილებით გადმოგვეცეს ი. აფხაზის ნაუბარი.

მიუხედავად ამ დაეჭვებისა, რომელსაც პოეტი სჩანს განიცდიდა, გრიგოლ ორბელიანი მაინც გარკვევით მიმხრობია რადიკალების ბანაკს. გრიგოლ ორბელიანი დიდი ენთუზიასტია რადიკალების მიერ დაწყებული შეთქმულობისა. ეს ცხადი ხდება გრიგოლ ორბელიანის როგორც სხვა ნაწერებიდან შეთქმულობის ხანისა, ისე თვით ამ „მგზავრობის“ მთელი რიგი ადგილების მიხედვით.

ვიდრე გადავიდოდეთ ნ. ბარათაშვილის პოლიტიკური მსოფლმხედველობის შესახებ საკითხების განხილვაზე, აქ საჭიროა აღვნიშნოთ წინასწარ, რომ ნ. ბარათაშვილი არ იცნობდა გრ. ორბელიანის „მგზავრობას“. 1831 წელს, როდესაც გრ. ორბელიანი რუსეთში გაემგზავრა, ნ. ბარათაშვილი 13 წლის ბავშვი იყო. გრ. ორბელიანის ნაწარმოები რუსეთში არის დამუშავებული იმავე 1831 წელს, და მისი ერთად-ერთი ხელნაწერი ეანდარმერიამ ჩამოართვა გრიგოლ ორბელიანს — 1833 წლის დასაწყისში, როდესაც ის შეთქმულობაში მონაწილეობის გამო დაატუსაღეს. გრიგოლ ორბელიანს, როგორც ამას თვითვე აღნიშნავს ერთგან, არ

დარჩენია ამ ნაწარმოების სხვა პირი. ამ-რიგად გრძელ ორბელიანის „მგზავრობა“ დაატყვევა ნიკოლოზ I-ის მთავრობამ, დაურთო იგი შეთქმულობის გამოძიების საქმეს და დამარხა რუსეთის ცენტრალურ არქივში — პეტერბურგში. არათუ ბარათაშვილისათვის, არამედ მისი ძმებისათვის ეს თხზულება, არამედ იგი საერთოდ დაეკარგა ქართულ მწერლობას. მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ, 1928 წელს, ჩვენ მოგვეცა ბედნიერება გვენახა ეს ნაწარმოები შეთქმულობის საქმეში, იგი მხოლოდ ეხლა ხდება ცნობილი ასი წლის ტყვეობის შემდეგ.

ამ-რიგად ნ. ბარათაშვილი არ იცნობდა გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებს; მაგრამ რამდენია საერთო ნ. ბარათაშვილის პოლიტიკური იდეოლოგიის გამოსახველ თხზულებებსა და გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებს შორის! აქ გამოვლინებულია ერთი და იმავე ეპოქის იდეური სამყარო.



გავეცნოთ ამის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობას, რომლებშიაც პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეებიც გამოსახული.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედება ეკუთვნის სწორედ იმ ხანას, რომელიც უშუალოდ მოსდევს 1832 წლის შეთქმულობის დამარცხებას. ეს ჩვენ ბევრს გვიხსნის ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაში.

1832 წლის შეთქმულობის დამარცხებას, — როგორც ამის შესახებ სხვაგან გვექონდა საუბარი, — შედეგად მოჰყვა ხანგრძლივი რეაქცია ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შეთქმულების აქტივი გამოაკლდა საზოგადოებრივი მოძრაობის რიგებს. ნ. ბარათაშვილი იყო ის რჩეული, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა 1832 წლის თაობისა, აზიდა ის ტვირთი, რომელიც 1832 წლის თაობამ დასტოვა.

ახალ პოლიტიკურ გარემოში საქართველოს ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობის საკითხები უკვე სხვა-რიგად ისმოდა. 1832 წლის შეთქმულობის დამარცხების შემდეგ თვით ცხოვრებამ მოხსნა დღის წესრიგიდან რადიკალების მიერ დასახული გეგმა.

პოეტი ანგარიშს უწევს მომზადარ ფაქტს; და თუმცა დიდის გულისტკივილით, იგი თითქოს გადადის იმ პოზიციაზე, რომელსაც „ზომიერთა“ იდეოლოგია ვუწოდებთ.

ამ განწყობილებას გამოჰხატავს ნ. ბარათაშვილის ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“.

ლექსი დაწერილია 1842 წელს, როდესაც გადასახლებაში მყოფნი შეთქმულნი, „უამთ ვითარებით მიდამო გარდახვეწილნი“, თანდათან ჩამობრუნდნენ საქართველოში.

ემთ ვითარებით გარდახვეწილ შენ შვილთ მიდამო,
 მოაქეთ მამულში განათლება და ხმა საამო;
 მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსაესე სული ერქონესული
 უღნობს ყინულსა ჩრდილოეთსა*) განცხადებულსა
 და მუნით ზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
 მხურვალეს ცის ქვეშ**) მოსამკალთა ერთი ათასად.
 სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი—
 მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!

პოეტს იმედს ჰკერის ის გარემოება, რომ საქართველომ, სისხლიდან დაკლილმა წარსული საუკუნეების ხანგრძლივი ომების გამო, დაისვენა და ძალების მოკრება დაიწყო, რომ „ახალი ქართლი“ ახალი გზით მიდის განახლებისაკენ.

ამიტომაც პოეტი მუხლს იყრის ერეკლე მეფის აზრდილის წინაშე, რომლის ანდერძმა ღონე-მიხდილსა და განწირულებამდე მისულს საქართველოს შეუქმნა შესაძლებლობა ახალ გზებზე გამოსვლისა.

„მშვიდობა შენსა წმინდას აზრდილს, გვირო განთქმულო,
 უკანასკნელი ივერიის სიმტიციის სულო!
 აწ მიხედა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ-ნამავსა
 და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნავსა.

ბარათაშვილის ამ ლექსის გამო ბევრი დაწერილა. პოეტს სწამებდნენ პოლიტიკურ ოპორტუნიზმს, რომ პოეტი შემარიგებლობას იჩენდა, რომ პოეტს აკლდა პოლიტიკური რადიკალიზმი. მაგრამ ეს რასაკვირველია არაა მართალი. აქ ცხადია სავალდებულოა ისტორიული პერსპექტივის დაცვა. ჩვენ არ უნდა განვსაჯოთ წინა ეპოქების შეხედულებანი მომდევნო ხანის რადიკალური იდეების თვალსაზრისით. ბარათაშვილი მე-19 საუკუნის დასაწყისის ისტორიულ აქტს უცქეროდა როგორც ბოროტებას, მაგრამ მაინც როგორც ნაკლებს ბოროტებას შექმნილ გამოუსავალ მდგომარეობაში. პოეტი ოცნებობდა, რომ საქართველო ჩრდილოეთის გზით აღადგენს უშუალო კავშირს კულტურულ მსოფლიოსთან, რომელსაც საქართველო საუკუნეებით იყო მოწყვეტილი, და ამით „ახალი ქართლი“ ახალ გზაზე დადგება, რომლის შედეგად პოეტს თავისი ქვეყნის ახალი მომავალი ესახებოდა.

ხოლო მთავარი აქ ის არის, რომ პოეტი მაინც არ არის დამშვიდებული თავისი ქვეყნის ბედის გამო. აქ არის სათავე პოეტის დიდი სულიერი ტრაგედიისა. პოეტი ვერ ურიგდება ბოლომდე ერეკლე მეფის ანდერძნამავს და ტრაგიკულად განიცდის თავისი ქვეყნის თავისუფლების დაკარგვას.

სწორედ იმავე 1842 წელს, როდესაც დაიწერა „საფლავი მეფის ირაკლისა“, პოეტმა დასწერა პოემა „სუმბული და მწირი“, სადაც მკვეთრ სიმბოლიურ სახეებში იგივე საკითხებია დასმული „ახალი ქართლის“ ყო-

*) ივლიხმება რუსეთი.

**) ივლიხმება საქართველო.

ფნა-არყოფნისა. პოეტს უდიდეს უბედურებად მიაჩნია დაკარგვა თავისუფლებისა, რომლის სანაცვლო არაფერია ამ ქვეყნად. პოეტს წარმოდგენილი ჰყავს თავისი სამშობლო როგორც სუბულუს ყვავილი, რომელიც ბუნების თავისუფალი წიალიდან გადაარგულია, ოთახში დაკრძალულსაე თუმცა გარეშე სიცივე ვერას აკლებს, მაგრამ ოთახის ხშულ ჰაერში ჰკარგავს თავის სურნელსა და ფეროვნებას.

მ წ ი რ ი

სუბულო, სად არს ფეროვნება შენი საამო, რომ შენსა მკერეტელს არ გააჩნდა დილა, საღამო? მარჯვი სადა არს სუნი შენი, ამო და ნელი, რომლით ათრობდა სიცოცხლის ეამთ ლამაზი ველი?

ს უ მ ბ უ ლ ი

მწირო, ხომ ჰხედავ, მოეკლებივარ ჩემს სამშობლოს გულს, ჩემი სწორთა ყვავილო, მშვენიერს ცას და ჩემსა ბუღბულს. აგერ მისი ააყვავებებს ტურფად ბუნებას, მოვა ბუღბული და დაუშტვენს სოყვარულის ხმას, ხოლო მე, ხშული ბნელსა სადგურს და სევდიანსა, ველარ მიხილავ ჩემსა ტურფას და ტბილს მგოსანსა!

მ წ ი რ ი

ნეთუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვალს, ვერც რას საამურს, სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს; სადაცა კაცი შენს შვენებას ესრეთ ინაზავს, რომ მზე ვერ გიქანობს და სიცივე ვერა დაგაზრავს?

ს უ მ ბ უ ლ ი

მაგრამ მარჯვ. რა არს ჩემთვის სახლი დიდ-მშვენიერი, ვით გალიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი; არღა მეველება გარე წყარო, ცივი, კამკამი; არღა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნაში; გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უაღურსებს და მაცელის ბუტყი მზისა სხივთა არღა უჩრდილებს?

მ წ ი რ ი

სუბულო ტურფავ, მოიგონე მკაცრი ზამთარი, მისგან შენ ახლა იჴებოდდი უწყალოდ მკედარი; ნახე, რა ძალუძს შენთვის მზრუნველს კაცისა ზელსა, რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს ვერც თუ ფურცელსა.

ს უ მ ბ უ ლ ი

ჰე, მწირო, სოფლად ყოველსა აქვს ეამი და ბოლო, მაგრამ ამას ვწუხ, რომ უფამოდ მელგბის ბოლო! ზამთრით ბუნება არა ჰკედება, — სევდით იმოსვის, რომ თავის სატრფოს — გაზაფხულსა განეშორებინ,

და მყის ვითარის შეწევნითა კვლავ შეიფურცელის,
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყვარლის!
ახ, როდის ენახო მეცა ველად ჩემი ბულბული,
რომ განვიშალო კვლავ სიტურდით მისი სუმბული.



საქართველოს
განმახიერებელი

გავეცნოთ ამის შემდეგ ბარათაშვილის პოემას „ბედი ქართლისა“, ახალი ქართული პოეზიის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს.

პოემა ტრაგიკული გაორების გრძნობით არის გამსჭვალული. პოეტმა აქ შეახვედრა ერთ რკალში თავისი გაორებული აზრი, ის რაც მან გვიოხრა თავის „საფლავში მეფის ირაკლისა“ და ის რაც გვაშინო — სუმბულსა და მწიროში“. ის საბედისწერო ბზარი, რომელიც ამჩნევია პოეტის გულს, აქ იგრძნობა კიდევ მეტის სიმწვავეით.

პოემის დასაწყისში ჩვენს წინაშე იშლება სურათი ალა-მაჰმად-ხანის მიერ აოხრებული საქართველოს დედა-ქალაქისა.

„ზრავალთ ყმაწვილთ კაცთ, ნუგეშთა ქართლის,
დასდევს აქ თავი მამულისათვის!
აწუცა საფლავი არსად სჩანს მათთვის...
ჰაერში განქრა მათი სახელი,
და ეამთ მოწამე სადამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა.
დუმილი ჰგარავს ერთგულთა ძეთა!..
მაგრამ, ჰოა გმირო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქეთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააწდების
საშვილიშვილოდ გარდაეცემის“.

ამ ტრაგიკულ ფონზე, რომლის იქით ჩვენ წინ ისახება დაუმარხავი გმირების აჩრდილები და საქართველოს აოხრებული დედაქალაქის სილუეტები, — ქვეყნის ქირნახული მოამაგენი ერეკლე მეფე და სოლომონ მსაჯული „ქართლისა ბედსა განსამართლებენ“.

საქართველოს ძველი გამოცდილი ხელმძღვანელი, გმირი ერეკლე — ჰყრის ფარ-ხმალს. ერეკლეს გულმა „გარდაწყვეტა ბედი ქართლისა“.

ეს არ არის სულმოკლეობის ნაყოფი. ეს არის გმირის ტრალიკული გარდაწყვეტილება.

ერეკლე გრძნობს, რომ საქართველოს „უბედობისა და დარღვევის“ დროს არ არის სხვა გამოსავალი, თუ არა მფარველობა ჩრდილოეთის დიდი მეზობლისა. ეს არის ნაკლები ბოროტება, ვიდრე ის სავალალო ბედი, რომელიც მოელის ქვეყანას, თუკი საქართველო მომავალშიაც იმავე საბედისწერო განმარტობაში დარჩება ბარბაროსი მეზობლებით გარშემორტყმული.

მაგრამ ერეკლეს გარდაწყვეტილება მარტოდენ ამით არ არის გამოწვეული. იგი ბრძნულს შორსმჭვრეტელობით იმასაც ჰხედავს, რომ თუნდაც საქართველომ არ გადასდგას ნაბიჯი რუსეთთან დასაახლოებლად ბედი მაინც გარდაწყვეტილია. ჩრდილოეთის მეზობელი სულ ერთია დამ-

კვიდრდება აქ, თუნდაც საქართველოს სურვილის წინააღმდეგ, ერეკლე მიმართავს სოლომონ მსაჯულს:

„აი მივიღებ მე შენ რჩევათ,
და დავიდუმებ მე ჩემთ გულის-თქმას,
ნუ დაივიწყებთ მაგრამ ჩემ სიტყვას:
რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება
ქართლსა დაიციავს რუსთ ხელმწიფება“

ერეკლე
გინჯიჩიშვილი

მაგრამ „სულთი ღელვილი“ სოლომონ, ეს შეუხრელი გმირი, არ ეთანხმება მეფის რჩევას. სოლომონ აღიარებს, რომ თავისუფლება არის ისეთი ნიჭი, რომლის სანაცვალს არაფერია ამ ქვეყნად. ყველაფრის შესაძლებლად მიტანა შეიძლება, მაგრამ თავისუფლებისა კი არა. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი გათავებული არაა:

„ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება“.

ვინ იყო მართალი ამ ტრაგიკულ პაექრობაში?

პოეტი ამის შესახებ სდუმს. იგი გრძნობს გარდაუვალ სიმართლეს ორივე გმირისას.

მაგრამ თუ პოეტის გონება გაორებულია ამ ტრაგიკული დილემის წინაშე, პოეტის გული მაინც სოლომონ მსაჯულის მხარეზეა. და თავის საბოლოო მსჯავრს პოეტი გამოსთქვამს ქართველი დედის სოფიოს სიტყვებით:

„რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული“

ბარათაშვილის პოემას „ბედი ქართლისა“ განუზომელი გავლენა ჰქონდა მე-19 საუკუნის ქართულს ლიტერატურაზე. მომდევნო ეპოქის ქართული მწერლობა ისევ და ისევ უბრუნდება „ახალი ქართლის“ იმ საკიბორჩორტო საკითხებს, რომელიც ასეთის სიმწვეავით, ასეთის გაბედულებით, ასეთის ტრაგიკულის სიმკვეთრითა და პირდაპირობით აღძრა პოეტმა. მე-19 საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია აქ პოულობს თავის დასაყრდენს, აქედან გამოდის, იზრდება, მიემართება ახალი იდეალებისაკენ. ნ. ბარათაშვილი არის დიდი წინამორბედი ილია ჭავჭავაძისა. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ არის მომდევნო ეპოქის პასუხი იმ საკითხზე, რომელიც ნ. ბარათაშვილმა აღძრა.

ბარათაშვილის პოემის განსაკუთრებული რეზონანსი გამოწვეულია ამ ნაწარმოების როგორც დიდი იდეური მიზან-დასახულობით, ისე მისი მხატვრული ღირსებებითაც. „ბედი ქართლისა“ ნამდვილი მონუმენტალობით არის აღბეჭდილი, იგი თითქოს ერთი ზოდინდან არის გამოკვეთილი. კეთილშობილი მკაცრი სტილი, ეკონომია პოეტური სიტყვისა, სამკაუ-

ლებს მოკლებული მხატვრობა, დაურღვეველ ჰარმონიაში მოკვება იმ ტრადიკულ სულისკვეთებასთან, რომლითაც გამსჭვალულია მოცმა.

რომანტიკოსი ბარათაშვილი „ბედი ქართლისა“-ში მხატვრული მანერით გვევლინება როგორც რეალიზმის წინამძღოლს მხატვრულ მწერლობაში. ბარათაშვილმა მოგვცა თავის პოემაში ის თავისებური შერწყმა რომანტიზმისა რეალიზმთან, რომელიც ახასიათებს მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის საუკეთესო ძეგლებს, აძლევს ახალ ქართულ ლიტერატურას თავის ტონს, თავის სახეს.

დასასრულ, ბარათაშვილის „მერანის“ შესახებ.

„მერანი“-ს უკვდავ სტროფებში ბარათაშვილმა გამოამჟღავნა სრულის შეურიგებლობით თავისი პროტესტანტული სულისკვეთება, თავისი შეამბობე სული.

რეზონანსი ბარათაშვილის „მერანი“-სა ახალ ქართულ მწერლობაში არა ნაკლებ ძლიერი იყო, ვიდრე „ბედი ქართლისა“. ბარათაშვილის „მერანის“ ქროლამ ქართულს მწერლობაში ახალი სული დაამკვიდრა.

თავდაპირველად შეეჩერდებით ამ ნაწარმოების ლიტერატურული გენეზისის საკითხებზე.

გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ბარათაშვილის „მერანის“ ლიტერატურული პროტოტიპი იყო ადამ მიცკევიჩის „ფარისი“. პოემა მიცკევიჩისა ერთი უბრწყინვალესი ძეგლია პოლონური პოეზიისა. მიცკევიჩმა იდეა ამ ნაწარმოებისა არაბული თქმულებიდან აიღო.

რამდენად სწორია ეს მოსაზრება, რომელიც ბარათაშვილის „მერანს“ მიცკევიჩის „ფარისთან“ აახლოვებს?

აქ საჭიროა თავდაპირველად ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საზოგადოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური შემოქმედება უაღრესი ორიგინალობით არის აღბეჭდილი. ამ მხრივ ორგანიული სხვაობაა ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ისეთი ტიპის პოეტებს შორის, როგორც იყო მაგალითად ალექსანდრე პუშკინი. პუშკინი, ეს ჭეშმარიტად მომზიბლავი, უბრწყინვალესი გენია რუსული და ახალი ევროპიული პოეზიისა — თავისი შემოქმედების თემატიკური საწყისებით ნაკლებ ორიგინალურია. პუშკინის პოეტურ მემკვიდრეობაში იშვიათია ნაწარმოები, რომელსაც არ ჰქონდეს ლიტერატურული პროტოტიპი, რომელსაც იგი არ ეხმაურებოდეს ამა-თუ-იმ ხაზებში.

სულ სხვაა ბარათაშვილი. მისი პოეტური შთაგონება, ფილოსოფიური ხილვა, თემის გაშლა, — განსაკუთრებული ორიგინალობის ბეჭედს ატარებს.

აეილოთ მაგალითისათვის ისეთი უნივერსალური თემატიკა, როგორც არის „ვარდ-ბულბულიანი“. ვინ არ შეჰხებია ამ თემას ძველ-ქართულს მწერლობაში, ვის არ უწერია „ვარდისა და ბულბულის“ მიჯნუ-

რობაზე!.. მაგრამ ბარათაშვილმა შეპქმნა ამ რკალში უაღრესად ორიგინალური პოეტური ქმნილება, სრულებით ახალ მხატვრულ ასპექტში წარმოგვიდგინა ეს თემა, სრულებით ახალი ფილოსოფიური შეხედულება ავსოს იგი.

ბ ი ზ ლ ი რ ი თ ე ნ ა

ბარათაშვილის „ვარდ-ბულბულთან“ დაკავშირებით ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ ვარდისა და ბულბულის პოეტიკა, და არათუ ძველქართულ მწერლობაში, არამედ საერთოდ აღმოსავლურ პოეზიაში, არც ირანულსა, და არც არაბულში, ასეთი დამუშავება „ვარდისა და ბულბულის“ თემისა არსად მოიპოვება.

ან-და ავიღოთ „ნაპოლეონის“ თემატიკა. ბარათაშვილის „ნაპოლეონ“ სხვაა, ვიდრე ნაპოლეონი პუშკინისა, ლერმონტოვისა და ტიუტჩევისა, ან ნაპოლეონი ბაირონისა და ჰაინესი. ბარათაშვილის „ნაპოლეონში“ მოცემულია სრულებით განსხვავებული ფილოსოფიური და მხატვრული აქცენტი.

თუ ეს ითქმის „ბულბულსა და ვარდზე“ და „ნაპოლეონზე“, მით უფრო დანარჩენი პოეტური შემკვიდრობა ნ. ბარათაშვილისა, დაწყებული მისი ადრინდელი უბრწყინვალესი შედევიდან „შემოღამება მთაწმინდაზედ“ და დასრულებული „სუმბულითა და მწირით“, „ჩინარით“ და სხვებით, ასევე აღბეჭდილი არიან განსაკუთრებული ორიგინალობით.

დავუბრუნდეთ ამის შემდეგ ბარათაშვილის „მერანს“.

ერთად-ერთი ნაწარმოები ბარათაშვილის პოეტურ შემკვიდრობაში, რომლის ლიტერატურულ საწყისებს თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც თითქოს ვამჩნევთ, ეს არის ბარათაშვილის „მერანი“.

ბარათაშვილის „მერანი“ პირველის შეხედვით თითქოს ეხმაურება ზოგიერთ ხაზებში მიცვევიჩის „ფარისს“.

მაგრამ დეტალური ლიტერატურული ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ ეს შეხვედრა (—თუკი აქ საერთოდ რაიმე შეხვედრას ვქონდა ადგილი), მაინც ძალზე შორეულად უნდა ვიცნათ. ბარათაშვილის „მერანსა“ და მიცვევიჩის „ფარისს“ შორის არაფერია საერთო გარდა იმისა, რომ მიცვევიჩის „ფარისში“ წარმოდგენილია უდაბნოში გაჭირლი ბედუინი. ხოლო პოეტური სტილი, კოლორიტი, და რაც მთავარია — იდეური გამიზნულობა და თემატიკური რკალიც — არსებითად დაშორებულია ერთმანეთს. სხვას რომ თავი დავანებოთ, აქ ჩვენ გვაქვს განსხვავება ენარისაც. მიცვევიჩის „ფარისი“ არის ბალადა-პოემა, ხოლო ბარათაშვილის „მერანი“ ლირიული ნაწარმოებია.

თუკი რომელსამე ლიტერატურულ ნაწარმოებს ენათესავება ბარათაშვილის „მერანი“, იგი არა მიცვევიჩის „ფარისს“, არამედ ქართული ლიტერატურის დიდი ფუძემდებლის შოთა რუსთაველის პოემას ეხმაურება. ამ საყურადღებო გარემოებას პირველად პოეტმა ს. ჩიქოვანმა მიაჩცია ყურადღება. მაგრამ აქ ჩვენ გვაქვს, თავისთავად ცხადია, არა უშუალო ლიტერატურული პროტოტიპი; აქ არის შეხვედრა ბარათაშვილისა რუსთაველთან ცალკე ნიშნულ ხაზებში, თუმცა ეს შეხვედრა ზოგჯერ

მეტად მნიშვნელოვანია იდეურად; არის შეხვედრა ნაწილობრივ პოეტურ ინვენტარშიაც.

ეს კითხვა იმდენად საგულისხმოა, რომ ჩვენ შევჩუქებთ: მკითხველის ყურადღებას ამ საგანზე.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ ძირითადი პოეტური სახე ბარათაშვილის ქმნილებსა, — თვით პოეტური სახე „მერანი“ — რუსთაველის პოემის რემინისცენციას წარმოადგენს.

შემდეგ ბარათაშვილის „მერანი“-ს ცენტრალური იდეა:

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება, რომ ჩემს შემდგომად მომძესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს, და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი თავის ბედის წინ გამოუჭროლდეს.“

ბარათაშვილის თავგანწირული მხედარი, ველად გაჭრილი რათა „მომძესა მისსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“ უნებლიეთ გვაგონებს სხვა თავგანწირულს მხედარს, რუსთაველის პოემის გმირს აეთანდილს, რომელიც აგრეთვე გაჭრილია ველად და მოვლის მსოფლიოს, რათა მოძმესა მისსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს.

ბარათაშვილის თავგანწირული მხედარი ამბობს:

„სად დამიღამდეს, იქ გამოთენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა-სამშობლო. მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო!“

ამასვე ამბობს რუსთაველი მოძმისათვის თავგანწირული მხედარის აეთანდილის შესახებ:

„რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსელა იამებოდის, მას ამგავსებდის, ილზენდის, უპერეტდის, ეუზნებოდის...“

შემდეგ განთქმული მნათობთაღმი მიმართვა აეთანდილისა, რომლითაც იგი ვარსკვლავთა თანამავალთა ამცნობს გულისა საიდუმლოს, და რომელიც თავდება სიტყვებით: „აჰა მმოწმობენ ვარსკვლავნი...“ აქ არის მეტად საგულისხმო ნიშნობლივი შეხვედრა ბარათაშვილისა რუსთაველთან.

შემდეგ, ბარათაშვილის თავგანწირული მხედარი ანდერძად აგდებს:

„ნუ დავიპარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის, ნუ დამიტეხოს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის“.

ხოლო აეთანდილის ანდერძში ეკითხულობთ,

„თუ საწუთრომან დამამზოს ყოველთა დამამზობელმან, ღარიბი მოკვდე ღარიბად, ვერ დამიტეხოს მშობელმან, ველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან...“

აქ შეხვედრაა თვით ფრაზებშიაც; ბარათაშვილი „ნუ დამიტეხოს სატრფომ გულისა“; რუსთაველი; „ვერ დამიტეხოს... მისანდობელმან“.

ბარათაშვილის მერანში:

„შავი ყო რ ა ნ ი გამითხრის საფლავს... მივალალებენ სევენი მ ყ ი ვ ყ რ ნ ი“.

სახე ბარათაშვილის მერანიდან „შავი ყო რ ა ნ ი“ და მწიგნობარული „მეციკარი“ იძლევა პარალელს რუსთაველთან:

„შენთვის მოვკვდები, გავხდები ყო რ ა ნ თ ა და ს ა ყ ი ვ ა რ ა დ“

დასასრულ, ლეიტმოტივი ბარათაშვილის მერანისა:

„გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გადამატარე ბედის საზღვარო,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!
დაე მოვკვდე მე, უპატრონოდ მისგან ოხერი,
ვერ შემაშინოს მისმან ბასრმან მოსისბულ მტერა...“

აქ არის ნათესაობა იმ ჰეროიკულ განწყობილებასთან, რომლითაც შთაგონებულია რუსთაველის გმირის ავთანდილის სიტყვები:

„ხამს თუ კაცი არ შეუდრკეს კირს, მიუხდეს მამაკურად!
...ვერ დაიჭირავენ სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი ვასწორდეს სუსტი და ძალ-გულოვანი,
ბოლოდ შეპყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მსკოვანი,
სჯობს სიყოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.“

ამ-რიგად, რუსთაველსა და ბარათაშვილს შორის, მიუხედავად მათი პოეტური ბუნებისა და მხატვრული სტილის რადიკალური სხვაობისა, არის საგულისხმო შეხვედრის ხაზები, ბარათაშვილის „მერანში“ იგრძნობა რუსთაველის პოეზიის სტიქია¹⁾).

მაგრამ რასაკვირველია ბარათაშვილის „მერანის“ გმირი თავგანწირული მხედარი მაინც სრულებით სხვაა, ვიდრე რუსთაველის თავგანწირული მხედარი ავთანდილი, ისევე როგორ სხვაა მე-12 საუკუნის საქართველო და ბარათაშვილის ეპოქის „ახალი ქართლი“.

„მერანი“ — ცენტრალური ნაწარმოებია ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაში. ამ რთულს ნაწარმოებში აღბეჭდილია პოეტის მღელვარე სულისკვეთება, თავისუფლების სიყვარულით მგზნებარე სული.

¹⁾ არა ინტერესს ნიკვლებული ილენიშნით ამასთან, რომ გარდა „მერანი“-სა, ბარათაშვილი ენათესავება რუსთაველის პოეზიას სხვაგანაც; ასე, ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკის უშესანიშნავესი ძეგლი „ჩინარა“, ავრთვე შეიცავს საგულისხმო პარალელს რუსთაველთან.

ბარათაშვილი, „ჩინარა“:

„მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსააკოთა და უსულთ შორის,
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის“.

რუსთაველი:

„რადგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უსააკო...“

ბარათაშვილის ფილოსოფიური ხილვა — „უსააკო და უსული“ ბუნების საიდუმლოებით აღსავსე საუბარი, — თუმცაღა მოცემულია სხვა ასპექტში, მაგრამ მაინც ემხატვრება რუსთაველის „უსულო და უსააკო“ ვარდის საუბარს.

თუ „სუმბულსა და მწირში“ ბარათაშვილი მხოლოდ იგულისხმებდა ელემენტარულ ტონით დაკარგვას თავისუფლებისას; თუ „ბედი ქართლისა“-ში ბარათაშვილი ექვემდებარება შეპყრობილია და ვერ დაუძლევედა შავად მღვდელმადრი ფიჭვებს; თუ ერეკლეს და სოლომონ მსაჯულის მსაჯულებას, მაქრობაში იგი ტრაგიკულ გაორებას განიცდის და ვერ ემშობა სრულის სიმტკიცით თავისუფლების რაინდს; „მერანში“ — სტიქიონისებური სიძლიერით გადმოხეტია პოეტის პროტესტანტულმა სულის-კვეთებამ და თავისუფლების უძლეველმა სიყვარულმა.

„მერანი“ ნამდვილი ჰიმნია გმირობისა. აქ გადმოცემულია ტიტანიური, ქართველიანი ამბობება ადამიანის სულისა. თავგანწირული მხედარი ეკვეთება თვით ბედისწერას, მის ნებისყოფას ვერ ბოკავს ვერაერთარი ეკვი, მას არ აწინებს თვალბედითი ყორანის ჩხაველი, მისი მერანი მისცემია დაუსრულებელ ქროლვას, იმ რწმენით, რომ გზა უვალი მისგან თელილი მაინც დარჩება, და მის შემდგომად მოძმესა მისსა სიძნელე გზისა გაუადვილდება.

ბარათაშვილის მერანის საზღვარდაუდებელი გიჟური სრბოლა ეს არის აჯანყება განწირულის სულისა, აჯანყება გმირული, მაგრამ თითქოს უიმედო; მაგრამ პოეტს იღუპალი გრძნობა ეუბნება, რომ ამაოდ არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება.

ბარათაშვილმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აცვანი დაირწევა, რომ დაიბადება გმირი, რომელიც ქვეყნად თავისუფლების მზეს მოიტანს; მაგრამ ბარათაშვილი გრძნობს ამას პოეტური გენიის წინასწარმეტყველური წინათაგრძნობით და ეგებება მომავლის გმირს თავისი მერანით.

VIII

6. ბარათაშვილის არ მოღწეული ნაწარები.

პოემა „ივერიელი“.

6. ბარათაშვილის ყველა ნაწერები სჩანს ჩვენ დრომდე არ მოღწეულა.

აქ საჭირო იქნება შევჩერდეთ ამ საგანზე და კერძოდ განვიხილოთ კითხვა 6. ბარათაშვილის არ მოღწეული პოემის შესახებ — „ივერიელი“.

6. ბარათაშვილის დროს, როგორც მოვიხსენეთ, პერიოდული პრესა არ არსებობდა და ჩვენი პოეტის ნაწერები არც ცალკე წიგნად ყოფილა გამოცემული პოეტის სიცოცხლეში. პოეტის თხზულებანი ვრცელდებოდა საზოგადოებაში ხელნაწერების სახით.

პოეტის გარდაცვალების მეორე წელს, 1846-ში, პოეტის მეგობრებმა, — როგორც აღნიშნული გვექონდა, — განიზრახეს ბარათაშვილის ნა-

წერების გამოცემა. ლევან მელიქიშვილი 1846 წლის 19/31 იანვარს შემდეგსა სწერდა გრიგოლ ორბელიანს:

„ეხლა გაგახარებ, თუ როგორ აფასებენ განსვენებულნი (ნათათა-შვილს) და მის ნიჭს მისი ნაცნობნი. 14 იანვარს, წინააღმდეგობის დღეს¹⁾, ჩვენ რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი ვსადილობდით რევან ანდრონიკაშვილთან. ჩვენ შორის იყო ყაფლან, რომელსაც ესთხოვეთ ემღერა «სულა ბოროტა». მაგრამ, წარმოიდგინე, არათუ არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა ზეპირად ეს მშვენიერი ლექსი, არამედ არც ერთს არ ჰქონდა იგი, და ყველანი გულითადად ვწუხდით, რომ მშვენიერი ნაწარმოებნი განსვენებულისა იკარგებიან. მაშინვე შემოტანილ იქმნა წინადადება დაგვებეჭდა ყველა ლექსები განსვენებულისა ჩვენს ხარჯზე. მეორე დღეს გაემართეთ ხელმოწერა, რომლითაც განსვენებულის ნათესა-ეებსა და მეგობრებს ვთხოვეთ შემოწირულება დასაბეჭდად როგორც მისი საკუთარი ნაწერებისა, ისე თარგმანებისა, რათა დაეიცვათ შთამომავლობისათვის განსვენებულის თხზულებანი; რომ წიგნების გაყიდვიდან შემოსული თანხის ნაწილით დავუდგათ მას ძეგლი, ხოლო დანარჩენი გადავსცეთ ოჯახს. ხუთ დღეში 17 ადამიანმა შემოსწირა 1000 მანეთი ვერცხლით. აქედან შენ შეგიძლია წარმოიდგინო, თუ როგორ ძლიერი იყო მისდამი სიყვარული მის ნაცნობებში. ეხლა ესცემთ განსვენებულის ყველა ნაწერებს, ისინი დაიბეჭდება ერთ წიგნად, რომელსაც დაერთვის პორტრეტი.

„ეხლა შენთან აი რა სათხოვარი ვგაქვს: 1) დასწერო..., თუ შესაძლოა ლექსად, წინასიტყვაობა წიგნისათვის, და ბიოგრაფია განსვენებულისა, აგრეთვე ეპიტაფია ძეგლისათვის; 2) გამოგზავნო, თუ კი ვაქვს, მისი რაიმე ლექსები ან და წერილები, რომლებიც ღირსნი არიან დაბეჭდვისა, და აგრეთვე 80 მანეთი ვერცხლით, რომელიც შენმა ძმამა ზაქარია მთაწერა შენ მაგივრად.

„არ ვიცი „ბედი ქართლისა“ როგორ უნდა დაიბეჭდოს, რადგანაც ზოგიერთი ადგილი ძალიან თავისუფალი არი. თუ გასწორდება, კარვად იცი, ბევრს დაჰკარგავს მთელი პოემა. მაგრამ ამის ამბავსაც შევატყობინებ, თუ რას ვარჩევთ“²⁾.

სამწუხაროდ ეს განზრახვა, არა სჩანს რა მიზეზის გამო, არ განხორციელდა და პოეტის ნაწერები გამოუცემელი დარჩა.

პოეტის ნაწერებს პირველად ელირისათ სტამბის დაზგა 1852 წელს, როდესაც გიორგი ერისთავმა ეურნალ „ციცკარში“ დაბეჭდა პოეტის ოთხი ლექსი.

ამის შემდეგ ბარათაშვილის ზოგიერთი ლექსი დროგამოშვებით იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში („ციცკარში“, „საქართველოს მოამბე-

¹⁾ „არ ვიცი, იცი თუ არა, რომ პირველი სიყვარული პოეტისა იყო ნინო. არც ის ვიცი, იცი თუ არა, რომელი ნინო იყო“. (შენიშვნა ლ. მელიქიშვილისა).

²⁾ იხ. ხელნაწერი საქართველოს მწიგნობის პალეოგრაფიული განყოფილებისა S—2464.

ში“, „კრებულში“), ხოლო ცალკე წიგნად ნ. ბარათაშვილის ნაწერების კრებული გამოვიდა პირველად მხოლოდ 1876 წელს, ე. ი. 31 წლის შემდეგ პოეტის გარდაცვალებიდან. წიგნში შეტანილია მრავალწიგნიანი ბარათაშვილისა და პოემა „ბედი ქართლისა“. გამოცემას წინა: *სტრუტუს ჭინა-სიტყვაობა*, სადაც გამომცემლები ამბობენ: „ეს ლექსთა კრება ნ. მ. ბარათაშვილისა გადმოვბეჭდეთ ჩვენ თვით პოეტის საკუთარის ხელნაწერთაგან, რომელნიც ეკუთვნოდნენ თ. გრიგოლ დიმ. ორბელიანს (იგულისხმება პოეტი გრ. ორბელიანი). ხოლო ოთხი ბოლოს მოქცეული ლექსი („შევიშრობ ცრემლსა“, „დამჭროლა ქარმან“, „ჩინარი“ და „მადლი შენს გამწინს“) სხვა ხელნაწერში ვიპოვეთ... სამწუხაროდ ჩვენდა ვერსად ვერ ვიშოვნეთ სხვა ნამდვილი ხელნაწერი პოეტისა, ანუ სარწმუნოთა გვამთა გადმონაწერები, რომ შეგვედარებინა ერთმანეთთან...“

ამის შემდეგ აღმოჩნდა ნ. ბარათაშვილის სხვა ხელნაწერებიც, რომელთაც შეგვძინეს ნ. ბარათაშვილის ზოგი მანამდე უცნობი ნაწარმოები. ასე, პირველი გამოცემის შემდეგ აღმოჩენილი იქმნა ნ. ბარათაშვილის ლექსები: „ძია გრიგოლთან“, „ღამე ყაბახზედ“, „...ნა ფორტოპიანოზედ მომღერალი“, „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“, „როს ბედნიერ ვარ“, „ცისა ფერს“, „ელოცავ დღეს“.

უნდა აღინიშნოს ამასთან, რომ ამ ხელნაწერთა აღმოჩენას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. თვით ნ. ბარათაშვილის პირადი არქივი არ შენახულა. ვადარჩა მხოლოდ ის ხელნაწერები, რომლებიც ავტორს სხვადასხვა დროს გადაუთვთრებია და საზოგადოებაში გასავრცელებლად გამოუშვია, შეგობრებისათვის მიუძღვნია. ისიც, რასაკვირველია, ვადარჩა არა ყველა ეგზემპლარი, არამედ ზოგი მათგანი. ეს ვადარჩენილი ეგზემპლარები სხვადასხვა დროს ეკუთვნიან და სხვადასხვა მოცულობისა არის.

ასეთ პირობებში ჩვენ, რასაკვირველია, არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა სრულის სახით არის ჩვენამდე მოღწეული.

აქ ჩვენ შევჩერდებით ნ. ბარათაშვილის იმ ზოგიერთ დაკარგულ ნაწარმოებებზე, რომლებზედაც ცნობები შენახულა.

1. ტ რ ა გ ე დ ი ა „იულიუს ტარენტელი“. ნ. ბარათაშვილის თარგმანები.

ნ. ბარათაშვილი ერთ წერილში, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომელიც დაწერილია 1841 წელს 28 მაისს (ძვ. სტილით), შემდეგსა სწერს გრიგოლ ორბელიანს:

„ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა. ყიფიანმა (იგულისხმება დიმიტრი ყიფიანი) გადმოსთარგმნა „რომეო და ჯულიეტა“ შექსპირისა და მე ვთარგმნე „იულიუს ტარენტელი“ ლეიხევიცისა“.

„იულიუს ტარენტელი“ გერმანელი დრამატურგის ლეიხევიცისა (1752-1810), რომელიც ნ. ბარათაშვილს უთარგმნია, მნიშვნელოვან ნა-

წარმოებს წარმოადგენს. იგი პირველი და ამასთან განსაკუთრებით საინ-
ნო პიესა იყო Sturm und Drang-ის პერიოდისა, რომელიც ლეიხტენ-
დენად მოეწონა, რომ იგი გოეტეს დაწერილად მიიჩნევა. ცნობილია რომ
შილერმა თავისი „უყაჩაღები“ ლეიხტენციუს ამ პიესის შესახებ აღწერა-
ნის ქვეშ დასწერა.

გარდა ლეიხტენციუს „იულიუს ტარენტელისა“ ნ. ბარათაშვილს სხვა
თარგმანებიც ჰქონია. მკითხველი მიაქცევდა ყურადღებას ზემოთ-მოყ-
ვანილ წერილს ლ. მელიქიშვილისას, რომელიც სხვებთან ერთად ამზა-
დებდა ბარათაშვილის ნაწერების გამოცემას 1846 წელს; იგი სწერს:

„შევადგინეთ ხელმოწერა, რომლითაც განსვენებულის ნათესავეებსა
და მეგობრებს ეთხოვეთ შემოწირულება დასაბუქდად როგორც მისი (ნ.
ბარათაშვილის) საკუთარი ნაწერებისა, ისე თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი ს ა, რათა
დაეიცვათ შთამომავლობისათვის განსვენებულის თხზულებანი“¹⁾.

წერილში, როგორც ვხედავთ, ნ. ბარათაშვილის თარგმანთა შესახებ
მრავლობით რიცხვშია საუბარი. სჩანს ნ. ბარათაშვილს, „იულიუს ტარენ-
ტელის“ გარდა, სხვა თარგმანებიც ჰქონია²⁾.

2. ლექსი „ასტრა“.

ბარათაშვილის ლირიკული ლექსებიდან დაკარგულია ლექსი „ასტრა“.
ამ ლექსის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. ლექსი „ასტრა“ მიძღვნი-
ლი ყოფილა პოეტის სატრფო დელფინა ლაბიერისადმი. პოეტს ეს ლექ-
სი დაუწერია 1838 წელს, ივლისში.

რას უნდა გამოეწვია ამ ლექსის დაკარგვა?

როგორც ეს ზევითაც გვქონდა აღნიშნული, ნ. ბარათაშვილის ჩვენ
დრომდე მოღწეული ლექსთა კრებულები სხვადასხვა მოცულობისაა.
პოეტს საზოგადოებაში გასაერცელებლად დანიშნულს კრებულებში არ
შეაქვს ამა-თუ-იმ მოსაზრებათა გამო ესა თუ ის ლექსი, კერძოდ ხშირად
არ შეაქვს ისეთი ლექსები, რომლებიც პირადულსა და ინტიმურს ხასი-
ათს ატარებდა. (ასე, მაგალითად, ფართე გაერცელებისათვის დანიშნულ
კრებულებში ნ. ბარათაშვილს არ შეუტანია ლექსები — „ძია გრიგო-

1) წერილის ტექსტი რუსულად არის ნაწერი; მოგვყავს რუსული ტექსტი: „Составили подписку, которою просили родственников и знакомых покойного пожертвовать на напечатание как собственных его произведений, так и переводов, на тот конец, дабы сохранить для потомства произведения покойного“.

2) საფიქრებელია, რომ ამ სხვა თარგმანთა შორის არ იგულისხმება ლექსები „როს
ბედნიერ ვარ“ და „კოსა ფერს“, რადგან ეს ლექსები არ ყოფილან იმ დროს საზოგა-
დოებაში ცნობილი. ნ. ბარათაშვილს ეს სასიმღერო რომანები პირადად ეკატერინე
პაველანისათვის დაუწავდა და ეს ლექსები არც შეუტანია პოეტს საზოგადოებაში
გასაერცელებლად დანიშნულს კრებულებში (იხ. ამის შესახებ ზემოთ, ფურც. „შხა-
თობი“, № 9, გვ. 177 — 178). ამის გამო ამ ლექსებს ლევან მელიქიშვილი არც კი
იხსენებდა. ამას გარდა ეს ლექსები არც წარმოადგენენ თარგმანს, არამედ გადმოკეთე-
ბულ ნაწარმოებთ.

ლის“ „ღამე ყაბაზზედ“, „...ნა ფორტეპიანოზედ მომლოცოვით, რომლებიც საგანგებოდ გადაწერილ პირადულ კრებულებში აღმოჩნდა). ამავე ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე ეს ლექსიც „ასტრა“, მნიშვნელოვ პოეტის სატრფოსადმი, და სჩანს ამის ვამო არის, რომ იგი არ მონაწილეობდა ფართე საზოგადოებისათვის დანიშნულ კრებულებში.

დაგვრჩენია ავლნიშნოთ, რომ „ასტრა“ სჩანს მნიშვნელოვანი ნაწარმოები ყოფილა. ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ მის. თუმანიშვილი, რომელიც ვასცნობია „ასტრას“, მოხიბლულა ამ ლექსით, და საპასუხო ექსპრომტში საგანგებოდ მოიხსენიებს, რომ „ასტრა“ დაწერილია „კარგის სიტყვით, კარგის სტიხით, კარგის ხმით“.

3. ლ ე ქ ს ე ბ ი 1844-1845 წ ლ ე ბ ი ს ა.

გარდა „ასტრასი“, ბარათაშვილის ლექსებიდან შესაძლოა დაკარგული იყვეს აგრეთვე ზოგიერთი ლექსი 1844-1845 წლებისა. ამის ექვეებს ჩვენ შემდეგი აღგვიძრავს. ბარათაშვილის ლექსების ხელნაწერი კრებულები, რომლებიც ავტორის საზოგადოებაში ვასაერცვლებლად შეუდგენია, ეკუთვნის სხვადასხვა დროს 1841 წლიდან — 1844 წლის დასაწყისამდე. ყველაზე გვიანი დროის კრებულია — ეგრეთ-წოდებული ვეზირი-შვილისეული ხელნაწერი ავტოგრაფი, რომელიც 1843 წლის ბოლოს ეკუთვნის, და სარდიონ მესხიშვილისეული პირი, 1844 წლის დასაწყისის ავტოგრაფიდან მომდინარე.

რაც შეეხება 1844-1845 წლებს, ამ წლების მანძილზე გამოშვებული ლექსების ხელნაწერი კრებულები პოეტისა არ მოიპოვება. ასეთი კრებულები ან აღარ გამოუცია პოეტს 1845-1845 წლებში, ან თუ გამოსცა, ჩვენ დრომდე აღარ მოღწეულა. 1844-1845 წლების ის ორიოდ ლექსი, რომლებსაც ჩვენ დღეს ვიცნობთ, შენახულია არა კრებულებში, არამედ ცალკეული პირების სახით, რომლებიც ცალ-ცალკეა პოენილი, ხშირად შემთხვევით.

ეს ლექსები 1844—1845 წლებისა, რომლებიც ცალ-ცალკეა პოენილი, შემდეგია:

1. „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ 23 სექტ. 1844 წ.

2. „მადლი შენს გამჩენს, ღამაზო“ 10 იანვ. 1845 წ.

ამას გარდა ამავე 1844 — 1845 წლებს უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე ორი უთარილო ლექსი:

3. „ვლოცავ დღეს“,

4. „დამჭროლა ქარმან“.

ამ-რიგად, რაკი თვით ავტორის მიერ გამოშვებული კრებული 1844-1845 წლებისა არ შენახულია, ჩვენ რასაკვირველია არა გვაქვს იმისი ვარანტია, რომ პოეტის ლექსებს 1844—1845 წლებისას ჩვენ სრულად ვიცნობდეთ.

კერძოდ 1844—1846 წლების არ-მოღწეულ ლექსთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს მომღერალის სათარას ქება, რომელიც, ერთი ცნობის მიხედვით, პოეტს ქართლში დაუწერია¹⁾.

ამ ლექსთან დაკავშირებით საჭიროა შემდეგი ავლენებანი: ბარათაშვილი, როგორც ცნობილია, მუსიკის დიდი მოყვარული იყო. პოეტის დაი ბარბარე ვადმოგვეცემს, რომ „ნიკომ არ იცოდა დაკრა, მაგრამ სიმღერა და მუსიკა ძალიან უყვარდა“. პოეტს სახლში შეკრებილი ჰქონია საკრავების მთელი კოლექცია: ჭიანჭური, თარი, სანთური, და-ირა, დიპლიპიტო. ბარბარე ვეზირიშვილისა დასძენს ამასთან, რომ „ნიკო ყველა ლხინზედ სათარას მოიყვანდა“-ო.

სათარა პირველი მომღერალი იყო თავისი დროისა და ბარათაშვილი—მისი პირველი თაყვანისმცემელი. სათარა აღმოსავლურ ჰანგებს მღეროდა. (აღვნიშნავთ, რომ რუსს პოეტს ი. პოლონსკისაც, რომელიც ტფილისში იმყოფებოდა წარსული საუკუნის შუა წლებში, მოუსმენია სათარას სიმღერა და იგი სათარას საგანგებო ლექსს უძღვნის²⁾).

სათარას რამდენჯერმე მოიხსენიებს ნ. ბარათაშვილი თავის წერილებში. როდესაც ტფილისში გამოჩნდა ახალი მომღერალი ჯაფარა, რომელსაც ზოგი სათარას ამჯობინებდა, და როდესაც ჯაფარას ქება არა ერთგზის მოუწერიათ ბარათაშვილისათვის ნახიჩევანში, საპასუხო წერილში ბარათაშვილი შემდეგსა სწერს მაიკო ორბელიანს (1845 წ. 9/21 თებერვალს):

ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით; ვისიცი წიგნი მომივიდა, მავის ქება ეწერა. — ნეტა ყველასათვის აგრე მალე როგორ გაგიყვებით? მავის ამბავი ჩვენა გეკითხეთ: ეგ სულეიმან ხანმა გარდმოიყვანა სპარსეთიდან;

¹⁾ ი. მუნარგია, XXXI.

²⁾ მოგვეყვს ი. პოლონსკის ლექსი:

Сатар! Сатар! твой плач гортанный —
Рыдающий, глухой, молящий, дикий крик,
Под звуки чинаур и трели барабанной
Мне сердце растерзал и в душу мне проник.
Не знаю, что поешь—я слов не понимаю;
Я с детства к музыке привык совсем иной.
Но ты поешь всю ночь на кровле земляной,—
И весь Тифлис молчит—и я тебя внимаю,—
Как будто издали, с востока, брат большой
Через тебя мне шлет упрек иль ропот свой.
Не знаю, что поешь—быть может песнь Кырама,
Того певца любви, кого сожгла любовь;
Быть может к мести ты взываешь—кровь за кровь
Быть может славишь ты кровавый меч Ислама —
Те дни, когда перед ним дрожали тьмы рабов...
Не знаю,—слышу вопль—и мне не нужно слов!

(იბ. Я. П. Цолонский: Стихотворения и поэмы. Ред. и прим. Б. М. Эйхенбаума. Л. 1935. стр. 70). პოლონსკის ამ ლექსს ჩვენი ყურადღება აკ. გაწერულია მიაქცია.

ორი დღე და ღამე აქ ჩვენთან (ნახიჩევანში) იდგნენ, რაც ქუნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულა.

„ეგ რომელი ამბობს, რომ სათარას ჰსჯობიაო? ჰეტყვიან, რომ სმენა ჰქონია! — მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარასზედ, მაგრამ ღმერთს სათარასათვის ხმა მიუცია და თან დაუმატებია, რომ მაგისთანა ხმა აღარავის ექნებო! ერთი ორივეს სახე ნახეთ; ერთი — კაცია, მეორე — ჯოჯოხეთის მაშალაა“.

როგორც მოვიხსენეთ, ლექსი მიძღვნილი სათარასადმი, ბარათაშვილს, გადმოცემით, ქართლში დაუწერია. ხოლო ნ. ბარათაშვილი მართლაც იყო ქართლში 1844 წელს; პოეტის დაი ეკატერინე (კატო) გაათხოვეს რევანს ქსნის ერისთავზედ, და ნიკო ახლდა დას ქართლში 1844 წლის აგვისტოს. ქორწილი დიდის ამბით იყო გადახდილი. ბარათაშვილი ერთ წერილში ასე აგვიწერს ქსნის ხეობაში, ახალგორში მისვლას: „შვედით ახალგორს; სასახლე ჭრაქებით იყო გაჩაღებული, მეიდანა — მაშალეებით... დაჰკრეს ზურნას. სათარას სიმღერა (თან გყავდა), თოფის სროლა და ხალხის ქდევა და ყიფინი, — საუცხოვო სანახაობას წარმოადგენდა. ამასთან მთვარიანი ღამე და მშვენიერი სანახაობა“.

ნ. ბარათაშვილმა ქართლში ორი კვირა დაჰყო. იყო მუხრანსა და ოძისში; ახალგორიდან გადავიდა გორს, გორიდან — ატენს; იყო ქსნის ხეობის მთიან მხარეშიაც, სოფელ ალევში. — „მე და მამა“, — გადმოგვცემს ნ. ბარათაშვილი იმავე წერილში, — „აღევობას, რომელიც ამ თვის (აგვისტოს) 15-ს იყო, ვეწვიენით კატოს. მანანა და ელენეც გადმოვიდნენ სალოცავად. საუცხოვო ჯვარობა იყო. ახალგორიდან თორმეტი ვერსია, მაღალს მთაზედ. — ქალები ცხენებით, საწვიმრებით, ჭოლგებით, დიდის ამალით, ოსური სიმღერით, ავედით სალოცავად. ის ღამე და მეორე დღეც იყო მშვენიერი“. — ერთის ლექსით — „სწერს ქართლში ამ მოგზაურობის გამო ნიკო ბარათაშვილი, — რომელსაც თან ახლდა სათარა, — „კარგათ გავატარეთ დროება, მთელი ორი კვირა“.

ლექსი მიძღვნილი სათარასადმი, ბარათაშვილს სჩანს, ამ დროს დაუწერია.

4. დასასრულ, ნ. ბარათაშვილის პოემაზე „ივერიელნი“.

ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან დანაკლისად უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენ დრომდე არ მოღწეულა ნ. ბარათაშვილის დიდი პოემა „ივერიელნი“, ორეული მისი „ბედი ქართლისა“.

ცნობა ნ. ბარათაშვილის პოემის „ივერიელნი“-ს შესახებ შემოუნახავს პოეტის სიყრმის მეგობარს კონსტანტინე მამაცაშვილს. თავის წერილში „ნიკოლოზ ბარათაშვილი (მასალა ბიოგრაფიისათვის)“, რომელიც 1881 წელს გამოქვეყნდა. კ. მამაცაშვილი სწერს:

„ბევრი იმისი (ნ. ბარათაშვილის) ლექსები დაკარგული არიან, რადგან დაბეჭდვა იმათი მაშინ არ შეიძლებოდა. მე მახსოვს იმისი დიდი პოემა. რომელიც ჩემთვის წაუკითხავს — „ივერიელნი“. ამ პოემაში იყო

აღწერილი აყვავებული ცხოვრება მე-10, 11 და 12 საუკუნეებისა. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა, რომელნიც ისეც მშვენიერი იყვნენ“.

რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს ცნობა? **უპასუხი**

უნდა აღინიშნოს, რომ კ. მამაცაშვილი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, უთუოდ სანდო პიროვნებაა, იგი დაახლოვებული პირი იყო ნ. ბარათაშვილისა, კერძოდ მისი წერილი ნ. ბარათაშვილზე საქმიანად არის შედგენილი, და ჩვენ არ გვაქვს არავითარი საბუთი ექვს ქვეშ დავაყენოთ, კ. მამაცაშვილის ეს ცნობა შესახებ პოემისა „ივერიელი“.

კერძოდ შეუძლებელია დავუშვათ, რომ კ. მამაცაშვილმა აურია ერთმანეთს პოემა „ბედი ქართლისა“. კ. მამაცაშვილი ჩინებულად იცნობს პოემას „ბედი ქართლისა“ და სწორედ იმავე წერილში საგანგებოდ ეხება „ბედი ქართლისა“-ს, განსხვავებით პოემისაგან „ივერიელი“. კ. მამაცაშვილი სწერს იქვე:

„1839 წელს გამოვიდა... „ბედი ქართლისა“, რომელმაც უკვდავი გახადა ბარათაშვილი. ეს პოემა, რომელშიაც არიან გამოხატულნი მეფე ერეკლე, იმისი ბრძენი მრჩეველი სოლომონ ლეონიძე, ერი ქართლ-კახეთისა, თავისი მალაღის და ღრმა აზრით, პატრიოტულის გრძნობით და მშვენიერ სტილით შემდეგ „ფეხვის-ტყაოსნისა“ შეუდარებელია და უპირველესია აჰამდისინ ქართულს ლიტერატურაში“.

მაგრამ ამის გარეშე არის სხვა გარემოებაც, რაც ეთანხმება კ. მამაცაშვილის მიერ გადმოცემული ცნობის სინამდვილეს.

ნ. ბარათაშვილის შესახები ხელნაწერი მასალების შესწავლის დროს ჩვენ შემთხვევა მოგვეცა გამოგვერკვია, რომ ნ. ბარათაშვილს ჰქონია ფსევდონიმი: „მ ი რ ი ა ნ ი ვ ე რ ი“.

ამ ფსევდონიმით „მირიან ივერი“ ხელმოწერილია ნ. ბარათაშვილის ლექსები სამს კრებულში, რომლებიც ამ-ჟამად საქართველოს მუზეუმშია დაცული: H — 2398, S — 1512 და H — 772.

პირველის შეხედვით შესაძლოა მოულოდნელად და გაუგებრად გვეჩვენებოდა, თუ რად აღრჩევია პოეტს ეს ეგზოტიური ფსევდონიმი. მაგრამ რაკი ირკვევა, რომ პოეტს დაწერილი ჰქონია პოემა „ივერიელი“, ამის შესახებ ფსევდონიმიც „მირიან ივერი“ გასაგები ხდება. პოეტს ეს ფსევდონიმი „მირიან ივერი“ სჩანს აულია თავისი ისტორიული პოემის სახეების რკალიდან. (სახელწოდება „მირიან ივერი“ იგულისხმებს ისტორიულ პირს, ივერიის მეფეს მირიანს, რომლის დროსაც ეკუთვნის ახალი რელიგიის — ქრისტიანობის დამკვიდრება საქართველოში).

რამ შთააგონა პოეტი დაეწერა პოემა „ივერიელი“, რა გარემოში და რა განწყობილებათა გავლენის ქვეშ უნდა შეექმნა იგი პოეტს?

ამის გასათვალისწინებლად ინტერესს იწვევს ერთი ცნობა, რომელიც დაცული აქვს კონსტანტინე მამაცაშვილს იმავე წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილზე. ამ ცნობის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა სხვა ადგილას საუბარი. კ. მამაცაშვილი სწერს:

„ხშირად გვქონდა (ნ. ბარათაშვილსა და მის მეგობრებს) ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ. ერთს საღამოს ბარათაშვილის სახლში

გადავწყვიტეთ რომ, რადგან არა გვაქვს ქართული რევოლუციური ისტორია, გავიყოთ მე-5 საუკუნიდან დაწყებული თითომ თითო საუკუნე და შეადგინოს ისტორია ამ საუკუნისა. პლატონ იოსელიანს მიანდევს დაწერა ძველი საუკუნეების ისტორიისა ქრისტეს წინათ და შემდეგ მე-5 საუკუნემდისინ. მაშინ ძნელი იყო ამისთანა საქმის ასრულება, რადგანაც მშრომელნიც ცოტანი ვიყავით და საქართველოს ისტორიის მატრიანები დაფანტული იყო, არ იყო ჯერ შეკრებილი არც ძველი საეკლესიო გუჯრები, არც ბევრი საინტერესო გრამატები თავადების და აზნაურების სახლებში. მარტო მატრიანედ იყო ქართლის ცხოვრება“.

კ. მამაცაშვილი ამ საყურადღებო ამბავს არც კი აკავშირებს პოემასთან „ივერიელნი“, იგი ამის შესახებ ცალკე მოგვითხრობს. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ არ შევცდებით თუ ვიფიქრებთ, რომ ამ ისტორიულ შტუდიებთან დაკავშირებული უნდა ყოფილიყო თვით პოემაც „ივერიელნი“. ეს პოემა, ძველი საქართველოს ისტორიული წარსულით შთაგონებული, პოეტს, სიანს, შეუქმნია იმავე გარემოში, და იმავე განწყობილების ქვეშ, რამაც უკარანახა პოეტს თვით ქართული ისტორიის შესწავლის საქმეც კი მოეწყო.

რა ბედი ეწვია პოემას, რას უნდა გამოეწვია მისი დაკარგვა?

აქ გასათვალისწინებელია ჯერ ერთი გარემოება. პოემა სიანს თავისუფალი სულით იყო აღბეჭდილი, იგი სიანს საქართველოს თავისუფლების იდეით იყო შთაგონებული; ამას გვანიშნებს კ. მამაცაშვილის ფრთხილად თქმული სიტყვები: „ბევრი იმის (ნ. ბარათაშვილის) ლექსები დაკარგული არიან, რადგან დაბეჭდვა იმათი მაშინ არ შეიძლებოდა: შე მახსოვს იმისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთვის წაუტკობავს, „ივერიელნი...“

რაკი ეს ასეა, და რაკი პოემა „ივერიელნი“ პოლიტიკურად სიანს სახიფათო ნაწარმოებს წარმოადგენდა, საფიქრებელია რომ პოეტს ეს ნაწარმოები არ შექონდა თავისი ლექსების იმ ხელნაწერ კრებულებში, რომლებიც ფართე საზოგადოებაში გასაერცელებლად იყო დანიშნული.

პოემის დედანი ალბად დაცული იყო პოეტის პირად არქივში. ხოლო რაკი პოეტის პირადი არქივი დაკარგული სიანს და ჩვენ დრომდე არ მოღწეულა, მასთან ერთად, საფიქრებელია, დაიკარგა პოემის დედანიც.

მაგრამ იქნებ ავტორს ეს პოემა „ივერიელნი“ გამოქვეყნებული ჰქონდა ხელნაწერად, თუმცა ვიწრო წრეში გასაერცელებლად, ფსევდონიმით „მირიან ივერი“? იქნებ თვით ფსევდონიმის არჩევაც ამით იყო გამოწვეული? მართლაც, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება რომ ნ. ბარათაშვილი თავის ლექსებს ჩვეულებრივად საკუთარის სახელ-გვარით აქვეყნებდა, და რად დასჭირდა მას ამის გვერდით ფსევდონიმი, თუკი მას რომელიღაც ნაწარმოების რალაც მიზეზის გამო დაშიფრვა არ დასჭირებოდა, თუ კი მას არ ჰქონოდა გამოქვეყნებული ამ ფსევდონიმით ისეთი ნაწარმოები, რომლის ავტორობის გამომქლავებდა მას არ უნდოდა.

თუ ეს ასეა, თუ კი პოემა „ივერიელი“ პოეტს გამოქვეყნებული ჰქონდა ხელნაწერად „მირიან ივერის“ ფსევდონიმით, მაშინ რასაც ივერელია, არ არის დაკარგული იმედი, რომ ეს პოემა იქნებ სადმე ცხდევად მოჩნდეს.

ბ ი ზ ლ ი რ თ ე ა

IX.

ნ. ბარათაშვილის ცხოვრების უკანასკნელი წლები. პოეტის ხვედრი.

დავუბრუნდეთ ნ. ბარათაშვილის ცხოვრების ქრონიკას.

ნ. ბარათაშვილი სწერდა გრ. ორბელიანს 1843 წელს:

„მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესო ხედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ალაგას. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა!“

ადამიანი ასეთის სულისკვეთებით, ბედის უკუღმართობის გამო იძულებული იყო თავისი ხანმოკლე სიცოცხლის დღენი ბიუროკრატიულ კანცელარიაში გაეტარებინა. მაგრამ, როგორც აღენიშნავდით, ამას იძულებდა პოეტს მძიმე მდგომარეობა დიდი ოჯახისა, რომელიც მატერიალურად დიდს გაჭირვებას განიცდიდა, ვალებში იყო ჩაყარდნილი.

ნ. ბარათაშვილი რამდენჯერმე სთხოვს დალისტანში მალალ სამხედრო თანამდებობაზე მყოფს გრიგოლ ორბელიანს მოუხერხოს მას დააღწიოს თავი ბიუროკრატიულ კანცელარიას, ამ სულის შემშუსრავს სამუშაოს, დაეხმაროს მას მოეწყოს დალისტანში რაიმე უფრო შესაფერის სამსახურში. მაგრამ აქედან არა გამოვიდა რა. ნ. ბარათაშვილი უსაყვედურებდა ამის გამო თავის უძვირფასეს მეგობარს საყვარელს ბიძას გულგრილობას, და ერთხელ კიდევ გულდაწყვეტილი სწერდა: ეს იმ სწეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგებაო.

1844 წელს ნ. ბარათაშვილმა მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა და ამან, თვით მისივე სიტყვით, დიდი გავლენა იქონია პოეტზე.

ერთ წერილში ნ. ბარათაშვილი სწერს ზაქარია ორბელიანს:

„შენმა ბარათმა, სევდიანობით აღესილმა ცხოვრების ქარიშხლიანი მდინარებისა გამო, ღრმა გამოხმაურება ჰპოვა ჩემს სულში, თუმცა ამისი მიზეზი ჩვენ სხვადასხვა ვეაქვს. მე დიდი ავადმყოფობა გადავიტანე და კინაღამ არ გადავსახლდი ელისეის ველებში. მანამდე მე არ ვიცოდი თუ რა ავადმყოფობა, ახლა განვიცადე მისი უცნაური გავლენა, რაც იქნებ, მთელი სიცოცხლის მანძილზე დამრჩეს. ის რომ მიზანი ჩვენის დანიშნულებისა გამოუტყობელი რჩება, რომ ადამიანის სურვილები უსაზღვროა, ხოლო ყოველივე ამ ქვეყნიური წარმავალია, ყოველივე ამან ააფსო ჩემი სული საშინელის სიკარიელთ.

„რომ მქონდეს მცირეოდენი შესაძლებლობაც კი დამოუკიდებელი არსებობისა, მე მაშინვე დაეტოვებდი ბრწყინვალე საზოგადოებას, იდამიანებს — მათი უძლები სურვილებით, და მშვიდად დამწყნარებდი გავატარებდი პატრიარქალურს ცხოვრებას მარტივი ბუნების წიხლში, ჩემელიც ესოდენ დიადი და მშვენიერია ჩვენს სამშობლოში“.

მაგრამ პოეტს ამის შემდეგ საერთოდ არ დარჩომია დიდი დღე. წლინახევრის შემდეგ იგი უკვე ქვეყნად აღარ იყო.

უკანასკნელი წელი პოეტმა მეტ-წილად საქართველოს გარეთ გაატარა. ოჯახის შევიწროვებულმა მდგომარეობამ აიძულა პოეტი საქართველოს გარეთ ეძებნა საშახური, ოღონდ ამით მეტი საშუალება მისცემოდა წაქცევაზე მიმდგარი ოჯახის დახმარებისა.

1844 წლის შემოდგომაზე პოეტის მეგობარი ლევან მელიქიშვილი დანიშნეს ნახიჩევანის ყოფილი სახანოს მმართველად და მან ნ. ბარათაშვილი წაიყვანა თავის მოადგილედ.

თუკი ამ დროს, პოეტის სიტყვით, თვით ტფილისი იყო „ქალაქი უსარგებლო გულისა და გონებისათვის“, ადვილი გასაგებია, თუ რას წარმოადგენდა მაშინ ისეთი პროვინციული ჯურღმული, როგორც იყო ნახიჩევანი.

„ვილას მოვაგონდებით, ვილაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახიჩევანში“ — ჩიოდა ერთ წერილში ნახევრად ხუმრობითა და ნახევრად სერიოზულად ნ. ბარათაშვილი თავის-თავზე და ლევან მელიქიშვილზე. მეორე წერილში ნ. ბარათაშვილი იწერება ნახიჩევანიდან: „ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე ვითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი არა არის რა. ლევანიც (იგულისხმება ლ. მელიქიშვილი) ავად გამიხდა, და თავადაც ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიცხისაგან. რასაც ეს ნეიდგარდს (იგულისხმება იმდროინდელი მთავარმართველი, რომელმაც ლ. მელიქიშვილი გაგზავნა ნახიჩევანში), — სწყველის, არ ვიცი რა მოუვიდეს. ეს ერთი კაცი გვყავდა — პოლკოვნიკი ფორსტენი (— იგულისხმება ინგლისელი ოფიცერი, რომელიც მსახურობდა ნახიჩევანში), ეს წამოვიდა, და შენი მტერი, რომ ჩვენ მარტო დავრჩით!“

ნ. ბარათაშვილმა ნახიჩევანში დაჰყო ნახევარი წელი და ჩამოვიდა ტფილისში 1845 წ. გაზაფხულს.

ნ. ბარათაშვილი შუამდგომლობდა, რომ იგი ისევ გადმოეყვანათ სამსახურში საქართველოში. ამ დროს ნ. ბარათაშვილს შეხვდა მამუკა ორბელიანი (— მონაწილე 1832 წლის შეთქმულობისა). მამუკა იმ ხანად მსახურობდა განჯის სახანოს მმართველად და მან დაითანხმა ნ. ბარათაშვილი წასულიყო მასთან სამსახურში მისი მოადგილის თანამდებობაზე.

ნ. ბარათაშვილი გაემგზავრა განჯას 1845 წლის ზაფხულის პირას. განჯაში ნ. ბარათაშვილი გამხდარა ავად ადგილობრით გავრცელებული ავი მალარიით, რამაც იმსხვერპლა პოეტი.

ნ. ბარათაშვილი გარდაიცვალა ვანჯაში 9 ოქტომბერს 1845 წ., და დაუსაფლავებიათ იქვე, მშობელ-ნათესაეთაგან და მეგობართაგან დაუტოვრებული, 11 ოქტომბერს.

ამ-რიგად წინასწარმეტყველურად ასრულდა პოეტის მისი სიტყვები:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის!“



განვლო მას შემდეგ თითქმის ნახევარმა საუკუნემ.

90-იან წლებში ქართულ საზოგადოებაში აღიძრა საკითხი ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებისა.

ეს შესრულებულ იქმნა იმ-დროინდელი ქართული მთავარი საზოგადოებრივი დაწესებულების — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, და მისი ხელმძღვანელის ილია ჭავჭავაძის თაოსნობით.

წერა-კითხვის საზოგადოების სხდომის ოქმში 1892 წლის 9 ოქტომბრის თარიღით, ეკითხულობთ:

„სავანი განხილვისა: მოხსენება საზოგადოების თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძისა პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის გვამის გადმოსვენების შესახებ.

განმინება: ეთხოვოს თ. გ. ორბელიანს, როგორც მახლობელ ნათესავს, ნებართვა მიიღოს გადმოსვენებისა. დაინიშნოს თანაშემწედი: თ. (ნ.) ორბელიანისა, ა. ჭყონია და დ. კარიჭაშვილი“.

პოეტის ნათესაებს მთელი თვეები მოუხდათ ცდა, ვიდრე მიიღებდნენ მთავრობისაგან ნებართვას პოეტის ნეშტის ჩამოსვენებისა. ბოლოს როგორც იყო ნებართვა მიღებულ იქმნა.

პოეტის ნეშტის გადმოსვენება მოხდა 1893 წელს აპრილში.

გაზეთი „ივერია“ ასე აგვიწერს პოეტის ნეშტის ჩამოსვენებას ტფილისში 1893 წლის 25 აპრილს¹⁾.

„ევირა დილას, 25 აპრილს, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ტფილისის რკინის-გზის ვაგზალზე... ვაგზლის არე-მარესა და თვით მისასვლელ მოედანზე ჰედდა იყო, იმოდენა საზოგადოებას მოეკრიბა თავი... 9 1/2 საათზე მოვიდა მატარებელი და ევაგონიდან გადმოსვენეს კუბო ძვირფასის ნეშტით... აქ ვაგზალთან ამოდენა ხალხმა მუხლი მოიდრიკა და პატივი სცა დიდებულის მგონის ცხედარს. შემდეგ ეს აუარებელი ზღვა ხალხი დაიძრა და გაემართა ლიტანიით დიდუბისაკენ. ამფიონი შემკული იყო ძვირფასი სხვადასხვაგვარის გვირგვინებით და კუბო ხელში ეჭირათ ხან ქალებს, ხან ახალგაზრდობას, ხან ნათესაებს, და ისე მიასვენებდნენ. ვხადავხა რამდენიმე ხორც ვალობდა: ხორც ქალებისა, სასულიერო სემინარიის შევირდებისა, სათავად-აზნაურო (ქართული) სკო-

¹⁾ იხ. გაზეთი ივერია, 1893 წ. № 86.

ლის მოწაფეთა და მ. შარაძისა, ფ. ქორიძის ხელმძღვანელობით ქალების ხორო შეედგინა ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის კურს-დასრულებულ შეგირდებისაგან მ. ვ. კარბელაშვილი, ქლიტანია მიუახლოვდა (დიდუბეს), ხალხმა კვლავ მოიდრიკს მსუხრნი სხვათაზე სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს: აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ, ნინო ორბელიანისამ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ლოლუამ, ქუთაისის დეპუტატმა დ. ბაჭრაძემ, გიორგი წერეთელმა, სომეხთა ახალგაზრდა პოეტმა თუმანიანმა, ბიძინა ჩოლოყაშვილმა და სხვებმა“.

ვაჟა-ფშაველა მთიდან გამოგზავნილი ლექსით მიესალმა ძვირფასი პოეტის ნეშტს.

ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებამ დიდი ეროვნული მანიფესტაციის სახე მიიღო. ეს რასაკვირველია შეუქმნეველი არ დარჩა ცარისტული ხელისუფლებისათვის და საგონებელი შეუქმნა იმ-დროინდელს ეანდარმერიას. ჩვენამდე შენახულა მოხსენება ტფილისის ეანდარმთა სამმართველოს უფროსისა — გაგზავნილი პოლიციის დეპარტამენტში 1894 წელს 24 მარტის თარიღით. მოხსენებაში აწერილია ნ. ბარათაშვილის გადმოსვენება და ხაზგასმულია მისი პოლიტიკური მნიშვნელობა. მოხსენებაში ჩვენ ვკითხულობთ:

„ქართველებმა ხელახლა წამოაყენეს საკითხი განჯიდან ტფილისში ქართველი პოეტის ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისა. ნ. ბარათაშვილი გარდაიცვალა ამ საუკუნის დამდეგს და დასაფლავებული იყო განჯაში. განსაკუთრებული მიზნით მოთხარეს მიწიდან რაღაც ძელები და ეროვნული პოეტის ნეშტის სახით გადმოსვენეს ტფილისში, სადაც ამ ნეშტს მიეგება მრავალათასიანი საზოგადოება და დიდი პატივით და მოწიწებით მიაბარეს მიწას.

„კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა. არა თუ ყველა წოდების პირნი ეცილებოდნენ ერთმანეთს მის წაღებაში, არამედ ქალებიც კი ცდილობდნენ როგორმე რამდენიმე ნაბიჯზე კუბოს გასვენებაში მონაწილეობა მიეღოთ. დედებს მოეყვანათ თავისი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თავყანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს“.

ასე სწერდა მტერი.

მაგრამ ამაო და უქმი იყო მტრის ნაგვიანვეი საგონებელი. ქართველმა ხალხმა ღირსეულად დაიტირა თავისი შვილი და მშობელმა ქვეყანამ მიიბარა ობოლი პოეტის ნეშტი.

ხოლო ბევრად ადრე, ვიდრე სამშობლო მიწა მიიბარებდა პოეტის დანაცრებულ ძელებს, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა შევიდა ქართველი ხალხის გონებრივ სამკვიდრებელში, როგორც უძვირფასესი განძი. სამოციანი წლების ქართული მწერლობის დიდმა თაობამ ფარზედ აზიდა ბარათაშვილი და მიიღო ეს მემკვიდრეობა.



ქართული
ენციკლოპედია

შენიშვნები

I. ნ. ბარათაშვილის პორტრეტად მიჩნეული „თუმანიშვილისეული“ ესკიზის შესახებ. — II. ნ. ბარათაშვილის ცხოვრების თარიღები. — III. ნ. ბარათაშვილის ლექსების ქრონოლოგიური ნუსხა.

I

ნ. ბარათაშვილის პორტრეტად მიჩნეული

„თუმანიშვილისეული“ ესკიზის შესახებ.

მე-19 საუკუნის ლიტერატორის მიხეილ თუმანიშვილის (1818—1875 წ.) ქალაქ-დებში აღმოჩნდა ფანქრით შესრულებული ორი სურათი-ესკიზი პატარა ზომისა, დახატული სქელი საწერი ქაღალდის ნახევარ ფურცელზე. ერთ სურათს უწერია ქვეშ რუსულად **Н. Б.**, მეორე სურათს **З. П.**

პირველი სურათის გამო, რომელიც წარწერილია **Н. Б.**, გამოითქვა მოსაზრება, რომ იგი თიბქოს ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტს წარმოადგენს.

მიხეილ თუმანიშვილის შვილის გიორგი თუმანიშვილის აზრით, ეს სურათები **Н. Б.** და **З. П.** დახატული უნდა იყოს თვით მიხ. თუმანიშვილის მიერ. ზოლო როგორც მხატვარი იყო იგი, ამის შესახებ გ. თუმანიშვილი შემდეგს გადმოგვცემს:

„მამა-ჩემი, რასაკვირველია, არ იყო ნამდვილი მხატვარი, მაგრამ მისი დილექტანტური ფანქრით შესრულებული ესკიზები მეტწილად ემსგავსებოდნენ ორიგინალებს“
ეს სურათი წარწერით **Н. Б.** თვალწინ კჳონიათ 70-იან წლებში ილია ჭავჭავაძესა და სხვა ჩვენს მოღვაწეებს, როდესაც ისინი ეძებდნენ ნ. ბარათაშვილის პორტრეტს; მაგრამ ეს სურათი დაბეჭდვის ღირსად არ უცნიათ

აი რას მოგვითხრობს ამ საგანზე თვით გ. თუმანიშვილი.

1876 წელს, როდესაც მზადდებოდა გამოსაცემად ნ. ბარათაშვილის ლექსები, გამოცემლებს არა კჳონდათ პოეტის პორტრეტი. „მამა-ჩემის (ამ დროს გარდაცვლილის) ქალაქ-დებში ჩვენ ვიპოვეთ ფანქრით შესრულებული ესკიზი წარწერით: **Н. Б.** თანამედროვეებმა აღნიშნეს, რომ ეს პორტრეტი მისია (პოეტისა), მაგრამ მთლიან დასაკმაყოფილებელი არაა. ესკიზი, მათი სიტყვით, უფრო ჰგავდა პოეტის ბიძას **გენერალ თავად ილია ორბელიანს**, ვიდრე თვით მას. ასე გადმოგვცა ჩვენ ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც წაიღო მამაჩემის ესკიზი, რათა ეჩვენებინა იგი პოეტის დისა და სხვა ნათესავებისათვის. ესკიზი ხელიდან ხელში გადადიოდა და ბოლოს დაიკარგა“.

ამას სწერს გ. თუმანიშვილი 1893 წლით დათარიღებულ წერილში¹⁾, ე. ი. ესკიზის ექსპერტიზის კარგა ხნის შემდეგ. გ. თუმანიშვილს ამ ხნის მანძილზე ზოგი რამ, სწანს, დაეიწყნია, ამასთან წერილში ზოგი რამ არეულია. ასე, მაგალითად, გ. თუმანიშვილი შემცდარია, როდესაც სწერს, რომ „ესკიზი ხელიდან ხელში გადადიოდა და დაიკარგა“—ო. ესკიზი არაგის არ დაუკარგავს, იგი შემდეგ თვით გიორგი თუმანიშვილის ქალაქ-დებში აღმოჩნდა. როგორც სწანს, ესკიზი დაწერების შემდეგ დაუბრუნებიათ გ. თუმანიშვილისათვის და მას იგი თავის ქალაქ-დებში შეუნახავს.

რა აზრს უნდა დავადგეთ ამ ესკიზის გამო.

¹⁾ იმ. Г. Туманов, Характеристики и воспоминания, I, ტფილისი, 1913 წ. გვ. 151—153.

ჩვენ არ ვიციტ დანამდვილებით, თუ რა სიტყვა ექსპერტობამ, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ეს სურათი შემოწმების შემდეგ უარუყვიით. თვით ამ სურათის მომხრე გ. თუმანიშვილი იძულებულია აღნიშნოს, რომ ეს სურათი უფრო ილია ორბელიანს მიაბსგავსესო, ვიდრე პოეტს.

ს. ბარათაშვილი

აქ საჭიროა აღნიშნოთ, რომ ეს სურათი არა ჰგავს არც ილია ორბელიანს, და მით უფრო მას არაფერი ჰქონია საერთო ნ. ბარათაშვილთან. (შეადარეთ ილია ორბელიანის სურათი, დაბეჭდილი ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემის 96 გვერდზე, და „თუმანიშვილისეული“ სურათი, მოთავსებული იმავე გამოცემის 240 გვერდზე).

ამასთან ნუ დაგვივიწყდება, თუ როდის ხდება ამ სურათის უარყოფა: ეს მაშინ, როდესაც პოეტის სურათის ასე გულმოდგინედ ეძებდნენ. პოეტის უკანასკნელი ნამდვილი სურათი-დაგროტიკი ცეცხლმა იმსხვერპლა; გაზეთ „დროებაში“ საგანგებოდ ქვეყნდება მიმართვა საზოგადოებისადმი—რომ თუ ვისმე შერჩენია ნ. ბარათაშვილის სურათი წარმოადგინონ დასაბეჭდად. და აი ამ დროს, როდესაც ნ. ბარათაშვილის ნამდვილი პორტრეტის პოვნის იმედი უკვე აღარ იყო, ჭართველი შწერლები და მათ შორის ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობენ და საგანგებოდ გასინჯულიყა აქვთ თუმანიშვილისეული სურათი, მაგრამ მაინც უარსაყვიენ მას. სიანს ეს სურათი მართლაც სრულებით აპოკრიფულად უცენია ექსპერტობას, რაკი ამ დროსაც კი, როდესაც სხვა სურათის პოვნის იმედი უკვე აღარ იყო, მაინც დაუწუნებიათ იგი და შეუძლებლად უცენიათ მითი სარგებლობა. ამ უარყოფის საფუძვლიანობას განსაკუთრებით აძლიერებს ავტორიტეტი ილია ჭავჭავაძისა.

აი ყოველივე ის, რაც შეიძლება ითქვას ამ სურათის ისტორიის გამო.

რანაირი უნდა იყვეს ჩვენი დასკვნა?

ეფიჭობით, ექსპერტობა სამართლიანად მოიქცა, რომ ეს სურათი უარყო.

თავდაპირველად საჭიროა აღინიშნოს, რომ არსიდან არა სიანს, რომ ეს სურათი მართლაც ნ. ბარათაშვილის სურათს წარმოადგენდეს, თუნდაც უფარგის სურათს.

ერთად ერთი საფუძველი, რომელსაც ემყარება მოსაზრება ნ. ბ. -ს და ნიკო ბარათაშვილის იგივეობის შესახებ — ეს არის მხოლოდ ინიციალების შეხვედრა. მაგრამ, რასაკვირველია, ინიციალები „ნ. ბ.“ შესაძლოა აიხსნას არა მხოლოდ როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი, არამედ კიდევ მრავალნაირად, თუნდაც მაგალითად როგორც ნიკოლოზ ბებუთაშვილი. აღსანიშნავია რომ მ. თუმანიშვილის თანამედროვეთა შორის ჩვენ გვხვდება კიდევ ასეთი პირი — ნიკოლოზ ბებუთაშვილი (დაიბადა 1829 წ., სამხედრო პირი იყო. მოკლულ იქმნა ჩეჩნებთან ომში 1852 წ.). მართალია, ნ. ბარათაშვილი იმხანავე იყო მ. თუმანიშვილისა, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ვერაფერი საბუთია. ბებუთაშინიც მაგალითად, აგრეთვე ახლო ნაცნობები იყვნენ თუმანიანთი სახლისა, და არათუ ნაცნობები, არამედ თუმანიანთ გვარის ნათესავეები.

გარდა ნ. ბარათაშვილისა მის. თუმანიშვილის თანამედროვეთა შორის სხვებიც იყვნენ, რომელთა სახელ-გვარი იმავე ინიციალებით გამოიხატება. ამ-რიგად ინიციალების შეხვედრა ამ შემთხვევაში არაფერს ამტკიცებს.

ხოლო თუ ჩვენ შევადარებთ ამ სურათს იმ ცნობებთან, რომელსაც ვადმოგვცემენ ბარათაშვილის გარეგნობის შესახებ პოეტის თანამედროვენი, — სადიჭრებელი ხდება, რომ ამ სურათზე წარმოდგენილი „ნ. ბ.“ არ უნდა იყვეს ნიკოლოზ ბარათაშვილი. ამ სურათის ცალკე ზახები არც ერთის ნიშნულის დეტალით არ შეეფარდება პოეტის თანამედროვეთა ჩვენებას.

ასე, პოეტის დაი ბარბარე ვეზრიშვილისა, რომელიც მოესწრო თავის ძმას, ვადმოგვცემს, რომ ნ. ბარათაშვილის „შეერთებული წარბები“ ჰქონდა; იონა მელუნიანიც, რომელიც ამ შემთხვევაში თანამედროვეთა სიტყვებს ემყარება, აგრეთვე ვადმოგვცემს, რომ ნ. ბარათაშვილის ჰქონდაო „ხშირი წარბები, ერთმანეთთან გადაღობილი“. ხოლო ზემო-ხსენებულ სურათზე „ნ. ბ.“ წარმოდგენილია გაშლილის წარბებით და

აქ ჩვენ ვერ ვხედავთ ნ. ბარათაშვილის ამ დამაზასათებელს „შეერთებულს“ „ერთ-მანეთთან გადაღობილს“ წარბეზს.

შემდეგ, ბარბარე ვეზირიშვილის ცნობის თანახმად, ნ. ბარათაშვილს „შეერთებულს“ არ ატარებდა. (ამასვე სწერს იონა მელნარჯიაძე, რომელიც „სამხედრო-სამხარეთო“ წიგნების ემყარება). ზოლო ზემოთ-დასახელებულ სურათზე „H. B.“ წარმოდგენილია პატარა უღვაშებით.

ამის გარდა დამოწმებულია, რომ ნიკო ბარათაშვილს ოვალური (მოგრძო) პირისებე ჰქონდა და პირხმელი იყო. („ცოტა პირხმელი“ — კონსტანტინე მამაცაშვილის წყევლით; „პირხმელი“ — იონა მელნარჯიას აღნიშვნით; „სახით გრძელი“ — ზ. თმაწმინდელის ცნობით). ზოლო „H. B.“ ამ სურათზე წარმოდგენილია რვაგალი, მსუქანი სახით, რომელსაც ყოველ შემთხვევაში არც პირხმელობა და არც მოგრძო სახე არ ეთქმის.

შემდეგ, ბარბარე ვეზირიშვილის ცნობის თანახმად ნ. ბარათაშვილს „ბუდეშურად მოყვანილი“ თვალები ჰქონდა, გარე კილოები ძირს დახრილი. ზოლო H. B.-ს არათუ ბუდეშური თვალები არა აქვს, არამედ პირიჭით, თვალის გარე კილოები ოდნავ ზემოთქენაც არის ახრილი და თვალების მდებარეობა უფრო მონგოლოიდურ ტიპს მოგვაგონებს.

დასასრულ ყოველსაც აღნიშნულს ემატება ის გარემოება, რომ სურათზე წარმოდგენილი პირი — სანს — სამხედრო ტანისამოსშია გამოწყობილი; და თუ ეს ასეა, ცხადია, მას ნ. ბარათაშვილთან არაფერი აქვს საერთო.

ველა ამ ნიშნულობათა მიხედვით ჩვენ დიდი ეჭვი გვეპარება იმაში, რომ ეს სურათი ბარათაშვილის პორტრეტს წარმოადგენდეს.

ზოლო, რაც განსაკუთრებით ანგარიშ-გასაწევია, ამას ემატება კიდევ ის გარემოება, რომ ეს სურათი, როგორც გამოიჩვენა, უარუყვია პოეტის მომსწრე პირთა ავტორიტეტულ ექსპერტიზას, და რაც მთავარია — უარუყვია იგი თვით ილია ჭავჭავაძეს. რომელსაც გაშინჯული ჰქონდა ნ. ბარათაშვილის ნამდვილი სურათი-დაგეროტიპი, დაღუპული დუბელირის ფოტოგრაფიის ხანძრის დროს.

II

6. ბარათაშვილის ცხოვრების თარიღები

როგორც მოხსენებული გვქონდა, ქართულს ლიტერატურაში მიღებულია აზრი, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა 1816 წელს, 4 დეკემბერს, ზოლო გარდაიცვალა 1845 წელს 14 (ან 21) დეკემბერს, როცა პოეტი 29 წელს იყო მიწვენილი. მაგრამ ეს თარიღი, როგორც ირკვევა, არ არის სწორი. ნ. ბარათაშვილი უფრო ახალგაზრდა გარდაიცვალა, — 27 წლისა. თარიღი პოეტის დაბადებისა არის — 1818 წელი; გარდაიცვალა პოეტი 1845 წელს 21 ოქტომბერს (ახალი სტილით).

ბარათაშვილის ცხოვრების თარიღები, რასაკვირველია ინტერესს წარმოადგენენ თავის-თავად. მაგრამ, ამას გარდა, ვიდრე არ იყო დადგენილი პოეტის დაბადების წელი, მანამ აუხსენელი რჩებოდა ზოგიერთი ფაქტი, რომელსაც შეიცავს პოეტის შესახებ ბიოგრაფიული მისაღები. (ასე, მაგალითად გურჯაველი იყო, თუ რა დროს ეკუთვნის ერთი სატირა, რომელიც ბარათაშვილს 14/15 წლისას დაუწერია და რომლის მიხედვით ირკვევა ბარათაშვილის დამოკიდებულება 1832 წლის შეთქმულობისადმი. ზუსტი ქრონოლოგიის დადგენის გარეშე საძნელოა აგრეთვე გარკვევა ზოგიერთი სხვა საკითხებისაც.

ამის გამო ჩვენ აქ საგანგებოდ შევერდებით პოეტის ცხოვრების თარიღების საკითხზე.



გაეცნობთ ჯერ მკითხველს იმ შეხედულებებს, რაც ამ საგანზე გამოთქმულა.

1881 წელს კონსტანტინე მამაცაშვილმა გამოაქვეყნა წერილი: „ნიკოლოზ ბარათაშვილი (მასალა ბიოგრაფიისათვის)“. ეს წერილი არის პირველი უმოხილვე ბარათაშვილის ცხოვრებისა. მანამდე ბარათაშვილის ბიოგრაფიის საკითხებზე არავის უწყობდა.

კ. მამაცაშვილის ეს წერილი მეტად ძვირფას მასალას შეიცავს. მართალია, იგი არ არის პოეტის მთლიანი ბიოგრაფია, ავტორი აქ მოკლედ ეხება მხოლოდ ზოგიერთ ფაქტს პოეტის ცხოვრებიდან, მაგრამ ის მცირეოდენი, რასაც კ. მამაცაშვილი გადმოგვცემს ბარათაშვილის შესახებ, უაღრესად სანდო ცნობებს წარმოადგენს. და ეს ბუნებრივია. კ. მამაცაშვილი ახლო მეგობარი იყო ნიკო ბარათაშვილისა სკოლის დროიდანვე. ამასთან კ. მამაცაშვილი განათლებული და დაკვირვებული ადამიანი იყო.

ერთადერთი ნაკლი კ. მამაცაშვილის ამ წერილისა — ეს არის ზოგიერთი შეცდომა თარიღებში. კ. მამაცაშვილმა ეს წერილი, როგორც მოვიხსენიეთ, 1881 წელს დასწერა, ე. ი. როცა უკვე 36 წელმა განვლო ბარათაშვილის გარდაცვალებიდან, და რასაც ვიცნობთ, ასეთი საკმაოდ შორეული დროის შესახებ არაფერია მოულოდნელი, რომ კ. მამაცაშვილს, წელიწადების აღნიშვნის დროს, ზოგიერთი შეცდომა მოსვლიდა.

კ. მამაცაშვილის ამ წერილში ნ. ბარათაშვილის დაბადების თარიღად ნაჩვენებია 5 დეკემბერი 1816 წელი, ხოლო გარდაცვალების თარიღად 3 სექტემბერი 1847 წელი.

კ. მამაცაშვილის წერილის გამოქვეყნების შემდეგ, იმავე 1881 წელს, პეტრე უმიკაშვილმა დაბეჭდა პატარა შენიშვნა (იხ. „დროება“ 1881 წ., № 208). პ. უმიკაშვილი იქ აღნიშნავს, რომ თარიღი პოეტის გარდაცვალებისა, რომელიც ნაჩვენებია აქ კ. მამაცაშვილს (ე. ი. 1847 წელი), არ არის სწორი. პ. უმიკაშვილი სწერს:

„ერთი წერილი ვიცი ბარათაშვილის გულთთადი მეგობრისა, რომელიც დასტირის პოეტის დაკარგვას. ეს წიგნი დაწერილია 1846 წელს, 19 იანვარს. შიგ წიგნში არ არის მოხსენებული, როდის, რომელ თვეში გარდაიცვალა პოეტი, მაგრამ ცხადია, რომ პოეტი ან ამ 1846 წლის დასაწყისში უნდა გარდაცვლილიყო, ან 1845 წლის დამლევს“.

წერილი, რომელსაც აქ მოიხსენიებს პ. უმიკაშვილი, ჩვენამდისაც შენახულა. ეს არის წერილი ლევან მელიქიშვილისა, მიწერილი გრ. ორბელიანთან (1846 წლის 19/31 იანვრის თარიღით; დღეს ეს წერილი დაცულია საქ. მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში, S — 2484).

პ. უმიკაშვილის ამ შენიშვნას მოჰყვა კ. მამაცაშვილის მეორე წერილი: „ნამდვილი ცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებისა“ (იხ. „დროება“, 1881 წ., № 232). კ. მამაცაშვილი ამ მეორე წერილში აღნიშნავს, რომ მას, როდესაც იგი ბეჭდავდა პირველ წერილს ბარათაშვილზე, არ ჰქონდა ხელში რაიმე უწყველი წერილობითი წყარო ბარათაშვილის ცხოვრების წლების შესახებ და დაემყარა პოეტის ნათესავების ზებორ ჩვენებას. ეს ჩვენება კი სხვადასხვანაირი ყოფილა. პოეტის გარდაცვალების თარიღად ზოგს უჩვენებია 1846 წელი, ზოგს 1847. პ. უმიკაშვილის შემოთმომუხანაილი შენიშვნის დაბეჭდვის შემდეგ კ. მამაცაშვილს მიუღია ზომები დოკუმენტალური ცნობების მოსაპოებლად. რადგან ნ. ბარათაშვილი განჯაში იყო დასაფლავებული, კ. მამაცაშვილს მიუწერია განჯის მაზრის უფროსის გ. ს. განძელიანის და განჯის მღვდელის მიხ. მძინარაშვილისათვის, მოეძებნათ საფლავის ქვის ზედნაწერა. გ. განძელსა და მ. მძინარაშვილს მართლაც უპოვიათ წარწერაინი მარმარილოს ფიციარი, რომელიც აღებული ყოფილა ნ. ბარათაშვილის საფლავიდან. თი-

ონ საფლავი ამ დროს უკვე გავერანებული ყოფილა და ამის შესახებ გ. განძელი და მ. მძინარაშვილი შემდეგ ცნობას აწვდიან კ. შამაცაშვილს:



„...სადაც ბარათაშვილი არის დამარბული, იქ ყოფიერად უნდა იქნებოდეს სასაფლაო, რომელიც ბაღად გადაუკეთებიათ. ზოგი სეფულად უნდა დასწავლიათ და მიწა წაუფრიათ, ზოგი ქვები ამოუღიათ საფლავიდან; ის ქვაც აღარა სჩანს, რომელიც ეკუთვნოდა ბარათაშვილის საფლავს. ხოლო რომელს ქვებშიაც ყოფილა ჩამოხლი მარმალის ფიციები, ეს ფიციები ამოუღიათ და შეუნახავთ ეკლესიაში“.

თი ამ ფიცრებს შორის, რომლებიც ეკლესიაში ინახებოდა, გ. განძელსა და მ. მძინარაშვილს უპოვიათ მარმარილოს ფიცარი, აღებული ნ. ბარათაშვილის საფლავის ქვიდან, შემდეგი წარწერით რუსულ ენაზედ:

„აქა მდებარებს ნეშტი საქართველოს თავადის, გუბერნიის მდიენის, ნიკოლოზ მელიტონის-ძის ბარათაშვილისა, რომელიც გარდაცვალა ახალგაზრდობაში მყოფი, ოქტომბერს 1845 წლის“ (თარიღი, რასაკვირველია, ძველი სტილითაა).¹⁾

საქიროა აქვე მოვიხსენიოთ, რომ ამ წარწერის მეორე პირიც არსებობს. გადმოღებული იონა მუხარაგიას მიერ, მაგრამ აქ არის მცირეოდენი განსხვავება რიცხვში. იონა მუხარაგია იუო განჯაში 1884 წელს (ე. ი. კ. შამაცაშვილის წერილის დაბეჭდვის სიმა წლის შემდეგ) და იქ უნახავს ზემოთდასახელებული მარმარილოს ფიცარი ნ. ბარათაშვილის საფლავის ქვისა. იონა მუხარაგია შემდეგსა სწერს²⁾:

„ეს ფიცარი, სიგრძით რვა გოჯი, სიგანით ექვსი, დღესაც შენახულია ეკლესიაში; იმაზე სწერია: „აქა მდებარებს გვამი საქართველოს თავადის, გუბერნიის სეკრეტარის ნიკოლოზ მელიტონის-ძის ბარათაშვილისა, გარდაცვალებულისა 29 წლისა პასაკისა თვისისა, 2 ოქტომბერს, 1845 წელსა“ (თარიღი აქაც ძველი სტილითაა).

როგორც ვხედავთ, თარიღები აქ მცირედს განსხვავებას შეიცავენ. გ. განძელისა და მ. მძინარაშვილის გადმოწერილ ტექსტში პოეტის გარდაცვალების თარიღად ნათქვამია 9 ოქტომბერი 1845 წლისა, ხოლო იონა მუხარაგია გარდაცვალების თარიღად უჩვენებს 2 ოქტომბერს 1845 წლისა.

რომელი ცნობა ნამდვილი? უნდა აღინიშნოს, რომ იონა მუხარაგია შენიშვნებს ამ წერილის შესახებ ერთგვარი დაუდევრობა ემშნევა. ისე, იონა მუხარაგია არც კი აღნიშნავს, რომ თითონ წარწერა რუსულად არის შესრულებული და რომ ის პირი, რომელიც მას მოჰყავს, ამ რუსული ტექსტის თარგმანს წარმოადგენს. ამას გარდა, თვით ეს თარგმანიც იონა მუხარაგიაში არ არის ზედმიწევნით სწორი³⁾.

¹⁾ მოგვყავს აქვე რუსული ტექსტი ამ წარწერისა: „Здесь лежит прах Грузинского Князя Губернского секретаря Николая Мелитоновича Баратова, скончавшегося во цвете лет, на 29 году, 9 Октября 1845 года“.

²⁾ იხ. მისი „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ გვ. XXXIX—XL.

³⁾ რუსული ტექსტი, გ. განძელისა და მ. მძინარაშვილის გადმოწერილის თანახმად, ასე თავდება: „скончавшегося во цвете лет, на 29 году, октября 1845 года“. რასაც იონა მუხარაგია ასე თარგმნის: „გარდაცვალებულსა 29 წლისა პასაკისა 2 ოქტომბერს 1845 წელსა“, ე. ი. ფრაზა: „во цвете лет“ — „ახალგაზრდობაში მყოფი“ — იონა მუხარაგიას თარგმანში გამოტოვებულია; ამის გარდა ფრაზა „на 29 году“ არაა ზუსტად თარგმნილი).

აღნიშნულის მიხედვით უპირატესობა უნდა მიეცეს გ. განძელისა და მ. შინაი-
შვილის მიერ გადმოწერილ პირს, რომელთაც პირველად აღმოაჩინეს თეთ/ ეს წარ-
წერა და რომელთაც, სწამს, მეტი გულსყური გამოუჩენიათ წარწერის ტექსტის სის-
წორით გადმოღებისათვის. შით უფრო, რომ ეს წარწერა ორჯერ, ან მეტიჯერ აღმოაჩენს და
მ. შინაიშვილს, საგანგებოდ შეუდარებიათ ადგილობრივ ცნობებთან (სწამს, რომ შინაი-
შვილი მივიღეთ, — სწერს კ. შამაცაშვილი).

ამ ბოლო დროს აღმოჩნდა მეტრიკული ჩანაწერიც ნ. ბარათაშვილის გარდაცვა-
ლებისა და დასაფლავების შესახებ, რამაც დაადასტურა მ. განძელისა და მ. შინაი-
შვილის გადმოწერილი ტექსტი. მეტრიკულ ჩანაწერში აღნიშნულია, რომ ნ. ბარათა-
შვილი გარდაიცვალა 1845 წლის 9 ოქტომბერს, დასაფლავეს 11 ოქტომბერს, რომ
გარდაცვალებული იყო 25 წლისა, რომ იგი გარდაიცვალა ხურეებისაგან („горячка“)
და დასაფლავებულ იქნა განჯის საქალაქო ეკლესიაში¹⁾.

ამრიგად ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღი დადგენილად უნდა ჩითვა-
ლოს: 1845 წლის 9 ოქტომბერი ძველი სტილით ანუ 21 ოქტომბერი ახალი სტილით.

გადვიდეთ ამის შემდეგ პოეტის დაბადების თარიღზე, ცნობები პოეტის დაბ-
ადების წლის შესახებ ძალზე არეულია, იგი რამდენიმე წლის განსხვავებას შეიცავს
(1816-დან — 1820-მდე).

საფლავის ქვის წარწერაში, როგორც აღნიშნეთ, მოხსენებულია, რომ ნ. ბარათა-
შვილი გარდაიცვალა ოცდა მეცხრე წელს („на 29 году“), ე. ი. ამის მიხედვით
გამოდის, რომ ნ. ბარათაშვილი 1816 წელს დაბადებულია (ან და 1817 წელს, თუ
გამოთქმას „на 29 году“ ისე ვაფიგებთ, რომ ნ. ბარათაშვილს 29 წელი შესრულე-
ბული არ ჰქონდა, არამედ მე-29 წელში იღგა).

მაგრამ ეს ცნობა საეჭვოდ გახდა ერთმა დოკუმენტმა, რომელიც პირველად აღ-
მოაჩინა ეურნალისტმა ე. მიქელაძემ, 1881 წელს ე. მიქელაძემ ამის შესახებ მოა-
თავსა წერილი გაზეთ „დროებაში“ (№ 234): „ნიკო ბარათაშვილის დაბადებაზე“, სა-
დაც იგი შემდეგსა სწერს:

„შთავარ-შართებლის არქივში მე ვიპოვე საქმე (Дело главного управ-
ления за 1830 год, № 1154), რომელშიაც ნაჩვენებია, რომ 1830-ში
ნიკოლოზ მელიტონის-ძე ბარათაშვილი იყო თორმეტის წლის, ე. ი. დაი-
ბადა 1818 წელს. მაშასადამე, ნ. ბარათაშვილი გარდაიცვალა ოცდაშვი-
დის წლისა და არა ოცდაცხრისა. ამ შემთხვევაში ეგონებ ჩემ მიერ მოყვა-
ნილ დოკუმენტს უფრო დაეჯერება, ვიდრე იმ ქვას, რომელიც დაად-
გეს ჩვენის მშვენიერის პოეტის გაყინულს გულს“.

ამ საგანზე 1881 წლის „დროებაში“ პოლემიკა გაიმართა და ე. მიქელაძეს პა-
სუბი გასცა კ. შამაცაშვილმა (იხ. „დროება“ № 236). კ. შამაცაშვილი საპასუხო წე-
რილში, სხვათა შორის, სწერს:

„ჩემის აზრით, ბევრად უფრო სანდოებელია წარწერილი საფლავის ქვაზედ
დაბადება ბარათაშვილისა, ვიდრე არქივის ქალაღდი; ამისათვის, რომ სა-
ქართველოში 1819 წლამდისინ და უფრო გვიანაც მეტრიკის ქალაღდე-
ბი არ იყო დაწერილი. მაშინ, როგორც დედ-მამას სურდა, ისე გამოარ-
თმევდენ ხოლმე თავის დაბადების მოწმობას მღვდლებს; როცა შვილი
სკოლაში მისაცემი იყო, წელიწადებს უკლებდენ, რადგან პირველ კლასში
მცირე-წლოვანი (12 წლამდისინ) უნდა მიეცათ“.

¹⁾ იხ. ი. ბალაბაშვილის წერილი: „ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღი“
(ლიტ. შემკვიდრება, გვ. 636).

კ. მამაციაშვილის ეს პასუხი საბუთიანად იქმნა მიჩნეული, და ამის შემდეგ დამკვიდრდა აზრი, რომ ნ. ბარათაშვილი 1816 წელს დაიბადა. ამ დასკვნაზე ამის შემდეგ იკვირ არაფერს შეუტანა და ამ თარიღს — 1816 წელს — იმეორებენ ხვედრანი, ვისაც კი დღემდე ბარათაშვილის შესახებ უწყობია.

რასაკვირველია, კ. მამაციაშვილის მოსაზრება, პირველის შესწავლის შემდეგ უფრო საფუძვლიანად სჩანს, მაგრამ სრულის უწყვეტობით მისი მიღება მიიჩნეოდა საზღვრო იყო. მართალია, სამეტრიკო ამონაწერებში ხშირია შემთხვევა წლების დაკლები-სა და გადაშვებისა, მაგრამ რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კერძოდ ბარათაშვილის შესახებაც ისეთი დაკლება აქვს ადგილი (მით უფრო, რომ თუნდაც ბარათაშვილი 1816 წელს ყოფილიყო დაბადებული, მას, თანახმად იმ დროს არსებული წესებისა, სკოლაში მისაღებად არ სჭიროდა წლების დაკლება). ეს ერთი. ამას გარდა, ისიც მისაღებია შედეგობაში, რომ არა სჩანს დანამდვილებით, როდის, რამდენი ხნის შემდეგ იყო დადებული საფლავის ქვა და რამდენად სწორი ცნობები ჰქონდა წარწერის ამოპირებს. (რომ წარწერაში მარმარილოს დიკარი არაა ტვილისიდან გავწავნილი, არამედ განჯაშია ამოპირილი, ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ წარწერა მხოლოდ რუსულად არის გაკეთებული და მას არ ახლავს ქართული ტექსტი). ყოველ შემთხვევაში ჩვენ არა გვაქვს რაიმე მართლაც მკვიდრი საბუთი, რომ საფლავის ქვის წარწერის თარიღი უფრო ნამდვილად ვიცნათ, ვიდრე უფრო ადრინდელი 1830 წლის დოკუმენტის ჩვენება.

ამ ბოლო დროს აღმოჩნდა ახალი მასალები, რამაც ჩვენი ცნობები პოეტის დაბადების თარიღის შესახებ კიდევ უფრო ააქრელა.

1. თუ საფლავის ქვაზე აღნიშნულია, რომ პოეტი გარდაიცვალა „ოცდამეცხრე წელს“, თვით პოეტის დასაფლავების დროინდელს 1845 წლის სამეტრიკო ჩანაწერში აღნიშნულია, რომ პოეტი გარდაიცვალა 25 წლისა. ამრიგად სხვაობაა მთელი ოთხი წლით და პოეტის დაბადების თარიღად ამის მიხედვით ვღებულობთ 1820 წელს.

2. უფრო ადრინდელია მეორე სამეტრიკო ცნობა, რომელიც დაცულია ნ. ბარათაშვილის ნაშთსახარების საქმეებში. როდესაც ნ. ბარათაშვილმა გიმნაზია დაამთავრა და სამსახურში შესვლა დააპირა, სამსახურის ადგილას მან წარადგინა, 1836 წ. 3 იანვარს, დოკუმენტები. სხვათა შორის, მას წარუდგენია თავისი დაბადების მოწმობა, მიღებული „საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში“. თვით მეტრიკული ამონაწერის დედანი თუმცა არ შენახულა, მაგრამ მიმოწერაში სამჯერ არის აღნიშნული წარდგენილი საბუთები. ნ. ბარათაშვილს წარუდგენია:

1) თავად-აზნაურთა საკრებულოსაგან გაცემული საბუთი მისი თავადიშვილობის შესახებ;

2) ატესტატი გიმნაზიის დამთავრებისა და

3) მეტრიკული ამონაწერი, რომ იგი დაბადებულია 1817 წელს 15 დეკემბერს (ძველი სტილით).¹⁾

უნდა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ამ მეტრიკულ ამონაწერში ყოველ შემთხვევაში წლების დაკლება საფიქრებელი არ არის. ნ. ბარათაშვილი ძალზე ახალგაზრდა იყო, როცა სამსახურში შედიოდა, და აქ უფრო წლების მომატებაა მოსალოდნელი, ვიდრე დაკლება.

3. ერთ-ერთ ოფიციალურ ჟალალდში, რომელიც 1820 წელს გუთონის, პოეტის მამა მელიტონ ბარათაშვილი იხსენიებს თავის შვილს ნიკოს 3 წლისად²⁾. ამის მიხედ-

¹⁾ ცენტრ არქივის აუწყრელი ფონდი: „Дело № 10 — 4 января 1836 года по сообщению здешней экспедиции суда и расправы об определении в оную на службу кн. Николая Бараташа“.

²⁾ იხ. ფორმულარული სია მწათობი, № 9, გვ. 128).

ვით პოეტი დაბადებულა ან 1817-ს (თუ იგი სრულის სამის წლისა იყო) ან 1818-ს (თუ იგი მესამე წელში იდგა).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, პოეტის დაბადების წლის შესახებ საკმაოდ განსხვავებული ცნობებია მოღწეული.



საქართველოს
ლიტერატურული
მემკვიდრეობის
კვლევის ცენტრი

რომელი თარიღია ნამდვილი?

ნ. ბარათაშვილის დაბადების წლის ზედმიწევნით გამოსარკვევად ჩვენ გვაქვს ერთი ცნობა, და ბირდაშირ უცნაურია, რომ ბარათაშვილის არც ერთს ბიოგრაფს არ მოუვიდა ფიქრად ამ ცნობის გამოყენება. ეს ცნობა გუთონის თვით ნიკო ბარათაშვილს, თავისი წლოვანობა ნ. ბარათაშვილს აღნიშნული აქვს ერთ წერილში მაიკო ორბელიანისადმი.

დასახელებული წერილი მიწერილია მაიკო ორბელიანთან 1845 წლის 9 თებერვალს (ძვ. სტილით), ნახიჭევანიდან, სადაც პოეტი სამხატურში იყო გადაყვანილი. ამ წერილში ნ. ბარათაშვილი, სხვათა შორის, შემდეგსა სწერს მაიკო ორბელიანს:

„...დიხ, ნურაის მოვაგონდები! იმისი არ იყოს, როგორც ერთ ჭალს უბრძანებია, რომ აქ მოგვეყინდენ და გავყარეთო! ეგეც აგრე იყოს. მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოც-და-ექვსისა შ ე ვ ს რ უ ლ დ ი თ დ ა წინადაც ჯერ ბევრი სიამოვნება და ნუგეში გვიძევეს! ვაი იმისი ბრალი, ვინც ოც-და-რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის“.

ამრიგად, ნ. ბარათაშვილი ამ წერილის მიწერის დროს 26 წლისა ყოფილა. რასაკვირველია, ჩვენ არა გვაქვს არავითარი საბუთი არ დავეუჯეროთ აქ თვით ნიკო ბარათაშვილს. მით უფრო, რომ ეს წერილი მაიკო ორბელიანისადმი არის მომართული. მაიკო ორბელიანი ბარათაშვილის მცგობარი იყო სიყრმიდანვე, მასთან თან-შეზრდილი და აბლო ნათესაეიც, და მან, რასაკვირველია, კარგად იცოდა პოეტის წლოვანობა. ამრიგად, აქ წლების დაკლებას არავითარი აზრი არა ჰქონდა.

ამას გარდა, ბარათაშვილს ეს თავისი წლოვანობა ისეთს კონტექსტში აქვს მოხსენებული, პოეტი აქ ისეთის სახით უპირისპირებს თავის 26 წელს ნაცნობი ქალის 28 წელს, რომ თუ აქ წლების შესწლას ჰქონდა ადგილი, მაშინ მთელი ეს კეიბატი შენიშვნა ყოველგვარ მარილს დაკარგავდა.

ამრიგად, რაკი ნ. ბარათაშვილი 1845 წლის 22 თებერვლისათვის (ახალი სტილით) 26 წლისა ყოფილა, იგი, სხანს, დაბადებულა 1818 წლის 22 თებერვალსა და 1819 წლის 22 თებერვალს შუა.

მამასადამე, ნ. ბარათაშვილის დაბადების თარიღი უწევს 1818 წელს ან 1819 წლის დასაწყისს. ჩვენ ვერადებით 1818 წელზე, რადგან სწორედ ეს თარიღი — 1818 წელი — ეთანხმება სხვა უძველესს ჩანაწერებსაც ნ. ბარათაშვილის წლოვანობის შესახებ; საბედლობრ, როგორც ვნახეთ, 1820 წელს ნ. ბარათაშვილი ნაგულისსმებია სამი წლისად ან მესამე წელში მდგომარედ, ხოლო 1830 წელს ნიკო ბარათაშვილი 12 წლისად მოიხსენებოდა.

ამრიგად, ვველა ეს ცნობები ერთდება 1818 წელზე.

რომ საკითხი საბოლოოდ გარკვეულად ჩაითვალოს, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ ჩვენებას, რაც ადასტურებს ნ. ბარათაშვილის დაბადების ამ თარიღს — 1818 წელს.

საქართველოს ცენტრ-არქივში, 1832 წლის შეთქმულების საქმეში, დატულია მიწერ-მოწერა გრიგოლ ორბელიანთან ჩვენი პოეტის მამის მელიტონ ბარათაშვილისა და პოეტის დედის ეფემიასი (იხ. საქმე, № 171; ეს წერილები ჩამოართვის გრ. ორბელიანს მთავრობის აგენტებმა გაჩხრეკის დროს, როცა გრ. ორბელიანი დაიპყრო 9. „მნათობი“ № 10.

რეს 1832 წლის შეთქმულობაში მონაწილეობის გამო). წერილები მიწერილია გრ. ორბელიანთან ტფილისიდან რუსეთში 1831 და 1832 წლებში.

ერთ წერილში, რომელიც მელიტონ ბარათაშვილს მიუწერია, მკვლელ ორბელიანთან 1831 წლის 3 სექტემბერს (ძველი სტილით), მელიტონ ბარათაშვილს უკითხავს ასეთს ბოლო-მინაწერს:

„ვისთანაც მოკითხვა მოგწერა, ყველამ მადლობა და მოკითხვა მოგახსენეს. ჩემმა ტატომ კი წიგნი მოგწერა. მერწმუნე თითონ დასწერა, არავის უსწავლებია“.

იქვეა შენახული ტატოს, ე. ი. ნიკო ბარათაშვილის თვით ეს წერილიც (ნიკო ბარათაშვილის პატარაობისას ტატოს ეძახდნენ). ბარათაშვილი, როგორც სჩანს ამ წერილიდან, ჯერ კიდევ ბავშვი ყოფილა. იგი ამ დროს გიმნაზიაში სწავლობდა. ტატოს ეს წერილი თავის ბიძასთან, გრიგოლ ორბელიანთან, რომელიც რუსეთში იმყოფებოდა, რუსულად მიუწერია, რომ გამოეჩინა თავისი „ცოდნა“ და წარმატება სკოლაში. მაგრამ პატარა ტატოს ჯერ კიდევ არა ჰქონია რიგიანად შეთვისებული რუსული წერა: წერილი საესეა წმინდა ბავშვური შეცდომებით. და, ამას გარდა, თითონ შინაარსიც ამ წერილისა ბავშვურია.

თი ტექსტი ამ წერილისა (მოგვყავს უცვლელად, ყველა გრამატიკული შეცდომის დაცვით):

„Дражайший дядя

Я получил ваше письмо съ которымъ я очень обрадовался. и желаю вамъ всякаго благополучия чтобы васъ видеть здоровымъ. Но что о своихъ успѣхахъ писать Когда вы сами знаете а инструменты ежели пришлете очень благодаренъ буду. чтожъ dalje писать дражайший дядя. только чтобы желать васъ благополучнымъ счастливымъ и пр.

Имею честь прибыть дубишій васъ племянникъ Н. Баратовъ*.

თუ დავუშვებთ, რომ ნიკო ბარათაშვილი 1816 წელს დაიბადა, როგორც ამას დღემდე ჰფიქრობდნენ, მაშინ გამოდის, რომ ნ. ბარათაშვილი ამ წერილის დაწერის დროს (1831 წლის სექტემბერს) უკვე 15 წლის უმწველი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს წერილი, თუნდაც მხედველობაში არ მივიღოთ წერის შეცდომები, თავისი შინაარსის მიხედვითაც წმინდა ბავშვურია და არა ჰგავს 15 წლის უმწველის წერილს.

მაგრამ აქ განსაკუთრებით საგულისხმოა პოეტის მამის მელიტონ ბარათაშვილის მინაწერი. პოეტის მამა, როგორც აღვნიშნეთ, საჭიროდ სოელის ამ წერილს დაურთოს ასეთი შენიშვნა: „ჩემმა ტატომ კი წიგნი მოგწერა. მერწმუნე, თითონ დასწერა, არავის უსწავლებია“-ო. მაშასადამე, ტატო იმდენად პატარა ყოფილა, რომ მის მიერ წერილის მიწერა განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი ამბავი იყო და მამა საჭიროდა სოელის ახაროს ეს პოეტის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს. ხოლო 15 წლის უმწველზე ასეთი შენიშვნა, რასაკვირველია, უცნაური იქნებოდა. მით უფრო, რომ თავად-აზნაურული აბალგაზრდობა ამ ხანაში ძალიან ადრე გამოდიოდა ცხოვრებაში, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. თვით გრიგოლ ორბელიანი, როცა 16 წლისა გახდა, უკვე სრულებით დამოუკიდებელი ადამიანი იყო და სამხედრო სამსახურში შევიდა.

ხოლო რაკი ირკვევა, რომ ბარათაშვილი დაიბადა არა 1816 წელს, არამედ 1818 წელს, და, მაშასადამე, ამ წერილის დაწერის დროს იგი 13 წლის ბავშვი ყოფილა, ვასაგებია პოეტის მამის ეს მინაწერი, რომ „ტატომ წერილი თითონ დასწერა, არავის უსწავლებია“-ო.

ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს სიყურადღებო ჩვენება, რომელიც იდენტურებს ჩვენ მიერ წარმოდგენილ თარიღს პოეტის დაბადებისა.

ამით დავასრულებთ პოეტის ცხოვრების თარიღების ამ უმჯობესეს ირკვევა, მაშასადამე, რომ პოეტი დაბადებულა 1818 წელს, ხოლო გარდაიცვალა 1865 წლის 21 ოქტომბერს (ახ. სტ.), როდესაც პოეტი 27 წელს ყოფილა მიღწეული.

III

6. ბარათაშვილის ლექსების

ქრონოლოგიური ნუსხა:


1. ვარდი და ია ¹	} [1832—1833 წ.]
2. ნარგიზი და ყაყაიო ²	
3. კაცასიური მოთხრობა ³	
4. ბუღბუღი ვარდზედ ⁴	
პირველი ვარიანტი	1833 წ. 18 ივნისი
მეორე ვარიანტი	1834 წ.
5. ქეთევან	1835 წ.
6. შემოღამება მთაწმინდაზედ ⁵	
პირველი ვარიანტი	[1833 წ.]
მეორე ვარიანტი	1836 წ.
7. ხმა იდუმალი	1836 წ.

¹) თვით ავტორის მიერ ლექსის ბოლოში მიწერილი თარიღები ნაჩვენებია გვაქვს რკალებს გარეშე; ხოლო თარიღები, რომლებიც ირკვევა სინქრონიზმებისა თუ სხვა ჩვენებათა მიხედვით, ჩასმული გვაქვს სწორ რკალებში [].

²) ყრმობის-დროინდელი სამი ლექსი: „ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაიო“, „კაცასიური მოთხრობა“, — მოთავსებულია ხელნაწერ აღმანახში (H—2684) გიმნაზიელობის დროისა. ამ ლექსების ჯერ კიდევ გამოუმუშავებელი პოეტური სტილი გვიჩვენებს, რომ ისინი ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ ბარათაშვილის ლექს „ბუღბუღი ვარდზედ“, რომელიც დათარიღებულია 1833 წლის 18 ივნისით. ამის მიხედვით ეს ლექსები 1832 — 1833 წლებს უნდა მიეკუთვნოს.

³) „ბუღბუღი ვარდზედ“ — ხელნაწერებში ორგვარად არის დათარიღებული: „1833 წელი, 18 ივნისი“ (გუნიასეულ ავტოგრაფში) და „1834 წელი“ (ვეზირიშვილისეულ, თაყაიშვილისეულ და ერისთვისეულ ავტოგრაფებში, აგრეთვე გრიგოლ ორბელიანისეულ ავტოგრაფში, რომლის მიხედვითაც დაიბეჭდა 1876 წლის გამოცემა). მეორე თარიღი — 1834 წელი — უნდა აღნიშნავდეს ამ ლექსის მეორე ვარიანტის დამუშავების დროს. ხოლო პირველი თარიღი — 1833 წელი 18 ივნისი — სწამს შერჩენილია ამ ლექსის პირველი ვარიანტიდან (— თუმცაღა თვით ლექსის ტექსტი, რომელიც გუნიასეულ ავტოგრაფშია მოთავსებული, მეორე ვარიანტს უდგება. — პირველი ვარიანტის ტექსტი დაცულია აღმანახში H — 2684).

⁴) პირველი ვარიანტი ლექსისა — „შემოღამება მთაწმინდაზედ“ — მოთავსებულია გიმნაზიელობის დროინდელ აღმანახში (H—2684) და იგი, ამ კრებულის გამოშვების დროის მიხედვით, 1833 წლით თარიღდება. მეორე ვარიანტი პოეტის ავტოგრაფებში დათარიღებულია 1836 წლით.

მა. ძია გრიგოლისთან ^ა	}	1836 წ.	 ქართული მanuscripts
მბ. ლამე ყაბახზედ ^ა			
9. ფიქრნი მტკვრის პირზედ		1837 წ.	
10. ჩონგურს		1837 წ.	
11. ჩემს ვარსკვლავს		1837 წ.	
12. ნაპ-ლეონ		1838 წ.	
13. ბედი ქართლისა		1839 წ.	
14. ო. ჭავჭავაძის ასულს ეკატერინას		1839 წ.	
15. საუურე		1839 წ.	
16. ჩჩე-ლი		1839 წ.	
17. [ეკატერი]ნა ფორტოპიანოზედ მომღერალი ^ა		[1839 წ.]	
18. სული ობოლი		1839 წ.	
19. „ხატრფოვ მახსოვს“		1840 წ.	
20. ჩემი ლოცვა		1840 წ.	
21. „ალმოხდა მნათი“		1840 წ.	
22. „როს ბედნიერ ვარ“ ^ა	}	[1839—1841 წ.]	
23. „ცისა ფერს“ ^ა			
24. „არ უკეთინო ხატრფოო“ ^ა		1841 წ.	
25. „ვპოვე ტაძარი“ ^ა		1841 წ.	[ოქტომბერი]
26. ჩემთ მეგობართ ^ა		1841 წ.	
27. ხუმბული და მწიარი		1842 წ.	
28. „მირბის მიმაფრენს“ ^ა		1842 წ.	[აპრილი]
29. „რად შევედრი“		1842 წ.	

^ა) „ლამე ყაბახზედ“, ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსი, იგულისხმებს პოეტის შეხვედრა ყაბახზედ ნინო ო(რბელიან)ის ქალთან 1836 წლის მაისში (იხ. ზემოთ, მნათობი № 9, გვ. 164—168).

„ძია გრიგოლის“ წარმოადგენს მიძღვნას და დაკავშირებულია ლექსთან „ლამე ყაბახზედ“.

^ა) „[ეკატერი]ნა ფორტოპიანოზედ მომღერალი“, მიძღვნილი ეკატერინე ჭავჭავაძისადმი, დაკავშირებულია ლექსებთან „ხატრფოვ მახსოვს“ და „სული ობოლი“ და ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ამ უკანასკნელთ (იხ. ზემოთ, მნათობი № 9, გვ. 175—177, 179—181).

^ა) „როს ბედნიერ ვარ“ და „ცისა ფერს“ იმ დროს ეკუთვნის, როდესაც პოეტი გატაცებული იყო ეკატერინე ჭავჭავაძის ქალით, ე. ი. 1839—1841 წლებში. პოეტის ავტოგრაფები, მიძღვნილი ეკატერინესადმი, პოვნილია ეკატერინეს ქალაღდებში.

^ა) 1841 წლის ლექსებიდან უფრო ადრინდელია „არ უკეთინო ხატრფოო“, დაწერილი ეკატერინესთან განშორებამდე, უფრო გვიანდელია „ვპოვე ტაძარი“ და „ჩემთ მეგობართ“ დაწერილი განშორების შემდეგ (იხ. ზემოთ, მნათობი № 9, გვ. 182—185).

კერძოდ „ვპოვე ტაძარი“ სიანს დაწერილია 1841 წლის ოქტომბერში (ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს). ნ. ბარათაშვილი წერს იქვე 1841 წლის 18/30 ოქტომბრის თარიღით სწერს გრიგოლ ორბელიანს: „ამ მცირეს ხანში ერთი ლექსი დაეწერე რომელსაც ამასთანავე გიგზავნი“, და მოჰყავს ეს ლექსი „ვპოვე ტაძარი“.

^ა) „მერანი“ („მირბის მიმაფრენს“) სიანს დაწერილია 1842 წლის აპრილში. თარიღი შემდეგის მიხედვით ირკვევა. 1842 წ. 20 მარტს (ძვ. სტილით) პოეტის მეგობარი

30. ხაფია მიუფის ირაკლისა	1842 წ.
31. ბარათაშვილის აზარტუშაშვილი	1842 წ.
32. „მიყვარს თვალემა“	1842 წ.
33. „შენნი დაღალნი“	1842 წ.
34. „სულთ ბოროტი“ ¹⁹	1843 წ. [აგვისტო]
35. „შევიშრობ ცრემლსა“	1843 წ.
36. ჩანარი	1844 წ.



ილია ორბელიანი დაატყვევა შამილის რაზმმა, ხოლო ცნობა ამის შესახებ მიღებულ იქნა ტფილისში აპრილის პირველ რიცხვებში. ნ. ბარათაშვილი წერილში 1842 წლის 2 მაისის თარიღით შემდეგსა სწერს გრიგოლ ორბელიანს: „ილიას დაჭერა რომ გავიგე, სწორე გითხრა, ძალიან შეეწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუნებული ვიყავ ათასის სხვადასხვა უცნაურის ფიჭვებით და სურვილით, და რომ ეციოხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიციდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დაეწერე და თითქოს ამან რაღაც შეება მომცია“. — იმავე წერილში მოყვანილია ეს ლექსი „მერანი“.

აღსანიშნავია, რომ ვეზირიშვილისეულსა და თაყაიშვილისეულ იეტოგრაფებში ლექსს მიწერილი აქვს თარიღი „მაისის 9-სა 1842“. მაგრამ ეს თარიღი ცხადია აღნიშნავს არა ლექსის დაწერის დროს (— ლექსი, როგორც აღვნიშნეთ, მოყვანილია ჯერ კიდევ 2 მაისის წერილში), — არამედ მის შემდეგს რედაქტირებას. 9 მაისს პოეტს ლექსი განმეორებით გადაუხედავს და შეუტანია მასში სტილისტური ცვლილებანი.

აქვე საჭიროა მოვიხსენოთ აგრეთვე ერთი ცნობა ნ. ბარათაშვილის სკოლის ამხანაგის მირიან ჭყონიას გადმოცემული. ამ ცნობის თანახმად ნ. ბარათაშვილს „მერანი“ თითქო გიმნაზიაში ყოფნის დროსვე ჭყონია დაწერილი (ე. ი. 1835 წლამდე), და ეს ლექსი სკოლანა მირიან ჭყონიას — ნ. ბარათაშვილის გადმონაცემით — ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ნ. ბარათაშვილი და მ. ჭყონია ერთად სწავლობდნენ გიმნაზიაში. (იხ. ეურნ. მნათობი, 1932 წ. № 5—6, ი. ჭყონიას მეშუალები გვ. 169). რამდენად შეედრება სინამდვილეს ეს ცნობა ძნელია თქმა, შესაძლოა დროთა განმავლობაში ცნობის გადმომცემს ან დრო, ან ლექსი შეშლოდეს. მაგრამ ამ ცნობის ხელაღებით უარყოფა ჯერ ნაადრევია. გამორიცხული არაა, რომ „მერანი“-ს რომელიმე ადრინდელი ვარიანტი მართლაც გიმნაზიელობის დროს ეკუთვნოდა. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ნ. ბარათაშვილი ინტელექტუალურად ადრე მომწიფდა. კერძოდ ნ. ბარათაშვილის მეორე შედევრი „შემოღამება მთაწმინდაზედ“ ბარათაშვილის ხელნაწერებში დათარიღებულია 1836 წლით, მაგრამ ეს ყოფილა თარიღი ამ ლექსის გვიანი რედაქციისა; როგორც ეხლა გამოირკვეა, გიმნაზიელობის დროინდელი ხელნაწერი აღმანახის აღმოჩენის შემდეგ, პირველი ვარიანტი „შემოღამება მთაწმინდაზედ“ ბარათაშვილს ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს დაუწერია, 1833 წელს. ასევე შესაძლოა „მერანი“-ს რომელიმე ადრინდელი ვარიანტი ამავე წლებს ეკუთვნოდეს (მით უფრო რომ ეს ლექსი თავისი განწყობილებით სიანს 1832 წლის შეთქმულობასთან არის დაკავშირებული). რომ „მერანი“ და „შემოღამება მთაწმინდაზედ“ ერთ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, ამას გვაფიქრებინებს კერძოდ მთი სიახლოვე ფორმის მხრით, ნათესაობა ამ ორი ლექსის მეტრული სტრუქტურისა: ამ ორ ლექსში (და მხოლოდ ამ ორ ლექსში, სხვა ლექსებში კი არც ერთხელ) — მოცემულია თითხმეტმარცველოვანი და ათმარცველოვანი მეტრების შეჯვარება.

¹⁹ „სულთ ბოროტი“ სიანს დაწერილია 1843 წლის აგვისტოში (ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს). ნ. ბარათაშვილი წერილში 1843 წლის 21 აგვისტოს თარიღით (ძველი სტილით) სწერს გრიგოლ ორბელიანს: „ჩემი ახალი ლექსი ეს არის“ და მოჰყავს ლექსი „სულთ ბოროტი“.

- | | |
|---|-----------------------|
| 37. „ელცავე დღეს“ ¹¹ | 1844 წ. [აგვისტო] |
| 38. ლაშქრობა ქართველთა კავკასზე ¹² | 1844 წ. 23 სექტემბერი |
| 39. „მაღლი შენს გამჩენს“ ¹³ | 1845 წ. 10 იანვარი |
| 40. „დაშქროლა ქარმან“ ¹⁴ | 1845 წ. |
| — ელენეს და მაროს ¹⁵ | |

ბ რ - მ ო ლ დ ა უ ლ ი ნ ა წ ა რ მ ო ო ბ ე ნ ი

- | | |
|--|-------------------|
| 1. ახტრა ¹⁶ | 1838 წ. |
| 2. თულიუს ტარენტელი, დღეწვევით ¹⁷ | 1841 წ. |
| 3. მომღერალ სათარახ ჭეზა ¹⁸ | [1841 წ. აგვისტო] |
| 4. ზვერიელნი (პოემა) ¹⁹ | |

¹¹ „ელცავე დღეს“, წარწერა მართა ერისთავის თასზე, სიანს დაწერილია 1844 წლის აგვისტოში, როდესაც ნ. ბარათაშვილი ერისთავიანთში იყო (იხ. ზვეით, გვ. 115).

¹² ლექსის ავტოგრაფულ ხელნაწერში თარიღი ნაჩვენებია ამრიგად: 1844 წელი, 23 სექტემბერი. (იხ. გ. ლეონიძე, ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის ავტოგრაფი, ლიტმემკვიდრეობა, გვ. 639 — 640). ესეე თარიღი განმეორებულია ხელნაწერში H — 772. ხოლო ხელნაწერში S — 1512 ნაცვლად 23 სექტემბრისა ნაჩვენებია 20 სექტემბერი. ეს მეორე რიცხვი—20 სექტემბერი ან აღნიშნავს პირველი ვარიანტის თარიღს, ან და შესაძლოა გადმონაწერის შეცდომას წარმოადგენდეს. (ხელნაწერი S — 1512 არ არის ავტოგრაფი, ირამედ გადმონაწერი პირი).

¹³ ლექსი „მაღლი შენს გამჩენს“, რომელსაც მიწერილი აქვს თარიღი „10 იანვარს 1845“ გამოუგზავნია პოეტს მთიკო ორბელიანისათვის ნახივებიანიდან 9 თებერვალს 1845 წელს. წერილში ნ. ბარათაშვილი სწერს მთიკო ორბელიანს: „თი ამ ლექსს გიგზავნი, მდაბიურულად დაწერილს, როგორცაჲ ფიქრში მომივიდა, „მე ვარ დაჩემი ნაბადი“ — იმის ხმაზედ“.

¹⁴ „დაშქროლა ქარმან“ საფიქრებელია დაწერილია 1845 წელს. ამ ლექსში ჩვენ გვაქვს იგივე საზომი, „ხმა“, რვა-ტაეპოეანი წყობა, როგორც ამ-დროინდელს მეორე ლექსში „მაღლი შენს გამჩენს“.

¹⁵ ნ. ბარათაშვილის ეს ექსპრომტი, შემთხვევითი კალმის მონასში, დაუწერია სახუმარო გაკამათების დროს ელენე ერისთავთან და მარიამ ფალავანდიშვილთან. ბარათაშვილს ამ გაკამათების დროს ორი სახუმარო ლექსი დაუწერია ელენეს და მაროს ხნოვანების შესახებ. ამათგან შენახულა მეორე.

თუ რა დროს ეკუთვნის ნ. ბარათაშვილის ეს ექსპრომტი, გამოურკვეველია. უფრო საფიქრებელია 1836 წლის ახლო დრო, როდესაც ბარათაშვილი სამსახურში შევიდა პალატაში. პოეტს ამ დროს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მორჩენილი ფეხი და ყავარჯენს ატარებდა. მარიამ ფალავანდიშვილი სამსახურო ეპიგრამაში მიმართავს ნ. ბარათაშვილს: „პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია“, და იქვე აღნიშნავს, რომ ბარათაშვილს მშვენიის „ყავარჯენიე ხელშია“.

¹⁶ იხ. ზვეით, ეურნ. მნათობი, № 9, გვ. 106 — 170.

¹⁷ იხ. ზვეით, გვ. 111 — 112.

¹⁸ იხ. ზვეით, გვ. 114 — 115.

¹⁹ იხ. ზვეით, გვ. 115 — 118.

კონსტანტინე ჰიზინაძე

ვეფხისტყაოსნის უზბეკური ვერსიები

მიმდინარე წლის 10 და 11 თებერვალს საბჭოთა უზბეკისტანის დედა-ქალაქ ტაშკენტში ჩატარდა რუსთაველის იუბილესათვის მიძღვნილი უზბეკისტანის მეცნიერებათა კომიტეტის სესიის სხდომები. სესიის მუშაობაში რესპუბლიკის მეცნიერ მუშაკებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მწერლებიც. მოსმენილ იქნა რამდენიმე ფრიად საყურადღებო მოხსენება: „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“ პროფ. ვ. ა. პლიშევსკისა, „შოთა რუსთაველი და დასავლეთი“ — პროფ. ს. ნ. ბერეზოვსკისა, „რუსთაველი და უზბეკისტანის ლიტერატურა“ დოცენტ შარაფუტდინოვისა და სხვ. საქართველოდან მოხსენებების წასაკითხავად ჩვენ ვიყავით მივლინებული. სესიის მუშაობა დასრულდა უზბეკისტანის მოხუცი ხალხური მგოსნის ფაზილ იულდაშევის გამოსვლით. იულდაშევა დომბრაზე დაამღერა ნაწყვეტები ხალხური ვეფხისტყაოსნისა, რომელიც მას თავის ახალგაზრდობაში ჰქონია გაგონილი. იულდაშევის გამოსვლის წინ მცირე მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა უზბეკისტანის ენისა და ლიტერატურის საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, საფოლკლორო განყოფილების გამგე მანსურ აფხალოვი.

ფაზილ იულდაშევი გამოსულა აგრეთვე რ თებერვალს ტაშკენტის საოპერო თეატრში რუსთაველის იუბილესათვის მიძღვნილ მთავრობის საზეიმო სხდომაზე. ამ სხდომაზე, სხვათა შორის, გამოქვეყნდა უზბეკისტანის ცაკის მიერ ფაზილ იულდაშევის დაჯილდოვების შესახებ სამი ათასი მანეთით რუსთაველის პოემის სიუჟეტის შემონახვის გამო.

ამ ვარემოებამ სრულიად ბუნებრივად მიიქცია ჩიმი განსაკუთრებული ყურადღება, ამიტომ სესიის მუშაობის დასრულების შემდეგ, მეორე დღესვე გამოვესაუბრე როგორც მოხუც მოშიარეს, ისე ენისა და ლიტერატურის საკვლევი ინსტიტუტის ზემოხსენებულ მეცნიერ მუშაკ მანსურ აფხალოვს. ამ საუბარმა გამოარკვია შემდეგი:

ხალხური მგოსანი ფაზილ იულდაშევი სამოცდაექვსი წლისაა, წერა-კითხვის უცოდინარი. სცხოვრობს სოფ. კირ-ყიშლაყში, ბულუნგურის რაიონში, სამარყანდიდან 25 — 30 კილომეტრის მანძილზე. მან ზე-

პირად იცის ოცდაექვსი სხვადასხვა პოემა-ზღაპარი, მათ შორის უზბეკისტანში სახელგანთქმული ეპოსი ალპამიში, გოროდლო, მთიყვარულ-ფალავანი, როსტომიანი, ყარამანიანი და სხვ. ვეფხის-ტყაოსნის ზღაპარი მას პირველად გაუგონია 35 — 40 წლის წინათ მსხვილბრუნოვანი მუნამედისაგან, რომელიც ცოცხალია ამჟამად და სცხოვრობს სოფ. კარა-გუსაკში. იულდაშევი ამბობს, რომ ეს ზღაპარი მან მოისმინა ამბად, ლექსად კი თვითონ შეაწყო. იგი კარგა ხანს ამღერებდა მას გლეხებში, მაგრამ შემდეგ როგორც როსტომიანის, ისე ამ ზღაპრის მოყოლა აუკრძალა მოლამ, რომელმაც უთხრა: „ეს ამბები მაჰმადზე აღრინდელი ამბებია, უმჯობესია ისეთი ლექსები იმღერო ხალხში, რომელიც ისლამს ვანადიდებენო“. ახლა იგი ისევ იგონებს „ვეფხის ტყაოსნის“ ზღაპარს, მაგრამ დაწერილებით ვერ მოუგონია. მის მიერ მოყოლილი ეს პოემა-ზღაპარი მიმდინარე წლის იანვრის დამლევს ჩასწერა ენისა და ლიტურატურის საკვლევი ინსტიტუტის საფოლკლორო განყოფილების გამგემ მანსურ აფხალოვმა. ჩანაწერი წარმოადგენს ტექსტს, რომელიც შეიცავს რემინგტონზე გადაბეჭდილ 92 გვერდს. ტექსტში ერთმანეთს ენაცვლება პროზა და ლექსი. პროზა მასში დაახლოვებით ერთ მეოთხედს შეადგენს. ლექსი ორგვარია — თერთმეტმარცვლოვანი და რვა მარცვლოვანი. ეს უკანასკნელი ზომა გამოყენებულია უმთავრესად ბრძოლის ასაწერად. ლექსი რითმიანია. სტრიქონები თანმიმდევრადია გართიმული — ორი, სამი ან მეტი სტრიქონი ერთად.

ფაზილ იულდაშევის პოემა-ზღაპარი, რომელიც ჩვენ ვთარგმნეთ ქართულად მისი ჩამწერის, მანსურ აფხალოვის დახმარებით, შეიცავს რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის“ ძირითად ქარგას მრავალი ეპიზოდის გამოკლებით, მასში გვხვდება ქვეყნებისა და გმირების თითქმის იგივე სახელები, მაგრამ არის ზოგიერთი ქალაქისა და მთების უცნობი სახელწოდებაც.

ვიდრე ამ ფრიად საინტერესო ხალხური ვეფხის-ტყაოსნის ნიმუშს ვავეცნობოდეთ, უნდა შეეჩერდეთ ერთ ცნობილ უზბეკურ ზღაპარზე, რომლის კანალიზი და ვეფხის-ტყაოსანთან შედარება შეადგენდა დოცენტ შარაფუტდონოვის მიერ სესიაზე წაკითხული მოხსენების მთავარ საგანს, ამ ზღაპარს ეწოდება სახელად „ბატირ-არსლანი“. იგიც ვეფხის-ტყაოსნის ძირითად ამბავზეა აგებული, მხოლოდ სხვაგვარია მისი მოთხრობის კონსტრუქცია, სხვები არიან გმირები და სულ სხვა ქვეყნებია აღებული სამოქმედო ასპარეზზედ. აი ამ ზღაპრის მოკლე შინაარსი:

ბატირ-არსლანი

(მოკლე შინაარსი)

ეგვიპტეში ცხოვრობდა ერთი მეფე. იგი ფრიად მდიდარი იყო. ოთხმოცდაათი წელი ისე შეუსრულდა, რომ შვილები არა ჰყვანდა. ამის გამო დიდი დოვლათი და ქონება მეფეს ნამდვილ ბედნიერებას არ ანიჭებ-

და. მას ჰყავდა ერთი ვეზირი, ბრძენი, როგორც პლატონი, მაგრამ ვეზირიც უშვილო იყო. ვარსკვლავთმრიცხველებმა ურჩიეს მეფეს /ფრანკის (ფრანგების) მეფის ასულის შერთვა, ხოლო ვეზირს ურჩიეს მეფის ასულისა. დაქორწინების შემდეგ მეფეს შეეძინა ქალიშვილი ქალ-ვაჟი. მეფემ და ვეზირმა დანიშნეს თავიანთი ბავშვები: მეფემ აღუთქვა ვეზირს, რომ თავის ქალს მის ვაჟს მიათხოვებდა, როდესაც ისინი სრულწლოვანი გახდებოდნენ.

ბავშვები ერთ წრეში იზრდებოდნენ. ისინი ყოველგვარ ნიქსა და სიკეთეს იჩენენ.

როდესაც ვეზირის ვაჟი ბახრამი თექვსმეტი წლის შესრულდა, იგი უკვე სამხედრო ხელოვნებას კარგად იცნობდა. ასპარეზზე გამოჩენილ მეომრებთან შეჯიბრების დროს, იგი ყოველთვის გამარჯვებული გამოდის და მალე სახელგანთქმული გმირი ხდება თავის მეფის კარზე.

ბახრამის მამა ადრე მოკვდა. ის ვერ მოესწრო შეილის ღვაწლმოსილებასა და მის მიერ ცოლის შერთვას. მეფემ გასტეხა პირობა და გადასწყვიტა, თავისი ქალი აფრიკის მეფის ძისათვის მიეთხოვებინა. ამ განზრახვით ის იწვევს აფრიკის მეფის ვაჟს თავის კარზე.

ბახრამი გაბრაზდა, შეუთანხმდა თავის დანიშნულს (მეფის ასული) და დას, შეიერთა ოთხმოცდაათი ერთგული მეომარი, და ყველანი ერთად ეგვიპტიდან გაიქცნენ.

რამდენიმე დღეს შეუსვენებლივ იმგზავრეს, ბოლოს მიაღწენ ერთ უდაბნოს და იქ ღრმად დაიძინეს.

გაქცევის ამბავი მოახსენეს მეფეს, რომელიც გააფთრდა და მოითხოვა გაქცეულთა აღმოჩენა. მაშინ ერთმა ჯადოსანმა აღუთქვა მეფეს, რომ იხმარს ყოველგვარ საშუალებას და აღმოაჩენს ბახრამს, მის მეომრებს და მეფის ასულს.

ჯადოსანმა მიაღწია უდაბნომდე, შევიდა მეფის ასულის კარავში და აყნოსებინა მას ისეთი წამალი, რომელმაც იგი ხანგრძლივ დააძინა, რის შემდეგაც ჯადოსანმა მოახერხა, მისი მიყვანა მეფის დარბაზში. მეფემ უბრძანა თავის ქალს, გააყოლოდა ცოლად აფრიკელ მეფისწულს, მაგრამ ქალმა გადაჭრით იუარა.

მეფემ ვერ აიტანა თავისი ქალის ამგვარი ქცევა და უბრძანა მოახლეებს — ჩაეკეტათ იგი სკივრში და მდინარეში ჩაეშვათ.

ამის შემდეგ გადასწყვიტეს, აფრიკელ მეფისწულს ბახრამის და მიათხოვონ, მაგრამ ისიც უარს აცხადებს: მაშინ მას საპრობილეში ათავსებენ.

ბახრამმა მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო მისი დანიშნულისა და დის გატაცება და მიხვდა, რომ ეს თვით მეფის მიერ მოწყობილი საქმე იყო.

დისა და სატრფოს უკან დაბრუნების მიზნით იგი გაილაშქრებს თავის ოთხმოცდაათი მეომრითურთ ეგვიპტის მეფის წინააღმდეგ. ბრძოლის ველზე ბახრამმა სასტიკად დაამარცხა მეფის ჯარი. ბევრი მათგანი გასწყდა. სრული გამარჯვება თითქმის ბახრამის მხარეზე იყო, მაგრამ ამ

დროს აცნობეს, რომ მისი სატრფო სკივრში მოათავსეს და მდინარეში ჩაუშვესო. ამ საშინელი ამბის გაგონე ბახრამმა მიანება ბრძოლას თავი და გაიქრა საყვარლის საძებნელად.

ეპიკონეზული

ეძიეს თვეობით, წლობით, მოიმოქმედეს მრავალმა მკვლევარმა დაკარგული მეფის ასული ვერსად აღმოაჩინეს. ბახრამს ბევრი მეომარი დაეღუპა მძიმე მოგზაურობის დროს. დანარჩენები გაანთავისუფლა და მარტომ განაგრძო საყვარლის ძებნა.

დიდი ხნის შემდეგ, როდესაც გადალახა მან მთები, მდინარეები და ველები, იგი ერთი ზღვის კიდეს მიაღწა. არ იცოდა, თუ როგორ გადასულიყო ზღვის მეორე მხარეს. მწარედ ჩაფიქრდა, ამ დროს შემოეყარა სავაჭრო ხომალდი ვაჭრებითურთ. ბახრამმა არ აგრძნობინა ვაჭრებს, თუ ის წარჩინებული პირია, გაეცნოთ როგორც მგზავრი და გაემგზავრა მათთან ერთად. ხომალდზე ბახრამი დაწვრილებით ტყობილობს ვაჭრების ნაამბობიდან, თუ რა მოხდა: როგორ ჩასვეს მისი საყვარელი სკივრში და როგორ ჩაუშვეს მდინარეში, როგორ სტანჯავენ საპყრობილეში და აძალებენ მის დას, ვაჰყვეს ცოლად აფრიკელ მეფისწულს. ვაჭრებმა დაუმატეს, რომ ბახრამის სატრფო ზელში ჩაუეარდა საბერძნეთის მეფისწულს, მაგრამ დევებმა, რომლებიც კავკასიის მთებში ცხოვრობენ, მოჰკლეს საბერძნეთის მეფისწული და გაიტაცეს მეფის ასული.

გზაზე ხომალდს უბედურება შეემთხვევა: წინ შეეყარა ვეშაპი, რომელმაც კინალამ გადააბრუნა იგი. მაშინ ბახრამმა ვაჟაკურად გაუგმირა ვეშაპს თვალები ისრით და შემდეგ ხმლით აჰკეპა. ვაჭრები ეხვეწებიან ბახრამს, დარჩეს ბოლომდის ხომალდზე და იყოს მათი მეგობარი, მაგრამ ის უარს აცხადებს და ერთ ნავთსადგურში შორდება მათ. რათა განაგრძოს დაკარგული საყვარლის ძებნა.

იგი დიდხანს დაეძებს დევებს, მაგრამ ვერ უპოვნია. ებრძვის მხეცებს, ურჩხულებს. გააძრო მან ტყავი ვეფხს და მოიხურა იგი. მაშინ ხალხმა უწოდა მას ბატირ-არსლანი (ვეფხ-გმირი).

ბატირ-არსლანი ცხოვრობს მთებსა და გამოქვაბულებში. ზოგჯერ ცხენზე მჯდარი ველებს მოივლის. მისი დანახვა აკრობს სავაჭრო ქარაენებს. მაგრამ ბახრამს არავისთან არაფერი ესაქმება.

ლაშქარი, რომელიც ხვარაზმიდან საფრანგეთს მიემგზავრება, გზაზე შეეკრება ვეფხის ტყავით შემოსილ გმირს. ხვარაზმმა უბრძანებს თავის მეგობრებს — მიჰყვარონ მას გმირი ცოცხლად, მაგრამ ბატირ-არსლანი შეებრძოლება მეომრებს და თავს დააღწევს ხვარაზმელებს.

უშიშარი გმირის ამბავი ყველგან გავრცელდება. ეს ამბავი მიიღწევა ირანის მეფისწულის ყურამდე. ირანელი მეფისწულიც სახელგანთქმული გმირია. იგი დაითანხმებს მამას, რათა მონახოს და ცოცხალი მიიყვანოს გმირი. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ის წააწყდება გმირის კვალს. კვალი უჩვენებს, რომ იგი ცხოვრობს მხეცების თავშესაფარ გამოქვაბულში. ირანელ მეფისწულს თავს დაესხმის ურჩხული აჯარი. იგი შეებრძოლება და მოჰკლავს აჯარს.

ამ ბრძოლას შორიდან თვალს ადევნებს ბატირ-არსლანი. მას აღტაცებაში მოიყვანს უცნობი გმირის ვაჟკაცობა და მოისურვებს მასთან დამეგობრებას. ისინი დამეგობრდებიან.

ბატირ-არსლანი და ირანელი მეფისწული მოუთხრობენ ერთმანეთს თავიანთ ამბავს.

მეფისწული სთხოვს ბატირ-არსლანს წავიდეს მასთან ერთად ირანს. ბაზრაში არ თანხმდება. მაშინ მეფისწული შეჰპირდება მეფის ასულისა და დევების სამყოფელის მონახვას და გამოეთხოვება.

ირანელი მეფისწული ბრუნდება თავის სამშობლოში და უამბობს მამას თავის თავგადასავალს, თანაც ეუბნება, რომ საჭიროა დაეხმაუროს იგი მეგობარს დაკარგული დანიშნულის მოძებნაში. მეფე იწონებს და მხარს უჭერს მეფისწულის ნათქვამს.

მეფე ამ საქმეში დახმარების აღმოსაჩენად ასახელებს თავის დას დილჯან-ნარის. მეფისწული გაემართება დილჯან-ნართან. გზაში იგი მოხედება ქაჯების (ეშმაკების) წრეში. ქაჯებს უნდათ შერთონ მას ცოლად ძალღისთავიანი ქალწული და ამის შემდეგ თავიანთი ქვეყნის მეფედ გახადონ.

მეფისწული არწივის დახმარებით დააძვრენ თავს ქაჯებს ხელიდან და გაეშურება დილჯან-ნარისკენ. იგი უამბობს დილჯან-ნარს თავის მისვლის მიზეზს. დილჯან-ნარი ჰგზავნის მონას იმის გასაგებად, თუ სად იმყოფებიან მეფის ასული და დევები. მონა მიდის კავკასიის მთებში, პოულობს დევების რკინის ციხე-სიმაგრეს, ნახულობს იქ მეფის ასულს და უამბობს მას თავის მისვლის მიზეზს.

ქალმა რომ შეიტყო, ბაზრაში ცოცხალიაო, უგზავნის ბექედს და წერილს. მონა ამ ნივთებს დილჯან-ნარის მიუტანს, დილჯან-ნარი კი მეფისწულს გადასცემს, მოუთხრობს დაკარგული ქალის მდგომარეობას და მისცემს სულიერი სურმას. მეფისწული გაემგზავრება ბაზრამთან და აღლევს მას წერილს და ბექედს.

როდესაც ბაზრაში შეიტყობს, რომ მისი საყვარელი ცოცხალია, გამხნევდება და საჩქაროდ გაემართება მის გამოსახსნელად. მეფისწული სთხოვს მას ჯერ ირანს გამგზავრებას და იქიდან ჯარით დევების ციხეზე გალაშქრებას, მაგრამ იგი არ თანხმდება და ეტყვის:

„გმირის ლაშქარი მისი ძალაა. თვითონ კი სარდალია“.

ბაზრაში და მეფისწული გაემართებიან დევების ციხისაკენ. მაგრამ ვერაფერს ხედავენ. მაშინ ისინი წაისმენ თვალეზზე სულიერი-სურმას, რის შემდეგაც შეამჩნევენ დევთა ციხეს. ციხის კარს ათასი მეომარი იცავს.

გმირები ითათბირებენ, შემდეგ ესვრიან ისრებს თვალეზში დევებს და ადვილად დაამარცხებენ დაბრმავებულებს. შევლენ რკინის ციხეში. იქ ისინი ეომებიან დევების მეფეს და მის ძმას და დაამარცხებენ მათ. ნახავენ მეფისასულს და გაანთავისუფლებენ.

გმირები წაიყვანენ ქალს. გზაში შეიტყობენ, რომ ეგვიპტე აფრიკელებს დაუპყვრიათ, ეგვიპტის მეფე მოუკლავთ და აფრიკის მეფისწული გამეფებულა მის მაგიერ. მთელი ეგვიპტე განაჩენილია.

ბაზრამი და ირანელი მეფისწული წაიყვანენ ლაშქარს ირანიდან, მივლენ ეგვიპტეში და დაამარცხებენ აფრიკელებს. ბაზრამის დას საპყრობილედან გაანთავისუფლებენ. ბაზრამი დაიჭერს ეგვიპტის ტახტს. მთელი ქვეყანა იხდის არაჩვეულებრივ ჭორწილს. ბაზრამი თავის დას ირანელ მეფისწულს მიათხოვებს ცოლად და გაისტუმრებს ირანს.

ბაზრამი და მისი საყვარელი ცოლი მთელი ხალხის საკეთილდღეოდ მეფობენ და ბედნიერად დაასრულებენ თავიანთ სიცოცხლეს.

ფაჩილ იულაშვილისაული ვაკინატი.

არაბეთის მეფეს ჰყავდა ერთად-ერთი შვილი — ასული თინათინი. მეფის სამსახურში იყო სარდალი ავთანდილი. მას და თინათინს ერთმანეთი უყვარდათ. ერთხელ თინათინი და ავთანდილი თავიანთი მეგობრებითურთ სანადიროდ წავიდნენ. იქ თინათინმა წყაროსთან რალაც დაინახა და უთხრა ავთანდილს:

„ვილაც სდგას იქ, თითქოს ჭაბუკი, თითქოს გმირი. წადი, გაიგე რომელი ქვეყნიდან არის იგი, რომელი მეფის შვილია, ან რაზე ფიქრობს და მომახსენე.“

ავთანდილი შეჯდა ცხენზე და წავიდა წყაროსკენ. მივიდა იმ ადგილას და ნახა: სდგას როგორც შავარდენი, კაცი, რომელსაც ვეფხის ტყავი აცვია და თავიც ვეფხის ტყავით დაუბურავს. ავთანდილი მიუახლოვდა. არ იცოდა, ვინ იყო. იხილა ის შავარდენი, რომელსაც თავის თავზე მცირედ არ სთელიდა, და გაიფიქრა: ეს კაცი რომ ჩვენი იყოს, უთუოდ მაღალი თანამდებობა ექნებოდა მეფის კარზე და მე, რა თქმა უნდა, მეცნობებოდა იგი. მოდი, ეკითხავ, გავიგებ მის ამბავს და წაიყვან თან:

„გიცქერი მე შენ, როგორც შავარდენს. რომელი ქვეყნიდან ხარ, რომელი ხალხის შვილი, რომელი მეფის წული? მალიკამ (მეფის ასულმა, დედოფალმა) მიბრძანა შენი მიყვანა მის წინაშე და მე უნდა შეევასრულო ეს ბრძანება. იგი არაბეთშია, მისი მამა მოხუცდა და თავისი ტახტი მას გადასცა. ის ახლა გვირგვინოსანია. მე პირველ ფალანგად ვითვლები მალიკას კარზე და უნდა მასთან მივიყვანო“.

ტარიელი ზეზე წამოდგა, შეხედა ფალანგს, შეჯდა ცხენზე და წავიდა სწრაფად სხვა მიმართულებით. ავთანდილი უკან დაედევნა, თან მისძახოდა: „დაბრუნდი!“ მაგრამ იგი არ უსმენდა, ავარდა მტკერი ვაზზე და ცხენოსანი გაჰქრა.

ავთანდილი დაბრუნდა მალიკასთან. იგი ეკითხება: „შეასრულე თუ არა, ჩემი ბრძანება?“

მან მიუგო:

„ის ან ჯინია (ეშმაკი) ან ჯადოქარი. რამდენიმე სიტყვით შევეკითხე, მაგრამ არაფერი არ მიპასუხა, შეჯდა ცხენზე და წავიდა. ჯერ მე ეს ხუმრობა მეგონა, მერე მივხვდი, რომ ჯადოქარმა ყველაზე უკან გამოუდევ, ვერ დავეწიე, გაქრა. დაებრუნდი შენს წინაშე; მადგინე სიბრძნელები მწევას“.

მალიკამ მოუსმინა და შემდეგ უთხრა: „შენ ვერ მემსახურე, როგორც საჭირო იყო, საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციე, შენ ცნობილი ფალავანი ხარ ჩემს კარზე და ტყუილად ლებულობ ჩემგან საჩუქრებს“.

მალიკას ყოველი სიტყვა ასი ჯოხივით სცემდა მას. იფიქრა და უპასუხა:

„შენმა სიტყვებმა დამდაგეს. თუ მეორედ მომცემ ვადას, მოვივლი მთელს ქვეყანას; ვიდრე არ მოვნახავ, ჩემი სული არ დამშვიდდება. თუ შენ დაღონებული იქნები, ჩემი სხეული ცეცხლში დაიწვის, თუ კი საქმე ისე მოგვარდება, როგორც შენი სურვილია, მაშინ ბაღში ყვავილები გაიშლებიან“.

მალიკა დასთანხმდება მეორედ ვადის მიცემაზე.

აუთანდილმა მოამზადა ყველაფერი, რაც საჭირო იყო, და გაემგზავრა. მიდის და ფიქრობს: „ქვეყანა დიდია, ვივლი ყველგან, დაეძებნი და მოვნახავ მას. ბედნიერ კაცს ხელად შეეყრება გზაზე საცოლე. მე არაფრისა არ მეშინიან, ვაეკაცობა არ მაკლია, არაბეთში ჩემი მომრევი კაცი არ არის“.

გზაზე თავისთვის მიიმლერის:

„ჩემი მეგობარი ჩემი ცხენია, მე მალიკას ვემსახურები, ძალღონე საკმარისი მაქვს, თუ მტერს შევეყრები, თავს წავაგლი, ცრემლებს ვაღვრევიანებ, ციხე-სიმაგრეებს დავუქციე. ტანი ისეთი მაქვს, როგორც როსტომს. მთებსა და ტრამალებს გავივლი. თუ მოვნახე ის, ვისაც დავძებ, ჩემს საყვარელს გავახარებ, დაებრუნდები არაბეთს და ისევ შევეყრები მალიკას, ისევ მეგობრებთან ვიბასებ“.

ასე მიაჭენებდა ის ცხენს. გადაიარა რამდენიმე მთა. რამდენიმე მგზავრს შეეკითხა. არც კითხვა, არც პასუხი სწორი არ იყო. მიდის იგი მარტო ველად, ცხენი ხან აღმა აევა, ხან ძირს დაეშვება. არ იღლება ფალავანი, გულთთ მიიწევს წინ, დარწმუნებული იმაში, რომ მიაგნებს, ვისაც ეძებს. ათვალიერებს ყველა ქალაქს, ადგილს და ხალხს. ხედავენ მას და არაეინ აკავენ. ასე ეძებდა რიგი შავარდენს ყველა ქვეყანაში და ვერსად მოვნახა. სამ წელიწადს იმოგზაურა, სძებნა. შემდეგ ერთ გამოქვამულს მიაღდა და იქ აღმოაჩინა კვალი. სამ წელიწადს ეძია და ბოლოს მიაგნო კვალს, რომელიც წინათ ჰქონდა ნახული. შეიტყო, რომ ეს გამოქვამული საცხოვრებელი ბინაა. „შეიძლება აქ მოვნახო“, გაიფიქრა და შევიდა გამოქვამულში. ჯერ კიდევ არ ეპოვნა, მაგრამ ისეთი გრძნობა კი ჰქონდა, თითქოს იპოვა.

ავთანდილი ჩამოხტა ცხენიდან და სადავე დაუჭირა. მისმა თვალებმა ერთი ადამიანი შენიშნეს, რომლის ტანი და სახე არა ჰგავდა წყაროსთან ნახულს. როდესაც მიუხალოვდა, დარწმუნდა, რომ იგი შემაკაცი კი არა, დედაკაცი იყო. ქალმა უთხრა:

„სადავეთ შენ არაბული მერანი (ტულპარი) გიჭირავს. ამ ნაღვლიან გამოქვამულში რად მოსულხარ? დაე ჩემი უძლური სული შენი მსხვერპლი იყვეს. ეს გამოქვამული ტანჯულთა თავშესაფარია. მჩატე კეთის ქალს ნუ შეიყვარებ, დიდხანს იცოცხლე, ნუ იმწუხარებ. ეს კუთხე ტანჯული ადამიანისათვისაა, ნუ შემოხვალ ამ ნაღვლით სავსე ადგილს, ნუ შეჩერდები, უკანვე გაბრუნდი. რატომ მოსულხარ აქ, რა საქმისათვის? შენს ქვეყანაში მხიარულს შეგეძლო გველო. ნაღვლიანი ადამიანი ბინადრობს ამ გამოქვამულში.“

მოისმინა ავთანდილმა ეს სიტყვები, გააკვირდა, გაიფიქრა: „მოდო ამ ქალს შევეკითხები“, და დაიწყო ლაპარაკი:

„თუ ომია, საუკეთესონი იხოცებიან. შენ გელაპარაკება ფალავანი. მისმინე: ვეფხის ტყავით თავშებურვილს დავეძებ და აქ მოვედი, მთელი ქვეყანა შემოვიარე, ბევრი მტერი დავხოცე. მიპასუხე კითხვაზე. შენ არ იცი შე ვინა ვარ, ხელიდან ძლიერი ფრინველი გამიფრინდა, ბევრს ამოდ ნუ ელაპარაკები არაბეთის დედოფლის ყმას. კვალი შევნიშნე და ამ გამოქვამულს მოვადექ. თუ იცი რამე ამის შესახებ, მიაშბე. რამდენი წელიწადი, რამდენი თვე ვეძიე, ვერსად მივავენი, ბევრი ვიტანჯე, ვიშრომე და ახალ კვალს წავაწყდი. ჩემი მიზანი ხომ გაიგე, მიაშბე ახლა შენ, რაც იცი, მომიახლოდი“.

ეს რომ გაიგონა, ქალი მიუხალოვდა. როდესაც დარწმუნდა, რომ ის ტარიელს დაეძებს, უთხრა:

„თუ მარულაა, ცხენები სწრაფად მიჰქრიან, თუ დიდხანს მიჰქნობენ, იქნებიან. გასწრებულ ცხენს ხავერდის ასალს გადააფარებენ. ნუ ნაღვლობ, ის, ვისაც შენ დაეძებ, მოინახება, შენ იხილავ მას და მიიღწევ მიზანს. გამოელაპარაკები და გაეცნობით ერთმანეთს. მე კი, საწყალი მარტოხელა ქალი, მისი მოახლე ვარ. რამდენმა ხანმა გაიარა მას აქეთ, რაც ის ამ გამოქვამულში დასახლდა და ვეფხის ტყავით შეიბურა თავი! მას ერთი ქალი უყვარს; სახელი ამ კაცისა ტარიელია. იგიც ფალავანია, როგორც შენ. ვისაც შენ დაეძებ, აქ იმყოფება“.

ეს რომ გაიგონა, ავთანდილი დამშვიდდა და გაიფიქრა: „მე მივალწიე ჩემს მიზანს, მოვნახე, ვისაც ვეძებდი“. შემდეგ მიუბრუნდა მოახლეს: „სად იმყოფება იგი? მომგვარე აქ“. მოახლე ავიდა გამოქვამულის ზედა განყოფილებაში, სადაც ტარიელი იწვა. ის ადგა და მიუხალოვდა ავთანდილს. მათ იხილეს ერთმანეთი. ავთანდილმა უთხრა:

„მეც შეყვარებული ვარ. სანადიროდ ვიყავით, შევესრულე არაბეთის მალიკას ბრძანება. მან დაგინახა წყაროსთან. მე ყოველთვის მზად ვარ შევესრულო მისი ბრძანება. წყაროსთან შენ შეგეყარე, კითხვა მოგეცი, მაგრამ დამეკარგე. მალიკასთან მიებრუნდი, მან მკითხა: „სად არის

ფიქრი? როდესაც შეიტყო, რომ დამეკარგე, დანადვლიანდა და სწრაზლა დამავალა შენი მონახვა, თუნდაც ამისათვის მთელი ქვეყნის შემოვლა დამჭირებოდა. დღეს მე ვნახე, რომ ეს გამოქვამული ყოფილა შენი ბინა. რატომ გამეჭეტ? მაინც შენი ამბავი, რაზე ფიქრობდა, რომ შენე საიდუმლო“.

ეს რომ გაიგონა ტარიელმა შემდეგი უამბო ავთანდილს:

„ძერა კლდეზე ზის. ბევრი გამოესცადე ამ ქვეყნად. ჩემი ვარამის შესახებ ნურას მკითხავ. თუ შემეკითხები, იგი იმატებს. მეც ერთი ფალანჯანთაგანი ვარ. მე ბევრი მემსახურებოდა. ჩემს წინაშე სხვა ფალანჯანები არაფერი იყვნენ. მაგრამ შემემთხვა ისეთი მწუხარება, რომელსაც თავი და ბოლო არ უჩანს, მე თავს დამატყდა შეეყარებულის უბედურება. არ არსებობს წამალი ამ სენით დაავადებულისთვის. ამ ქვამში მე ვცხოვრობ, როგორც მიჯნური. ბედმა სიყვარულის ნაღველი მომისაჯა და ამ ამბის მოყოლა არაფერს მიშველის. მე ჩემს მიზანს ვერ მივალწევ. წინათ ყველაფრით კმაყოფილი ვიყავი. რაც მე ვიცოდი, ის სხვებმა არ იცოდნენ. როდესაც ვიგონებ ყოველივეს, ცრემლებსა ვღვრი. ერთი მოახლე ქალია მხოლოდ ჩემი მეგობარი. სხვასთან არავისთან ურთიერთობა არა მაქვს“.

ეს რომ გაიგონა, ავთანდილმა უთხრა:

„ამ ქვეყნად კაცმა ამაოდ არ უნდა ინადვლოს, ეს არავითარ სარგებლობას არ მოიტანს. მეც ისე ვარ, როგორც შენ. მიაბზე შენი საიდუმლო, ჩამთვალე გმირად. როგორც შენს თავსა სთვლი, შენზე ნაკლებად არ მიგულო. რა მიზეზით შეგემთხვა მწუხარება? ყოველ გმირს გამოუცდია ტანჯვა. ადამიანი ხან მზიარულია, ხანაც ნადვლიანი“.

ასეთმა რჩევამ ტარიელს თითქოს ძალა შეჰმატა. იგი გამზიარულდა და სთქვა:

„მეც სპასალარი ვიყავი ინდოეთის მეფის კარზე, ვიყავი ფალანჯანთა სარდალი. ჩემის გმირობით ბევრი ქვეყანა დავიპყარ და გავაფართოვე ინდოეთის საზღვრები. მაგრამ მე შევიყვარე ინდოეთის მეფის ასული. მასაც ვუყვარდი, იგი თავის ახლობელ ადამიანად მთვლიდა. მაგრამ ინდოეთის მეფეს ჩემზე არც უფიქრნია. მას უნდოდა თავისი ქალი ხვარაზმას შვილისათვის მიეცა ცოლად. ეს უბედურება შემემთხვა და ახლა გაამბობ, თუ რა გადამხდა თავს.“

დავმალე სიყვარულის ცეცხლი, გულში მოქცეული. დავუძლურდი, ვტიროდი ღამ-ღამობით. ვიგონებდი ნესტანს. როდესაც ვხედავდი მას, სულით ვისვენებდი. ახლა ნესტანის მოგონება ძალღონეს მისპობს. ერთ ბაღში იყო ის — ჩემთან მოსაუბრე ბუღბუღი. მისი სიყვარულით დავუძლურდი, ვტიროდი, თავში ხელს ვიცემდი. მე გაგიმფლავნე ჩემი ნადველი. ჩემი საყვარელი ტყვედ წაიყვანეს. ჩამოვშორდი ლაშქარს, მოვკალ ხვარაზმას ვაეი. დაქენა წითელი ვარდის კოკობი, სიყვარულის

ცეცხლმა შთანთქა ჩემი გონება. ეს მოიმოქმედეს ხვარაზმამ და ინდოეთის მეფემ.

მათ იფიქრეს, რომ ამ საქმეში ნესტან-დარეჯანიც უნდა მხარტული. მეფე განრიხდა. თუ როგორ მოქტეოდნენ ნესტან-დარეჯანს, ამის გადაწყვეტა მან მიანდო დევების დედოფალს დავარს. დევებმა წაიყვანეს ტყვედ ნესტან-დარეჯანი და გაგზავნეს თავიანთ ციხეში. აი ასეთი ამბები გადამხდა თავს, აწი რა მოვიმოქმედო, არ ვიცი.

რამდენი დღე ვიგლოვე იქ, ინდოეთში, შეყვარებულ სულს ცეცხლში ვდაგავდი! არ ვიცოდი, სად წავსულიყავ. შემდეგ შემოვიკრიბე ჩემი მახლობელი ქვეშევრდომები და გადავსწავიტე მისი ძებნა. ვეძებე იგი ყველგან, ყველა ქვეყნებში. ვინც კი შემეყრებოდა, ვეკითხებოდი მის შესახებ. მრავალი მთა და უდაბნო მოვიარე. არსად არავითარი ცნობა არ იყო. მდინარეები, ზღვები, უდაბური ტყეები და შამშიც კი არ დავტოვე დაუძებნელი. მაშ ასე, ჩვენ დავდიოდით ყველა უწყლო უდაბნოში. რამდენ ხანს ვიარეთ ამაოდ ჩვენ ამ ქვეყნად! რაც საქმელი გვექონდა, სულ გაგვითავდა. სხვადასხვა მხეცებს ვხვდებოდით, შიმშილისაგან ჩემი ჯარი დასუსტდა. ურიცხვი მხეცები შემოგვესივნენ გარშემო. რამდენ დღეს ვეოპეთ მათ შიმშილის ძალა გვახრჩობდა. რა უნდა მოაგვაროს მშვიერმა კაცმა, ქვეყანაზე? თუ იგი საზრდოს ვერ მონახავს, მოკვდება. ბევრი მწუხარება გადამხდა თავს. ადამიანები, რომლებიც ჩემთან იყვნენ, წავიდნენ ამ ქვეყნიდან. ისინი მძვინვარე მხეცების მსხვერპლი შეიქნენ, რამაც კიდევ უფრო გაადიდა ჩემი ვარაში. ბოლოს ასმათი (ასმა) გახდა ჩემი მეგობარი და მემსახურება.

ამგვარად, ჩვენ ორნი დავრჩით. სად არ ვეძიეთ იგი! ახლა ჩვენ თითქოს გასული ვართ ამ ქვეყნიდან და რისთვის და გვინდა სიცოცხლე! ადღეკით, მოსცილდით იმ ადგილს, სადაც ჯარი დამეღუპა, და მიუახლოვდით ერთ მთას. მთის ძირას კვამლი დაეინახეთ. რა კვამლია ეს კვამლი? თურმე ეს გამოქვამული ყოფილა, რომელშიც დევები ცხოვრობენ. დევთა ხალხი ბინძური ხალხია: მათი საცხოვრებელი ადგილი და გარემო არასოდეს სუფთა არ არის. ყველა ოთხი მიმართულებით შორს მოსჩანდა, რომ გარშემო ქალაქები მდებარეობდნენ. ირგვლივ სიბინძურე სუფევდა, მაგრამ გამოქვამული კი სუფთა იყო და მის ახლოს წყარო დიოდა. თუ ძლიერი კაცი მოიძებნებოდა, ამ დევებს აქ არ მოუშვებდა. აქ იყვნენ ძველთა-ძველი დევები და არავინ ახლოს არ ეკარებოდა მათ. ისინი ჩვენ ვერ შეგვაჩინებენ, მოდი ერთი შევებრძოლები. თუ უომრად დასთმობენ, ამ ადგილს, მე დავიქერ. გამოქვამულს მივეუახლოვდი. დევები მშვიდად იყვნენ, რადგან იცოდნენ, რომ ყველა, ვინც აქ მოვა, მათი მსხვერპლია: ადამიანს ფეხები ეწვოდა, ფრინველს ფრთები. მათ არავის შიში არა ჰქონდათ, ძლიერად არავინ მიჩანდათ, მტრებს ცოცხალს არ დასტოვებდნენ. დევები შეიშმუშნენ. მე მოვიკრიბე მკლავებში ძალღონე, შევეუბღვირე დევებს და ვუთხარი:

„მარჯენით და მარცხნით ნისლია, მე ვდგევარ აქ! თქვენ წინაშეა გმირი, წამოდგეთ ზეზე, დევებო! თქვენ ცოცხლები ვერ გადაჩნებით ასლა!“ ბევრი დევი გაფრინდა, ბევრი ცხენზე შეჯდებოდა, ჩვენთან გმირი მოიყვანა, ადამის მოდგმა მოვიდა ჩვენთან: ყურ ცხენთანმა მწვადად გვაქცია, რა პასუხი უნდა გავსცეთ მას! კაცისაგან თავბრუ დაგვესხა, ეს ცნობილი ფალაგანია. იგი ველად დადიოდა და შეგვემჩნია, ჩვენ მას ცოცხალს არ გავუშვებთ!“ — გაიძახოდნენ ისინი. რამდენი დევი შეიჭურვა საომრად, რამდენი ფრთიანი დევი შხულით აფრინდა ცაში და გუნდ-გუნდად მოაწყდა მას, რომ ჩაეელოთ მისთვის ჩანგლისებური ხელები. დაბლა ეშვებოდა ერთი დევის ხელები. შეხედეთ ცხენზე მჯდომ გმირს: წაავლო მან ამ ხელებს ხელი, შემოიქნია დევი თავზე და შესტყორცნა იგი ცას. დევებმა იხილეს მისი დიდი ძალა, შეშინდნენ და სთქვეს: „ადამიანის მოდგმა ძლიერია, თუ მის ხელში დევი მოხვდება, ცოცხალი ვერ გადაურჩება. ამიტომ ჩვენ თავი უნდა გადავირჩინოთ“. ამ დროს გმირი ეკვეთა დევებს და გამხიარულდა. მოახლოებულნი დევები მან ასჩეხა, ხოლო გამოქცეულში მყოფთ იწყეს გაქცევა. მან მიაძახა თავბრუდასხმულებს: „რაც უნდა შორს გამექცეთ, თქვენ იქაც შეიტყობთ ჩემს გმირობას, თუ უკან დაბრუნდებით, სულერთია, გაგწყვიტავთ!“ დევებმა ეს გაიგონეს და მიატოვეს გამოქცეული, რომელიც დამარჩა მე. ჩამოვხტი ცხენიდან და შევედი შიგ.

მაშინ ასე, ამდენი საქმე ჩავიდინე. ზოგჯერ მთებში ვნადირობდი. ერთხელ ვეფხი მოვკალი და მისი ტყავი ტანთ ჩავიცვი.

გულში იმდენი ტკივილი მაქვს! მე ჩავიცვი ვეფხის ტყავი და ქულათაც დავიხურე თავზე.

ამგვარად, ყველაფერი, რაც შემთხება, უამბო ავთანდილს, როდესაც ავთანდილმა მოისმინა მისი ნაამბობი, განიმსჯელა მისდამი სიყვარულით და მანაც უამბო თავის შესახებ: „შენ ინდოეთის სამეფოში იყავი, მე კი არაბეთის მეფის ასულის სიყვარულით რამდენი გმირობა მაქვს ჩადენილი!

როდესაც ჯანსაღად ხარ, ეს სიმდიდრეა და მცირედად ნუ ჩასთვლი ამას. მე შენი მეგობარი ვიქნები, ნუ იწუხებ. მტერს ისე მოვკვეთავ თავს, როგორც ნამჯას. როგორც შენ, ისე მეც მოვქმენი. მოდი, გადავეხვიოთ ერთმანეთს, გავხდეთ მეგობრები. თავს დავდებ შენს სამსახურად. ნუ გაგაკვირვებს ეს: თუ შენს თავს გმირად სთვლი, მეც გმირად ჩამთვალე. მეც შენთან ერთად მოვქმენი. თუ ის მიწაზე იმყოფება, ჩვენ მოვანახავთ თუ მტერსა ჰყავს, გავანადგურებთ, თუ დევის ტყვეობაშია, დავაქცევთ მის ციხე-ქალაქს. მაშ ასე, მე და შენ აღმოვაჩინოთ მას! ცხენები მიჰპრიან ომში, მამაკაცები გმირებად იქცევიან. ჩვენ მივალწევთ ჩვენს მიზანს! რამდენი სიტყვა სთქვა მან გულით! უსმენდა ტარიელი და გამხიარულდა. როგორც უწინ, ძალღონე იყრიდა მის ტანში თავს. ორივენი წამოდგნენ ზეზე, დასდვეს ფიცი და გახდნენ მეგობრები. კაცს რომ მეგობარს უწოდებ, ყური უგდებ, რას გეტყვის მეგობარი.

მტერი ფეხს ვერ მოიკიდებს გმირის მახლობლად. ახლა მე წავალ მალიკასთან, რომ იმან არ იწუხოს, რომ გზაზე ცქერით გული არ მოიკლას. სხვა რამე ჩემზე არ იფიქრო.

როგორ შენ ფიქრობ შენს მიჯნურზე, ისე მე მალიკამ შიშობანა შენი მონახვა. ახლა მე უნდა მოვახსენო ამის შესახებ. შემდეგ ერთად წავიდეთ საქმენელად. მოვნახოთ მთა კუიბულური, იქ რამდენიმე დევთა ქალაქია. ვძებნოთ მთელს ქვეყანაზე და ბოლოს მივიგვნებთ“.

ავთანდილის ამ სიტყვებს უსმენდა იგი, სთვლიდა მას ისეთად, როგორც თავად იყო. და ხარობდა. „რის შესრულებასაც დაგბიოდი, შევასრულებ, გმირები არა სცრობენ და ერთიმეორეს არ ატყუებენ“. მათ დაუჯერეს ერთმანეთს. ავთანდილმა გამოიყვანა თავისი ცხენი და მზიარული გაემართა არაბეთის მალიკასთან. დიდხანს მიდიოდა იგი და ბოლოს ერთ საღამოს მივიდა არაბეთს. ყველამ იხილა ფალავანი. იგი გადმოხტა ცხენიდან და შევიდა მალიკასთან. მალიკა შეეკითხა: „რა მოხდა, სად არის ის, რომელიც თან უნდა მოგეყვანა? რამდენი ხანი მოგზაურობდი, დადიოდი ქვეყნის პირზე და ახლა უკან დაბრუნდი!“

მაშინ ავთანდილმა უამბო თინათინს. ყველაფერი, რაც ნახა: „ის ერთი ფალავანია, ვნახე გამოქვაბულში; ბავშვობისას მას ზრდიდა თურმე ინდოეთის მეფე. როდესაც ჭაბუკი შეიქმნა, მეფემ მისცა მას მისი მამის თანამდებობა — სპასალარობა. მე ვნახე ფალავანი, რომელიც ჩემზე ნაკლები არ არის, სულით და გულით შევიყვარე იგი. მის მიერ დაკარგული სატრფო უნდა ვეძებო. მოვედი თქვენთან, რომ ყოველივე ეს შეამბნა. მეგობრის წინაშე დაპირება ასეთია: ჩვენ ორივემ უნდა ვძებნოთ იგი. თუ მოვნახეთ, უკან დაებრუნდებით. ჩვენ მოვნახავთ მტრის კვალს. გმირი რასაც იტყვის, შეასრულებს. მე დაეპირდი, რომ ისევ დაებრუნდები მასთან ის არაფრით ჩემზე ნაკლები არ არის, მე მიყვარს იგი. მეც მივიღო-მოვიღო მასთან ერთად და რასაც ვნახე, ვამბობ. ამიტომ დაებრუნდი, ჩემო ლამაზო, შენთან. მე თუ შებაღე ვარ, ბალში ვარდს მოეწვევებ. ვიმოგზაურებ ყველა ქვეყანაში. თუ მთელი სამყარო ვნახე, ლხენას ვიგრძნობ. გაუწევ საშახურს მეგობარს, და როგორც კი მოვნახამ დაკარგულს, უკანვე დაებრუნდები; ორივემ თუ ვძებნეთ. მიზანს მივალწევთ“.

ეს რომ არაბეთის მეფის ასულმა გაიგონა, იწყინა მისი უკანვე დაბრუნების განზრახვა და უთხრა:

„ყველამ თავის საყვარელზე იზრუნოს და იტანჯოს მის გამო. რატომ უნდა ემსახურო უცხოს, რა სარგებლობას ელი აქედან? თუ მას უყვარს, დაე იშრომოს და მონახოს თავისი მიჯნური. რისთვის უნდა მოჰკიდო ხელი ასეთ მძიმე საქმეს? როდესაც შენ გვემსახურები, ხალხი კეთილდღეობაში იმყოფება, როდესაც მშორდები, ვკარგავ მოთმინებას. თუმცა მეფე ვარ ამ ქვეყანაში, მაგრამ ჩემი ძალა შენს ძლიერებაშია მოქცეული. გმირო, შენა ხარ ჩემი სიმდიდრე. დაანებე თავი ამ გზას. თუ იმ ქალის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს, არავინ იცის, ცოც-

ხალია იგი თუ მკედარი, მაშინ რატომ კისრულობ ამ საქმეს? თუ ვერ მონახავ, მწუხარება შეგიბყრობს; დაანებე თავი ამ გზას, ფალავანთა შორის გამოჩენილო ფალავანო, მრავალი დიდებულსა მხანდა შენი სამსახურისათვის. ამოდ ჩასკიდებიხარ შენ ამ საქმეს, დაბრუნდები უკან, როგორც დერვიში (ყალანდარი). ყური მიგდე. შენი წასვლა დიდად სამძიმო იქნება ჩემთვის“.

როდესაც მოისმინა მშვენიერი მალიკას ნათქვამი, აეთანდილმა მიუგო:

„ეგ თათბირი ჩემზე ვერ იმოქმედებს: რაკი დავიბრდი, უნდა შევესრულო, ვინაიდან ფალავნები არა სტყუიან. გმირი თავის სიტყვას არ გასტებს, როგორც ვეფხი თავის კვალს უკან აღარ დაუბრუნდება. ნუ იღარდებ, რომ ვერ მოვიქცევი ისე, როგორც შენ მიჩიევ. დავიბრდი დავეხმარო მას ნიშნად ჩემი შეგობრობისა. მე პირდაპირი გზით დავდივარ, არ ვეკუთვნი ისეთი ადამიანების რიცხვს, რომლებიც სტყუიან, ამბობენ ერთს, ხოლო მეორეს კი აკეთებენ“..

მაშინ მალიკამ უპასუხა:

„მე ვიცი, რომ შენ ქამარი მაგრა შემოგზიხვევია წელზე. სიყვარული და შეგობრობა ძალიან აახლოებენ ადამიანს ადამიანთან. მე განზრახ გიშლიდი წასვლას, რომ შემემოწმებინა შენი ერთგულება შეგობრობისადმი. თუ აგრეა, მაშ დაუყოვნებლივ გაემგზავრე, ნუ იგვიანებ“.

იმ ღამეს მათ ერთად ისაუბრეს, მეორე დღეს კი დილით ადრე აეთანდილი გამოეთხოვა ყველას, შეეჯდა თავის ცხენზე და გაემგზავრა.

მიაჭენებს ცხენს აეთანდილი და ელაპარაკება თავის თავს: „ბოლოს მე მივალწიე იმას, რაც მინდოდა, მაგრამ მალიკა დარჩა უმიჯნუროდ, მოწყენილი. სამეგობრო ფიცს გულთ ვატარებ, ჩემი ღამაზის თათბირი არ მოვისმინე; ვფიქრობ ჩემს მეგობარზე და მივეშურები მისკენ. ცხენი მიჰქრის გზაზე. შენ ჩემთან იმყოფები, ჩემო მეგობარო. მე მოვეკიდე ამ საქმეს და ყოველი სხვა ფიქრი ფუქია ჩემთვის“.

აეთანდილის იარაღი წკრიალებს. მისი ცხენის ქენება ტრამალებს არყევს. ფლოქების ცემას მთების და კლდეების გამოძახილი ეხმაურება. მომატებულის ძალით მიისწრაფის წინ ჩვენი გმირი და ყოველ ნაბიჯზე თამაშობს მისი შერანი.. დიდა მეტად აეთანდილის ძალა. როდესაც ხტის ცხენი, უზანგები ელარუნობენ. ქამარში კი მას ფოლადის ხანჯალი უჩანს, თავზე მუზარადი ჰხურავს და მთელი მისი ბექთარი ხმას გამოსცემს. მიჰქრის აეთანდილის ცხენი.. გრძელი გზა თანდათან მოკლდება.

ბოლოს მიუახლოვდა გამოქვაბულს. გამოეგება ასმათი. ნახა, რომ გმირი მოვიდა და ღიმილით მოჰკიდა მისი ცხენის სადავეს ხელი. აეთანდილი ტარიელთან შევიდა. მეგობრები მიესალმნენ ერთმანეთს. ტარიელმა ჰკითხა, თუ როგორ არიან იქ, როგორი მდგომარეობაა. იმუსაიფეს და ითათბირეს, თუ საით გაემგზავრონ ახლა ისინი. ტარიელმა უთხრა: „სად იმყოფება ნესტან-დარეჯანი, მახინჯ ხალხთან თუ დევებ-

თან, უღრან ტყეში, თუ იქ, სადაც შამშს დასასრული არ უქონს? იქ დევების ადგილია, იქ მხეცები ბინადრობენ“. აეთანდობა თქვა: „მე ბევრჯერ ვყოფილვარ უღრან ტყეში, იქ ვერაფერი ვნახე ვაფლურის*) მახლობლად მდებარეობს დევთა ქალაქი; იქითა მხარეს: ჩვენი საკენ, საშინელი დევების ციხე-სიმაგრეა. დევებს აქვთ ქალაქი, ვერედწოდებული ტარიხენი. ამ ქალაქში ცხოვრობენ ადამიანისა და მხეცის მსგავსი დევები“.

ის ღამე მათ გამოქვაბულში გაატარეს. დილით აღრე აღგნენ, ჩაიციეს აბჯარი და აიღეს ხელთ იარაღი. ასმათი გამოქვაბულში დასტოვეს და უთხრეს: „არ დაგივიწყებთ, როცა იქნება მოვალთ და წაგიყვანთ აქედან. ჩვენ მტერთან საომრად მივდივართ. არ იფიქრო, ამდენი ხნის ნამსახური აქ დაგავდოთ, — მაშ ნუ ინალვლებ, მხიარულად ატარებდრო“. ასე გამოეთხოვნენ და გაუდგნენ გზას.

მიაჭენებენ ცხენებს, მიდიან ზღვისა და მდინარეების მიმართულგებით. მტერი ვერ შეედრება ფალაენებს. ვისაც კი შეხვდებიან, ნესტანდარეუჯანზე ეკითხებიან.. თუ ღამით ისვენებენ, დღისით უფრო ჩქარა მიაჭენებენ ცხენებს, თუ დღე მოისვენებენ, ღამე უფრო სწრაფად მიჰქრიან წინ. ბოლოს მიუახლოვდნენ ერთ მდინარეს, შეჩერდნენ და დიწყეს ცქერა. წყალი შემორტყმია გარს ამ ქვეყანას და ყოველი მიმართულგებით მთები სჩანან... გმირები მიდიან ამ მდინარის ნაპირით. ახლოს ერთი შავი ხე მოსჩანდა. მათ არ იცოდნენ, თუ რომელ მეფეს ეკუთვნოდა ეს ქვეყანა. უნდათ იკითხონ, მაგრამ წინ არავენ შეეყარათ. ბოლოს ჩვენი გმირები შევიდნენ ამ ქვეყანაში. ფიქრობდნენ, ეს ქვეყანა მდიდარი უნდა იყოს და მისი მეფეც მდიდარი იქნებოდა.. ვინ არის ნეტა ამ ქალაქის ბატონპატრონი? ისინი ერთ მშვენივრად შორთულ სასახლესთან გაჩერდნენ. მსახურნი ფიქრობენ: სტუმრები არიანო და შეიყვანეს სასახლეში. ცხენები თავლაში მოათავსეს, გმირები კი ვაჭრის სახლში. რბილი ლოგინი გაუმზადეს, გაუშალეს სუფრა და მოართვეს ბევრი კარგი საჭმელი. ვაჭარი თავისთვის ამბობდა: „ესენი მდამიონი არ არიან, არაფრისა და არავისი არ ეშინიათ. ელჩებს არა ჰგვანან, ელჩემი რომ იყვნენ, მეფის კარზე მივიდოდნენ. ან მონადირენი არიან, ან მგზავრები. გმირებს მაგონებენ. მოდი შევეკითხები, თუ რა საქმისათვის მოსულან“, და უთხრა მათ შემდეგი:

„ადამიანს ენა ღამაზად აღაპარაკებს. თუ ღმერთი შეილს მოგცემს, დაე ვაფი იყვეს. ძლიერო ფალაენებო, რისთვის მოსულხართ? გული ნუ მოგივათ, რომ გეკითხებით. საით მიდის თქვენი გზა, შევარდენარწივებო, საით მიემგზავრებით? თქვენი ცხენები დალლილან. ყური დამიგდეთ და მითხარით: სადა ხართ დაბადებულნი, სად აღზრდილხართ? თქვენი ცხენები ფრინველებივით თამაშობენ. ძლიერო ფალაენებო, საით

*) ლეგენდარული მთის სახელია.

მიდინხართ? რა არის მიზეზი თქვენი აქ მოსვლისა? ან ეგებ მონადირე-ნი ხართ?“

ეს რომ ისმინეს, ფალანგები გასწორდნენ წელში და დაეძვინკნენ: „თუ ჩვენი ამბის გაგება გსურს, ჩვენ არაბეთიდან მომავალი ვართ, ჩვენ არაბთა მეფეს ვემსახურებით, მისი ფალანგები ვართ. ჩვენ მაძიებელნი ვართ, ერთ ამბავს ვკითხულობთ. ვფიქრობთ, ვფიქრობთ და გული სისხლით გვევსება. დავეძებთ, დავეძებთ ყველა ქვეყანაში. გაგვიფრინდა ხელიდან ერთი ლამაზი. გაფრინდა ბულბული ინდოეთიდან და ჩვენ ვცდილობთ მის მოსაზებას. ორივენი დავეძებთ ამ ვარდს. თუ შევყარებულეები ერთმანეთს ვერ მოინახვენ, დაიტანჯებიან. ჩვენც ვიტანჯებით. მოვედით ამ ქვეყანაში, რომ ეგებ მოინახოთ იგი. დაე, ნუ დაქცევა გაზაფხულის ყვავილი! ამისი ბულბული გაფრინდა გალიიდან. თუ გავიგებთ მშვენიერ ამბავს, გავიხარებთ. გაფრინდმა ბულბულმა სამშობლო უდაბნოდ აქცია. ჩვენ დავეძებთ ინდოეთის მეფის ასულს. თუ ბევრი ვიფიქრეთ, დავაბუნდებით. შეუღდრეკლად მივდივართ პირდაპირ მტრისაკენ. გავიარეთ დიდი გზა, ვერაფერი შევიტყუეთ მის შესახებ და მოვედით თქვენთან“.

ეს ლაპარაკი გაიგონა ფატმანმა (ფატმა), ვაჟრის ცოლმა, გაიხსენა ერთი ამბავი და სთქვა:

„შეიძლება ეს ის ლამაზი იყოს, რომელიც მე ვნახე ამას წინათ, როდესაც ჩემს ბაღში ვსეირნობდი. იგი შებოქილი მოჰყავდა ორ აბესინელ მონას ნავით ზღვაზე. მისი სახე მთვარეზე უნათლესი იყო. იგი თავისი შეხედულებით ერთბაშად იპყრობდა ადამიანის სულს. მე, ცხადია, უძლური ვიყავ, რომ გამენთავისუფლებინა იგი, მაგრამ იმ წამსვე ფრიდონ მეფესთან (ფარიდონშაჰ) წავიღე და ვაცნობე მას ეს ამბავი. მან სასწრაფოდ გაგზავნა იმ ადგილს თავისი კაცები, რომელთაც დახოცეს მონები და გაანთავისუფლეს ქალი. შემდეგ მე ვავიგე, რომ ლამით მან მოიხსიდა ფრიდონ მეფის დარაჯები და გაიქცა იქიდან“.

ტარიელმა რომ ეს გაიგონა, დასუსტდა. აეთანდილმა უთხრა ტარიელს:

„ვისაც არ უწერია, ის არ დაილუპება. ადამიანის სული დღეს, როგორც ზღვა. ამგვარი საქმეები გადახდება გმირს თავზე, ნუ დასუსტდები ისმინე ჩემი ნათქვამი მტკიცეთ იყავი ნუ ნალღობ, გააბილე თვალეები. რაც უნდა მოხდეს, ის მოხდება. გმირს ლომის გული აქვს. თუ გმირი დასუსტდება, ხალხი დასცინის მას. თუ არ დაილუპები, მტერს დავამარცხებთ. ნუ სწუხარ, გავიგებთ მის ამბავს. მთელს ქვეყანაზე მისი ძებნა ამაოდ არ ჩაივლის და მივაგნებთ როგორმე. შენ კი შავარდენი ხარ და შენს ფიქრებს ერთი მიმართულება უნდა ჰქონდეს. მართალია, გული გტკივა, მაგრამ არ უნდა დაემორჩილო მწუხარებას. თუ შეგამჩნიეს ასეთი სასოწარკვეთილება, მაშინ ფალანგის სახელს დაქარაგვ. ჩვენ მოვედით აქ და შევიტყუეთ, რომ ამ ქვეყანას ჰქვია ფრიდონის სამეფო. ისიც ჩვენისთანაა. წავიდეთ მასთან სათათბიროდ. ნუ სწუხარ, ჩე-

მო ძვირფასო მეგობარო, ნუ ნაღვლობ და ნუ მიტანჯავ სულს განაგე შენი სული და სხეული, მაშინ იხილავ შენს საყვარელს“.

ამ სიტყვების გამგონე ტარიელს ცრემლები წასკდნო. *წიგნი* ასწია თავი, ამოიოხრა და თქვა შემდეგი:

„ინდოეთში მე დაგვარგე სული — საყვარელი; მისი სიტყვები შექარზე უტკბესია; იგი უფრო მეტად იტანჯება, ვიდრე შე. სად არის ჩემი წამებული ლამაზი? მისმა სახემ დამატყვევა, მისმა თვალებმა შემბოქეს. ვიხილავ თუ არა მას ოდესმე? მისი ლაპარაკი ჭრილობებს მიშუშებდა. სად არის ჩემი ფერდაკარგული ვარდი? არ ვიცი, რა შეემთხვა. შეიძლება მას ცუდი ადამიანები ან დევები დაუმეგობრდნენ? შესაძლოა მისი ცოლად შერთვა სურდათ? თუ არ დასთანხმდა, თუ წინააღმდეგობდა გასწია, ეგებ გაყვითლდა და გახმა, როგორც შემოდგომის ფოთოლი? რომ ვიყვირო, ვერაფერთარ გამოსავალს ვერ ვპოვებ ამით. სად არის ჩემი ფიქრების შემბოქველი, ჩემი დაკარგული ვარდი?“

გათიეს იქ ღამე და დილით ფრიდონ მეფისაკენ გასწიეს. გზად შეხვედრილი ხალხი გაოცებული მისჩერებოდა გმირებს: მათი შეხედულება, სილამაზე ყველას ატყვევებდა. ტარიელი და ავთანდილი მივიდნენ სასახლესთან, მათ შეეგებნენ დიდებულები და ჰკითხეს:

„ეინ ხართ, საიდან მოსულხართ და რისთვის? ეს ქვეყანა ფრიდონ მეფეს ეკუთვნის. მოყვანილობით როსტომს გვეხართ. თქვენი მკერდები ლომის მკერდს გვაგონებს, ცხენები კი არწივებს თქვენი ხელები ისეთი ძლიერი სჩანან, როგორც ვეფხის თათები. თქვენი გარეგნობა შიშის მომგვრელია. საიდან მოხვედით?“

ეს რომ გაიგონეს, გმირები დარწმუნდნენ, რომ საქმე აქეთ მეფის კარისკაცებთან, რომლებიც სამართლიანად გამოაკითხავენდნენ მათ ვინაობას. ჩვენ რომ ჩვენის ძალღონით ვისარგებლოთ და პირდაპირ შევიდეთ, მართებული არ იქნებაო, იფიქრეს, ჯერ თავი უნდა გავაცნოთო, და უთხრეს:

„არ შეაშფოთებს ყოველი სიტყვა ფალავანს. გმირის ბრძოლა ძლიერია და იგი წააგავს ყიამათს (ქვეყნის აღსასრულს). ჩვენი ცხენები მოიქანცნენ მთებსა და ქვებზე სიარულით. არიან თუ არა აქ ჩვენი ტოლი ფალავნები, რომელთაც შეიძლება ჩვენი საიდუმლო გავანდოთ? ჩემს ქვეყანას ჰქვიან არაბეთი. მე მიცნობს მთელი ჩემი ხალხი და ავთანდილს მიწოდებს. თუ თქვენი მეფე წაიკითხავს ჩვენ წერილს, გვიცნობს. ჩვენ მოვსულვართ არაბეთიდან, რომ ვემსახუროთ მას. გზის მაჩვენებლად მე მყვანდა ეს სავეს მთვარე. ჩემი მეგობრის საშობლო ინდოეთია. ჩვენ დიდად გაგვიძნელდა ფრიდონ მეფემდე მოღწევა. მოვსულვართ როგორც სტუმრები და გვსურს მასთან საუბარი. ჩვენ დავეძებთ დაკარგულს და ბევრი ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია. წადით ფრიდონთან და მოახსენეთ ჩვენი სახელები. ის გვიცნობს ჩვენ. ყოველი ომის დროს მას გაუგია ინდოეთის გმირის ტარიელის ძლიერება. თუ თვალით არ უნახავს, გავგონილი მაინც ექნება ტარიელის სახელი“.

კარისკაცები შევიდნენ ფრიდონთან, ერთმა მოახსენა მეფეს:

„ჩემო ხელმწიფეო, მე მინდა ამბავი ვიამბოთ და ყური მივღეთ. თქვენს სასახლეს ორი უძლიერესი გმირი მოადგა. მტერს უკან შექცდიან მათი დამარცხება და ყოველ ადამიანს არ ძალუძს მათთან ახლოს მისვლა. ისინი სასახლის წინ დგანან, არაბეთიდან არიან მოსული. ხალხი გოცეზული შეჰყურებს მათ. ერთსა ჰქვია ავთანდილი, იგი არაბთა ქვეყნიდანაა, მეორე კი, მისი მეგობარი, ინდოელია, რომლის ძლიერება ყველასთვის ცნობილია. თუ თქვენი ნება იქნება, მეფევ, ალაყაფის კარს გაუღებ. საკვირველი გმირები მოვიდნენ, სხედან ცხენებზე და სდულს მათი ძალა“.

მეფემ უთხრა:

„დაუყონებლივ წადით და მომგვარეთ ისინი. ფრიდონ მეფე ცუდს არას უზამს მათ. აქ მოსულან ცნობილი ფალავნები. ეახელით“.

კარისკაცები გავიდნენ მათთან საჩქაროდ, თითქოს საუნჯე იპოვესო. უნდოდათ პატივის ნიშნად მათ ცხენებს წასძლოდნენ სადავის დაჭერით, მაგრამ გმირებმა არ დაუშვეს, ჩამოხტნენ და შევიდნენ სასახლეში. ფრიდონმა შეხედა თუ არა, იცნო ფალავნები: ერთი არაბეთიდან იყო, მეორე ინდოეთიდან. მეფემ უბრძანა მსახურებს, ჩამოერთმიათ ცხენები და მიეყვანათ გმირები ტახტთან. მიესალმა. ეს ღამე იმათ მეფესთან გაატარეს. მდიდარი ვაზშამი გაუმართეს, უკრავდნენ საკრავებს და იყო დიდი მზიარულება. მეორე დღეს მათ უამბეს ფრიდონ მეფეს თავიანთი თავგადასავალი. ფრიდონი თითზე კბილის დაჭერით ისმენდა ამბავს და ფიქრობდა მშვენიერ ქალზე, რომელიც ნახა მან ფატმანის დახმარებით. უთხრა მათ:

„მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. მაგრამ ერთხელ ჩემთან მოვიდა ფატმანი და მალწყა, რომ ბალში სეირნობის დროს მან შენიშნა ნავში ერთი ლამაზი ქალი, რომელიც ტყვედ ჰყავდა ორ მონას. მე წავედი მაშინვე ზღვის პირას, დავბოცე მონები, მოვიყვანე ის აქ და მიეუჩინე დარაჯები. მაგრამ ერთხელ ღამით იგი გაიქცა. ებრძანე მისი დაძებნა ყველგან, მაგრამ ვერ მონახეს. ამას წინათ შევიტყე, რომ იგი ტყვედ წაუყვანიათ დევებს და მოუთავსებიათ ციხეში“.

ეს რომ მოისმინა, ავთანდილმა უთხრა ფრიდონს:

„ყური დამიგდე, ფრიდონ, და მიპასუხე: გინდა თუ არა, რომ დაგვიმეგობრდე, წავიდეთ ერთად და ავიღოთ დევების ციხე? თუ ეს ციხე ავიღეთ, ისე ვადმოვაჭოთებთ მას, რომ ცამდის ავარდეს მტერი. წყაუ-ლი დევებიც ძლიერნი არიან. ჩვენ მხოლოდ გათანაბრება თუ შეგვიძლიან მათთან. თუ დაგვიმეგობრდები, ერთად წავიდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ორნი წავალთ. დავამარცხოთ დევები და გამოვიხსნათ ამისი საყვარელი. შენი ქვეყანა დევთა ქვეყნის ახლოს მდებარეობს, ამიტომაც გეკითხებით რჩევას“.

ეს სიტყვები რომ მოისმინა, ფრიდონმა უპასუხა:

„თქვენ ფიქრობთ რომ მე აქ დავრჩები? გავიმასპინძლებოთ, როგორც რიგია, და შემდეგ გზას მივასწავლით, ასე გგონიათ? ამ ზღვის პირზე მდებარეობს დევთა ქალაქი და მრავალი ციხესიმაგრეა. თქვენ გმირებად მიგანჩიათ და მე კი არა მთელით გმირად? თქვენს წაგვიყვანთ იქ. მე რამდენჯერმე მქონია ბრძოლა დევებთან, ვუნგრეველი მათ ციხეებს და ვკვეთდი თავებს. დევები უწესრიგო ხალხია. მე გამოვარჩეე საუკეთესო ჩემს მეომრებს და გავემართეთ“.

ამ სიტყვებში დიდად ვაახარეს გმირები. მაშინ ფრიდონ მეფემ დაიძახა:

„მოლუშულებო აქლემებივით, მკლავებში ძალღონის მომკრებნო, სისხლნათხევარო ხანჯლებიანო, მტერთა გეამებისაგან მთები რომ გიშენებიათ, თითოს რომ ათასი მოგიკლავთ, ჩემო ფალავნებო, შეიკრიბენით. ომში თქვენ ყოველთვის იმარჯვებთ. ახლაც საომრად მივემართებით, მიედივართ დევებთან საბრძოლველად. პეი, ჩემო მეგობრებო, თავისუფლად რომ ცხოვრობთ ჩემს ქვეყანაში, ჩემო გამოჩენილო ფალავნებო გვიჩვენეთ ახლა — რომელია თქვენს შორის გმირი და რომელი არა?“

ეს რომ ვაივონეს, წამოდგნენ ფალავნები თავიანთი ადგილებიდან. შეიკრიბა ათი ათასი კაცი, როგორც ფრინველი, და მივიდნენ მასთან. ყოველი მათგანი ამბობდა: „მე ფალავანი ვარ“. ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი უცქეროდნენ მათ. მაშინ ტარიელმა სთქვა:

„ეს ათი ათასი კაცი ყველა ფალავანს უწოდებს თავის თავს. მაგრამ ფალავნის სახელწოდება ყველას არ ეძლევა. თქვენ უნდა გამოარჩიოთ საუკეთესო და ყველაზე საიმედო კაცები. ყველას წაყვანა საჭირო არ არის. ისინი გზას ამტკერებენ მხოლოდ, და ეს ჩვენი გმირული სახელისათვის არ ივარგებს. ნაწილი დაიხოცება, ნაწილი ტყვედ მოხვდება და ნაწილიც გაიქცევა. ისინი, ვინც გაიქცევიან, ვაავრცელებენ ხმას, რომ ჩვენ საომრად წავედით მტრის წინააღმდეგ და გამარჯვების მოპოება ვერ შევძელით. ასეთი სიტყვები საქვეყნოდ შეგვარცხვენენ. საჭიროა ყველაზე უფრო საიმედო კაცები წაიყვანოთ“.

ეს ნათქვამი მოეწონა ფრიდონ მეფეს და მან გამოჰყო სამასი კაცი. მან ისეთი ძლიერი ფალავნები გამოარჩია, რომლებიც ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „შენ თავი დაანებე, მე მოვკლავ, შენ თავი დაანებე, მე მოვკლავ“ ყველას უბრძანა მეფემ შემზადება. შეგროვდნენ შეიარაღებულნი, შუბიანები, მწყობრად დაწყობილნი, უკრავდა ზურნა და საყვირი. ასე გაუდგნენ გზას.

მიჰქრიან ცხენები და მიწა ზანზარებს მათი ტორების ცემით. ხალხი შეიკრიბა სასახლის ახლოს და მისჩერებოდა ფრიდონის მიმავალ ლაშქარს, მაგრამ არ იცოდნენ, თუ სად წავიდნენ. ყოველი მათგანი ვეშაპივით ყვირის. მიდიან გმირი ფალავნები, მიდიან ტრამალებით და არ იცქირებიან უკან. არც კი ფიქრობენ თავიანთ სამშობლოს შესახებ. ბევრმა ფალავანმა არც იცის, თუ სად მიჰყავს ისინი მეფეს. ბოლოს მათ დაინა-

ხეს ერთი მთა. მთის ძირას ზღვა სჩანდა. ფრიდონმა სთქვა: „ჩვენ წავიდეთ მთებით; ვიცი, სადაც არის დევების ციხე, გადავხედოთ მტერს“. ამაყად მიდიან ისინი შეღმართით, ქიანქველებივით ვეფხისტყაოსნის ცხენებს უჭირს. ბოლოს მიაღწიეს მთის ყველაზე მაღალ მთხარესა ჩამორჩენილები დაეწვივნენ წინ მიმავალთ.

მთის მწვერვალზე გაზაფხულია: ჰყვავიან ველური ვარდები და გალობენ ბულბულები. ჩამოქვეითდნენ, მოასვენეს ცხენები და თავადაც მოისვენეს. მაშინ ფრიდონმა უთხრა მათ: „აი აქ არის ჩვენი მიჯნა. აქედან იწყება დევთა ქვეყანა“. მან სთქვა:

„მთაზე ბულბულები გალობენ და ვარდები გაშლილან — მთაზე გაზაფხულია. ეს მთები ლამაზია, ადამიანის მკერდს აქ ნიავე აგრილებს. როდესაც მზე ჩადის, ჩრდილები გრძელდებიან სამი ტაშის¹⁾ მანძილზე. მთებს მაღალი მწვერვალები აქვთ, აქ ბევრი სხვადასხვა ველური ცხოველია. ვინც ამ მთებში გზა არ იცის, შეიძლება უფსკრულში გადაიჩეხოს. აქ არის მწიფე ველური ხილი. გზა რომ არ დაგვბნეთ, არ მოსცილდეთ ერთმანეთს. მთაში გაზაფხულია. ვინც ბევრს მოგზაურობს, ის ქვეყანას ნახულობს, ხოლო ვინც არსად არ დადის, ის ვერაფერს ხედავს, მისი ცხოვრება მწუხარე და შიშნეულია. გმირებისთვის ყველგან არის საცხოვრებელი ადგილი“.

მთაზე წამოწოლილებმა კარგად მოათვალიერეს ყოველი მიმართულება. მათმა სულელებმა გაიხარეს იქ. ეს ღამე მთაზე გაატარეს გართობით და მოსვენებით. ბევრი ფალავანი ირმებზე ნადირობდა, რაც ყველას ახარებდა. ყველა მაძლარი იყო ირმის ხორციით და ცხენებიც კარგად ისვენებდნენ. მათ დაინახეს ზემოდან ქვევით ზღვა, რომელიც ამ ქვეყანას შემორტყმოდა. ისინი გააოცა ამ ქვეყნის ერთმა დიდმა მდინარემ. ყველანი იცქირებოდნენ, მაგრამ დევების ციხე ვერსად შენიშნეს. ფრიდონ მეფეს უკვირდა — ნუთუ დევთა სამყოფელი ასე შორსაა? „დაეშვადენით ყველანი“ — სთქვა მან. ისევ გაუღდნენ გზას ფალავნები. ისინი ხმაურით მიდიან და გაიძახიან: „მივდივართ და დავიპყრობთ, ნუ ჩამორჩებით უკან; სად არის დევების ციხე?“ ციხე არსადა სჩანს. ფრიდონის წინამძღოლობით ისინი ჩავიდნენ მთებიდან ძირს და ზღვის პირს გაუყენენ. სალოსალში²⁾ ბევრი დევია. მაგრამ შავარდნები მივლენ სალოსალამდის, პირს არ იბრუნებენ უკან. ისინი ისე ჩქარა მიჰქრიან, რომ ცხენებს ქაფი სდით პირიდან. თუ მტერმა შენიშნა ისინი, მყის გაიქცევა. შეხედეთ გმირების ძალას, დღე და ღამე მიდიან. ყველა დაბრკოლება უკან მოიტოვებს. ცხრა დღედაღამე ცხენებიდან არ ჩამომხტარან. შეუსვენებლივ მიდიან ფალავნები ფრიდონ მეფის მეთაურობით.

ბოლოს მათ დაინახეს ქალაქ სალასალის ციხე-სიმაგრე. ერთის მხრით ზღვა იყო, მეორეს — მთები. მიხვდნენ, რომ ეს დევების ციხე გამოჩნდა.

¹⁾ ერთი ტაში შვიდ კილომეტრს უდრის.

²⁾ დევთა ზღაპრული ქალაქია.

შეამჩნიეს, რომ ციხის თავზე კვამლი აღიოდა. ეს ციხე-ქალაქი დიდ ქვეყანას წაავადდა. ავთანდილმა უთხრა ფრიდონს:

„ცეცხლი სჩანს ზემოთ და ქვემოთ. ჩვენ თქვენთან ერთად მოვედით აქ, მეგობრებო. არ დავეღვართ თვალთავან ცრემლებში, ტანსაცმელებო, — დევების ციხე გამოჩნდა. მე ვხედავ საშინელ დევთა სამყოფელს. ახლადროს ნუ დავკარგავთ და ვავეშუროთ მათკენ. თუმცა ციხე-სიმაგრე მოსჩანს, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ის ახლოს იყოს. უნდა ვიჩქაროთ, მარჯვნივ და მარცხნივ დავესხათ და დავიწყოთ ბრძოლა. წავაჭრათ თავები დევებს. ჰეი, მომყევით, ვაეკაცებო, რომელნიც ფრიდონ მეფეს ემსახურებით და ღებულობთ მისგან საჩუქრებს, ჩქარა, ჩქარა მოგვეყვით უკან! ყოველი თქვენთაგანი თავისებურად ძლიერია და დევები ვერ გაგვიშლავდებიან. თუ ქალაქს დღე მიუახლოვდებით, საჭირო იქნება მარჯვიდან და მარცხნიდან შევეუტიოთ. დიდის ვაჭირვებით მოვედით აქ. გამოიჩინოს თავისი გმირობა ყოველმა თქვენთაგანმა და მაშინ დავინახავთ, რა შედეგსაც მივალწევთ ომში. ჩქარ-ჩქარა გადაჰკარით მათრახი ცხენებს, ფალანგებო. დაგვიანებულები ვერ იხილავენ შტრის ძაღლონეს. ღამლამობით ქალაქს უგუშავოდ არ დასტოვებენ. თუ დავიგვიანეთ, მიზანს ვერ მივალწევთ“.

ავთანდილის ნათქვამი რომ მოისმინა, ფრიდონმა სთქვა:

„მე ამ ადგილს ვიცნობ. ჩვენ იქ ღამით მივალთ. დევებს გამოქნილი ჯადოსნები ჰყავთ. შთიდან რომ ჩავსულიყავით მათთან, ყველას დაგვხოცავდნენ. ნუ სწუხარ საღამოს მოახლოებას. ასეთი სიტყვებით ნუ შეაშფოთებ ჩვენს ვაეკაცებს. მე ვიცნობ ციხის დარაჯებს, არ მეშინიან მათი, თავს არ შევამჩნიევიან. ადამიანი ზოგჯერ ძალით იმარჯვებს, ზოგჯერ ხერხით. გზას მე თვითონ ვიჩვენებთ და მეთაურობასაც ვიცისრებ“.

მაშ ასე, მიჰქრიან ისინი წინ. პირველი ძილი რომ გადავიდა, დევების ციხეს მიუახლოვდნენ. ნახეს, რომ ციხის კარი დახშულია. ციხეში ყველა დევს სძინავს, მაგრამ გარს აუარებელი გუშაგი სდარაჯობს მას, კარიც მაგარი აქვს. ზოგიერთი გუშაგი დამშვიდებული ხელსაქმობს, ზოგს კი სძინავს. როცა მიუახლოვდნენ, გმირები შეჩერდნენ. ფრიდონმა სთქვა:

„ყური მიგდეთ: ორივენი კართან დადექით, დანარჩენებმა გუშაგები ამოხოცეთ. მე თოკს გადავადგებ ციხის გაღავანზე, გადავალ და გავიგებ, თუ რა ხდება იქ. ძახილით მოგაწვდით ნიშანს, მაშინ ყველამ შემოუტრეთ ციხეს და შემოდით შიგ. სისხლი დაიღვრება, მე კარვად ვიცნობ დევებს. ნიშანს დროზე მოგაწვდით“.

ეს რომ ისმინა, ავთანდილმა სთქვა:

„იფიქრე და კარგი რჩევა მოგვეცი, მაგრამ როგორ გადახვალ ციხეში. როგორ მოახერხებ ამას? თოკს გადაადგებ — ეს საქმე შენ არ გამოგივა. რად უნდა ფალანგის ეშმაკობა, დაე დევებმა იხილონ გმირების ომი. ეს ჩემი სიტყვები ხუმრობად არ მიიღო — ციხეში გადასული შეიძლება ტყვედ ჩაუვარდეთ მათ და ამით ჩვენს მწუხარებას გაადიდებ. ჩემი

რჩევაა — ვიწვეთ და მოვისვენოთ გათენებამდე, შემდეგ დავიწყოთ სისხლისდამღვრელი ომი. უზრუნველ მტერს ჩვენი ძალა, სერსის ნუ ფიქრობ. კაცს რომელსაც თავი ჯადოქრად მიაჩნია, მოკვდება, ეშმაკი კაცი საგან არაფერი გამოვა. ფალავნის ეშმაკობაც არ ვხრბობ. შენ ხომ გმირი ხარ, სჯობს არ იფიქრო იმ ეშმაკობაზე, რომელიც გვითხარო, თუ დაგიჭირეს, შენი შრომა ბოლოდ ჩაივლის“.

ფრიდონმა უთხრა: „ყოველი ცოდნა თავის დროზე უნდა გამოიყენო. მე ფერიებსა და ჯადოსნებს შორის ხშირად ვყოფილვარ. ვიწვებ საქმეს ყველაზე ადვილი გზით. დღევანდელ ომს ხეალისათვის ნუ გადასდებ. ამავე ღამით, დილამდე, დავამარცხებთ მათ. ეს დევები უფრო ძლიერნი არიან იმ დევებზე, რომლებიც ადამიანთა ქვეყანაში იმყოფებიან და ციხეებიც უფრო მაგარი აქვთ. მაშინ ასე მოვიქცეთ: სამის მხრით არსებობს გზები ციხის კართაკენ; სამი ფალავანი წაუძღვეს ჯარს სამის მიმართულებით. როცა ჩემი ხმა გაისმას, ეკვეთეთ კარებს, გატეხეთ და სამივენი შედით შიგ“.

ფრიდონმა გადასთვალა მთელი თავისი ჯარი ჩამოვლით. გარეთ დევთა ყარაული იდგა დაახლოვებით ათი ათასი კაცი. ამ საუბარში შუალამე გადავიდა. ქამი ტკბილი ძილისა მოახლოვდა და შეჯავშნულ დარაჯებსაც ჩაეძინათ. ფრიდონმა შეაგდო თოკი ციხის ფალავნის ქონგურზე, გაჰყვა თოკს და ჩავიდა ციხეში. გუშაგებმა იგი ვერ შენიშნეს. ყოველივე სიბნელით იყო მოცული, ფრიდონმა არ იცოდა, საით წასულიყო, არც გზა, არც სახლები არ სჩანდა. მაშინ ფრიდონი ადგა, ერთი მიიხედ-მოიხედა და დაიყვირა. ფალავნებმა გაიგონეს მისი ხმა, ეკვეთნენ ციხის კარებს და დააქციეს. ყვირილმა დევები გამოაღვიძა დაანთხიეს შხამი და სიბნელეში ეგონათ, რომ დადგა ქვეყნის აღსასრული (ყიამათი).

ზევით და ქვევით არ იცქირებიან ფალავნები, მიჰჭრიან ცხენდაცხენ მტრებზე, იბრძვიან სიბნელეში. ყოველ მათგანს მიუშვია ცხენი და ლომივით იბრძვის. შუბები აღმასისა აქვთ, ხანჯლები ფოლადისა. დგება ქვეყნის აღსასრული დევთა მხარეში. ებრძვიან გმირები აურაცხელ მტერს, ისინი ომის ოსტატები არიან. თავებსა ჰკვეთენ. ცხენები სისხლის ტბორებში ცურავენ. ფალავნები სულ უტევენ და უტევენ. დევებს თავბრუ დაესხათ და არ იციან, საით გაიქცნენ. მათი გვამები თავდაღმა ჰყრია მიწაზე. ფალავნებმა აუარებელი მტერი გასწყვიტეს. მთაში ნისლი დადგა. დაიღვარა ფალავანთა სისხლიც, ომის დასასრული ახლოვდებოდა. დევებმა ბევრი ფალავანი დაინახეს. ველზე ეგდო მოდარაჯე დევების უამრავი გვამი. ტარიელმა შენიშნა ციხე-ქალაქში ფრიდონ მეფის ერთი ებრძოდა მტერს, დაუძახა: „ყოჩაღ განაგრძე ომი“ ამთავორავებული გვამების გამო მიწა არ სჩანდა. ავთანდილიც გახარებული უცქერის ფრიდონს: „ყოჩაღ მეგობარო შენ იბრძვი, როგორც როსტომი. ერთმა უთვალავი დევები გასწყვიტე“ ასე მიუახლოვდნენ ისინი დევთა სამეფო ტახტს. ყველას ხმალი ეპყრა ხელთ. ზოგიერთს გურძი უჭირავს და როდესაც სცემენ მას, ნაპერწკლები სცივია და დარტყმის ხმა ცამ-

დის აღწევს. მოახლოვდა განთიადი. ფალანგები ლომებსა ჭვენიან და ყველანი ერთსულოვნად ომობენ. ჰვეთენ მათი ხმლები მარჯვნივ და მარცხნივ. გაყვითლდა და გახმა მტრის ვარდი. დილით ყველა დასრულდა. ყველგან დევთა გვამები ეყარა, მთელი მათი საჭურჭლე დასრულდა ერთ წილად. გადარჩენილი დევები გარბიან და არ იციან, სად შეათვარონ თავი. ისინი იძახდნენ: „რა დღე დაგვიდგა! ვინ მოვიდა ლამით, ვინ დაგვატეხა თავზე ასეთი უბედურება? ან ეგებ ჭვეყნის აღსასრული დადგა? ამოვიდა მზე. დევები აღარსად არიან. ფალანგებმა თავი ისახელეს.

დილით გმირებმა ნახეს, რომ მათ ათი ათასი დევი მოუკლავთ. მიწა სულ სველი იყო სისხლით, სხვადასხვა იარაღი და გვამები მიყრილ-მოყრილი სჩანდა ყველგან. ისინი დარწმუნდნენ, რომ მტრისაგან არავინ დარჩენილა. მათ დაათვალიერეს ყველა სასახლე, ნახეს დევების ხაზინა და ბოლოს ერთ დაკეტილ ოთახში აღმოაჩინეს ნესტან-დარეჯანი, რომელიც თოთხმეტი დღის სრულ მთვარეს ჰგვანდა. ტარიელმა დაინახა იგი და უთხრა:

„ჩემო სანატრელო, ძვირფასო, ცოცხალი ხარ კიდევ აქ?! რამდენი მწუხარება გადამხდა თავს შენს გამო, გეძიე, გეძიე და ბოლოს გიპოვე!“ უკან ფალანგები დგანან და უცქერიან. ტარიელი უახლოვდება მას, ნესტან-დარეჯანი მკლავებ-გაშლილი მიდის მასთან, ეხვევიან და ჰკოცნიან ერთმანეთს. ნესტან-დარეჯანი ეუბნება:

„შემიპყრეს მე საწყალი დევებმა და ვიყავი მათთან დატყვევებული. ახლა კი ჩემი საყვარლის ხელთა ვარ და წავალთ სამშობლო ინდოეთში. ზღვიდან ერთ ავ მეფესთან მოვხვდი, მას გავეჭეცი, მაგრამ სხვებმა შემიპყრეს. დღე და ღამე ვტიროდი სამშობლოს მომგონე. გული მწუხარებით მეესებოდა ჩემი ფალანგის გამო. მახსოვდა მუდამ ჩვენი აყვავებული ჭვეყანა, რომელიც მტრებმა გასთელეს, და იგი დაიფარა გაყვითლებული ფოთლებით. ჩვენ ისევ ბაღად ვაქცევთ ჩვენს ჭვეყანას. ტანჯვა და მწუხარება გათავდა. ჩემდა საბედნიეროდ ფალანგები მოვიდნენ და გასწყვიტეს ჯალათი დევები. ჩემი წამებული გული ხარობს ახლა. ვინც ერთმანეთს ეძებდნენ, მათ იპოვეს ერთმანეთი და მწუხარების კვალი წაიშალა გულებში“.

ფალანგებმა მიულოცეს და უთხრეს: „დავანებოთ ახლა ლაპარაკს თავი. დანარჩენი ამბავი გზაში ვთქვათ“. ეს ქალაქი მისცეს ფრიდონს და რამდენიმე ფალანგანი დარჩა იქ. ვისაც ესაჭიროებოდა, წაიღო დევთა სიმდიდრე, ვისაც არა — არაფერი წაუღია. ფრიდონმა სთქვა: „მე ისევ დაებრუნდები აქ, დაეხოცავ დანარჩენ დევებს და მოვაწყობ ქალაქს“. მათ დიდხანს იმგზავრეს და მივიდნენ ფრიდონის ჭვეყანაში. იქ დიდი ნადიმი გადაიხადეს და პატივი სცეს გმირებს. ტარიელმა და ავთანდილმა უთხრეს ფრიდონს:

„ჩვენ ყველანი ერთნი ვართ; დიდი გაჭირვების გამოვლით ჩვენს მიზანს მივალწიეთ. ახლა თქვენ გინდათ აქ დარჩეთ, როდესაც ჩვენ უნდა

გავეგზავროთ? ასე გამოდის, თითქოს თქვენ შემთხვევით შეგხვდით გზაზე. გინდათ, რომ შემთხვევით კაცის სახელი გქონდეთ? თუ ასეა, მაშინ ჩვენ ვეყოფოდით დევებს“. ფრიდონმა მიუგო: „მე მინდა თქვენთან ერთად წამოვიდე“. დარჩნენ იქ რამდენიმე დღეს და შემდეგ გაემართნენ იქით, სადაც გამოქვამულში მოახლე ქალი ცხოვრობდა, წაიყვანეს იგი თან, და ხუთმა აღამიანმა გასწია არაბეთისაკენ. როცა არაბეთამდე ერთი დღის სავალი დარჩა, ფალაენებს შეხვდნენ წინ არაბი მღევრები. ავთანდილი გააკვირდა: „რა მოხდა? მტერი ხომ არ დაესხა თავს ჩემს სამშობლოს? იგი შეეკითხა მათ:

„მითხარით, რა მოხდა ჩვენს ქვეყანაში? ჩვენ, ფალაენები, ცოცხალი და ჯანმრთელი ვართ და აქ მოვედით. გზაზე მდგარო დიდებულებო, მითხარით, რა არის ახალი თქვენს ქვეყანაში? ნისლი ხომ არ შემოეხვია ასყართალის თავს? 1) ქვეყანა, რომელმაც ჩვენ აგვზარდა, ხომ უვნებელია? ძლივს მოვალწიეთ აქამდის. ვხედავ, მდევარო, რომ შენ ცუდ გუნებაზე ხარ. გვიამბე ყველაფერი. ხომ ისევ ძველებურად ჰყვავის არაბეთი? როცა ყოველივეს შეტყვი, დავმშვიდდები“.

მაშინ დიდებულებმა უპასუხეს:

„როდესაც ქარაეანი მიდის, კვალსა სტოვებს. ჩვენმა მალიკამ გამოგვაგზავნა. არაბეთი აღიესო ამბით, მალიკა გამხიარულდა, ველარ მოითმინა და გამოგვგზავნა შესახვედრად. ის ღიმილით გვეუბნებოდა ყველას: „მე მალიკა ვარ, ჩემგან შეხვედრა უხერხულია, ხალხი დამციანებს. თქვენ მიულოცეთ და წამოუძებით წინ“. ჩვენ, მალიკას დიდებულები, გილოცავთ მობრძანებას, თქვენი სიტყვები გუპარი და მარგალიტია“.

ყოველმა მათგანმა იცნო ავთანდილი, მაგრამ სხვები კი უცნობები იყვნენ. საღამო ეამს ისინი მიუახლოვდნენ ქალაქს. მალიკა ხშირად აღიოდა ამალღებულ ადგილზე, სადაც მას ტაბტი ედგა, და იცქირებოდა გარშემო. როდესაც ისინი გამოჩნდნენ, მას მეტად გაუხარდა და უბრძანა ბუკის დაკვრა. ბუკის ხმა მთელს ქალაქს მოედო. ხალხი შეიკრიბა. მოვიდა სამი გმირი, ერთმანეთზე უძლიერესი. მათი სხეულები მიწარეთებს წააგვანან, მათი ძალა მთას წააქცევს. ისინი მძლავრნი არიან, როგორც როსტომი. ხალხი უცქერის მათ, ერთს იცნობენ, ორს კი პირველად ხედავენ.

როდესაც ფალაენები მოვიდნენ და ჩამოხტნენ ცხენებიდან, ხალხი შემოეხვია გარს, მალიკა კი გამოეგება თავზე გვირგვინდადგმული და შეიყვანა ისინი სასახლეში. ყველას უყვირდა, რომ მალიკა მოახლესავით ემსახურებოდა მოსულებს. წაიყვანა ისინი მათთვის დამზადებულ ოთახებში, ვაავსო ფიალა შარბათით, მიულოცა ფალაენებს და სთქვა:

„თქვენ მოგზაურობდით ქალაქიდან ქალაქში, პკვეთდით თავებს, მტერი თუ შეგხვდებოდათ. რა ადგილამდის მიაღწიეთ, ფალაენებო? ეძებ-

1) ასყართალი ზღაპრული მთაა, რომელიც იხსენიება მრავალ სხვა უზბეკურ ლეგენდაშიც.

დით სიყვარულს და იტანჯებოდით მის გამო. ცხოვრობდით ზნეობითა-
ზაფხულ გამოქვაბულში. სად ნახეთ იგი? თქვენ ვაახარეთ ჩემი მტკი-
ვანი გული. როდესაც ავთანდილი გაემგზავრა, მე ვეწვევდი და
რამდენიმე დღე გზას გაეცქეროდი, რომლითაც ის წავედოდა მალიკა
ვარ და ყოველივე შექვემდებარება; მითხარით, ფალავენებო, საიდან მოი-
ყვანეთ იგი? როდესაც მოგზაურობდით ბევრ სხვადასხვა ხალხს ნახე-
დით, მრავალ სიძნელეს გადაიტანდით გზაში. მიამბეთ ყველაფერი, რო-
მელ ქვეყნებში იყავით, ფალავენებო?”

ეს რომ ისმინა, ფრიდონ მეფემ მოახსენა მალიკას:

„გზაში გავიტანე, ბევრი წვალემა გამოვსცადეთ, ჩვენ სამნი ერ-
თად მივიწვინდით ერთი მიზნისკენ. ჩვენ არაფერი ცუდი აზრად არა
გვქონია. ისმინე ფალაენის ნათქვამი! მე ფრიდონ მეფე მქვიან. მე შეე-
ხვედი ამათ ჩემს ქვეყანაში და გავხდით დიდი მეგობრები. დარეჯანის
ამბავი ამათ მე ვაუწყე და წაუძებ წინ საძებნელად. ჩვენ წავედით დევე-
ბის ქალაქ სალოსალში. თურმე ეს დევთა ციხეში იმყოფებოდა, ტყვეო-
ბაში იყო საცოდავი. ჩვენ ვნახეთ საკვირველი ქალაქი. ვარშემო სდარა-
ჯობდა ათი ათასი გუშაგი. მე, ფრიდონ მეფე, გზის მაჩვენებელი ვიყავი.
უბედურება დაატყდა თავს დევების ქალაქ სალოსალს. ომი გმირებმა
წაშალამევს დავიწყეთ. უსასტიკესი ბრძოლა გაჩაღდა. დილამდის დე-
ვები ამოვსწყვიტეთ და ქალაქ სალოსალში ცოცხლები მხოლოდ ჩვენ
დავრჩით, ფალაენები. ბოლოს ვნახეთ ლამაზი ნესტან-დარეჯანი და მი-
ხანს მივალწიეთ“.

მალიკა-თინათინსა და ავთანდილს შორის პირობა იყო დადებული.
მალიკას უყვარდა იგი, თავის თანასწორად მიაჩნდა და სურდა მისი ცო-
ლობა. ავთანდილმა შეასრულა მისი დავალება და, მიუხედავად თინა-
თინისაგან დაშლისა, მეორედ წავიდა მეგობართან. თუმცა თინათინს გუ-
ნებაში განშორება არ უნდოდა, მაგრამ ეს არ აგრძნობინა და მოიწონა
მისი ვმირობა. იგი მუდამ ღმერთს ევედრებოდა, რომ ავთანდილი ცოც-
ხალი გადარჩენილიყო და მშვიდობით დაბრუნებულიყო. მალიკა სწულხდა,
ვთუ მტრებმა ხელში ჩაიგდონ, იარაღი აპყარონ და ზიანი მიაყენონ.
მაგრამ თანაც იმედი ჰქონდა, რომ ავთანდილი გაუნკლავდებოდა მტერს
და ფიქრობდა: მეგობრები ვართ და სამუდამოდ მეგობრებად დავრჩე-
ბითო, თუ მეგობარი მტრად იქცა, მაშინ იმას ყოველივე სიავის ჩადენა
შეუძლიანო. ფალაენები უსმენდნენ თინათინს. სთქვეს: „ქალწულია, მაგ-
რამ ბრძენია, მან ყველაფერი იცის ამ ქვეყანაზე“. ფრიდონ მეფემ მო-
ახსენა: „თქვენ ერთმა იმდენი იცით, რამდენიც ათასმა სხვამ. ჩვენ თქვე-
ნი სტუმრები ვართ. იცით თუ არა თქვენ ჩვენი მოსვლის მიზეზი?“ მა-
ლიკამ გაიღიმა და სთქვა: „თუ თქვენ არ იტყვით თქვენი მოსვლის მი-
ზეზს, მე საიდან უნდა ვიცოდე? მე ვფიქრობ კარგად გაგიმასპინძლდეთ
და შემდეგ გაგაცილოთ“. მას მიუგეს: „ჩვენ არაბეთში დავაქორწინებთ
ჩვენს ფალაენს და შემდეგ დაებრუნდებით უკან“. მალიკამ უპასუხა:
„მაშ ეგ საქმე ჩვენთან ყოფილა დაკავშირებული“.

გავიდა ღამე, მეორე დღეს მოვიდა ამბავი:

მეფემ სასიხარულო ამბავი აუწყა მათ. მღევრები ვაგზავნილია ყველა ქვეყანაში. რამდენი ცხვარი და ძროხა დაიკლა! დიდძალი ზოლი შეიკრიბა ქორწილზე. თინათინს უყვარს თავისი ფალანჯანი. ქორწილი გათავდა და ყველანი თათათაიანთ სახლში დაბრუნდნენ. მან დაისვა ქმრად ავთანდილი. საუბრობდნენ ერთად, შვიარულვებდნენ და სეირნობდნენ. დიდხანს დარჩნენ ფალანგები სტუმრად, შექცევით ატარებდნენ დროს. მაშ ასე, ავთანდილმა თავის მიზანს მიაღწია. გადასწყვიტეს ტარიელთან და ნესტან-დარეჯანთან ერთად ინდოეთს გამგზავრება, მათი იქ დატოვება და უკან გამობრუნება, მომავალშიც მეგობრებად დარჩენა და ხშირად ერთმანეთის ნახვა.

თინათინი დარჩა თავის ტახტზე. ავთანდილი და სხვა ფალანგები შეიჭურვნენ ჯავშან-იარაღით, თითქოს საომრად მიდიოდნენ, და წაიყვანეს თან ნესტან-დარეჯანი და მისი მოახლე ასმათი. თინათინმა გააცილა ისინი. ირანის ქვეყანაში რომ მივიდნენ, იქ მათ შემდეგი ცნობა მიიღეს: როდესაც ინდოეთის მეფე ავად გახდა, ამით ისარგებლა ხატაელების მეფემ და დაიპყრო ინდოეთი. ეს რომ გაიგონეს, ფალანგებმა სთქვეს: „ცუდი ამბავი მომხდარა, ქვეყანა უპატრონოდ დარჩენილა, მტერი დასხმია თავს და მებრძოლი გმირებიც არ აღმოჩენილან, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ. თუ ხელმძღვანელი არა ჰყავს, რას გააკეთებს ლაშქარი? ყოველი მეომარი შეეცდება თავს უშველოს და ტყბილი სიცოცხლე შეინარჩუნოს“. ფალანგებმა მოილაპარაკეს ერთმანეთში, ასე ამბობდნენ: „ამდენი გმირობა ჩავვიდენია, მაგრამ ინდოეთი უპატრონოდ დარჩენილა, და ნუთუ ხატაეთის მეფეს ვერ დავამარცხებთ? მთელი ჩვენი სიცოცხლე ბრძოლის ველზე გავვიტარებია“.

ისინი მხნედ და უშიშრად მიადგნენ ინდოეთს. ყველანი ჩამოხტნენ ცხენებიდან და შეემზადნენ ომისათვის. მათ ჰქოდათ ფოლადის ხანჯლები და გრძელი გურძები. მიჰმართეს ინდოეთის ციხე-ქალაქს, თანაც ისეთი ყვირილი ასტეხეს, რომ ცა და მიწა შეინძრა. ტახტზე მჯდომი ხატაეთის მეფე ვაკვირდა. რა მოხდაო? ყვირილი რომ გაიგონა, უბრძანა თავის ჯარს შეშაღებულყო. როდესაც ისინი გამოვიდნენ ციხესიმაგრედან, სამი ვეშაპი შეეჭდა ცხენებზე, და დაიწყეს ბრძოლა. ატყდა ყვირილი და ხმაური. ინდოეთის მეფემ არ იცოდა, თუ ვინ იყვნენ ისინი.

ინდოეთს ნისლი დაადგა თავზე. გამოჩნდა სამი ვეშაპი. იქნევნენ ისინი ხანჯლებს და ხმლებს. თავები მტრედებივით მიჰფრენენ. მამამ შეილი დაჰკარგა. ყოველ გვამს ძერა დასტრიალებს თავზე. საშინელი დრო დადგა. უკვირდათ, საიდან მოვიდნენო. ბევრი გაიქცა. გაიმარჯვეს გმირმა ფალანგებმა, ზოგმა ჭრილობა მიიღო. გვამები ძნელებით ჰყრია მიწაზე. ისინი, სამნი, ვეშაპებივით ხოცავენ ჯარს. როდესაც გაჰყვირიან, ცხენებიც კი ეცემიან ძირს და გამოძახილს მთები და კლდეები აძლევენ. ვერც ერთი ფალანგი ვერ შეედრება ღონით ფრიდონს. ფრიდონი პატიოსნად ჰკლავს — ბრძოლის ველზე მომავლადეი ეუბნება მას: „შენ მე

რიგიანად მომკალი“. ფრიდონს ეს ომი იოლად მიაჩნია იმ ომთან შედარებით, რომელიც დევებთან ჰქონდა. ცხენები მტერის წილს აყენებენ. შეხედეთ, სამმა ფალავანმა ინდოეთში სრულიად გასწყვიტა მტრები, და ინდოეთის მთების ძირში წითელი სისხლი დაიღვარა. ელარუნებს მათი იარაღი და ვერავენ უმკლავდება მათ. რამდენი იარაღი და ტანსაცმელი დარჩა უპატრონოდ! სამმა ფრთიანმა ცხენმა დაჰკარგა თავისი მხედრები. არასოდეს აქამდის ხატაელებს ასეთი ომი არ მოსწრებიათ. ყვირიან, მაგრამ თავისთვის ვერ უშველნიათ. ცოცხლად დარჩენილები გაიძახიან:

„ოჰ, რად მოვედით აქ! რატომ დავრჩით ინდოეთში, ახლა უკან დაბრუნება აღარ შეგვიძლია. რა უბედურება დაგვატყდა თავს! არ ვიცით, ვინ არიან ესენი. ან ფერიების, ან დევების მოდგმისანი იქნებიან. აღამიანი გერ გაუტოლდება მათ. სხეული კაცისას უვავთ, მაღალ მთებს აქცევენ. ჩვენ არ გვინახავს ასეთი ღონიერი ხალხი, მათი სწორი არავინ არის!“

გმირები ურტყამენ მათრახს თავიანთ ცხენებს. შევიდნენ ქალაქში. იქ მათ ვერავენ ვერა სცნობს იბრძოდნენ თვით ქალაქში. ყოველი ქუჩა სისხლით შეიღება. ბაზარშიც კი აღარ დარჩნენ ვაჭრები და ხელოსნები. სამივენი ჰყვირიან, იბრძვიან და ერთი ადგილისაკენ მიისწრაფიან: ისინი მიუახლოვდნენ ტახტს. ხატაეთის მეფეს თავზარი დაეცა. ჯერ საშიში არაფერი ეგონა, მაგრამ შემდეგ იგი ცახცახმა აიტანა და ბრძოლა დაიწყო. გმირები რომ დაინახა, დაიბნა. მათი ძალა ყველამ შეიტყო — ისინი შედგრაღ სჩეხავდნენ მტერს. უცებ ფრიდონ მეფე ხატაელების მეფეს შეეფთა. სად გაიქცევა? ფრიდონს ხელთ ეპყრა გურძი, რომელიც ოთხას ბათმანს იწონიდა: მან უთხრა: „ვინც არ უნდა იყო, შენი დღეები დათვლილია, მოკვდი! შემომხედე და გაჰკვირდი ჩემს ძალას. ვინ მოგცა ამ ქვეყნის დაპყრობის ნება? შენ შეგეძლო შენთვის ყოფილიყავ; რაკი აქ მოსულხარ, მოკვდი!“ დაჰკრა თავს გურძი და დაავდო ძირს უნსულოდ. მეფის სიკვდილის შემდეგ ხატაელებმა დაჰყარეს იარაღი და დაემორჩილნენ. ფალავნები არ შეეხნენ ქვრივებს, გლახაკებს და სნეულებს. აქედან ისინი ინდოეთის სატახტო ქალაქში შევიდნენ.

ზოგი დახოცილიყო, ზოგი ცოცხალი იყო, მაგრამ არავინ იცოდა, თუ ვინ იყვნენ ისინი და საიდან მოსულან. გმირები გამოჩნდნენ მოედანზე მთელი ხალხის წინ, და ტარიელმა დაიძახა:

„ვმსახურობდი ინდოეთში ვიზრდებოდი მეფესთან, მისი სიმდიდრე ჩემი სიმდიდრე იყო, გმირი ტარიელ მოვედი! ბევრი მეფე მომიკლავს, საყვარელი დავკარგე, ვცხოვრობდი გამოქვამულში, ფალავანი ტარიელი მოვედი! წასულმა ამ ქვეყნიდან, თითქოს ხელახლა დაბადებულმა, ენახე ისევ ჩემი ქალაქი, გავანთავისუფლე საყვარელი დევების ტყვეობიდან, დავღვარე სისხლი ინდოეთში, თქვენი ყოფილი შავარდენი მოვედი! ნუ მოიშორებთ ჩემს მეგობრებს, დაე, ჩვენი ქვეყანა აჰყვავდეს. ქვეყნის პატრონი ჩვენთან არის — მეფის ასული მოვიდა. ჩვენთან ერთად იყო ფრიდონ მეფე, მეგობართათვის სული არ შურდა, ომობდა ჩვენთან ერ-

თად და ჩვენთან ერთად მოვიდა. მეფის ერთად-ერთი ქალი, რომლის ვარდისფერი სახე ამ დიდი ხნის განმავლობაში გაყვითლდა, მეგობრებთან ერთად მოვიდა. არ იფიქროთ, რომ იგი სხვა ვინმეა, მეფის ასული მოვიდა!“

ასე ლაპარაკობდნენ ფალავენები. ყველანი ყურს უგდებდნენ. ვინც იცნობდა მათ წინათ, დაიწყეს ახლა მათი შეცნობა. ზოგიერთი დიდებული მივარდა, მოეხვია მათ და ეუბნებოდა:

„აი ჩვენი ქვეყნის მხსნელი ფალავენები. ახლა კი ჩვენი ქვეყანა ისევ აყვავდება. როგორც კი თქვენ წახვედით, ხატაელები დაგვესხნენ თავს. რამდენი ინდოელი დაიღუპა! ვერაფერს მათ ვერ გაუმკლავდა. მეფემ თავისი ტახტი გადასცა მათ. მათი მეფე მეფობდა ინდოეთში და ბოლოს თქვენ მოჰკალით იგი, ფალავენებო. ქვეყნის ნამდვილი პატრონები აღმოჩნდნენ. ეს ფალავენები ინდოეთში იქნებიან, მტერი ველარ დაიშორჩილებს მას“.

ნაცნობები მივიდნენ ფალავენებთან, მიესალმნენ. მათ გვერდით იღვა ნესტან-დარეჯანი. იცნეს: „აი, ეს საცოდავი! ცოცხალი, ჯანსაღი დაბრუნდა. სად იყო ნეტა?“ ვინც მოკვდა, მოკვდა, ვინც ცოცხალი დარჩა, ძველებური ცხოვრება განაგრძო.

ტარიელმა შეკრიბა ხალხი, გამართა რამდენიმე დღით საქორწინო ნადიმი და შეირთო ცოლად ნესტან-დარეჯანი.

მაშინ ფალავენები ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი ერთად მუხაიფობდნენ. უცებ წამოღვა ფეხზე ტარიელი და გადააყარა მეგობრებს თავზე მარგალიტი და გუჰარი, ჩააცვა მათ ახალი სამოსელი და უთხრა: „დარჩით კიდევ რამდენიმე დღეს, არ მინდა თქვენი მოშორება“: ამ დროს ნესტან-დარეჯანმა უთხრა თავის მოახლეს, ასმათს:

„ყველაზე უფრო მძიმე დროს შენ მეგობარი იყავი, მასთან ერთად ნაღვლობდი. როდესაც მე მოეშორდი მას, შენ იყავ გამოქვამულში მასთან ერთად მტირალი. კარგად მემსახურებოდი, სწრაფად ასრულებდი ჩემს დავალებებს. ახლა მარტო ნუ იცხოვრებ. ინდოეთში ბევრნი არიან, ვინც გინდა, აირჩიე, ვისაც აირჩევ, იმას მივათხოვებ, გთხოვ მითხრა, ვინ გიყვარს? თუ გიყვარს ვინმე გვითხარი ნუ ვრცხვენთან, მოჰკიდე ხელი მისი ხალათის კალთას. დაივიწყე მწუხარება, გამზიარულდი, მოაწყე შენი ცხოვრება ვინმესთან ერთად. თუ მარტო დარჩები, მწუხარება არ მოგშორდება, თუ მეგობარს მოსძებნი, მზიარული იქნები. ეს ჩემი სიტყვები ხუმრობად არ მიიღო და ნურც მომერიდები. ვინც გინდა — შეირთე. როგორც მოახლეს, მე შენ მდაბიოდ არ გთვლი. რაც გულში გაქვს, ყველაფერი სთქვი“.

მაშინ ასმათი მიათხოვეს ერთ კაცს და გადაიხადეს დიდი ქორწილი. ფალავენებმა მიაღწიეს თავიანთ მიზანს. ისინი გამოეთხოვეს ერთმანეთს და დაბრუნდნენ არაბეთს. ავთანდილმა უთხრა ტარიელს:

„შენ ინდოეთში დარჩები, მე ხშირად მომესურვება შენი ნახვა. მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო! შენ მთელი ქვეყანა გიცნობს, შენ გახდი

დიდი ქონების პატრონი, შენს ხელთ არის ახლა მთელი შენი მამული, — მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო! მე ჩემს ქვეყანაში მივდივარ, მუდამ შეხსომები, ხშირად მოვისურვებ შენს ნახვას და მზად ვიქნები გნახო, — მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო! შენი სახელია უცვლელი ქვეყანას მოედო. ფრიდონიც ჩვენთან იყო, გულით გემსახურებოდა, — მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო! მე ჩემს ქვეყანაში მაქვს გვირგვინი და დიდი სიმდიდრე, პატივი და დიდება, მაგრამ როდესაც მე შენთან ვიმყოფები და გემსახურები, ჩემი სიხარული იზრდება, — მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო! იცხოვრე შენს საყვარელთან ერთად, დაე აპყვავდეს თქვენი ქვეყანა, მტერი დაგებოცა, ჰეი, ტარიელ, ჩემო შავარდენო, ძვირფასო მეგობარო, მშვიდობით! როდესაც ერთმანეთს ვეთხოვებით, ცრემლი მდის თვალთაგან, შენი მოშორება არ მინდა, შენ უკეთესი ხარ ჩემთვის, ვიდრე მშობლები, ომში ერთად ვიყავით, სისხლსა ვღვრიდით ხმლებით, შენი ძალა მტერს ანადგურებდა, ბოროტნი ჯანსაღად ვერ მიდიოდნენ შენგან, — მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო“.

ეს სიტყვები რომ ისმინა ტარიელმა უთხრა მეგობრებს:

„ცაზე ნათელი ვარსკვლავია. ჩემთან ერთად იყავით თქვენ, დღე და ღამე სამსახურს მიწვედით. ორივენი გაემზადდნით წასასვლელად, და, მაშასადამე, აქ მე მარტო ვრჩები, ძვირფასო მეგობრებო, — გზა მშვიდობისა! ჩემთან ერთად მოგზაურობდით, სამძიმო საქმეები დაასრულეთ, ბოლოს მიზანს მიაღწიეთ, ვმირებო, — გზა მშვიდობისა! მეგობრები ასე უნდა ემსახურებოდნენ ერთმანეთს. რამდენი მტერი დახოცეთ, გაუტეხელო ვმირებო, — გზა მშვიდობისა! აქედან შენ არაბეთს წახვალ, დაე, შენი ქვეყანა აყვავებული იყვეს. შენი მალიკა მეფეა იქ. გადაეცი სალაში მალიკას. გითხარი სათქმელი და მწუხარება შემიმსუბუქდა. ჩემი სიმდიდრე ჩემს ხელთ არის, ჩემი საყვარელი ჩემს გვერდით არის. შენი საყვარელი თინათინია, სალაში გადაეცი მალიკას. ჩვენ დავაფრენდით ცხენებს მთებზე, კლდეებზე, რამდენი გადაგვხდა თავს, ახლა შენ ხედავ ჩვენს ტახტს, როგორც მიხვალ შინ, გადაეცი სალაში მალიკას! სალაში უთხარი აგრეთვე სხვა მეგობრებს და მშობლებს“.

ასე გამოეთხოვნენ ერთმანეთს და გაემგზავრნენ. ისინი კი ინდოეთს დარჩნენ მზიარულები. აეთანდილი და ფრიდონი მივიდნენ არაბეთს, გამოცხადდნენ მალიკას წინაშე. მან ჰკითხა: ინდოეთში იყავით, რა ნახეთ იქ, ხომ მშვიდობაა ინდოეთში?“ აეთანდილმა მიუგო: „ინდოეთში არეულობა იყო, ხატაელების მეფეს ინდოეთი აეღო და ბევრი ცუდი საქმე ჩაედინა. ჩვენ ვებრძოდით, მოგვალით მეფე და გავანადგურეთ სრულიად მისი ჯარი. დავსვით იქ პატრონებად ტარიელი და ნესტანი და ვამოგბრუნდით უკან“. მაშინ მალიკამ სთქვა: „ქარვად მოქცეულხართ“. აეთანდილმა რამდენიმე დღეს არ გაუშვა ფრიდონი, ემსახურა, დაასაჩუქრა ბევრი ახალი სამოსით, აცნობა მთელს ხალხს, რომ იგი მისი ახლო მეგობარია, შეკრიბა რამდენიმე ერთგული კაცი და დააეღა მათ ფრიდონის გაცილება. ფრიდონმა უთხრა: „მე არაფრისა მეშინიან, შემძ-

ლიან მარტო წავიდეს“. ავთანდილმა მიუგო: „მე ვიცი, რომ თქვენ არაფრისა გეშინიანთ. ეს კაცები იმისთვის გამოგყვებიან, რათა მოაწყონ თქვენი მშვიდობით მისვლა შინ“. კაცებმა გააცლიეს ფრეფრე ქვეფეხი ფრიდონმა დაასაჩუქრა ისინი კარგად, რამდენიმე დღეს უმასპინძლეს და შემდეგ გაისტუმრა შინ. კაცები დაბრუნდნენ არაბეთს და მოახსენეს ეს ამბავი ბატონებს.

ამგვარად, ფალავენებმა თავიანთი გმირობით თავის შიზანს მიიღწიეს“.

ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ უზბეკური ვერსიების გამო

ორივე შემომოყვანილი უზბეკური ზღაპარი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სახეცვლილ შინაარსს გადმოგვცემს. ამასთან ისინი ერთიმეორეს ავსებენ, თუ მათ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის თვალსაზრისით განვიხილავთ. მაგალითად, „ბატირ-არსლანი“ გვხვდება ისეთი ჩვენთვის ნაცნობი ეპიზოდები და დეტალები, რომლებიც ფაზილ იულდაშევის პრემიაში არ არის, თუმცა ეს უკანასკნელი ბევრად უფრო ახლოა ვეფხისტყაოსანთან, ვიდრე „ბატირ-არსლანი“. ასეთია: ხვარაზმელთა მეფის ბრძანება, რომ ბატირ-არსლანი ცოცხალი მიჰგვარონ მას, და შესაპყრობად წასული მეომრების დამარცხება ბატირ-არსლანის მიერ („ვეფხისტყაოსანში“ ეს ხდება არაბთა მეფის ნადირობის დროს); ბატირ-არსლანის (ბახრამის) მოხვედრა ვაქართა ხომალდზე, მის მიერ თავის ვინაობის დამალვა და ხომალდის გადარჩენა ხიფათისაგან („ვეფხისტყაოსანში“ — ავთანდილისა და ბაღდადელი ვაჭრების ამბავი); დილჯან-ნარის მიერ მონის გაგზავნა დატყვევებულ მეფის ასულთან და მონისაგან წერილისა და ბეჭდის მოტანა („ვეფხისტყაოსანში“ ფატმანი ჰგზავნის გრძნეულ მონას ქაჯეთის ციხეში).

ამგვარად, ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სივანით ისმება საკითხი „ვეფხისტყაოსანთან“ ამ ზღაპრების კავშირის შესახებ. თავდაპირველად გავეცნოთ ამხ. შარაფუტდინოვის შეხედულებას აღნიშნულ საკითხზე. „პრავდა ვოსტოკას“ 28 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა მისი ვრცელი წერილი: „შოთა რუსთაველი და უზბეკური ფოლკლორი“, რომელშიაც იგი იხილავს „ბატირ-არსლანის“ ურთიერთობას „ვეფხისტყაოსანთან“. „ბატირ-არსლანი“ შარაფუტდინოვის რუსთაველის პოემის ნიადაგზე აღმოცენებულ ზღაპრად მიიჩნია. იგი ამას შემდეგნაირად ასაბუთებს:

„ბატირ-არსლანი“ უპველად რუსთაველის პოემის ზღაპრული ვარიანტია. ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსანმა“ დიდი ფოლკლორული მემკვიდრეობა წარმოშვა. ქართველ ხალხში გავრცელებულია მრავალი ზღაპარი პოემის თემაზე. თანდათან ამ ხალხურმა ზღაპრებმა გაარღვიეს ნაციონალური ზღუდეები და გაავრცელეს პოემის ფუძე სხვა ხალხთა შორისაც.

რა თქმა უნდა, შუა-აზიისშიც, უზბეკებშიც, იყო აგრეთვე პირობები რუსთაველის პოემის გავრცელებისათვის. საკმარისია გავიხსენოთ ის გკონო-შიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა, რომელიც ჰქონდათ საქართველოსთან ხვარაზმთა სახელმწიფოებს (მონღოლების მიერ შუა-აზიის დამპყრობამდე). შეიძლება დავუშვათ, რომ რუსთაველის პოემა ამ დროს (მე-

12 — 13 საუკუნეებში) ცნობილი იყო შუა-აზიის ხალხთა ზეარაზმის ფეოდალები ზომ დაკავშირებულნი იყვნენ კავკასიის ქვეყანასა და ხალხებთან. ამ კავშირის შესახებ ბევრს ამბობს აგრეთვე უძველესი უცხოური პოემა „გორ-ულლი“.

მონღოლთა შემოსევა უდიდესი უბედურება იყო როგორც ზეარაზმისათვის, ისე საქართველოსთვის. ამ ეპოქაში ორივე ქვეყანამ ბარბაროსული რბევა და გაპარტახება განიცადა. ზეარაზმისა და საქართველოს ურთიერთ კავშირს მახვილი ჩაეცა.

მე-14 საუკუნის დამლევს საქართველო თემურლენგის ურდოებმა წაღაცეს. მაგრამ ყველა ამ უბედურებამ ვერ ჩაჰკლა მინც მთლიანად ქართველი ხალხის განსაკუთრებული შემოქმედებითი ძალები.

კლავინოს, შარაფიტდინ იაზიდესა და აბდურაზყ სამარყანდელის ცნობით, კავკასიის დაპყრობის ხანაში თემური იძულებით ისახლებდა საქართველოდან, სომხეთიდან, საბერძნეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ხელოვნების ოსტატებს სამარყანდში. მათი შემოქმედებითი ძალების ხელოვნებისა და ნიჭის გამოყენებით რკინის კოკლმა-კაცმა ააშენა ჩვენამდე მოღწეული არქიტექტურული ძეგლები.

და თუ შვედარებით ამ ძეგლებს იმას, რაც კავკასიის ხალხებს, განსაკუთრებით ქართველებს გაუცეთებიათ, აქაც ვნახავთ კავშირს (ამოიქუჭრთიმება, მინიატურის მორთულობისა და საღებავთა სიფაჭობე, ძეგლების ორნამენტები და სხვა).

ასეთი კავშირი უშუალო და თავისუფალი, კიდევ უფრო ახლოვებს შუა-აზიის ხალხებს ქართველი ხალხის კულტურასა და ხელოვნებასთან, ყველაზე უწინარეს კი გენიალურ „ვეფხისტყაოსანთან“.

შესაძლებელია შოთა რუსთაველის დროს, შესაძლოა შემდეგ ხანებში, ჩვენს ქვეყანასა და საქართველოს შუა არსებული ურთიერთობის წყალობით „ვეფხისტყაოსანმა“ შუა-აზიაშიც მოიქცა ფეხი. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ საუფუძველი იმისა, რომ უზბეკთა საყვარელი ზღაპარი „მატირ-არსლანი“ სხვა არაფერია, თუ არა თავისებური ზღაპრული ვარიანტი სხელგანთქმული პოემისა, ვარიანტი, რომელსაც თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ბევრი ცვლილება განუცდია“.

ამხ. შარაფუტდინოვის ეს მოსაზრება ფრიად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი, მაგრამ არ შეგვიძლია იგი ცალმხრივად არ მივიჩნიოთ. „ვეფხისტყაოსნის“ ქართველი მკვლევარები ვალდებულნი არიან ამ დიდი საკითხის განხილვის დროს გამოიჩინონ სრული ობიექტიურობა და ანგარიში გაუწიონ მისი სწორი გადაჭრის ყოველგვარ შესაძლებლობას, ვინაიდან ჰემმარიტების გამორკვევა ამ სფეროში საგრძნობლად წასწვევს წინ რუსთაველის უკუდავი პოემის შესწავლის საქმეს.

უდავოდ უნდა მივიჩნიოთ ამხ. შარაფუტდინოვთან ერთად ის ფაქტი, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი უზბეკისტანში გარედან შესულია და არა ადგილობრივ წარმოშობილი. მაგრამ საკითხი, თუ საიდან მივიდა იქ ეს სიუჟეტი, არ შეიძლება ამოიჭუროს მარტოოდენ საქართველოსა და შუა-აზიის სახელმწიფოთა შორის ძველად არსებულ ურთიერთობაზე მითითებით. ვეფხისტყაოსნის ზღაპარი შეიძლებადა შესულიყო უზბეკისტანში როგორც საქართველოდან, ისე სამხრეთით მდებარე მუსლიმანურ ქვეყნებიდან — ავღანეთ-ირან-არაბეთიდან. ამგვარად ეს კითხვა

უშუალოდ უკავშირებდა ჩვენში კარგად ცნობილსა და მკურნალ დროიდანვე სადაო საკითხს იმის შესახებ, თუ სადაურია სიუჟეტი რუსთაველის პოემისა: წმინდა ქართული თუ უცხო, კერძოდ კერძოდ... (სპარსული), როგორც ამას აღნიშნავს თვით ავტორი პოემის დასაწყისში: „ქართველ მწერლებსა და „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართა შორის ნაწილი იზიარებდა და დღესაც იზიარებს ერთ აზრს, ნაწილი კი მეორეს.

ჩვენ აქ მოკლედ უნდა გავითვალისწინოთ ორივე შეხედულების სასარგებლო და საწინააღმდეგო მოსაზრებანი.

ის აზრი, რომ ვეფხისტყაოსნის ამბავი ქართულია, მომდინარეობს პოემის პირველი ბექდვითი გამოცემის რედაქტორის ვახტანგ მეფისაგან. „ეს ამბავი სპარსში არ არის“, — აღნიშნავს თავის კომენტარებში ვახტანგი, რომელიც დიდხანს სცხოვრობდა ირანში და ირანულ მწერლობას კარგად იცნობდა. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ თუ კი ირანულ მწერლობაში ვეფხისტყაოსნის მსგავსი რაიმე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები იქნებოდა, ეს გარემოება მეცნიერ მეფეს არ გამოეპარებოდა. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახტანგს არ შეეძლო ზედმიწევნით სცოდნოდა ის უმდიდრესი ირანული ზეპირი სიტყვიერება, რომელიც არა თუ ვახტანგის დროს, ამჟამადაც არ არის საკმარისად შესწავლილი და გამოკვლეული. ვახტანგი თითქოს გრძნობს, რომ შესაძლებელია ამგვარ შედაგებასაც ჰქონდეს ადგილი და, აღბათ, ამიტომ დასძენს იგი: „სპარსთ კარგი მელექსეობა იცოდნენ“. ამით ვახტანგს უნდა სთქვას, რომ ირანში მრავალი გამოჩენილი მგოსანი იყო და თუ კი მათთვის ცნობილი იქნებოდა ის შესანიშნავი ამბავი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ უდევს საფუძვლად, ისინი მას გაულექსავს არ დასტოვებდნენო. ეს უეჭველად მნიშვნელოვან მოსაზრებად უნდა ჩაითვალოს.

მეორე საბუთი, რომელიც შეიძლება აღვნიშნოთ იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი, არის შემდეგი: მეთორმეტე საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეში, კერძოდ, რუსთაველის ცხოვრების დროს, მოხდა ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულად ასახული. ეს არის გიორგი მესამის მიერ თავისი ერთადერთი ასულის თამარის მეფედ დასმა საქართველოს ტახტზე, რაც ფრიად წააგავს „ვეფხისტყაოსნის“ არაბთა მეფის როსტეგანის მიერ თავისი ქალის თინათინის მეფედ დასმას. ეს მსგავსება მით უფრო აღსანიშნავია, რომ იგი მხედველობაში უნდა ჰქონოდა თავათ რუსთაველს, როდესაც მან პოემის შესავალში „ვეფხისტყაოსანი“ თამარის ქებად დასახა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა სხვა პარალელი, რომელიც გაჰყავს ზოგიერთ მკვლევარს (მ. ჯანაშვილს, ს. ქვარიანს, პ. ინგოროყვას, დანდუროვს და სხვ.) „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსსა და თამარის მეფობის დროს მომხდარ ისტორიულ მოვლენებს შუა, ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია.

ახლა მოვიყვანოთ ის მოსაზრებანი, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის უცხო წარმოშობაზე მიგვიჩივებენ. აქ უპირველესად მნიშვნელობა თვით პოემის ავტორის მოწმობას ეძლევა. რუსთაველმან გვაუწყებს „ვეფხისტყაოსნის“ ამბის რაობას — ორჯერ შესავალში და ორჯერაც ეპილოგში. ეს ადგილებია შემდეგი:

7. დაეჯე, რუსთაველმან გავლექს, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი. აქამდის ამბად ნათქვამი, აქ მარგალიტი წყობილი.
9. ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ სავოგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საკოჰმანები 1742. ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად...
1743. ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი, პირველ ზენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი, ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილყუფეთანი.

ორი ამ ოთხი ცნობიდან — მეორე და მეოთხე — პირდაპირ მიუთითებს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის უცხო წარმოშობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს ორი დანართი ტაეპი, რომლებიც პოემის თითქმის ყველა ძველ ხელნაწერში მოიპოვება. პირველი მათგანი მოთავსებულია ნაწარმოების თავში და ასე იწყება: „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად“. მეორე დართული აქვს ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანისაგან ტარიელისათვის მიწერილ წერილს და შემდეგს გვაუწყებს: „ნესტან-დარეჯან ქვიან ჭალს ქართულად და კვლა სპარსულად“. ეს ორი ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ ძველ გადამწერთა მოწმობას წარმოადგენს, რაც უშუალოდ ანგარიშგასაწევი ფაქტია.

გმირების სახელები ვეფხისტყაოსანში მაჰმადიანურ. სამყაროდან არის აღებული. კერძოდ, სახელი „ნესტან-დარეჯანი“ ეტიმოლოგიურად ახსნილი აქვს აკად. ნ. შარს სპარსული ენის მეოხებით. იგი ნიშნავს „არ არის ქვეყნად (მსგავსი)“. უზბეკისტანის მეცნიერებათა კომიტეტის თავმჯდომარემ პროფ. კარი-ნიაზოვმა სესიაზე თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ მთელს ფერგანაში „ნესტან-დარეჯანი“ დიდად გავრცელებული სახელია მზეთუნახავის მნიშვნელობით.

თვით ამ უზბეკური ვერსიების განხილვა შემდეგ მოსაზრებას იწვევს: ფაზილ იულდაშევის მიერ ნაამბობი პოემა-ზღაპარი თითქოს ხალხში გადასული რუსთაველის პოემის ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული, იმდენად ახლოა სიუჟეტურად მასთან. მაგრამ „ბატირ-არსლანი“ საწინააღმდეგოს გვაფიქრებინებს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს უკანასკნელი ზღაპარი ამდენად დაშორებოდა „ვეფხისტყაოსანს“ მე-13 — 14 საუკუნის შემდეგ. მართლაც, რა მიზეზით უნდა შეცვლილიყვნენ უზბეკისტანში მეზობელი დიდი ქვეყნები: ინდოეთი და ხატაეთი (ჩინეთი), რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდებიან, ისეთ შორეულ ქვეყნებად, როგორიც „ბატირ-არსლანის“ ეგვიპტე-აფრიკა არის? ყურადღების მისაქცევა აგრეთვე ერთი გარემოება: „ბატირ-არსლანი“ „ვეზირი ბახ-რამის მამა, ცოლად ირთავს სომხეთის მეფის ასულს. სომხეთმა კი და-

მოუკიდებლობა მე-11 საუკუნის პირველნახევარში დაკარგა, ასე რომ ამ ქვეყნის მეფე თითქოს „ბატირ-არსლანში“ მოხსენებული არ უნდა ყოფილიყო, თუ კი მას რუსთაველის პოემის ნიადაგზე დაფუძნებულ ზღაპრად მივიჩნევთ.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წარმოშობის შესახებ არსებულ ორსავე შეხედულებას თავთავიანთი დამადასტურებელი და უარსაყოფი საბუთები მოპოვება. ამჟამად ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით მივიღოთ რომელიმე ეს შეხედულება. აღნიშნულ საკითხს საბოლოოდ შუქს მოჰყენოს ირანული ზეპირ-სიტყვიერების ზედმიწევნითი შესწავლა.

„ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე ქართულ მკვლევართა შორის პოემის სიუჟეტის უცხოურობას კათეგორიულად პროფ. ი. აბულაძე ამტკიცებს. იგი თავის წერილში „ვეფხისტყაოსნის სიუჟეტისათვის“ („უნივერსიტ. შრომები“, 1936 წ., 1, გვ. 149) შემდეგ დასკვნამდე მიდის: „პოემის სიუჟეტი ანუ უკეთ, ფაბულა (არაკი) წარმოადგენს მტკნარი არაბულ-ირანული მაჰმადიანური მოთხრობის აშკარა ნაშთს, რომელიც შემოიპირა ქართულ სინამდვილეში საქართველოს მეფურ-ვასალური სისტემის განვითარების პერიოდში, ირანულ-ქართულ შეჯვარდინების ნიადაგზე“. პროფ. აბულაძის აზრი, თითქოს დევთა შესახებ თქმულება ირანულ-არაბულ ზღაპარში ქართულად ქაჯების ამხად შეცვლილა, საინტერესო დადასტურებას ჰპოულობს ახლად აღმოჩენილ უზბეკურ ზღაპრებში.

მწერალთა შორის ვაეა-ფშაველა აღიარებდა „ვეფხისტყაოსნის“ ამბის ხალხურობას¹⁾. შესაძლებელია ამ უკვდავი ქმნილების სიუჟეტი მართლაც ხალხური იყოს. თუ მსოფლიო ლიტერატურას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ უდიდესი პოეტური ქმნილებები, განსაკუთრებით კი ეპიური პოემები, აღმოცენებულია ხალხური თქმულებებისა და ზღაპრების ნიადაგზე. ასეთია პომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“, ვირგილიუსის „ენეიდა“, ოვიდიუსის „მეტამორფოზები“, სოფოკლეს, ესქილოსის და ევრიპიდეს ტრაგედიები, ფიჩლოუსის „შაჰნამე“, გურგანის „ვისრამიანი“, გერმანული პოემა „თქმულება ნიბელუნგებზე“, შექსპირის საუკეთესო ტრაგედიები, გოეთეს „ფაუსტი“ და სხვა, თვით ისეთი პოემაც კი, როგორც დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ არის, რომლის ფაბულა თითქოს ავტორის ვასაოცარი ასკეტური ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს, ნამდვილად წარმოშობილია დანტეს, დროინდელ იტალიაში გავრცელებული თქმულებებიდან ჯოჯოხეთის ტანჯვა-წამებისა და სამოთხის ნეტარების შესახებ. ამის გამო იტალიის ლიტერატურის ისტორიკოსი ანრი ოვეტი სწერს: „რაც შეეხება პოემის მთლიან შინაარსს, არ შეიძლება ითქვას, რომ დანტეს დიდი სიახლე შეეტანოს მასში“-ო. დანტემ თავისი უკვდავი პოემის შექმნის დროს ისარგებლა არა მარტო

1) ვაეა-ფშაველა, ტ. III, გვ. 450.

ხალხური თქმულებებით, — მის განკარგულებაში იყო ამ თქმულებების მრავალნაირი დამუშავება წინამორბედი მწერლების მიერ.

საექვოა, მართლაც, ამიტომ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი, როგორც ერთგვარი გამონაკლისი, წმინდა ინდივიდუალური ფაქტობრივი ნაყოფს წარმოადგენდა. და თუ დამტკიცდება ამ სიუჟეტის ხალხურობა, უპიკველად იმ აზრს უნდა დავადგეთ, რომ ეს ყოფილა მოარული ზღაპარი, რომელიც შესაძლოა მეტად ვრცელ ტერიტორიაზე მოგზაურობდა. ეგებ ამ ამბავს ფეხი ჰქონდა მოკიდებული აზიის უზარმაზარ ტერიტორიაზე, ინდოეთიდან დაწყებული ხმელთაშუა ზღვის ნაპირებამდის და კავკასიის ქედამდე.

შესაძლებელია არსებობდა ამ ზღაპრის ბევრნაირი ვარიანტი, ზოგი დაეწევიებული და ზოგიც დღემდე შენახული ზემოაღნიშნული ტერიტორიის სხვადასხვა კუთხეში. ყოველი ხალხი, ალბად, თავისებურ ელფერს აძლევდა მას. მრავალი სხვადასხვა მეფე დაადევნა ეგებ ხალხთა ოცნებამ დასაქერად ვეფხისტყაოსნის შემოსილ საკვირველ ჭაბუკს. ბევრი მოშაირე ცდილობდა, ეგებ, ფაზილ იულდაშევის მსგავსად, მის დატყვევებას თავის ლექსებში. ჩვენ დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ ტარიელს ღირსეულად მარტო რუსთაველმა შეჰმართა ხელი და შესძლო უკვდავ საკაცობრიო პოეტურ ქმნილებაში მისი დატყვევება.

მთელი ის ლიტერატურული და ზეპირ-სიტყვიერი მასალა, აღმოჩენილი და აღმოსაჩენი, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტთან აქვს კავშირი, თავს მოიყრის მომავალში რუსთაველის გენიალური პოემის გარშემო, როგორც მისი გარემოცვა. ეს მასალა იმგვარადვე იქნება მოკლებული დამოუკიდებელ მნიშვნელობას, როგორც დანტეს „ლეთაებრივი კომედიისა“ და გოეთეს „ფაუსტის“ საფუძვლად დადებული ხალხური თქმულებები და ლიტერატურული ძეგლები. ამასთანავე უნდა ვიგულისხმოთ, რომ რაც უფრო დიდი იქნება „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის გავრცელების ტერიტორია, რაც უფრო მეტი აღმოჩნდება მისი მონათესავე ზეპირსიტყვიერი მასალა უცხო ქვეყნებში, მით უფრო გაიზრდება საერთაშორისო ინტერესი რუსთაველის პოემის მიმართ.

როგორც დავინახეთ, უზბეკისტანში „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი შეიძლება შესულიყო ან საქართველოდან, ან მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნიებიდან. საქართველოდან შესვლა შესაძლებელი იყო, როგორც ამას მართებულად აღნიშნავს აშხ. შარაფუტდინოვი, ან მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში, ხვარაზმელთა ძლიერების დროს; ან, უფრო საფიქრებელია, მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც თემურ-ლენგმა, უზბეკისტანის ხანმა, დაიპყრო მთელი შუა და წინა აზია, მათ შორის კავკასიაც. ამ ხნის შემდეგ შეუძლებელია „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი იქ საქართველოდან შესულიყო, ვინაიდან თემურ-ლენგის მიერ შექმნილი იმპერია მალე დაიშალა, რის შემდეგ უზბეკისტანს არასოდეს აღარ

უთამაშნია საერთაშორისო როლი და კერძოდ საქართველოსთანაც აღარ ჰქონია უშუალო კავშირი.

მაშასადამე, რაკი უზბეკისტანში „ვეფხისტყაოსნის“ გავრცელების უგვიანეს ხანად მე-14 საუკუნის მიწურული შეგვიძლია ვთქვათ, გამოდის, რომ პოემის უზბეკური ვერსიები გვახლტეხნენ ქრისტიანული ხანას, თუ მეტი არა, სამი საუკუნით მაინც, ენაიდან „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი უძველესი ხელნაწერები მე-17 საუკუნით თარიღდებიან. ამის გამო ამ ვერსიების მოპოვებას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა პოემის გარშემო, როგორც ტექსტუალური, ისე სხვა ხასიათის კვლევა-ძიების წარმოებისათვის.

კერძოდ, უზბეკური ვერსიები სავსებით სრულსა და გადამწყვეტ მასალას იძლევიან თანამედროვე რუსთაველოლოგიაში ერთი ყველაზე უფრო საკამათო საკითხის გარშემო. ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხი. გავეცნოთ მის ისტორიას მოკლედ. 1924 წელს „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობის დროს ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ პოემის დაბოლოება არ იყო მართებული არც ბეკტდვითს გამოცემებში, არც ხელნაწერებში: პირველში მას აშკარად ემჩნეოდა ხელოვნური შემოკლება, მეორეში კი ზედმეტი გაჭიანურება. ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეკტდვითი გამოცემის რედაქტორს, ვახტანგ მეფეს, პოემისთვის ბოლო თავები მოუკვეცნია. ეს აზრი ზოგიერთ სხვა მკვლევარსაც ჰქონდა გამოთქმული მანამდის, მხოლოდ გარკვეული შეხედულება, თუ სად უნდა თავდებოდეს ნამდვილად პოემა, არავის წამოუყენებია. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტად და სტილისტურად განხილვამ ცხადპყო ჩვენთვის, რომ პოემის ნამდვილ დასასრულს წარმოადგენს ევრედწოდებული ინდო-ხატაელთა ამბავი, რომელშიც აწერილია ტარიელის დაბრუნება ინდოეთში, მის მიერ იქ ხატაელების დამარცხება და გამეფება. მთელი რიგი დასაბუთების შემდეგ ეს შეხედულება რეალურად განვახორციელეთ 1934 წელს ჩვენის რედაქტორობით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“. ამ გამოცემამ უდიდესი დავა და კამათი გამოიწვია, როგორც პრესაში, ისე, უმთავრესად, მოხსენებათა სახით. იდგილი ჰქონდა ნამდვილ ლაშქრობას პოემის ახალი დაბოლოების წინააღმდეგ. ასეც უნდა მომხდარიყო. სხვანაირად არც არის შესაძლებელი მეცნიერების ნამდვილი წინსვლა და მიღწევებით გამდიდრება. ახალი აზრი მეცნიერებაში ზოგჯერ სიმაართლეს შეიცავს, ზოგჯერ კიდევ უმართებულოა და, მაშასადამე, საკამათო. ორივე შემთხვევაში ბრძოლამ უნდა გამოარკვიოს ძველის და ახლის ურთიერთობა.

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი დაბოლოების წინააღმდეგ ჩვენ იმთავითვე ისეთ ძლიერ შემოტევას მოველოდით, რომ არც მიგვაჩნდა შესაძლებლად მისი გამარჯვება უახლოეს წლებში. მაგრამ მოხდა ერთი გარემოება, რომელსაც, უეჭველია, წინასწარ ვერ გავითვალისწინებდით. სწორედ იმ ხანებში, როდესაც პოემის ჩვენი რედაქცია გამოქვეყნდა, პარ-

ტიამ და ხელისუფლებამ დაადგინა რუსთაველის იუბილეც ვადანდა, რამაც მხურვალე გამოხმაურება პპოვა მთელს საბჭოთა კავშირში, საიუბილეო სამზადისის ერთ-ერთ მთავარ საქმიანობად მიჩნეულია. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დადგენა. ამისათვის შედგენილი იქნება ტექსტის დამდგენი სამუშაო კომისია, რომელშიაც პოემის ყველა ცნობილი მკვლევარი შედიოდა. გარდა ამისა, საიუბილეო კომიტეტმა გამოაქყო მთავარი სარედაქციო კომისია, რომელსაც კონტროლი უნდა გაეწია პირველი კომისიის მუშაობისათვის. მუშაობა პირველ კომისიაში უმთავრესად „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების გარშემო ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. ვინაიდან, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა სახელმწიფო პოლიტიკურ საქმედ გადაიქცა, ამიტომ პარტია და ხელისუფლება დიდის ყურადღებით ექცეოდა მას. განსაკუთრებული სიფხიზლით ადევნებდა იგი თვალს. პოემის დაბოლოების გარშემო აღძრულ დევას, რათა მის ორგანოს, მთავარ სარედაქციო კომისიას, შეეცდომა არ დაეშვა, როდესაც საქმე საბოლოო სიტყვის თქმაზე მიდგებოდა. საკითხი იმდენად ამომწურავად იქმნა შესწავლილი და საზოგადოებრივი ინტერესი მისდამი იმდენად გაიშალა, რომ შეეცდომა მისი გადაჭრის დროს აღარ იყო მოსალოდნელი. მართლაც ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ უარყო ტრადიციული ვახტანგისეული რედაქცია და მიიღო პოემის ტექსტი ახალი სრული დაბოლოებით.

აქ უნდა აღინიშნოს ხაზგასმით ერთი გარემოება. „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ძველი მკვლევარი ცდილობს რუსთაველოლოგია დასახოს ისეთ ვიწრო-სპეციალურ სამეცნიერო დისციპლინად, როგორც არის. მაგალითად, ქიშია, კრისტალოგრაფია და სხვა. მათის აზრით, რუსთაველის პოემის გარშემო ნაზღვილად მეცნიერული კვლევა-ძიების წარმოება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც არაბულ-სპარსული ენა იცის. ამ შეხედულებას განსაკუთრებით ის მკვლევარები იცავენ, რომელთაც არაბულ-სპარსული ან სრულებით არ იციან, ან იციან მხოლოდ არაბული ანბანი და მისი საშუალებით ლექსიკონებში უცხო გაუგებარ სიტყვებს ათვალთვარებენ, რასაც, როგორც ვიცით, არა ერთი და ორი კურიოზი მოჰყოლია შედეგად. ჩვენ ამით სრულიადაც არ გვინდა ვსთქვათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო კვლევითი მუშაობა სპეციალურ ცოდნას არ საჭიროებს. ჩვენ იმას ვფიქრობთ მხოლოდ, რომ რუსთაველის პოემის მთავარი საკითხები, კერძოდ, სიუჟეტისა და ფაბულის განვითარების საკითხი ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობის კომპეტენციას შეადგენს, იგი, მაშასადამე, სცილდება წმინდა ლინგვისტური კვლევაძიების ვიწრო ჩარჩოებს და სამართლიანად ხდება ფართო საზოგადოებრივობის მსჯელობისა და აწონ-დაწონის ობიექტად. ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების დადგენაში ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების გარკვეულ აზრს, რომელიც უძველად საზოგადოებრივი შეხედულების ნიადაგზე განმტკიცდა, ათასჯერ მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე რამდენიმე გაჯიუტებული მკვლევარის მოსაზრებას. უკანასკნელთა კაპიტულიაცია ამ

საკითხში არც ისე ადვილი საქმეა: სხვას რომ ყველაფერს თავა დაეანებოთ, ეს იქნებოდა სრული უარყოფა მათ მიერ თავიანთი წინანდელი ნაშრომებისა და ამ დარგში.

ჩვენ დავინახეთ, რომ უზბეკური ვერსიები შესანიშნავად ეკვსტურებენ პოემის ახლად დადგენილი დაბოლოების კეშმარტებას. ტარიელისა და მისი მეგობრების ბრძოლა ხატაელებთან ინდოეთის განთავისუფლებისათვის ბევრად უფრო დაწვრილებით არის აწერილი ფაზილი-იულდაშევის მიერ ნაამბობ პოემა-ზღაპარში, ვიდრე „ვეფხისტყაოსანში“. „ბატირ-არსლანიც“ გარკვეულად მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ აფრიკელების მიერ დაპყრობილი ეგვიპტე ძმადნაფიცებმა გაანთავისუფლეს და გასწმინდეს მტრისაგან. ინდო-ხატაელთა ამბის ერთი საინტერესო მომენტი, როდესაც ვაჟრები უამბობენ ტარიელს მისსავე ამბავს და არ იციან, რომ თვით ეს კაცია ტარიელი, ასახულია „ბატირ-არსლანში“ ვაჟართა ზომალდზე ბახრამის მოხვედრის დროს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პოემის ვრცელ ხელნაწერებში არსებული, მაგრამ ახალი დაბოლოებით უარყოფილი ბოლო თავები ხვარაზმელთა შესახებ, უზბეკურ ზღაპრებშიაც არა სჩანს. საერთოდ, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ კვლევა-ძიების დასკვნათა ასეთი ბრწყინვალე დადასტურება შემდეგ აღმოჩენილი ფაქტებით ტექსტოლოგიაში ძალიან იშვიათად მომხდარა.

უზბეკური ვერსიები ადასტურებენ აგრეთვე ერთ დეტალს პოემის ახლად დადგენილ ტექსტში, იგი უაღრესად საინტერესო მოვლენაა და ამიტომ საჭიროა მისი განხილვაც. საქმე შეეხება ასმათს. პოემის ყველა ბექდვითს გამოცემაში, რომლებიც წინ უსწრებდნენ ჩვენს რედაქციას, ასმათი რჩება ტარიელისა და ნესტან-დარეჯნის გაუთხოვარ შინამოახლედ. ახალ რედაქციაში კი მას ათხოვებენ. თუ მთლიანად ინდო-ხატაელთა ამბავი „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ძველ ხელნაწერში მოიპოება, მისი ეს დეტალი — ასმათის გათხოვება, — რომელიც სამ ტაეპშია მოთხრობილი (1727 — 1729), შემონახულია მხოლოდ ორი ძველი ხელნაწერის მიერ №№ 4499 და 461.. ამის გამო ამ დეტალის შეტანას კრიტიკულ ტექსტში, გარდა ლოგიკური მსჯელობისა, მეტად მცირე საფუძველი ჰქონდა. გავიხსენოთ ის მსჯელობა, რომელიც საფუძველად დაუდევით ამ ტაეპების ორიგინალურად აღიარებს. „ვეფხისტყაოსნის“ 1934 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ვწერდით (XXXVI — VII გვ.):

„ასმათი თურმე დათანხმებულა ბოლოს ტარიელის წინადადებაზე და გათხოვილა ჩვენ კი გვეგონა, ვახტანგ მეფის რედაქციის წყალობით, რომ იგი საუკუნო მოახლედ დარჩა. როდესაც ამ ტაეპს თავის ადგილზე გკითხულობთ, სრულიად უსაფუძველ ხდება მის სინამდვილეში ეჭვის შეტანა. პოემის რამდენიმე ადგილიდან სჩანს, რომ ასმათი ლამაზი და ახალგაზრდა ქალი იყო; მას თვით ჰყავდა საკუთარი მონები (434). პირველად მისი ნახვის დროს ავთანდილს ეგონა, რომ ის და ტარიელი ერთმანეთის მიჯნურები იყვნენ (276). ტარიელმა წინადადება მისცა ასმათს გათხოვილიყო (1725). ასმათი უარობს

(1726), და ამ უარით თავდება ეს დიალოგი ყველა ბეჭდვითს გამოცემაში. მაგრამ ტარიელი კიდევ იმეორებს თავის წინადადებას. ჩვენ ვიცით, რომ ტარიელს მიუღეს „ვეფხისტყაოსანში“ ყველგან გააქვს თავისი, ყველა იძულებულია მის სიტყვას დაეთანხმოს ან დაემორჩილოს. ამან იმდროინდელად საკმაოდ გაეხსენოთ თათბირი ქაჯეთის ციხის აღების წინ და ტარიელისა და აეთანდილის შეკამათება ფრიდონის კარზე ფრიდონის მოციქულებით. თვით ასმათი შემდეგს ეუბნება აეთანდილს ტარიელის შესახებ (290): „იმა ყმისა მუხებელე ზორციელი არავინა“. რა თქმა უნდა, ტარიელის ნებას ევრც ამ შემთხვევაში აღუდგებოდნენ წინ. ასმათიც ემორჩილება მის ბრძანებას, მით უმეტეს, რომ გულში თვითონაც არადგობი ეგნებოდა გათხოვების საწინააღმდეგო. ამას თუ დავუმატებთ იმ მოსაზრებასაც, რომ რუსთაველი, რომელმაც პოემის დასასრულს თოვლივით დაათოვა ყველას წყალობა და სიხარული (1740), გაუბედნიერებელს არ დასტოვებდა აგრეთვე დიდი ჭირისა და ვიფა-გლახის მწახველს ასმათს, — მაშინ ამ სამი ტაეპის ორიგინალობა ყოველგვარი ეჭვის გარეშე დარჩება“.

ასმათის გათხოვებამ განსაკუთრებული კამათი გამოიწვია უნივერსიტეტში 1934 წ. ჩვენი რედაქციის გარშემო გამართულ დისკუსიაზე. უნდა ითქვას აგრეთვე, რომ, როდესაც კომისიამ მიიღო ინდო-ხატაელთა ამბავი საიუბილეო ტექსტისათვის, ტაეპები ასმათის გათხოვების შესახებ გაიძევა იქიდან; მხოლოდ თავგამოდებული ბრძოლისა და კამათის შემდეგ შევძელით ჩვენ მაინც ბოლოს ამ ტაეპების შეტანა საიუბილეო გამოცემაში.

ახლა ვხედავთ, რომ უზბეკური ვერსია ზედმიწევნით ადასტურებს ასმათის გათხოვების ამბავს. აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ასმათის ტარიელი ესაუბრება ამ საქმეზე, უზბეკურ ვერსიაში კი ნესტანდარეჯანი. ასმათის გათხოვების ფაქტს „ბატირ-არსლანიც“ ადასტურებს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბატირ-არსლანის (ბახრამის) და იგივე სახეშეცვლილი ასმათია.

ჩვენ შეგვეძლო აღგვენიშნა კიდევ ორი-სამი სადაო ადგილი „ვეფხისტყაოსანში“, რომელთა ორიგინალობას უზბეკური ვერსიები ადასტურებენ, მაგრამ უადგილობის გამო ახლა ამაზე ვეღარ შევჩერდებით.

აი ჩვენს მიერ აქ გამოთქმულ შეხედულებათა მოკლე რეზიუმე:

ამჟამად ჯერ კიდევ არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, თუ საიდან შევიდა უზბეკურ ვერსიაში „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტი — საქართველოდან თუ მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებიდან. თუ საქართველოდანაა შესული, იგი შევიდოდა არა უგვიანეს მე-14 საუკუნისა. მაშასადამე, ახლად მოპოვებული უზბეკური ვერსიები გვაახლოვებენ „ვეფხისტყაოსანის“ დაწერის ხანას, ჩვენში არსებული პოემის ძველ ხელნაწერებთან შედარებით, სულ მცირე სამი საუკუნით მაინც. ამიტომ აღნიშნულ ვერსიებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ რუსთაველოლოგიაში როგორც მომავალი კვლევა-ძიებისათვის, ისე ჩვენს დროს ჩატარებული ტექსტუალური კვლევის შედეგების შესამოწმებლად. კერძოდ, მათის მეოხებით დასტურდება პოემის ოფიციალურად მიღებული ახალი დაბოლოების მართებულობა, რაც განსაკუთრებული დავასა და კამათს იწვევდა ჩვენში. და-

სტრუქტურა არა მარტო აღნიშნული კვლევა-ძიების კეზმარტები, არამედ აგრეთვე ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მიერ ამჟამინდელ ფონიერული და ხწორი გადაჭრის ფაქტი.

БИЗЛИҚИТИ

არასოდეს „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო კვლევითი მუშაობის წარმოებისათვის არ ყოფილა შექმნილი ისეთი ხელსაყრელი პირობები, როგორც ჩვენს დროშია. არასოდეს „ვეფხისტყაოსნისა“ და მასთან დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს არ ჰქონიათ ისეთი ფართო რეზონანსი, როგორც დიდი სტალინის ეპოქაში აქვთ. შესაძლებელია შორს აღარ იყოს ის დრო, როდესაც რუსთაველის უკვდავი პოემა, მთელი მისი ფოლკლორული გარემოცვით, საერთაშორისო ლიტერატურული კვლევა-ძიების ობიექტად გადაიქცევა.

კაბატა გუგუშვილი

ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში

ტყვეებით ვაჭრობა მე-19 საუკუნეში

ტყვეების ყიდვა-გაყიდვა ან სხვა საქონელზე გადაცემა საქართველოში მე-19 საუკუნემდეც ხდებოდა და უფრო მეტადაც იყო განვითარებული. ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეებს, გურიის, სამეგრელოს და აფხაზეთის მთავრებს დამპყრობელი ქვეყნებისათვის, ძლიერი მეზობლებისათვის, პერიოდულად თუ ერთდროულად გადასახდელი ხარკი ხშირად აღამიანთა (უფრო მეტად ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა) განსაზღვრული რაოდენობის გაცემით უნდა გადაეხადათ და თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო უცხო საქონელიც ტყვეებზე გადაცელით უნდა შეეძინათ.

რუსეთის მეფისათვის 1639 წელს შირთმეულ ბარათში თეიმურაზ პირველს აღნიშნული აქვს, რომ დადიანი და გურიის მთავარი ყოველწლიურად ჰყიდიან ახალგაზრდებს პირველი 10-15 ათასი, ხოლო მეორე 10-12 ათასი კაცის რაოდენობით¹⁾. მაგრამ ეს ცნობა გადაჭარბებული უნდა იყოს, რაც იქიდანაც ჩანს, რომ იმავე ხანებში, კათოლიკე მისიონერთა მიერ შეკრებილი ცნობებით, სამეგრელოდან ყოველწლიურად ვაჭყავდათ დაახლოვებით 2 ათასი კაცი. ხოლო მიქელ თამარიშვილის მიერ თავმოყრილი ცნობების თანახმად, შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებიდან ყოველწლიურად გაყიდულ ტყვეთა საერთო საშუალო რაოდენობა იმ დროს არ აღემატებოდა 4 ათას კაცს.²⁾

კერძოდ, სამეგრელოში რომ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ტყვეებით ვაჭრობა გავრცელებული იყო, ამის შესახებ, სხვათა შორის, საინტერესო ცნობა შემოგვიწვინა იმ ხანებში განთქმულმა მიტროპოლიტმა ნიკიფორემ, რომელიც ქართველ მეფეთაგან მრავალგზის იყო ელჩად მივლინებული ევროპისა და აზიის სხვადასხვა სახელმწიფოში. რომიდან

¹⁾ „Переписка грузинских царей с Российск. государями“, 22—23.

²⁾ მ. თამარაშვილი: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ 1, 1910, ტფ. გვ. 180.

გამომგზავრებული და პოლონეთით რუსეთის მეფის კარზე 1639 წელს გამოცხადებული ნიკიფორე „საელო პრიკაზისათვის“ სამეგრელოს სოციალ-პოლიტიკური ვითარების შესახებ მიცემულ ცნობებზე დასკვნათაშორის, ამბობს:

ПОКАЗАНИЕ

„А чин де уних таков, что владетель их Леонтей или кто будет иной людей тое земли, ково хочет, в иные государства продают и в поминках посылает; да не токмо де, что владетель продает и отец детей и брат брата и муж жену и жена мужа продают и на тавары приезжим торговым людям меняют. А денег де у них нет, торгуют полотны и всякими товарами, которые у них есть, меняют. А ходят наги, только тинные уды прикрыты“^{*)}.

ტყვეების ყიდვა-გაყიდვა და უცხო ვაჭართა მიერ მოტანილ საქონელზე გადაცემა, როგორც ჩანს, სვესებით ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო. მაგრამ, გარდა ამისა, ამავე წყაროების თანახმად, დადიანი ზვანთქარს ხარკს, გარდა ტილოს გარკვეული რაოდენობისა, უხდიდა აგრეთვე ადამიანებითაც — 30—100 კაცამდე ყოველწლიურად. ცნობილი მოგზაური ჟან შარდენი გადმოგვცემს, რომ სამეგრელოდან ყოველწლიურად ჰყიდდნენ და სხვა საქონელზე სცვლიდნენ 12 ათასამდე ტყვე-მონას. აქედან დაახლოებით 3000 კაცი ტყვე გაჰყავდათ მხოლოდ კონსტანტინეპოლში. ტყვეებს სცვლიდნენ ქსოვილებზე, იარაღ-საჭურველზე, აგრეთვე პროდუქტებზე, რომლებიც სამეგრელოში შემოჰქონდათ. შარდენი კოლხეთის სანაპიროებს მოადგა 1672 წლის 10 სექტემბერს. დასავლეთ საქართველოში იგი დარჩა იმავე 1672 წლის დეკემბრის შუა რიცხვებამდე. ამ ხნის განმავლობაში მიღებულმა შთაბეჭდილებამ მას დააწერინა, რომ აქაური (სამეგრელოს) თავად-აზნაურობა:

„ყოველთვის ეძებს შემთხვევას, რათა რისხვად დაატყვევს თავის ყმებს, რომ მოიპოოს რაიმე საბაზი და გაჭიდოს ისინი ცოლ-შვილიანად. ამავე მიზნით მეზობლებს სტაცებენ შვილებს, ჰყიდნიან საკუთარ შვილებს, ცოლს და დედასაც კი. ერთ ერთმა მათგანმა ერთხელ გაჰყიდა რამდენიმე ზღვისი, რომელთაც ზედ მიაცილა თავისი ცოლი, რათა ამ გზით შეეძინა საშუალება შეყვარებული ახალი საცოლის გამოსასყიდად და საქორწინო ხარჯებისათვის. როგორც მეგრელები, ისე გურულები ტყვეებს იტაცებდნენ მეზობელ ხალხებისაგან. ვინც ომის დროს ტყვეს ხელთ ჩაიგდებდა, იმას შეუზღუდველი უფლება ჰქონდა ტყვის სიკვდილ-საციოცხლეზე და შეეძლო თავისი სურვილისამებრ მოეტყეოდა მას. ჩვეულებრივად ტყვეს აქცევდნენ მონად და ჰყიდნიან თურქებზე“.

იგივე შარდენი მოგვითხრობს, რომ გემი, რომლითაც ის საქართველო-საკენ მოემგზავრებოდა, მოადგა სამეგრელოს ნაპირს, სადაც ასიოდე ნაბიჯის მანძილზე იყო „სამეგრელოს მთავარი ბაზარი“. შარდენს სურდა იქ ეყიდა თავისთვის სურსათ-სანოვავე, მაგრამ „არაფერი არ მოიპოვებოდა

) Показание грузинского посла митр. Никифора о Дадианской земле იხ. С. А. Белокуров: „Материалы для Русской истории“ 1888, М. გვ. 267.

ბაზარზე, გარდა ჯაჭვებით შებორკილი მონებისა და შვილდ-ისოთ შეიარაღებული თორმეტიოდე ტიტველი შიშის მომგვრელი ზედამხედველისა. შარდენი დასძენს: „სხვადასხვა ჰასაკისა და სქესის მონათა ესეთ-მა რაოდენობამ, რომელთაგან ერთნი შებორკილნი იყვნენ ჯაჭვებით, მეორენი ერთმანეთზე გადაბმულნი, ამ საბაჟო ზედამხედველებმა თავიანთ ყაჩაღური და ბოროტი სახით საშინელი შთაბეჭდილებით აღსავსეს ჩემი წარმოდგენა“.

თვით იმ გემზედაც, რომლითაც ეან შარდენი სამეგრელოს სანაპიროს მოადგა, სწარმოებდა მონებით ვაჭრობა. ეს გემი წარმოადგენდა „საპყრობილეს მონებისათვის“. ამ გემზე ყოველ საღამოს მონებს (ტყვეებს), ბავშვებსაც-ი ერთი-მეორეზე გადააბამდნენ წყვილ-წყვილად, ხოლო დილას ჯაჭვებს ახსნიდნენ; ეს ხმაურობა არასოდეს არ მძღვედა მოსვენებას და მწუხარებით მავსებდა... დილ-დილაობით ხმელეთზე ყოველთვის ჩნდებოდა ცეცხლი, რაც იმ ადამიანების ნიშანი იყო, რომელნიც ჰყიდდნენ ტყვეებს ან სხვა საქონელს.¹⁾ ამ გემზე, როდესაც ის შარდენმა დასტოვა, უკვე ყოფილა 40 მონა, რომლებიც „გემის კაპიტანმა, თურქმა და ქრისტიანმა ვაჭრებმა შეიძინეს იარაღზე, ტანისამოსზე და სხვა საქონელზე გადაცვლით“. 25—40 წლის ჰასაკის მამაკაცი მათ უჯდებოდათ 15 ეკიუდ, ხოლო უფრო ხნერი 8—10 ეკიუდ. 13—18 წლის ლამაზი გოგო სალდებოდა 20 ეკიუდ და უფრო იაფადაც, დედაკაცი — 12, ხოლო ბავშვი — 3—4 ეკიუმდე. შარდენი გადმოგვეცემს, რომ ერთმა ბერძენმა ვაჭარმა 12 ეკიუთ იყიდა ქალი ძუძუმწოვარა პირშოთი: „ქალი იყო 25 წლისა, წარმტაცი, თოვლივით თეთრი სახით. მე არასოდეს არ მინახავს უფრო ლამაზი მკერდი, უფრო ნაზი კისერი, რომელსაც მთლიანი (უნაკლო) თეთრი ფერი ჰქონდა. ეს ლამაზი ქალი ერთსა და იმავე დროს მაყურებელში იწვევდა ნდომასაც და მწუხარებაში თანაგრძნობასაც“. გემზე მონებს ამუშავებდნენ. ეს ძნელი სამუშაო იყო „და ხშირად ჯოხით აიძულებდნენ მათ“. მაგრამ ლამაზ ქალს სხვა ზედრი უდიმოდა. შარდენი, ეს განთქმული მოგზაური, რომელსაც ევროპის და აზიის მრავალი ქვეყანა მოეარა, სწერს, რომ ძველ დროში „მხოლოდ ერთ იაზონზე სწერდნენ, რომ ის მოვიდა აქ ქალის საქებრად, მაშინ, როდესაც ახლა მთელი აღმოსავლეთიდან მოდიან აქ ქალებისათვის. ფასი, რასაც იხდიან აქ მათთვის (ქალებისათვის), მართლაც ხდის მათ ოქროს ვერძად“.¹⁾

შეიძლება სხვა ცნობების მოყვანაც იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მასობრივი და, მაშასადამე, მოსახლეობის ძირითადი მასებისათვის განმანადგურებელი იყო მონებით ან ტყვეებით ვაჭრობა კერძოდ დასავლეთ საქართველოში. იგი საესებით სისტემატიურ ხასიათს ატარებდა და გარკვეულ ორგანიზაციულ ფორმებსა და ნორმებში იყო ჩამოყა-

¹⁾ Ж. Шарден: „Путешествие по Закавказью в 1676—1673 г. г.“, 1901. Тиф. 83-36—109, 143.

ლიბებულო, იგი საექსპორტო ვაჭრობის ძირითად საგანს შეადგენდა და ამდენად ერთგვარი მოქალაქეობა-მოპოვებული მესარეწეობა იყო.

ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ სათანადო წრეებს, განსაკუთრებით ეკლესიას, მოსახლეობის მასებში ნდობისა და პატივისცემის შენარჩუნების მიზნით, ერთგვარი ბრძოლა უნდა ეწარმოებინა. თუმცა ამ გარემოებას არსებულ პირობებში შეუძლებელია რაიმე რეალური შედეგი მოპოვოლოდა, მაგრამ მაინც საინტერესოა ის დოკუმენტები, რომლებიც გვიჩვენებენ ამ ბოროტების წინააღმდეგ ეკლესიის მესვეურთა ბრძოლას, საინტერესოა თუნდაც იმ მხრივ, რომ ეს დოკუმენტები გვაცნობებენ, თუ რამდენად იყო გაბატონებული იმდროინდელ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობა, რაშიც თვით ხელისუფლებაც-კი, თავადაზნაურობის სახით, აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

მაგალითად, მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში მამია გურიელი პირობისა და ფიცის წიგნს აძლევს გარეჯის ნათლისმცემლის უღაბნოდან.

„ბრძანებათა მღრთისათა მისაქცევლად ზენთვის წარმოგზავნილსა მამასა ჩვენსა წმინდასა ბესაროვნს, ამა პირსა ზედან, რომე ჩვენს საბატონოშიდ მოხელით და ტყუის აღთქმისა დადება გვიქადაგეთ, ჩვენცა შევისწავეთ და ჩვენსა საბატონოს კაცსა გაუსყიდველობისა აღთქმისა საფიცარი გამოვართეთ, რომ ჩემსა საბატონოს კაცმა ტყვე ველარ გასყიდოს და ჩვენცა ეს აღთქმა დაგვიც დღეს ამას ჩქით ჩენთვის საქნელად და სასარგებლოდ რომ მოიხმარებდეს და ან სასმელსაჰმელშიდა ჩვენ ტყვე აღარ გაესყდოს; ვინცა ჩვენმან ყზამან ეს ფიცა და პირობა მოგვცა და გაგვმოტყუნდის, რაც ლმერთისა და ბატონის შემოცოდეს სიამე ფერობდეს, იმ რიგად მოვეყრათ; რაც ზვანთქარისა და ვეზირის მართებულობა და საბრძანებელი შემოგვივარდეს, რომ მარისაგან არ ვიზაროდეთ, ან ქვეყნის შემოსავლები საქმე მოგვიბდეს, თვარა მას გარეთ ეს ასე გაგითათო. ამ ქვეყნის კაცსა და ან ჩვენ სასახსროთ ცოლი ან შეილი, მამა ან ყმა არ შეგვექნას, იმას გარეთ ასე გვათავაგოთ, არც ჩემს ქრთამშიდ ყმას ტყვე გავაყიდვიანო“¹⁾.

როგორც ამ დოკუმენტიდან სჩანს, ტყვეების გაყიდვა, მაშასადამე წარტყვევენაც, ე. ი. ადამიანთა მოტაცება გასასყიდად ან გადასაცვლელად, ხდებოდა უმთავრესად არა მარტო უცხოეთიდან მოტანილ ფუფუნების საგანთა შეძენის მიზნით, არამედ „ზვანთქარისა და ვეზირის“, ე. ი. დამპყრობელი მეზობლისათვის ხარკის გადასახდელადაც. ეს უკანასკნელი ისეთი ძალა იყო, რომელსაც გურიელი უარს ვერ ეტყოდა, თუნდაც ყველა ლმერთი და წმინდანი ასჯანყებოდა.

ტყვეებით ვაჭრობა გავრცელებული იყო არა მარტო დასავლეთ საქართველოში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიაც, თუმცა შედარებით უფრო ნაკლებად. 1712 წელს „დედოფალთ დედოფალმან პატრონმან რუსუდან“ და მისმა ძემან ბაქარმა დომენტი კათოლიკოსს პირობის წიგნი მიართვის:

¹⁾ „Акты Арх. Ком.“ т. 1, 1866, 52—53 ეს დოკუმენტი მეორედ დაბეჭდა ს. კაკაბაძემ: „საისტორიო მოამბე“, 1925, ტფ., ტ. I გვ. 182—183.

რომე ზოგს ერთს ალაგას ტყვის სყიდვა გამოჩნდა და თქვენ ერთი მართებული იყო ერთი იწყინეთ და გამოეციდნით. ახლა ეს ალტკმა დაგუდვია თქვენს წინაშე: სადაც ან საიდოფლოში და ან საფულიაწულოში, ან კაცა ჩვენს საბატონოსა და მამულში და ან ტყვის გამსყიდველი გამოჩნდეს და ან გაყიდოს ვინმემ და ან საყვენოს გარდა ჩვენს საბატონოში ტყვე მოიგვანოს განასყიდელი და მყუანდეს ვინმე და წაართვათ და თქვენ გაუწერეთ და გამოეჩანეთ, მოიკითხოთ, არცა ვის ამისთანა საქმე აქნევინოთ არც ვიწყინოთ და დიდათაც ხელი მოგიმართოთ⁴.

ამას გარდა, 1747 წელს მთელი რიგი თავად-აზნაურნი — ავალიშვილები, როსტომაშვილები, აჯიაშვილები, ჩიკოტიძეები და სხვები პირობის წიგნს აძლევენ ანტონ კათალიკოსს: „ასე და ამა პირსა ზედან: ჩვენ ოჯახსა და ყმასა და მამულში მრავალი ბოროტი საქმე და უკეთურობა იყო: ტყვის სყიდვა, კაცის კვლა, კაცთა ძარცვა, მრუშება და მრავალი სჯულის გარდამავალი ბოროტი მოქმედება“. ხოლო ამიერიდან „ამას იქით არც ვავეროთ ტყვის სყიდვაში“ და სხვა ზემოხსენებულ ბოროტებაშიო. მაგრამ ამისთანავე პირობის წიგნში ქვემოთ ნათქვამია: „ვინ იცის სახელმწიფოთ ტყვე ითხოვონ, ისიც თქვენ მოგახსენოთ, შეგატყობინოთ, თუ ჩვენს საბატონოში ტყვე გაყიდოს ვინმე, თუ შევიძელით, დავიჭიროთ ის ტყვეცა და ტყვის გამყიდველიც და იქ გაახლოთ“. ეკლესიის მეთაურისა თუ სხვა წარმომადგენლისათვის ხელისუფალთა და ცალკე ფეოდალთა მიერ ამგვარი პირობის მიცემა თავისთავად უკვე მოწმობს იმას, რომ ტყვეებით ვაჭრობას ისე მაგრა გაედგა ფესვები, რომ კათოლიკოსის კანონები უძლური ყოფილა ამ ბოროტების წინაშე. კათოლიკოსის კანონები კი ეკლესიიდან გარიცხვით და შეჩვენებით ემუქრებოდნენ ტყვეებით მოვაჭრეს, თავადი იქნება იგი, აზნაური თუ გლეხი. როდესაც გამოაშკარავებული და აღმოჩენილი იქნებოდა ადამიანის გამყიდველი, ამ უკანასკნელს ევალებოდა დაეხსნა და წინანდელ საცხოვრებელში დაებრუნებინა გაყიდული და, გარდა ამისა, გადაეხადა ჯარიმა როგორც გაყიდულის ბატონისათვის, ისე ადგილობრივი ეპისკოპოსისათვის, ხოლო გაყიდული ტყვის არ დამხსნელ გამყიდველს ჩამოხრჩობა მოელოდა.⁵ მაგრამ კანონი ერთი იყო და მისი ასრულება მეორე. უფლებებო და დამოუკიდებელი მოსახლეობის ბედის დაცინვა იყო ის, რომ ეპოქის ჰუმანიستي კანონმდებელი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აწესებდა რა ბაეებს ტყვეებით ვაჭრობაზე, ამით მის ლეგალობას აღიარებდა.

როგორც სჩანს, ტყვეებით ვაჭრობის მოსპობის საქმე Circulus vitiosus-ში ტრიალებდა. საქართველოში ტყვეებით ვაჭრობას განსაკუთრებით ხელს უწყობდა თურქეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანური ქვეყნების (ჩერქეზეთი, ყაზარდო, დაღესტანი და სხვ.) მეზობლობა, სადაც ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლური და პატრიარქალური

⁴) „Законы католиковосные“. იბ. „Сборник законов царя Вахтанга VI, и баქრატის რედაქციით“ 1887 წ., გვ. 130.

⁵) ვახტანგ IV „ასტურლამაღი“, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1886, ტფ., გვ. 82.

ტიპის მონობის ძლიერი ნაშთები. შეიძლება მეტის თქმაც, მაგ. 18 საუკუნეში საქართველოს მეზობლად მდებარე თურქეთის სამეცხოველოთა ფაშები და სერასკირები, რომლებიც თავზარს სცემდნენ და უფლებდნენ სამთავროებად დაყოფილ საქართველოს და მთელ ამხრანს, ხშირად აშკარად მოითხოვდნენ მონობით ვაჭრობას და ილაშქრებოდნენ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობის მოსპობისაკენ მიმართულ ღონისძიებათა წინააღმდეგ.

ასე, მაგ., როგორც 1759 წ. შედგენილი ერთი შესანიშნავი საბუთი ვადმოგვცემს, იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს სასულიერო და საერო ფეოდალები აღშფოთებულან იმის გამო, „რომ ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი და საზარელი სიტყვა შემოგვითვალა, რომ ადამის ტომს არც პირველსმენია და არც შემდგომისმინება ამისთანა საშინელი, სასმენელად საზაროს სიტყვა: ტყვეს თუ არ გააჰყიდით, არ იქნებაო“. დასავლეთ საქართველოს ხელისუფალნი კოლექტიურ პირობას სდებენ: „სანამ სული გვიდგას, ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ, კიდევ ერთმანეთს მიუდგეთ, კიდევ მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელი ვიქმნეთ“. იმერეთის მეფეები სოლომონ პირველი და სოლომონ მეორე იბრძოდნენ ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ, მაგრამ როგორ შეეძლოთ სოლომონ მეფის ბრძანება შეესრულებინათ და ხვანთქრის (სულთნის) ფაშის წინააღმდეგ წასულიყვნენ, როდესაც თვით იმერეთის მეფე, დადიანი და გურიელი უფრო ხშირად ერთმანეთს ებრძოდნენ, ხოლო ყოველი სამთავროს შიგნით თავებედი ფეოდალები ერთმანეთს ყმებდა და ქონებას სტაცებდნენ და ცალ-ცალკე თუ ჯგუფ-ჯგუფად მთავრებისა და მეფის წინააღმდეგ იყვნენ შეთქმულნი თუ აჯანყებულნი? როგორ შეეძლო იმერეთის მეფის ბრძანება შეესრულებინა გურიელს, რომლის თვით ამ პირობისა და აღთქმის წიგნზე დასმული ბეჭედიც ღალატდებდა: „მონა ვარ ლეთისა, ძმახონთქრისა, ხანი გურიისა“! განა შეიძლებოდა „ხოთქრის ძმობისა“ და იმერეთის მეფის ვასალობის შეთანხმება ფერამენობისა და კოტიურნობის გარეშე?

აკი სოლომონ პირველი იძულებული გამხდარა ელიარება, რომ ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ მისმა ღონისძიებამ მიზანს მხოლოდ მცირედად მიაღწია: 1768 წლის 23 ივნისის თარიღით ეკატერინე მეორესთან გაგზავნილ მიმართებაში სოლომონ პირველი სწერს, რომ ხვანთქრის სერასკირებსა და ფაშებს ჩემგან მრავალგზის „ტყვის ხარაჯა და ტყვე უთხოვიათ“, და რომ არ მიმიცია, ზამთარ და ზაფხულ ომი გვქონნა ძლიერიო.²⁾

1) *Акты*, Т. I, стр. 57—58.

2) Проф. А. Сагареян, ГИДОГ, Т. II, № II, стр. 2.

მე-18 საუკუნეში საქართველოდან ტყვეები გაჰყავდათ მარტო-თურქეთში, არამედ ეგვიპტესა და ჩრდილოეთ კავკასიაშიც. 1771 წ. ყაზარდოს ვითარების შესახებ უცხოეთის საქმეთა კოლეგიაში მუხარებელ-რინე მეორისთვის მირთმეულ უქვეშევრდომილეს მხსენებმაში ტყვეობის-ლობა:

„Грузинцев же кабардинцы сами не паенят, а достают они от Кумык, от Кубанских и Крымских татар, нарочно в кумыцкия жилища и в прочие дагестанския места ездящих, чтобы невольников покупать от ле-згинцев, которые пленя их в Грузии, туда привозят“¹⁾.

ტყვეებით ვაჭრობა განვითარებული ყოფილა ოსეთშიაც. ვახუშტი ბატონიშვილი (1694—1776 წ. წ.) ოსების შესახებ სწერს, რომ ისინი არიან „ტყვის მყიდველნი, განა არა თვისთა ჰყიდიანო“ ცხადია, რომ თუ „არა თვისთა“ ტყვეებით ვაჭრობდნენ, მათ, სხვათა შორის, ქართველ-ტყვეებით ვაჭრობაც უნდა ეწარმოებიათ.

ოსეთშიც, სწერს ვახუშტი, „არა უწყყიან თეთრი (ფული), არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე, და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით.“²⁾ როგორც ხედავთ, ტყვე (მონა) სხვა საქონელს შორის აღებ-მიცემობის ჩვეულებრივ საგანს შეადგენდა, როგორც მთელ იმდროინდელ საქართველოში, ისე ოსეთშიაც.

კ. მარქსი გვასწავლის, რომ „ფულადი ფორმა უკავშირდება ან გარედან შემოტანილ უმნიშვნელოვანეს საქონელს, რომელიც ნამდვილად ადგილობრივ პროდუქტთა საცვლელი ღირებულების გამოაშკარავების ბუნებრივად აღმოცენებული ფორმაა,—ანდა მოხმარების საგანს, რომელიც ადგილობრივი გასასხვისებელი ქონების მთავარ ელემენტს შეადგენს, მაგალითად, შინაური საქონელი... ადამიანი ხშირად თვით ადამიანს მონის სახით ფულის თავდაპირველ მასალად იყენებდა“³⁾. განთქმული გეოგრაფი ვახუშტი ვაძმოგვეცემს, რომ იმდროინდელ ოსეთში, სადაც ბატონობდა პატრიარქალური ურთიერთობა და პრიმიტიულ-ნატურალური მეურნეობა, სხვა საქონელთა შორის ადამიანიც (ტყვე) ფულის როლში გამოდიოდა.

ამავე დროს ხევსურეთში და სვანეთში, როგორც ჩანს, ტყვეებით ვაჭრობა სრულიად უცნობი ყოფილა. კერძოდ, სვანეთის შესახებ ვა-

¹⁾ АКТЫ, Т. VI, ч. II, гл. 801.

²⁾ ვახუშტი ბატონიშვილი: „საქართველოს გეოგრაფია“, მ. ჯანაშვილის რედაქციით, გვ. 183—185.

³⁾ კ. მარქსი: „კაპიტალი“, ტ. I, 54. გეორჯ ინტერიანი (Interiano) 1551 წელს ჩერქეზეთის შესახებ სწერდა, რომ იქ-ური ახნაურები „გლეხებს სტაყებენ არა მარტო პირუტყვს, არამედ ბავშვებსაც გასასყიდად. ამ ქვეყანაში, განსაკუთრებით შიდა კუთხე-ებში არ არის ფული და ამიტომ ყველა გარიგება ბაკასინებზე (baccasini) ანუ სახალათე ტილოს ნაჭერზე სწაჩაობება“ (ციტატი მოგვეყვს ფრ. დილბუას მიხედვით).

ხუშტი გადმოგვეცემს: „თუ შევიდეს მუნ (სვანეთში) სასიკეთოდ ანუ ტყვე- ვერა რაისლა უყოფენ, განა განუტყევენ თაქისუფლად“. ¹⁾ ამ ფრიად საინტერესო ცნობაში, სხვათა შორის, შეიძლება იხსენიებოდეს, რომ საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში ტყვეებით ვაჭრობის განვითარება, როგორც შემოთ მოყვანილ სხვა მასალებიდანაც გამოსკვივის, შედეგი იყო მეზობელი მუსულმანური ქვეყნების გავლენისა, ხოლო იქ, სადაც, მიუვალობის გამო, ეს გავლენა ვერ სწვდებოდა, ტყვეებით ვაჭრობა უცნობი იყო. მაგრამ ამასთან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ იქ, სვანეთსა და ხევსურეთში, ტყვეებით ვაჭრობის შეჭრას და გაჩენას ხელს უშლიდა ადგილობრივი პირველყოფილი თუ მეორედ, ან იქნებ, შესაძლედ წარმოქმნილი საგვარეულო პატრიარქალური ყოფიერება, რაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ დაეშალა საბოლოოდ გაცელა-გამოცვლას. იქ ჯერ კიდევ არ იყო ცივილიზაცია საკმაოდ განვითარებული, იქ ჯერ კიდევ ვერ აღმოეჩინათ ის „დიდი ქეშმარიტება, რომ აღამაინიც შეიძლება საქონელი გახდეს“, ²⁾ მაშინ, როდესაც ბარში, სადაც ვხე ვახსნილი ჰქონდა გარეშე გავლენას, სატრანზიტო თუ ადგილობრივ ვაჭრობასა და გაცელა-გამოცვლას და სადაც დიდი ხნის წინად ჩამოყალიბებული კლასობრივი საზოგადოება მეტნაკლები ინტენსივობით ვითარდებოდა ქვეყნის ეკონომიური დაჩაივებისა და პოლიტიკური უძლურება-დაქსაქსულობის პირობებში, ყოველმხრივ ხელსაყრელი ნიადაგი იყო ტყვეებით ვაჭრობის განვითარებისათვის.

ხშირი თარეშისა და ომების შედეგად საქართველოში ძველადვე შემოღებული იყო ტყვეთა გამოსასყიდად დაწესებული ბეგარა. ეს ბეგარა, რომელსაც „სატყვეო“ ერქვა, აიკრიფებოდა როგორც ომის დროს, ისე თარეშის მეოხებით ტყვედ ჩაყვანილთა გამოსასყიდად. „სატყვეო“ საკმაოდ მნიშვნელოვანი ზომის ბეგარა ყოფილა, რაც იქიდან ირკვევა, რომ 1722 წლის 6 სექტემბერს გაცემული სიგელით ვახტანგ მეექვსემ ტფილისელი მოქალაქეები, წარჩინებული ვაჭრები და ქეთხუდები გაანთავისუფლა სატყვეო ბეგარის ვალებისაგან. ³⁾

ცხადია, ეს უკანასკნელი გარემოება იმას როდი ნიშნავს, რომ წარტყვევნა და ტყვეებით ვაჭრობა შესწყდა. პირიქით, მას ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშიაც. მოთარეშე ლეკები იტაცებდნენ არა მარტო აღამაინებს, არამედ გაწყობილ გუთნეულსაც ⁴⁾. ასე რომ, თუ არა ჯგუფობრივ და შეიარაღებულად, კაცი ვერ პბედავ-

¹⁾ ვახუშტი: „საქ. გეოგრ.“ გვ. 315.

²⁾ ფ. რ. ვნგელსი: „ოჯახის, კრძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, 1932, ტფ., 211.

³⁾ „Арм“, т. VII, г. II, 772.

⁴⁾ ი. ე. ს. ო. ს. ე. ს. ვ. ი. ო.: „თავდასავალი“, ს. კაკაბაძის რედაქციით, 1913 ტფ., გვ. 77.

და მინდვრად სამუშაოზე გასვლას. მოსახლეობა დროს უმეტეს ნაწილს გამაგრებულ ადგილებში ატარებდა. გათავხედებულე მოთარეშე ლეკები ხშირად თვით ქალაქებსაც-კი ესხმოდნენ.

ერეკლე მეორე ცდილობდა უფრო ორგანიზებულად ეწარმოებია ბრძოლა საქართველოში ლეკთა თარეშის წინააღმდეგ (სხვათა შორის, თვით ლეკთა დაჭირავებული ჯარითაც). ამ მიზნით მან შექმნა მორიგე ჯარის სისტემა. მაგრამ რადგან მორიგე ჯარი მიზანს მხოლოდ ნაწილობრივ აღწევდა, ტყვეთა გამოსყიდვა მე-18 ს-ნის მეორე ნახევარშიაც სახელმწიფოებრივი მზრუნველობის საგანს შეადგენდა. ერეკლე მეორის ინიციატივით, 1789 წლიდან სახელმწიფო ხაზინაში შექმნილ იქნა სპეციალური თანხა „ლეკთა მიერ წარტყვევნილ და დაღისტანსა და ირანში გაყიდულ ქართველების“ გამოსასყიდად. ფულით გამოსყიდვა ტყვეებისა ერთგვარ ხარკად გადაიქცა. სახელმწიფოს შთელი შემოსავლის 20% „გადადებული იყო საქველმოქმედო მიზნებისათვის და ამ ფულიდან მხოლოდ მცირე ნაწილი იხარჯებოდა ჭვრიე-ობლებსა და დავრდომილებზე, უდიდესი ნაწილი კი მიდიოდა ტყვეების გამოსხნაზედ.“¹⁾

ერეკლე მეფემ თავისი მეფობის 30 წლის განმავლობაში, ს. კაკაბაძის ცნობით, ლეკთა მიერ მხოლოდ ქიზიყიდან გატაცებულ ტყვეთა გამოსახსნელად 37 ათასი თუმანი გაიღო.

მოსახლეობის შორის აკრეფილი გამოსაღების შემწეობით სახელმწიფოს მიერ გამოსყიდულ ტყვეს უბრუნდებოდა თავისი წინანდელი წოდებრივი მდგომარეობა. მაგრამ მეტად უნუგეშო პირობებში ვარდებოდა კერძო პირთა მიერ გამოსყიდული ტყვე. დურგალი სიკო აბრამიშვილი გიქორ და დავით ოპანენაშვილებისათვის 1734 წელს მიცემულ ნასყიდობის წიგნში მოგვითხრობს, რომ იგი, თურქთაგან წარტყვევნილი, არაფერს გამოისყიდა, არც თვითონ მოეძეოდა რაიმე საშუალება, რათა თავი დაეხსნა. ამის გამო მიჰყიდა თავისი თავი ნასყიდობის წიგნის პატრონს, რომელმაც თურქთაგან გამოისყიდა, მიჰყიდა როგორც ნიეთი, რომლის გამოყენება მყიდველს საკუთარის სურვილისამებრ შეეძლო.²⁾

აი რას მოგვითხრობს ერთი დოკუმენტი:

„ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი თქვენ ბატონს აბაშიძეს ქიხოსროს... მე იაკოფა ბინიაშვილმა ასე და ამა პირსა ზედა, რომ დავიკარგე და ლეკებმა წამიყვანეს და გამყიდეს. რვა თვე მტყვეთ ვიყავი, რომ პატრონი არავინ გამოპირნდა; მერმე შემოგვებეწე და ღვთის გულისათვის დამიხსენი და ამომიყვანე. ახლა მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩემი თავი ყოვლის კაცის უკოლებლად, ჩემის ცოლშვილით და ძმით. ჩემში მოდავე კაცი არავინ მოგადგეს ღვთის გარდა, სანამდის ვიცოცხლო ან მე და ან ჩემსა შვილმა და მომავალმა. ახლა არის ამის მოწამე და დამსწრე წულუკიძე გიორგი (ბეკელი). ამისი მოწამე ვარ აბაშიძე დავით... ჩვენ სრულიათ ღიხტ იმერეთის უფ-

¹⁾ ს. კაკაბაძე: „საქართველოს ისტორია“ (ახალი საუკუნეების ეპოქა), 1922., ტფ., 184.

²⁾ „Акты“, VI, II, 776.

და მნიშვნელოვან სამხედრო ან ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მი-
ულწევია, ან სამშობლოში დაბრუნებულა. მაგრამ ასეთი რაიმე შედეგითა
გამონაკლისი იყო.

გენერალისთვის

საერთოდ მე-18 საუკუნეში და უფრო ადრე აქაცეკასიიდან წაყვანილ
ტყვე-მონათა მთავარ მომხმარებელ ქვეყნებში, როგორც იყო ეგვიპტე,
სირია, თურქეთი, ირანი, ყირიმი, და სხვ., ყმური შრომის პარალელუ-
რად ფართოდ ხდებოდა მონური შრომის ექსპლოატაცია მიწათმოქმედე-
ბაში, მეჯოგეობაში, ნაოსნობაში (შენიჩბე, მტვირთავი), სახლების, ციხე-
სიმაგრეების, გზებისა და სხვა მშენებლობაში, სამთამადნო სარეწაოებში
და სხვ.

მუსულმანურ ქვეყნებში გაყიდულ ქართველი ტყვეების უმრავლესო-
ბა კი მამაკაცი მონებად იქცეოდნენ ან კიდევ „იანიჩარისა“ (თურქეთ-
ში) და „მამელუკის“ (ეგვიპტეში) მილიციაში მსახურებდნენ, ხოლო ქა-
ლები ბეგების, ხანების, ფაშების, სერასკირების და სხვათა არამხანებს
ამშვენებდნენ ან საოჯახო მონებს წარმოადგენდნენ და სახელოსნოებში
მონურ შრომას ეწეოდნენ.

ერთი დოკუმენტი ამ მხრივ საკმაოდ საინტერესო ეპიზოდს მოგვი-
თხრობს:

„ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე ოდიშელიძე გლახამ თქვენ ციცი-
შვილს მიმბაშ გიორგის, ძმასა შენსა, უფროსსა ბატონს სარდალს, ქალაქის
მოურეს (sic! — მეგრ. მოურავი) დავითს, ძმასა შენსა კონსტანტილესა, ძმის-
წულსა შენსა ილექანდრესა, ესტატესა და ივანესა, ციკოლასა, მომავალთ სახ-
ლისა თქვენისთანა, ასე რომე დავიკარგე ქვეყნის გულისათვინ ყარაულათ, სტამ-
ბოლს ჩამიყვანეს ტყვეთ. ღვთით იყო თუ კაცით იყო ერთს უღვთოს კაცს
წამოყვევ სტამბოლიდან. რაც სულს აქეთ მქონდა, ასოცი ყურუსი, გზაზედ
გამპარცვა და წამართვა, კიდევ მკლავდა. მიმიყვანა ახალციხეს და კიდევ
გამიდა, ჭიაბეგს მიმყიდა. ისევ უკან გამაბრუნეს. როდესაც გამყიდეს, ერთმა
ღვთიანმა ადამიანმა მითხრა თქვენი ახალციხეს ბრძანება. გამოგვზავენ ის დე-
დაკაცი და შემოგვხევეწე, რომ მიშველე რამე შენი ღვთის გულისათვინ მეორე
ტყვეობისაგან; შეგკოდებოდი და ჩემი ხეყნა შეგესმინა, ჩასულიყავი ფაშას-
თან, ჩემი თავი გეთხოვნათ. ფაშას ებრძანებინა თქვენიოინ, ამ შენს ორს ტყვეს
დაგისნი და მოგცემ თუ გინდა ამ კაცს მოგცემო. მე დიახ შეგაწუხე და შე-
გაღონე, შენც შეგეცოდე, როდესაც შეწუხებული მნახე და შენის ორის კაცი-
საგან ხელი აიღე და მე კი დამიხსენ მეორეთ ტყვეობისაგან, ჩემი თავი ირჩიე
და შენის ყმებისაგან ხელი აიღე და ფაშამაც ჩემი თავი გიბოძა, თუ რომ ჩე-
მი გულის მტკივარი პატრონი გამომიჩნდეს და როგორც გამყიდეს, სახსარი
მოგცეს, შენ ჩემთან ხელი არ გექნება და თუ ვერავენ დამიხსნა და სახსარი
ვერ მოგცეს ვერც სხეამ და ვერც მე, შენი ნასყიდი ყმა ვიყო მე ჩემი ცოლი-
თა რაც მყავს ამ შეილებს გარდა, რაც ამას იქით ღმერთთან შეილები არ მომცეს.
იმ შეილებით და ცოლით შენი ყმა ვიყო. ვინც ეს წერილი მოშალოს, თუ არ
იმის მიზეზითა, რაც ამაში სწერია, მასამც რისხამდეს უსაბამო ღმერთი მამა, ძე
და სულიწმინდა, მისი ყოველი წმინდანნი ანგელოზნი მიქელ და გაბრიელ,
თორმეტი მოციქულნი, წმინდა გიორგი და წმინდა ნიკოლოზ და წმინდა ეს-
ტატე. არიან ამისი მოწამე და დამხდური კაცთაგან ორჯონიკიძე გოგია, ტა-
ტისშვილი პაპუნა, ქეშელაშვილი პაპლე, ელგანდაშვილი შიო, და მე გორელს

დოსშვილს ტერ-მინასას დამიწერია ოდიშელიძე გლახის სიტყვითა და მო-
წამეტა ვარ ქრონიკონსა უოზ“ (1789 წ.)¹⁾.



ამ საბუთებიდან აშკარადვდება, რომ წარტყვევებას დასაქართველოში ტყვეების ყიდვა-გაყიდვა დიდად ყოფილა განვითარებული.

როგორც დავინახეთ, ტყვეები აქედან უფრო ხშირად თურქეთსა და ეგვიპტეში გაჰყავდათ. მაგრამ ბლომად გაჰყავდათ ისინი ირანშიც. ირანში გაყვანილ მამაკაცებს ხშირად ასაჭურისებდნენ, ხოლო ქალებს პარმხანებში ათავსებდნენ. 1779 წელს გაცემული ერთი დოკუმენტი შემდეგს ვადმოგვცემს: ირანელთ ქართლიდან ტყვეები წაუსხამთ. ერევანში მიუყვანიათ. იქ აბანოში შეუყვანიათ, დაუბანიათ და დასაჭურისება დაუპირებიათ. ტყვეებს გულშემზარავი ყვირილი, ღრილი და ტირილი დაუწყიათ. ერთ ქართველ მებატონეს, რომელიც იმ დროს ერევანში ყოფილა, რამდენიმე ტყვე გამოუსყიდია.

გასაგებია, რომ რაკი წარტყვევებას და ტყვეებით ვაჭრობას ასეთი მასობრივი ხასიათი ჰქონდა, მის როგორც უდიდესი ბოროტების, წინააღმდეგ ბრძოლა შეადგენდა არა მარტო სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანს, არამედ ხალხური გმირობის საქმესაც, და მით უმეტესად, რაც უფრო უძღლური იყო სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება. აი რას სწერს მაშინდელ მდგომარეობაზე მე-18 ს-ნის დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი:

„მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა!
სულ წარიტაცეს, თუ ვინმე შამბში მოურჩა წამლადა;
დადედლებულნი შიშთაგან აღარ ვარგოდენ მამლადა,
და აღარავინ დარჩა ფარსავი პატრონად, ქვეყნის მამლადა“.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ, მაშასადამე, თავადაზნაურობის წინააღმდეგ, ბრძოლაში განთქმული იყო ხალხური გმირი პაატა თემურიშვილი. თემურიშვილს თავისი ბიჭები ჰყოლია და ამ თანამებრძოლებთან ერთად იგი ვაჟაკურად იცავდა თურქე გლეხობის ინტერესებს. იგი ერეკლე მეორის გაძლიერებაში ხედავდა გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას. ხალხური ლექსის თანახმად, პაატა ასე მიმართავს მეფეს:

„საქართველოს გაზრდილ ბიჭებს
ქება ვასმინე თქვენიო,
თქვეს, იმას ვენაცალებით,
მისთვის გაზრდილი ძენიო.
თავადებნა სიმტყუფნე
შეგზოვლე იმით მენაო,

¹⁾ საქ. მეზღუემის ხელთნაწ. საბუთ. Hd კოლექციისა, 2832.

²⁾ დავით გურამიშვილი: „თხზულებათა კრებული“, პროფ. აღ. ზარა-მიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1931, ტფ., 83.

მათი ღალატი გლეხებზე
 ხომ დღეს გამოჩნდა ყველაო.
 მუხრან-ბატონის მტრობამა
 სამეფო დასცა ძირსაო.
 გლეხები შალეებზე ცვალებს
 მეფე ცხარ ცრემლით სტირსაო“;

და სხვა.



გლეხთა ბელადი თავადებს ბრალს სდებს არა მარტო სახელმწიფოს (მეფის) ღალატში, არამედ იმაშიც, რომ მათ „გლეხები შალეებზე ცვალებსო.“³ თემურიშვილი ერეკლეს ჰხლებია პატარძელის დანგრეული ციხის შეკეთების დროს. მოულოდნელად ლეკები შემორტყმიათ და გალომებულ პაატას, როგორც იგივე ხალხური ლექსი ირწმუნება, 60 ლეკი მოუკლავს:

„პატარძელსა ციხესა
 ლეკნი გარს შემორტყმიანო,
 სამი დღე-ღამე გარშემო
 რკინით ძირს მოუთხრიანო;
 ობლებსა გამოიყვანენ,
 ცრემლით დაჰმანენ პირსაო.
 მარტო პაატამ იფრინა
 სამოცი ლეკი მტრისაო,
 ერეკლემ ბელადი მოჰკლა,
 ლეკი მწარეთა სტირსაო“.

3. თემურიშვილს ერეკლე საგმირო საქმეს ავალებს: ერთ-ერთი ბრძოლის დროს თურქებს ტყვედ ჩაეარდნია ვაეურად გადაცმული ვაშლოვანელი გლეხის ქალი თამარი, რომელიც ხშირად იღებდა თურმე მონაწილეობას ომებში და ძალიან ჰყვარებია მეფეს. მეფეს პაატასთვის დაუვალეზია თამარის გამოსხნა ტყვეობიდან. ამ ქალის ტყვეობაზე ხალხური ლექსი გადმოგვცემს:

„მანდ რო ქალი დავიკარგე, განჯას თათარსა ვეყვარო,
 დილით დამსვამენ სკამზედა, ღამე შემიკვრენ ზელფესსო,
 მომიტანებენ ცხენის ხორცს, მარზევა ვერ მიჰმიაო.
 ჩემიანებო; მიშველეო, რჯულიც ვერ დამიგდიაო;
 მოკრიფეთ თითო თუმანი, დამიხსენთ თქვენი ტყვე ვარო.“⁴)

3. თემურიშვილს აქაც გაუმარჯვია. ყარაბაღში იქაურ ტანისამოსში გადაცმული შესულა და მარტოს ტყვე ქალი გამოუტაცნია.

მრავალმხრივია საინტერესო აგრეთვე გოგია ბარზუდაშვილზე გამოთქმული ლექსი:

¹) პ. უმიკაშვილი: „ხალხური სიტყვიერება“, პროფ. ფ. გოგიაძის შვილის რედაქციით, გვ. 324.



„ბარხუდაშვილი გოგია
მტრის დამწურავი ღონეა.
ორშაბათ დილა გათენდა,
მუშა შეკყარა ბლოშია,
წაიდა ყანის სამკალად,
თნა დააყუდა სველია.
შხარზე ჰკიდია სიათა,
თავით ბოლომდე ჭრელია,
დაჯდა ნამგალი გაღუსა,
ფხაზე აღსვა ცერია.
ტახტის გორს შემოუარა,
იქ შეელი შემოსტევეია.
დიდგუბის ტბაზე მივიდა,
წამოეშალა მტერია.
მიკოწ-მოკოწა ლეკები,
როგორც წალამი, წკნელია.
ლეკებში ერთი ნაიბი
კობტა ბელადი ერია,
გოგიას დასცა დამბარა,
ზედ მოეკიდა გენია.
გოგიას ასე ჰკონია,
რწყილსაც არ გაუტუნია.
გოგია დაუტრიალდა
მთის შევარდენის ფერია.
გადუდვა თავის სიათა,
ცივად მოსწყვიტა წელია,
მოუსპო კობტა ბელადსა
თავის გამირობის დღენია.
მაგრამ გოგიას უღვაშიც
იმ არე-მარეს ჰფენია.“¹⁾

დაახლოებით ასეთვე შინაარსისა ხევსურული ლექსი „ქისტების დაცემა მთიბელ-მამკლისად“:

„წაიდა მთიბელ-მამკალი, ზედა კვირაედ არია...
შამოგვეხვიენენ მარცხნივა ქისტიშვილების ჯარია:
„შინ ველარ წახვალთ ცოცხლები“, გამოდის ნუღბარია.
„ჩვენ შინ არ წავალთ ცოცხლები, არ გვაქეს აგეთი გვარია“²⁾

აქედან სჩანს, როგორ შეიარაღებული მიდიოდნენ გლეხები ყანაში, მაგრამ მაინც არ იყვნენ უზრუნველყოფილნი მოთარეშე ლეკთაგან წარტყვევნისა და სიკვდილისაგან. გოგია ბარხუდაშვილს ვერ უშველა მისმა გამირობამაც: იგი (აგრეთვე პაატა თემურიშვილი, ბაზალეთელი გელა ნათელაშვილი და მრავალი სხვა სახალხო გმირი) მსხვერპლი ხდებდა საკუთარი მებატონის მუხანათობისა და მოთარეშეთა ვერაგობისა.

გაეიხსენოთ, რომ მე-18 საუკუნის პოეტი დავით გურამიშვილიც სწორედ ყანიდან გაიტაცეს ლეკებმა, როგორც თვითონ პოეტი მოგვითხ-

¹⁾ „ხალხური პოეზია“, 1934, ქუთაისი, გვ. 211 — 212.

²⁾ იხ. პროფ. ა. შანიძე: „ხალხური პოეზია“, 1931, ტფ., I, № 608.

რობს თავის ავტობიოგრაფიულ ლექსში. ცხრამეტი წლის *დ. გურამი-*
შვილს შიშიანობის გამო (1720-იან წლებში) თავი შეუფარებია ნათესა-
 ვებთან ქსნის ხეობაში (ს. ლომისყანა). სწორედ იქ, რუდქსანჯ კვანყსანაში
 სამკლად მუშებს უცდიდა, დასხმიან თავს ლეკები: *ბიზლანოთქა*

„შემიპერეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიღვეს გენია,
 გადმომატარეს ისი შთა, მინდორი ცხრა იმდენია,
 მუღამად თვალთა ნაკადი მდღლარე ცრემლი მდენია“, —

გადმოგვეცემს პოეტი და განაგრძობს:

„მომიყვანეს არა ღირსთა, ღირსეულად მიმსახურეს,
 არც მასვეს და არც მაქამეს, არც ჩამაცვეს, არც დამხურეს.
 უსასყიდლოდ მიღებული გასასყიდად გამაშურეს,
 გაეიპარე დამიჭირეს, სად წახველო, დამპალურეს.“

მაგრამ დ. გურამიშვილმა ბოლოს მაინც მოახერხა გაქცევა, თუმცა არა საქართველოსკენ, არამედ რუსეთისკენ.

როგორც ცნობილია, მონებით სავაჭრო ბაზრებს „მუღამ აწვდის მის საქონელ-სამუშაო ძალას ომი, მეკობრეობა და სხვ. და ეს მეკობრეობა, თავის მხრივ, არ სარგებლობს მიმოქცევის პროცესით, არამედ წარმოადგენს სხვისი სამუშაო ძალის მითვისებას პირდაპირი ფიზიკური იძულების გზით“. ¹⁾ მაგრამ თავისუფალი ადამიანი (ან ყმა) როგორც ძველ ქვეყნებში, ²⁾ ისე მე-18 საუკუნის და აღრინდელ საქართველოში შეიძლებოდა გადაქცეულიყო მონად (ტყვედ) დავალიანების ნიადაგზედაც. როგორც ირკვევა, საერთოდ დავალიანება წარმოადგენდა მნიშვნელოვან წყაროს ტყვეებით ვაჭრობისათვის.

1771 წელს დაწერილ დოკუმენტიდან ვტყობილობთ, რომ ერთი ტფილისელი ვაჭარი ლეკეთში დავალიანებულა. მევალები (კრედიტორები) ტფილისში ჩამოსულან, მისი ოჯახი დაუტყერიათ და ლეკეთში წაყვანა დაუპირებიათ. ერეკლე მეფეს წინადადება მიუცია ბატონისთვის (ვაჭარი ყმა ყოფილა) დაეხსნა ისინი. მაგრამ არც ბატონს და არც სხვა ვინმეს ისინი არ დაუხსნია, ე. ი. ვალი არ გადაუხსნია, რათა შემდეგ ეს ვაჭარი ეყმო. მერე ტფილელ სომეხ ვაჭრებს დაუხსნიათ და ეკშიაწინის მონასტრისათვის შეუწირავთ. ³⁾

ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად ხელისუფლება იძულებული ხდებოდა ელიარებინა მისი არსებობა და გარკვეულ იურიდიულ ნორმებში ჩაეყენებინა იგი, რამდენადაც თვით ვახტანგ VI თავის „დასტურლამაში“ განსაზღვრულ ბაეებს აწესებს ტყვეებით ვაჭრობაზე:

¹⁾ მა რ ქ ს ი: „კავიტალი“, ტ. II, 1933 წ., ტფ., 428.

²⁾ ე ნ გ ე ლ ს ი: „ოჯახის... წარმოშობა“, 198.

³⁾ Д. Пурцеладзе: „Крестьяне и гр:маты“, 67,98.

„ქართველმან, თათარმან, სომეხმან თუ რამც სჯულმან იმერეთში რომ ტყვე იყოდოს, ტყვის თავს მსყიდველს სამს მინალთუნს საბატონოდ გამოართმევდენ. თუ ქართლში გადმოიყვანეს და აქ გაიყუდა, ან აქაური ერთმანეთს მიჰყიდეს, სამ მინალთუნს მყიდველი და სამს მინალთუნს გამსყიდველს ინტროს ვერ დააკლებს, ზეთაც დაგვიწერია: და მთაზედ ტყვის გამსყიდველს ინტროსთან ზელი ანა აქვს ტყვის მეზაფეს“¹⁾

ამგვარად, კანონმდებელი ლეგალურ ხასიათს აძლევს ტყვეებით ვაჭრობას. საინტერესოა, რომ კანონი პირდაპირ მიუთითებს იმერეთზე, როგორც ტყვეების შესაძენ (შესასყიდ) ქვეყანაზე. ამასთან იმერეთიდან ტყვეების ქართლში გადმოყვანასთან ერთად ბაჟი დაწესებული იყო თვით ქართლში ადგილობრივად ტყვეების ყიდვა-გაყიდვაზედაც: „თუ ქართლში გადმოიყვანეს (იმერეთს ნაყიდი ტყვე) და აქ გაიყიდა, ან აქაური ერთმანეთს მიჰყიდეს, ზემოთ დასახელებულ საფასურს (ბაჟს) „ბ ა ტ ო ნ ს ვ ე რ დ ა ა კ ლ ე ბ ს“ რ ო გ ო რ ც მ ყ ი დ ვ ე ლ ი, ისე გამყიდველიო, — აცხადებს ინსტრუქცია. ს ა ბ ა - ს უ ლ ხ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ც, აღნიშნავს: „ბაჟი — ტვირთის ხარკი (ზევრი მოგზაურისა ტვირთსა ზედან ვერცხლსა გამოართმევენ. ვ ი ე თ გ ა ნ თ ვ ი თ კ ა ც თ ა ზ ე დ ა ც ა, გინა სხვათა საქონელთა ზედა.“²⁾

განხილული მასალები, ვფიქრობ, საკმაო წარმოდგენას იძლევიან იმის შესახებ, თუ რამდენად ყოფილა საქართველოში ტყვეებით ვაჭრობა გავრცელებული მე-19 საუკუნემდე. ახლა, სანამ მე-19 საუკუნეში ტყვეებით ვაჭრობის ვითარებას განვიხილავდეთ, საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ იმ მიზეზებზე, რომლებიც იწვევდნენ ტყვეებით ვაჭრობას და ჰქმნიდნენ სათანადო პირობებს მისი განვითარებისათვის.

ტყვეებით ვაჭრობის ბანკითარების მიზეზები

ჩვენ აქ ვერ შევეუდგებით საქართველოში ტყვეების ვაჭრობის განვითარების მიზეზთა საფუძვლიდან გამოკვლევას. ამისათვის საჭიროა აღებული ეპოქის მთელი სოციალ-ეკონომიური ისტორიის განხილვა. აქ შეიძლება შევჩერდეთ მხოლოდ ყველაზე ძირითად მომენტზე და ისიც ვაკვიროთ. საქართველოსა და აკავკასიაში ტყვეებით ვაჭრობის განვითარების მიზეზები იმ პერიოდში, რომელიც ჩვენი კვლევის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს შეადგენს, უნდა ვეძიოთ როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური, როგორც შინაური, ისე საგარეო ხასიათის მოვლენებში.

ცნობილია, რომ საქართველო მენფიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში მეტად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეკონომიურად დაზიანებულ და გამოფიტულ ქვეყანაში ცხოვრებას, განსაკუთრებით უმწიერო, არათავისუფალი მოსახლეობისათვის, ყმა-გლეხობისათვის, უფრო აუტანელს ზდიდა მთლიანი სახელმწიფოებრივი წყობილების დარღვევისა

¹⁾ ვ ა ბ ტ ა ნ გ : „დასტურალამალი“.

²⁾ ს ა ბ ა - ს უ ლ ხ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი : „ქართული ლექსიკონი“, 1928 წ., ტფ., 34

და საქართველოს ცალკე სამთავროებად და სამეფოებად დაქსაქსების, მაშასადამე, სახელმწიფოებრივად და პოლიტიკურად დაუძღურების ძირობებში გარეშე მტერთა ხშირი, თითქმის განუწყვეტელი შემოსევა-თარეში. ამას ზედ ერთოდა შინაგანი შუღლი და მტრობის მსხვერპლებულ თავად-აზნაურთა შორის, რაც მტრის შემოსევაზე უფრო მეტად ანადგურებდა და ავერანებდა ცალკეულ კუთხეებს. მეურნეობის დარგების დაქვეითების გამო ყოველგვარ მარაგს მოკლებულ ფეოდალებს ისლა დარჩენოდათ, რომ უცხოეთიდან მოტანილი საქონლის შესაძენად გაეცათ ადამიანები, ე. ი. დაეწყათ, ცენტრალური ხელისუფლების უძღურების გამო, ყოველგვარი მფარველობისა და მზრუნველობის გარეშე დარჩენილი გლეხობის გატაცება და გაყიდვა.

ეს მდგომარეობა მე-19 საუკუნემ უცვლელი მემკვიდრეობის სახით მიიღო. მეტიც: მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში, რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ აკავკასიის, პირველ რიგში საქართველოს, კუთხეების დაპყრობის პროცესში, ხშირი იყო ისეთი წლები, როდესაც მოსახლეობას არსებობის მინიმალური საშუალებაც-კი არ გააჩნდა, როდესაც გლეხობას პირდაპირ ტიტველი და მშვიერი არსებობის შენარჩუნებაც-კი უაღრესად უჭირდა. იმ დაუნდობელმა ძარცვამ და ექსპლოატაციამ, რომელსაც ეწეოდნენ, ერთის მხრივ, ადგილობრივი მებატონეები, ჩარჩ-ვაჭრები და მევახშეები, ხოლო მეორეს მხრივ — ცარიზმის სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატები, მოსახლეობა აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგჯერ ნატრობდნენ სახელმწიფო წყობილების ძველ პირობებს. მაგალითად, 1807 წ. გუდამაყრულები კოლექტიურ მიმართვაში, რომელიც მათ გენ. გუდოვიჩს წარუდგინეს, სწერდნენ: „ვითხოვეთ, რომ რაც ჩვენს მამა-პაპათ უმსახურნიათ და განწესება ჰქონიათ, ისე გვიმსახურეთ ჩვენის მოურავის ხელით.“¹⁾

ყოველივე ამას ხშირად ზედ ერთოდა თურქეთიდან და ირანიდან არაიშვიათად შემოსული შავი ჭირი (ყამი), რომელიც მუსრს ავლებდა უმწეო მოსახლეობას, წყალდიდობა ან გვალება, სარწყავ არხთა სისტემის მოშლა, ფეოდალური ექსპლოატაციისა თუ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული აჯანყების ცეცხლითა და მახვილით ჩაქრობა და სხვ. ყველა ამას შედეგად მოსდევდა შიმშილიანობა, რაც მთელი წლობით გრძელდებოდა. 1810-12 წლები, მაგალითად, მრისხანე იყო საქართველოსთვის, განსაკუთრებით კახეთისთვის, სადაც თითქმის ყველა ზემოხსენებული მოვლენა ზედიზედ დაატყდა თავს მოსახლეობას. მაგრამ ნაკლებ გაჭირვებას არც იმერეთი განიცდიდა. თვით საქართველოს მთავარსარდალი გენ. ერმოლოვი 1817 წელს წარდგენილ უქვეშევრდომლის მოხსენებაში იძულებული გახდა ელიარებინა:

„ამ ხალხის მიერ ორი წლის განმავლობაში განცდილ იმ უბედურების შემდეგ, რაც მას ეწვია მტერთა შემოსევის, შინაური აჯანყებების, არაჩვეულებ-

¹⁾ „Акти“, т. III, 107

რივი წყალდიდობის, შიმშილობისა და ქამის შედეგად, საქართველოში დრო, რომ უამისოდაც ღარიბმა ხალხმა შესძლოს თუნდაც საწყალი სუბსისტენციის მოპოვება მძიმეა. განსაკუთრებით შიმშილმა და ქამმა ამოსწავიტა თითქმის მესამედი იმ მხარეებში, რომლებიც კახეთის შენარჩუნებისათვის თავი შეაფარა თურქეთის სამფლობელოებს და გაიფანტა საქართველოს სხვადასხვა ადგილებში¹⁾.

იმ დროს, როდესაც იმერეთში „მძვინვარებდა ძლიერი ქამი და საშინელი შიმშილიანობა“, ცხადია, პოხიერი ნიადაგი შეექმნებოდა ტყვეებით ვაჭრობის საქმესაც. გენ. ერმოლოვიც თავის მოხსენებაში პირდაპირ სწერს, რომ მოსახლეობას საქმე ისე გაუჭირდა, რომ „მამები პურის ნატეხისათვის ჰყიდდნენ შვილებს სამუდამო მონობაში, ხოლო სასოწარკვეთილი დედები ტყვეებში და გზებზე აგდებდნენ შიმშილისაგან დაუძლურებულ თავიანთ ბავშვებს“. ამ წლებში შიმშილობდა გურიაც. დ. ბაქრაძეს შემოქმედის „გულანში“ არშიაზე მიწერილ ქრონოლოგიურ შენიშვნებში ამოუკითხავს: „ჩიბ (1812) წელსა დიდი შიმშილი იყო და შემდგომ ეამი გამოჩნდა იმავე წელში“.²⁾

საშინელება იყო თურქეთიდან შემოსული ეს ეამი (1810 წელს). იგი თითქმის მთელ კავკასიას მოედდა. პირველად გაჩნდა დაღესტანში ქ. დერბენტის მახლობლად. შემდეგ ალავერდის სპილენძის ქარხანაში მუსრი გაავლო მუშებს, მოედდა ქართლ-კახეთს, განჯას, მთელ იმერეთს, ყველა ქალაქს. ეამიანობამ მარტო ალმოსავლეთ საქართველოში იმსხვერპლა 2.042 კაცი, 1.646 ქალი და 567 ბავშვი და ეს მხოლოდ ოფიციალური ცნობების მიხედვით. მოსახლეობა გარბოდა ქალაქებიდან. ტფილისი და სხვა ქალაქები დაცარიელდა.

მაგრამ, როგორც აელნიშნეთ, განსაკუთრებით სავალალო იყო მდგომარეობა იმერეთში. იქ არაჩვეულებრივმა წყალდიდობამ და უამრავმა თავგმა გაანადგურა მთელი მოსავალი. ამას გარდა, წყალმა ბევრ ადგილას წაიღო საცხოვრებელი სახლები და დაარჩო დიდძალი პირუტყვი. ამგვარად ჯერ წყალდიდობამ და შიმშილობამ, შემდეგ ეამმა მუსრი გაავლო მოსახლეობას. მეტად მცირე დროის განმავლობაში იმერეთში ამოწყდა 12.000 ოჯახი. ეს ოფიციალური ცნობების თანახმად, რაც, ცხადია, სრული არ იქნებოდა. შიმშილმა და ეამმა მარტო 1812 წელს 1 მარტამდე იმსხვერპლა 32.750 ადამიანი. ამას გარდა, ლუკმა პურისათვის იმერეთიდან მეზობელ სამფლობელოებში გადავიდა 7.450 კაცი და გაყიდულ იქნა სამუდამო მონობაში 2.000 კაცი ორივე სქესისა. შიმშილი მშობლებს აიძულებდა „პურის ნატეხისათვის მონად გაეყიდათ თავიანთი შვილები“³⁾.

¹⁾ А П Г А., 184.

²⁾ И В В Р К, т. V, 1887, 4528.

ჩვენ დრომდე მოაღწია მეტად საინტერესო დოკუმენტს¹ ეს დოკუმენტია „ქორონიკონს ქ-ეს აქეთ ჩიბ (1812) წელსა იანერის ლ (30)“ გაცემული ნასყიდობის ბარათი, სადაც ვკითხულობთ: **ქარქინეული**

„ესე ნასყიდობის წიგნი მოგაცი მე ქრისობელ ჯარსტანქმ² ათავადს თარხანს დავითს, ასე რომ გამოჰირდა და შიმშილით მიკუდებოდა ჩემი შვილი დარიჯანა და მოგაციდე ეს ჩემი შვილი დარიჯანა და ფასიც სრული გამოგართვი, როგორც გული შემოიჯერდებოდა. და ვინც ამისი მოდავე მოგადგეს, პასუხი ჩვენ გავსცეთ. არის მისი მოწამე და გამრიგე ქაქუჩა პაპიძე ამირჯები, მოურავი სიმონა, მე მღვდელს დავითს დამიწერია ამ ქრისობედას სიტყვით და მოწამე ვარ ამ წერილისა.“³)

იმავე 1812 წელს იმერელი პ. ქანტორიძე და მისი მეუღლე მარიამი ნასყიდობის წიგნს აძლევენ იოსებ ციხისთვიშვილს და მის ნაშვიერთ: ...„ასე რომა გამოჰირდა და შვილი მოგაციდე... თვედორე და ფასიც სრულად ავიღე, როგორც გული შემოიჯერდებოდა. მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმა. ამაში მოდავე და მოლაპარაკე არავინ გყავდეს“. ქვემოთ ჩვეულებისამებრ ხელს აწერენ მოწამეები. 1895 წელს ციხისთავს ამ საბუთისთვის მიუწერია: „როგორც გადმოცემიდან ვიცი, ეს კაცი უყიდათ გქვს კოდ ფეტვად, რადგან იმ დროს პურძვირობა ყოფილა... ეს ნაყიდი კაცი სიკვდილამდის ემსახურებოდა ჩემს მამა-პაპასაც და გამოცვლილს სახელს ბუჭველას ეძახოდნენ“.⁴)

იმ ხანებში ძალზე ძვირი იყო პური მთელს აქავკასიაში. ტფილისში ერთხანს პური სულ არ იყიდებოდა. ბამბაკისა და შურაგელის მცხოვრებნი შიმშილმა აიძულა დაფანტულიყვენენ მეზობელ პროვინციებში.

ყოველივე ამას ზედ ერთვოდა ხშირი თარეში ლეკებისა და თურქებისა, რომელთაც მიჰყავდათ ტყვეები, მიჰქონდათ პური და მიერეკებოდნენ პირუტყვს.

ხელისუფლებას გაქირვებული მოსახლეობის დასახმარებლად 10.000 მანეთი გადაუღვია. ამ ფულით ყირიმში პური შეუძენიათ. მაგრამ ბიუროკრატიული აპარატისა და მექრთამე მოხელეების წყალობით დამშეულ მოსახლეობამდე ძალიან გვიან და ძალიან მცირე ნაწილს მიუღწევია. ამასთან ამ მცირე ნაწილის სესხად გაცემის დროს ათასნაირად ატყუებდნენ ზომასა და წონაში და თანაც მორალურად ამცირებდნენ მოსახლეობას. აი რა სწერია 1812 წლის 17 მარტის რიცხვით დათარიღებულ ერთ არზაში, რომელიც იმერეთის მოსახლეობას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის გადაუცია:

„Бывши здесь вахмейстер, при отдаче мужикам хлеба или ячменя, заставляя их одного вместо стула, а другого вместо стола согнуться и потом на одном сидел, а на другом писал и таким образом безчеловечно мучил“.

ტყვეებისა და ყმების ყიდვა-გაყიდვის საქმეში დიდ როლს თამაშობდა სავაზნო კაპიტალი. მოვახშეობა დამოუკიდებელ წვრილ-მწარმოებლებსა

¹საქ. მუზეუმის ხელნაწ. საბუთი Hd კოლექციისა, № 2842.

²) იქვე, № 2987.



და ყმა-გლეხებს განსაკუთრებით ანადგურებდა ა/კავკასიის მუსულმანურ პროვინციებში. მაგრამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუსულმანური საქართველოში. მეფეებშობის შესახებ საქართველოს მუსულმანურ სახელმწიფოში (მე-19 საუკ. პირველ ნახევარში) სპეციალურ ნარკვევში გვექნება საუბარი, ამიტომ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ორიოდ დოკუმენტს, საიდანაც ნათლად გამოსკვივის მეფეებშობის მთელი თავისებურება.

1809 წელს გაცემულ ნასყიდობის ბარათში ვკითხულობთ:

„ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე კიკოლა ბერიძემ და ნასყიდა ბერიძემ შენ მემანუშვილს გიორგის, ასე რომე შენი ცხრა ფრული თეთრი მემართა და მისი სარგებელი სამი მარჩილი ვეღარ შევიძელი, შენი თეთრი ვერ გადაგხადე და ჩემი ჩეილი მოგუოდე გოგო მარინა; ხელმოახლეთ მომიცემა; არას კაცი, არც მე და არც სხვა, აღარ გედაოთ და თუ ღინმე გედაოს, შეჩვენებულ იყოს“¹⁾.

1821 წლის 15 თებერვლის თარიღით ბესია ჯორდანიას მიერ არქიმანდრიტ იოსებ დონდლაძისათვის მიცემულ ბარათში ვკითხულობთ: „ბუქუა ორაგველიძე და მისი შვილები დაწინდრებული (დავირავებული) იყვნენ შენტან ვალისათვის, იგი (ბუქუა) გამოიქცა შენგან და მოვიდა ჩემს ძმასთან და ჩემთან“. საქმე სასამართლომდე მივიდა. 24 კაცმა დაიფიცა. შემდეგ სასულიერო და საერო ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოდავენი მოარიგეს: „იხე რომ დაფიცებამდე და სასამართლომდე გაწეული ხარჯები ჩვენ ჩაგვეთვალა და ამასთან ერთად მივიღეთ თქვენგან კიდევ 200 მარჩილი ბუქუა ორაგველიძისათვის, რომელიც თქვენთან დარჩა“:

ან კიდევ: სოკო წულუკიძის მიერ იმავე, ოსებ დონდლაძისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ (მოგვყავს რუსული თარგმანნი):

„ეამიანობის დროს ჩემი ყმის ცოლი ძეძუმწოვარა ბავშვით გოგიათი დაიკარგა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათგან უკანასკნელი ელაემან გოგინიევილიმა მოგვიყიდა თქვენ 100 მარჩილად, ხოლო ჭალი კი დაწინდრებული ყოფილა თქვენთან გლახუნას ვალისათვის; ბავშვი მე თქვენგან წაიყვანე და შემდეგ თქვენი სურვილითა და პატივისცემისათვის მთავარანგელოზის ტაძრისა, რომელსაც თქვენ თვითონ ეკუთვნით, მოგვიდეთ იგი მე თქვენ 400 მარჩილად, რაც შეადგენს 300 ძველ მარჩილს“.

მსგავსი დოკუმენტები მრავლად მოიპოვება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ, რომელნიც ასე მკერამეტყველურად მოგვითხრობენ ჩვენ მამა-პაპათაგან განცდილ საშინელებას.

ამგვარად, მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში არა თუ არ მოსობილა ობიექტური პირობები ტყევათა ვაჭრობისათვის, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში მას უფრო შემადრწუნებელი და ამზრუნენი სახეც კი მიუღია.

(დასასრული იქნება)

¹⁾ საქ. მუსულმანთა ხელნაწ. საბუთი Hd კოლექციისა, № 2606.

„НИКОЛОЗ БАРАТАШВИЛИ СТИХОТВОРЕНИЯ“. ГОС. ИЗД.
„ХУДОЖЕСТВ. ЛИТЕРАТУРА“ 1938 Г. МОСКВА.

(ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ახალი რუსული თარგმანი)

რ. ს. ფ. ს. რ.-ს სახელმწიფო გამოცემლობამ „მხატვრულმა ლიტერატურამ“ ახლანდელ საბჭოთა მკითხველებს მიაწოდა ნ. ბარათაშვილის რუსულად თარგმნილი ლექსების სრული კრებული. გარეგნულად წიგნი შესანიშნავ შთაბეჭდილებას სთოვებს მხატვარ ლ. ლიტვაკს ქართული ორნამენტის სტილზე დიდის გამოყენებით გაუცეთებია წიგნის ყდა, ფორმატი, სატიტულო ფურცელი, მხატვრობანი. წიგნი კარგ ქალაქდება დაბეჭდილი. დართული აქვს ერთ-ერთ რედაქტორის ანბ. ვ. გოლცევის წინასიტყვაობა, მისი მიერვე შედგენილი პოეტის ბიოგრაფია და ანბ. გერონტი ქაქოძის მოკლე კრიტიკული წერილი, რომელიც დაახლოებით წარმოდგენას მისცემს არაქართულ მკითხველს ბარათაშვილის ცხოვრებაზე, შემოქმედებასა და მის. როლზე ქართული პოეზიის განვითარებაში, თუმცა წერილი შეიცავს ისეთს შემდგარ დებულებას, როგორც არის ავტორის სრულიად მოულოდნელი მტკიცება, თითქოს ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო ტიპური დეკლასიური არისტოკრატი.

კრებულის რედაქტორებს ვ. გოლცევის და ს. ჩიქოვანს ამ წიგნში არ შეეტანიათ ბარათაშვილის არც ერთი ძველი რუსული თარგმანი (თუ ასეთად არ ჩავსთვლით ვ. გაფრინდაშვილის მიერ ამ 18 — 20 წლის წინათ თარგმნილს „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ფიჭის მტკერის პირას“ და პოემას „ბედი ქართლისა“) და მთარგმნელებად მოუწვევიათ რუსული საბჭოთა პოეზიის თვალსაჩინო ძალები, ლექსის ისეთი დახელოვნებული ოსტატები, როგორც არიან პ. ანტოკოლსკი, ს. სპასკი, ელ. დერევინი, კ. ლიპსეროვი, ბ. ბრიკი და სხვ.

ბარათაშვილის მთარგმნელ პოეტებსაც არ დაუკლიათ ცდა, რომ გადაეცათ არაქართული მკითხველისათვის ნ. ბარათაშვილის ლირიკის თავისებურობა. მიუხედავად ამისა. ნ. ბარათაშვილს ამ თარგმნების მიხედვით ვერ იცნობს ის, ვისაც პოეტი ქართულად წაუკითხავს. თარგმანების დიდი ნაწილი მხოლოდ გვანინუნებს იმას, თუ რა მოტივები, რა თემები სჭარბობენ ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში, მაგრამ ვერ გვაგრძობინებს, თუ როგორ სწერს და რა სპეციფიურ იერს ატარებს ნ. ბარათაშვილი. მთარგმნელებს თითქოს დაუცავთ ბარათაშვილის ლექსების ზომა, რიტმი, რითმების ხასიათი და თანმიმდევრობა (თუმცა არა ყველგან, მაგალითად, ორ მთავარ ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე“ — მთარგმნელი ვ. გაფრინდაშვილი, და „მერანში“ — მთარგმნელი პ. ანტოკოლსკი, დაცული არ არის სხვადასხვა მეტრული წყობის ტაქტების ურთიერთ შენაცვლების წესი, წესი, რომელსაც შეგნებულად მიმართავს ნ. ბარათაშვილი როგორც ერთ-ერთ ხერხს განწყობილების გადმოსაცემად).

საერთოდ კი ყველა ზემოხსენებული პირობა შესრულებულია, მაგრამ, როგორც თარგმანები გვიჩვენებს, ყველაფერი ეს საკმაო არ არის, რომ თარგმნილ ლექსებს შერჩეს დედნის ეპოქური ზემოქმედების ძალა, რომ თარგმანშიც გაიხსნას სათარგმნი

პოეტის შინაგანი ხმა მთელი მისი ენობრივით, გამოჩნდეს პოეტის აზრს, ფრანოზა და განწყობილება მთელი მათი ელფერით.

6. ბარათაშვილის ლირიკის თავისებურობის შესანარჩუნებლად თარგმანებში, საჭირო იყო მთარგმნელებს გადაეტანათ ბარათაშვილის ლექსის სწრაფად აღებული ეპიტეტები, საერთოდ ბარათაშვილის ლექსიკა, მისი პოეტური სტილი და აქტიური ბუნდუნე მისი ფრაზის სინტაქსურ წყობას, პაუზების განლაგებასა და ხასიათის, ლექსის საერთო რიტმიულ სურათს, ე. ი. იმ ფაქტორებს, რომელთა ურთიერთზემოქმედება იძლევა ლექსის ინტონაციას.

ამ ფაქტორების უგულვებეზყოფა იწვევს ინტონაციის შეცვლას, რაც ამაზინჯებს და აყალბებს ლექსს, რადგან ინტონაცია არის არა ფორმის, არამედ ლექსის აზრის, ლექსის შინაარსის ფუნქცია. ინტონაციას მკითხველი ითვისებს, როგორც ლექსის რეალურ რიტმს, როგორც ლექსის ცოცხალ ბგერას. ის მთარგმნელი, რომელიც არ სცდილობს თარგმანში გადაიტანოს შეძლებისდაგვარად დედნის ფრაზის წყობა, სიტყვების განლაგება და პაუზები ლექსის შიგნით, ე. ი. ყველაფერი ის, რითაც ობიექტიურად მოცემულია ინტონაცია, ასეთი მთარგმნელი ვერ გადმოგვცემს სისრულით ლექსის შინაარსს.

6. ბარათაშვილის მთარგმნელთა დიდი ნაწილი ანგარიშს არ უწევს ამ ფაქტორებს და ამით აიიხსნება ის, რომ თავისთავად, ორიგინალისაგან დამოუკიდებლად კარგად შესრულებული ლექსები, არ ქმნიან 6. ბარათაშვილისათვის დამახასიათებელ განწყობილებას. ავიღოთ მაგალითად, ვ. გაფრინდაშვილის მიერ თარგმნილი „შეშლამება მთაწმინდაზე“. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფრაზის წყობას, სიტყვებისა და პაუზების განლაგებას შინაარსის ზუსტი გადმოცემისათვის, ამას ნათელ ჰყოფს ამ ლექსის მეშვიდე სტროფის თარგმანთან შედარება:

„მთაო ცხოველო, ხან მკინარო, ხან ცრემლიანო,
 ვინ მოგბილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიჭთს შევება
 არა იპოვნოს და არ დაჰხსნას გულსა ვაება,
 გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!“

რუსულად ეს ლექსი ასე გაიხმის:

Твоей улыбкой луч, твоих ненастных рос
 Кого не исцелят от неотвязных мук?
 В святилище твоём стихают сердца грозы,
 Глухих отчаяний стихает злой недуг!*

თარგმანში გადატანილი არ არის რიტორიული ფიგურები მიმართვები, განმეორებები: „მთაო ცხოველო, ხან მკინარო, ხან ცრემლიანო“, „გულდახურულთა მეგობარო“, „მთავ ღრუბლიანო“, — რაც სცელის ლექსის ტონს, მაშასადამე მის აზრსაც. ბარათაშვილის პოეტური ნერვების უგულვებეზყოფის შედეგი კიდევ უფრო გარკვევით სჩანს ლექსების „ფიჭის მტკერის პირას“, „მერანის“, „ეპოვე ტამარის“ და „ნაპოლეონის“ თარგმანებში. „ფიჭის მტკერის პირას“ თარგმანში მთლიანად შეცვლილია ინტონაცია იმის გამო, რომ მთარგმნელს მხედველობაში არ მიუღია სამი სტრიქონის ერთნაირი დაწევა — ანაფორი (აქ ვევიხედი... აქ ლბილ მდებლოზე... აქა უოველი...), რომლებიც მთელი სტროფისთვის რიტმიულ იმპულსებს წარმოადგენენ. ტაქტის დასაწყისში მახვილის გაძლიერება ჰქმნის ეპოქურ პათეტიკას, რაც რუსულ თარგმანში არ სჩანს. ასევე „სულო ბოროტის“ თარგმანში არ არის რიტორიული მიმართვანი მახვილით სტრიქონის დასაწყისში (მარკვი, რა უყავ, სად წარიღე სულის მშვილობა; მარკვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი).

შინაარსის სისრულით გადაცემა რომ შეუძლებელია, თუ დაცული არ არის ლექსის ინტონაცია, ამას გვიჩვენებს ყველაზე უფრო მკვეთრად „მერანის“ რუ-

სული თარგმანი. მთარგმნელი პ. ანტოკოლსკი იწინასწარმეტყველებს სიტყვებს: არ გადააქვს ლექსში ბარათაშვილის ეპიტეტები — „თვალმდებითი მავი ყოჩაინი“. „ფიჭრი ჩემი შავად მღვლეარი“, „მოუთმუნელსა — საეაღნი დღენი“ და სხვ. ყურადღებას არ აქცევს რიტმიულ იმპულსებს სტრიქონის დასაწყისში, არ იყენებს განმეორებებს. ყველაფერი ეს საშინლად ჰკვეცავს ბარათაშვილის სტრიქონს, აღარიბებს მის ლექსს, იმდენად ანელებს და ასუსტებს ემოციურ დაძაბულობას, რომ თარგმანში შეუძლებელი ხდება ბარათაშვილის „მერანის“ გამოცნობა.

ბ. ბრიკი ლექსს „ჩივილი“ იწყებს, ისე როგორც ნ. ბარათაშვილი: — მიყვარს, მიყვარს მე ტიკტიკი ჩჩვილის ყრმის — люблю, люблю младенца лепетанье, მაგრამ მეორე სტრიქონიდანვე აღარ მისდევს დედნის რითმების თანმიმდევრობას, სცვლის ლექსიკას, ართულებს ბარათაშვილის უბრალო პოეტურ ფრაზას, გვერდს უხვევს მის განმეორებებს.

პ. ლიპსკეროვს „ვპოვე ტაძარი“-ს რუსულ თარგმანში დედნის სტრიქონები, დედნის ჩამოსხმული მონოლიტური ფრაზები დაქუცმაცებული აქვს მოკლე წინადადებად, რაც არღვევს რიტმს, უკარგავს ლექსს სიმძაფრეს, სცვლის ტონს.

ს. სპასსკის მიერ თარგმნილ „სულო ბოროტო“-ში არც ერთი ტაქტის ბგერა არ შეეფერება დედნისას. ანბ. სპასსკი დედნის მთლიან ფრაზებს ანაწილებს, აქცენტო, მახვილი გადააქვს სულ სხვა სიტყვებზე, ვიდრე დედანშია. ამავე პოეტის თარგმანში „ნუ ჰყვედრი კაცსა“ აფორისტული თქმის განუწყვეტელი მდინარეა გაწყვეტილია. დედანში მოცემული პარალელიზმი თარგმანში შეუშინეველია, თითქმის დაკარგულია.

„ურ უკიენო სატფოო, შენსა მგოსანსა გულისთქმა:
მოკვდაესა ენას არ ძალღეს უკვდაეთა გრძობათ გამოთქმა“, —

მთარგმნელი ი. ვერხოვსკი შემდეგი ორი სტრიქონით გადმოგვცემს:

О лева, не сетуй! Певца своего неизбежны порывы;
В нем чувства бессмертные речью ли смертного окажутся живы?

აქ სიტყვების შეცვლამ და წინადადების წყობის დარღვევამ არა მარტო პოეტის ხმა შესცვალა, არამედ დაამახინჯა აზრიც.

არა მარტო შემოსხენებული ლექსები, არამედ თითქმის ყველა ლექსი, ძალიან მეორე გამოკლებით (როგორც მაგალ., პოემა „მედი ქართლისა“ თარგმ. ვ. გაფრინდაშვილისა, „საყურე“ — თარგმ. მისივე და სხვ.), დიდად შორდებიან თავისი აზრით, შინაარსით და განწყობილებით დედანს.

აუცილებელია ბარათაშვილის ლექსების დიდი უმრავლესობის ხელმეორედ თარგმნა, რომლის დროსაც ანგარიში უნდა გაეწიოს არა მარტო ბარათაშვილის ლექსების სიტყვათა შემადგენლობას, მათ ზომასა და რიტმს, არამედ იმ ფაქტორებს, რომელნიც ჰქმნიან ბარათაშვილის ლექსის ინტონაციას, მის საერთო რიტმიულ სურათს.

3. წულუკიძე.

შინაარსი

ნ. ბარათაშვილის პორტრეტი—(ნახატი ლადო გუდიაშვილისა) .

83

მხატვრული ლიტერატურა

აღიოს მამაშვილი — ქართველი ხალხის გენია	3
ი. გრიშაშვილი — კიროვის ბაღში (ლექსი)	5
გიორგი ლეონიძე — სულხან-საბას სურათზე ნათქვამი (ლექსი)	7
შალვა დადიანი — ბარათაშვილი (პიესა)	8
კონსტანტინე ჭიჭინაძე — ნიკოლოზ ბარათაშვილი განჯაში (ლექსი)	19
ალექსანდრე ქუთათელი — ბარათაშვილი და მისი სატრფო (ლექსი)	21
კონსტანტინე გამსახურდია — დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა (რაინდული რომანი)	23
ალ. შენგელია — ახალგაზრდული (ლექსი)	38
იოსებ ნონეშვილი — შემოდგომის ღამე კახეთში (ლექსი)	39
ანა ხახუტაშვილი — იოსებ ლალიაშვილი (რომანი)	40
მაქსიმ რილსკი — მონადირე (ლექსი) თარგ. ილ. მოსაშვილისა	52
მიკოლა ბაჟან — ღამის რეისი (ლექსი) თარგ. მისივე	53
ალ. ჭეიშვილი — ლელო (რომანი)	55

კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

პავლე ინგოროყვა — ნიკოლოზ ბარათაშვილი (ბიოგრაფიული ნარკვევი)	90
კონსტანტინე ჭიჭინაძე — ვეფხის-ტყაოსნის უზბეკური ვერსიები	135
პაატა გუგუშვილი — ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში	174

ბიბლიოგრაფია

Н. Бараташвили—Стихотворения. Гос. изд. „Художественная литература“, 1938 г. Москва	194
---	-----

3360 2 825. 50 ჯაჯ.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ